# ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო

## ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებისთვის

**ნაწილი I**

ბრძოლა დისკრიმინაციის წინააღმდეგ

The Congress
Le Congrès

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

**ფრანგული გამოცემა**: Manuel sur les droits de l’homme pour les élus locaux et régionaux. Vol.1

ამ პუბლიკაციის ტექსტების გამოყენება დასაშვებია იმ პირობით, რომ წყარო მოხსენიებული იყოს სრულად: ევროპის საბჭო. ტექსტების კომერციული მიზნით გამოყენების ან რომელიმე იმ ენაზე თარგმნისათვის, რომელიც არ არის ევროპის საბჭოს ოფიციალური ენა, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ: publishing@coe.int

**ბეჭდვა და გრაფიკული დიზაინი**: OPTEMIS

**ფოტოები**: ევროპის საბჭო

Shutterstock **Edition**: თებერვალი, 2019

# ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო

## ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებისთვის

**ნაწილი I**

**ბრძოლა დისკრიმინაციის წინააღმდეგ**

სახელმძღვანელოში შეტანილი მასალა ხელმისაწვდომია ქვემოთ მითითებულ ვებ გვერდზე, რომელსაც რეგულარულად ემატება ინფორმაცია ევროპის ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა მიერ ადამიანის უფლებების სფეროში შემუშავებული ინიციატივების შესახებ.

**www.coe.int/congress-human-rights**

## დამატებითი ინფორმაციისთვის:

**ევროპის საბჭო**
ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი
მონიტორინგის კომიტეტი

Congress.monitoring@coe.int

ტელ: +33 3 88 41 21 10

# შინაარსი

გუდრუნ მოსლერ-ტორსტრომი, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის პრეზიდენტი 5

ჰარალდ ბერგმანი, კონგრესის სპიკერი ადამიანის უფლებათა საკითხებზე 7

წინათქმა 9

**რისთვის არის საჭირო სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა შესახებ?** 13

- რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი ადამიანის უფლებებზე ზრუნვა? 14
- როგორ ვისარგებლოთ ადამიანის უფლებების სახელმძღვანელოთი? 16
- რას ნიშნავს ადამიანის უფლებები ? 16
- ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა როლი: რა პრაქტიკული მნიშვნელობა შესახებ დებულებებს თქვენი ქალაქის ან რეგიონისთვის? 18
- როგორ ვუპასუხოთ ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით არსებულ ადგილობრივ გამოწვევებს? 20
- რატომ არის დისკრიმინაციასთან ბრძოლა ადამიანის უფლებათა სფეროს უმთავრესი საკითხი ადგილობრივ დონეზე? 22

**ლტოლვილები - თავშესაფრის მაძიებლები - მიგრანტები იძულებით გადაადგილებული პირები (IDPs)** 27

- **ნაწილი I** განსაზღვრებები 28
- **ნაწილი II** რა უფლებები აქვთ მათ? 34
- **ნაწილი III** პრაქტიკული გამოწვევები 37
- **ნაწილი IV** გამოსავალი 39
  - თემში ინტეგრაციის ხელშეწყობა 39
  - სათანადო განსახლება 51
  - შრომის ბაზარზე და ეკონომიკაში ინტეგრაციის ხელშეწყობა 56
  - მოწყვლადი ჯგუფების დაცვა (ქალები, თანმხლები პირის გარეშე მყოფი ბავშვები) 65
  - განათლებაზე წვდომა 69
  - სიძულვილის ენისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის აღმოფხვრა 74
- **ნაწილი V** რეკომენდაციები 81
- **ნაწილი VI** რელევანტური ტექსტები და დამატებითი საკითხავი მასალა 84

**ბოშები – მომთაბარეები** 87

- **ნაწილი I** განსაზღვრებები 88
- **ნაწილი II** რა უფლებები აქვთ მათ? 90

**ნაწილი III** პრაქტიკული გამოწვევები 94
**ნაწილი IV** გამოსავალი 97
ევროპის საბჭოს პროგრამები ადგილობრივ ხელისუფალთა მხარდასაჭერად 97
ადგილობრივი თემის ცხოვრებაში ინტეგრაცია (განსახლებისა და პოლიტიკური მონაწილეობის ჩათვლით) 100
ბოშა ბავშვების ინტეგრაცია და დაცვა 107
განათლებაზე წვდომა 112
ჯანდაცვის სერვისები 116
შრომის ბაზარზე ინტეგრაცია 119
ბოშებისადმი მტრული განწყობის აღმოფხვრა და ბოშური კულტურისა და იდენტობის შესახებ ცნობიერების ამაღლება 121
**ნაწილი V** რეკომენდაციები 127
**ნაწილი VI** რელევანტური ტექსტები და დამატებითი საკითხავი მასალა 130
**ლგბტი** 133
**ნაწილი I** განსაზღვრებები 134
**ნაწილი II** რა უფლებები აქვთ მათ? 138
**ნაწილი III** პრაქტიკული გამოწვევები 140
**ნაწილი IV** გამოსავალი 142
სოციალურ უფლებებსა და მომსახურებაზე წვდომა (დასაქმება, ჯანდაცვა და განსახლება) 142
ადგილობრივი და რეგიონული კანონმდებლობის განვითარება 146
ცნობიერების ამაღლება, განათლება, ხილვადობა და პოლიტიკის შემქმნელ პროცესებში ადგილის დამკვიდრება 149
თანამშრომლობა ხელისუფლების ორგანოებს შორის 156
უსაფრთხოება და დაცულობა 159
**ნაწილი V** რეკომენდაციები 163
**ნაწილი VI** რელევანტური ტექსტები და დამატებითი საკითხავი მასალა 166
მოხსენიებული ინიციატივების შესახებ ინფორმაცია და რელევანტური ბმულები 168

# გუდრუნ მოსლერ-ტორსტრომი

## ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის პრეზიდენტი (2016 - 2018)



დღეს აღარავის ეპარება ეჭვი ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების როლში, იმაში, რომ ის ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, წამყვანი მხარეა. მე, როგორც ადგილობრივი ხელისუფლების ევროპელმა წარმომადგენელმა, პირადად შემიძლია დავადასტურო, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით უდიდეს წინსვლას მივაღწიეთ ჩვენს ქალაქებსა და რეგიონებში.

2009 წლიდან ვიყავი ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის წარმომადგენელი და მახსოვს, რა ძნელი იყო თავიდან იმ მოსაზრების დამკვიდრება, რომ ადამიანის უფლებები არა მხოლოდ ეროვნული ხელისუფლებების საზრუნავია. ჩვენი აზრით, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ხელისუფლების პასუხისმგებლობა სწორედ ადგილობრივ დონეზე უნდა იყოს გაცნობიერებული.

დღეს მე, როგორც კონგრესის პირველი ქალი პრეზიდენტი, ვამაყობ იმ პროგრესით, რომელსაც მივაღწიეთ კონგრესის წევრებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მომუშავე ჩვენი პარტნიორების თავდაუზოგავი შრომით. კონგრესში სხვადასხვა ფუნქციების მქონე ადამიანები შედიან, მერები, მრჩევლები თუ საბჭოების თავმჯდომარეები და მათ სხვადასხვა სახის პასუხისმგებლობა აკისრია, განათლება იქნება, ჯანდაცვა თუ განსახლება, ეს ყველაფერი კი ადამიანის უფლებათა განუყოფელი ნაწილია.

დღეს ძალიან მნიშვნელოვანია, ადამიანის უფლებები ადგილობრივ პოლიტიკაში იყოს გათვალისწინებული; ისინი უნდა აისახოს იმ სტრატეგიასა და ქმედებებში, რომლებიც უშუალოდ ეხება ჩვენს თემებში მცხოვრებ ადამიანებს.

ეს დიდი პასუხისმგებლობაა. დღეს ადამიანის უფლებათა დაცვა გვიწევს ეკონომიკური კრიზისის, მიგრაციული ნაკადების უპრეცედენტო ზრდის, ექსტრემიზმის მომძლავრების პირობებში. ყოველდღიურად ვაწყდებით სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ურთიერთსაპირისპირო ინტერესებს და კონფლიქტურ სიტუაციებს თავი უნდა გავართვათ არა-დისკრიმინაციული, გამჭვირვალე და ინკლუზიური მიდგომით და თითოეული ქმედებით დავიცვათ ადამიანის უფლებები.

ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები მუდმივად ვითარდება, ძალაში შედის ახალი საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებიც ადამიანის უფლებათა ახლებურ აღქმასა და გააზრებას გულისხმობს. პოლიტიკის

შემქმნელებმა ფეხი უნდა აუწყონ ამ ცვლილებებს.

რა უნდა ვიცოდეთ ჩვენ, როგორც ადგილობრივმა და რეგიონულმა წარმომადგენლებმა იმისთვის, რომ ყოველდღიურ საქმიანობაში შევძლოთ დამიანის უფლებების დაცვა? რა შესაძლებლობებს გვაძლევს, რა პასუხისმგებლობას გვაკისრებს, რომელ გამოწვევებზე პასუხს გვავალებს ადამიანის უფლებები?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემას მხოლოდ ჩემი, როგორც 47 ევროპული სახელმწიფოს 150 000 ათასზე მეტი ადგილობრივი და რეგიონული წარმომადგენლის გამაერთიანებელი კონგრესის პრეზიდენტის, როლი როდი მავალებს. ამას მავალდებულებს ზალცბურგის რეგიონული პარლამენტის ვიცე-პრეზიდენტის როლიც. ვიზიარებ ჰარალდ ბერგმანის, ადამიანის უფლებათა საკითხებზე კონგრესის სპიკერისა და მიდელბურგის (ნიდერლანდები) მერის რწმენას, რომ გამოსავლის მოძებნა შესაძლებელია ადგილობრივ დონეზე ადამიანის უფლებათა მხარდაჭერის წარმატებულ მაგალითებზე დაკვირვებით, რომლებსაც გვაწვდიან ადგილობრივი ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოები ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნებიდან.

ასე გაჩნდა ამ სახელმძღვანელოს შექმნის იდეა.

მისი მომზადებისას უდიდესი დახმარება გაგვიწიეს ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა, ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტომ და ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის რაულ ვალენბერგის სახელობის ინსტიტუტმა. უღრმესი მადლობა მათ დიდი შრომისა და ფასდაუდებელი თანამშრომლობისთვის.

გადავწყვიტეთ, ამ სახელმძღვანელოს ძირითადი თემა დისკრიმინაციის აღმოფხვრა ყოფილიყო. სახელმძღვანელო ადამიანთა კონკრეტულ ჯგუფებს ეძღვნება, რომლებსაც ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება: ლტოლვილებს, თავშესაფრის მაძიებლებს, მიგრანტებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებს, ბოშებსა და მომთაბარეებს, ლგბტი თემის წარმომადგენლებს.

ღრმად ვართ დარწმუნებულები, რომ ევროპაში სტაბილურობისა და საზოგადოებრივი წინსვლის მისაღწევად აუცილებელია, სოლიდარობა ამოძრავებდეს ჩვენს პოლიტიკას ხელისუფლების ყველა დონეზე. ამიტომ მოვუწოდებთ ადგილობრივ და რეგიონულ წარმომადგენლებს, ტერიტორიული ადმინისტრაციების თანამშრომლებს, ყოველდღიურ საქმიანობაში გამოიყენონ წინამდებარე სახელმძღვანელო მათი მოქალაქეების საკეთილდღეოდ და ადგილობრივი დემოკრატიის გაძლიერებისთვის.

მოდით, დღევანდელი გამოწვევები ხვალინდელ შესაძლებლობებად ვაქციოთ!

# ჰარალდ ბერგმანი
## კონგრესის სპიკერი ადამიანის უფლებათა საკითხებზე



როგორც ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის სპიკერი ადამიანის უფლებათა საკითხებზე და ნიდერლანდების ქალაქ მიდელბურგის მერი, პირველ რიგში კი როგორც ფუნდამენტური ევროპული უფლებებისა და ფასეულობების ერთგული მოქალაქე, სიამაყით წარმოგიდგენთ ადამიანის უფლებათა შესახებ წინამდებარე სახელმძღვანელოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებისთვის.

კონგრესის 2016-2017 წლების ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის ფარგლებში ჩაფიქრებული ეს სახელმძღვანელო პრაქტიკულ მითითებათა კრებულია, რომელიც მომზადდა ადგილობრივი და რეგიონული პოლიტიკის წარმმართველთათვის და რომლის მიზანია ცნობიერების ამაღლება, წარმატებული გამოცდილების მაგალითების წარმოჩენა და კონკრეტული რჩევების მიცემა ქალაქებსა და რეგიონებში ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებისთვის. კონგრესი დღემდე ერთადერთი საერთაშორისო ორგანოა, რომელმაც ასეთი ინსტრუმენტი შეიმუშავა ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე ადამიანის უფლებათა მხარდაჭერისთვის.

შესავალი ეხება ადგილობრივ პოლიტიკაში ადამიანის უფლებების გათვალისწინების მნიშვნელობას, შემდეგ კი სახელმძღვანელო აანალიზებს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების წარმომადგენლების წინაშე არსებულ გამოწვევებს და გაგაცნობთ წარმატებული გამოცდილების მაგალითებს.

ამ გამოცემის საკვანძო თემაა არადისკრიმინაციულობა სამ სამიზნე ჯგუფთან მიმართებაში. ესენი არიან: ლტოლვილები, თავშესაფრის მაძიებლები, მიგრანტები და იძულებით გადაადგილებული პირები; ბოშები და მომთაბარეები; ლგბტი თემის წარმომადგენლები.

ამ სამი ჯგუფის შერჩევა ეფუძნებოდა კონგრესის მონიტორინგის კომიტეტის შეფასებებს და 2016 წელს გამართულ ერთ-ერთ შეხვედრაზე კონგრესის ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის განხილვისას მის წევრებთან ხანგრძლივ კონსულტაციებს. მას შემდეგ ამ სახელმძღვანელოზე მუშაობა კომიტეტის სამუშაო დღის წესრიგის მუდმივი საკითხი იყო. მალე კომიტეტი დაიწყებს მსჯელობას შემდეგ გამოცემაში შესატან თემებთან დაკავშირებით.

მინდა, ხაზი გავუსვა, რომ ამ სახელმძღვანელოს არ აქვს პრეტენზია, ამომწურავი იყოს. ეს შეუძლებელიც იქნებოდა, როგორც განხილული საკითხების კომპლექსურობის, ასევე წარმატებული გამოცდილების მაგალითების სიმრავლის

გათვალისწინებით. სახელმძღვანელო თავიდანვე ჩაფიქრებული იყო, როგორც ნაშრომი, რომელიც მუდმივად უნდა განახლდეს, შეივსოს, გამდიდრდეს ახალი ცოდნითა და გამოცდილებით.

ამ სამი ჯგუფის თემატური ანალიზი ექვს ნაწილადაა დაყოფილი: თითოეული ჯგუფის მოკლე განსაზღვრება, მათი უფლებების განსაზღვრება, ის გამოწვევები, რომლებსაც მოცემული ჯგუფი აწყდება პრაქტიკულად, წარმატებული გამოცდილების მაგალითების ნაკრები ევროპის სხვადასხვა ქალაქიდან თუ რეგიონიდან და ბოლოს, რელევანტური ტექსტები და დამატებითი საკითხავი მასალა.

სახელმძღვანელოში შეკრებილია 65 პრაქტიკული მაგალითი 23-ზე მეტი ქვეყნიდან. მაგალითები არის როგორც პატარა სოფლებიდან, ასევე ტრანსსასაზღვრო რეგიონებიდან.

თითოეული მაგალითისთვის მითითებულია საკონტაქტო ინფორმაცია და ხელისუფლების შესაბამისი ორგანოს დასახელება. მოგიწოდებთ, ისარგებლოთ საკონტაქტო ინფორმაციით და დაუკავშირდეთ შესაბამის სამსახურებს, გააცნოთ თქვენი მოსაზრებები, გაცვალოთ ინფორმაცია და იმსჯელოთ შესაძლო სამომავლო თანამშრომლობაზე. წარმატებული გამოცდილების გაზიარების მიზანი სწორედ ისაა, რომ შთაგაგონოთ და წაგახალისოთ ადამიანის უფლებების დაცვაზე დაფუძნებული პოლიტიკისა და მიდგომის შემუშავებაში და დაგეხმაროთ, რომ თქვენი ადგილობრივი საჭიროებების მიხედვით გამოიყენოთ პუბლიკაციაში მოცემული მაგალითები.

და ბოლოს, სახელმძღვანელოში ნახსენებია სხვადასხვა ორგანიზაციის, ასოციაციისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ განვითარებული არა ერთი ადგილობრივი, ეროვნული თუ საერთაშორისო ინიციატივა. ეს ინფორმაცია თქვენს თემთან ამ ორგანიზაციების თანამშრომლობის საწინდარი შეიძლება გახდეს.

არ გვჭირდება ბორბლის ხელახლა გამოგონება: ინიციატივებიცა და კარგი მაგალითებიც უკვე არსებობს და თითოეული ჩვენგანი ყოველდღიურ საქმიანობაში აწყდება საკითხებს, რომლებიც ადამიანის უფლებათა კომპონენტს შეიცავს. სახელმძღვანელო აჩვენებს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვაზე დაფუძნებული მიდგომა ყოველდღიურ მუშაობაში არც დიდ რესურსს მოითხოვს და არც რამე სახის სამართლებრივ ან ტექნიკურ შეზღუდვებს ქმნის. პირიქით, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა პოლიტიკური შესაძლებლობაა საზოგადოების გაძლიერებისა და უფრო ეფექტიანი პოლიტიკის წარმართვისათვის.

როგორც ქალაქის მერი, აუცილებლად გამოვიყენებ ამ სახელმძღვანელოს ჩემს საქმიანობაში და თქვენც ამისაკენ მოგიწოდებთ.



# წინათქმა

ეს სახელმძღვანელო ადგილობრივ დონეზე ადამიანის უფლებათა საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფის კოლექტიური შრომის შედეგია, რომელსაც უძღვებოდა კონგრესის სპიკერი ადამიანის უფლებათა საკითხებზე, ჰარალდ ბერგმანი. მე, როგორც მკვლევარსა და ექსპერტს, შესაძლებლობა მქონდა, მონაწილეობა მიმეღო ამ მუშაობაში.

ეს ნაშრომი ეფუძნება იდეას, რომელიც ჩემი კვლევის საგანია და რომელიც გულისხმობს, რომ ქალაქები და რეგიონები ზრუნავენ ადამიანის უფლებების დაცვაზე, მაგრამ მათ შეუძლიათ, წვლილი შეიტანონ ადამიანის უფლებების ახლებურად გააზრებაში, რადგან ისინი უშუალოდ აწყდებიან სხვადასხვა სიტუაციაში არსებულ გამოწვევებს და აკვირდებიან, შეისწავლიან მათ. ამ თვალსაზრისით ქალაქები და რეგიონები არა მხოლოდ შემსრულებლები არიან: ისინი სულ უფრო ხშირად ხდებიან ადამიანის უფლებათა დაცვის საქმის ნამდვილი, მთავარი მოქმედი პირები.

სულ უფრო იზრდება ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების იმ წარმომადგენელთა რაოდენობა, რომლებიც ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით მჭიდროდ თანამშრომლობენ მკვლევარებთან, ექსპერტებთან და რელევანტურ ინსტიტუციებთან. ეს ნიშნავს, რომ ისინი აცნობიერებენ, რომ ადგილობრივ მასშტაბში ადამიანის უფლებებზე ზრუნვა ქალაქისა თუ რეგიონის უკეთ მართვის, ადგილობრივი მოსახლეობის უკეთესი ცხოვრების საწინდარია.

სახელმძღვანელოს მიზანია, სწორედ ამ მიზნის მიღწევაში დაგეხმაროთ. ამიტომ მასში განმარტებულია, თუ რას გულისხმობს ადამიანის უფლებებზე დამყარებული მიდგომა ხელისუფლებისთვის: ეს ნიშნავს საჯარო სამსახურით დაკისრებულ ვალდებულებათა გაცნობიერებას და არსებული პრობლემების მოგვარებას ადამიანის უფლებათა დაცვის ჭრილში. ადამიანის უფლებებზე დამყარებული მიდგომა გულისხმობს არა მხოლოდ თქვენს ჩართულობას, არამედ ყველა იმ მხარის მონაწილეობას, რომელიც თქვენთან თანამშრომლობს. ჩემი კვლევის ფარგლებში არაერთხელ გავესაუბრე მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს. მათმა გამოცდილებამ და მოსაზრებებმა დამარწმუნა, რომ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ამ მოხელეებს არა მხოლოდ ადამიანის უფლებების უკეთ დაცვაში ეხმარება, არამედ, რაც ყველაზე მთავარია, საშუალებას აძლევს მათ, სხვა პრობლემებზე რეაგირების დროსაც გაითვალისწინონ ადამიანის უფლებები.

ეს სახელმძღვანელო სამ ძირითადად ჯგუფზე ამახვილებს ყურადღებას. ესენი არიან ლტოლვილები, თავშესაფრის მაძიებლები, მიგრანტები და იძულებით გადაადგილებული პირები; ბოშები და მომთაბარეები; ლგბტი თემის წარმომადგენლები.

ექსპერტთა ჯგუფს არასოდეს შეჰპარვია ეჭვი, რომ ეს ჯგუფები სულ უფრო ხშირად ხდებიან მტრული დამოკიდებულების სამიზნე. ადამიანის უფლებები ავალდებულებს თითოეულ ჩვენგანს, ვაღიაროთ საკუთარი პასუხისმგებლობა და

შესაბამისად ვიმოქმედოთ. ყოველისმომცველი მტრული განწყობით შექმნილი დაძაბულობა არა მხოლოდ კონკრეტული ჯგუფების უფლებებს არღვევს, არამედ მნიშვნელოვნად აუარესებს ჩვენი ქალაქებისა და რეგიონების მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს.

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ეფექტიანი მიდგომა გულისხმობს ამ სამი ჯგუფის წარმომადგენელთა ჩართვას მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად მიმართული პოლიტიკისა და ქმედებების შემუშავებაში. ამ სახელმძღვანელოში წარმოჩენილი ინიციატივების გაცნობა ამ მიზნის მიღწევაში დაგეხმარებათ. ასოციაციებს, რომლებიც წარმოადგენენ ამ ჯგუფებს, მნიშვნელოვანი ინფრმაციის მოწოდება შეუძლიათ თქვენს ქალაქსა თუ რეგიონში არსებულ საჭიროებებზე. შეიძლება იფიქროთ, რომ ეს ძვირი ჯდება, მაგრამ სახელმძღვანელო გიჩვენებთ, რომ საცხოვრისისა თუ ჯანდაცვის მომსახურების პრობლემების პრაქტიკული გადაწყვეტა მწირი რესურსებითაც შესაძლებელია, თუ ყველა მხარე, ვისაც სურს და შეუძლია დახმარება, საწყის ფაზაშივე ჩაერთვება საკითხის მოგვარებაში.

იფიქრეთ, როგორ ჩართოთ დიალოგში თქვენი ქალაქები და რეგიონები. თუ გარკვეული ჯგუფებისადმი მტრული განწყობა არსებობს, პირველ რიგში, ამის აღიარებაა საჭირო. განწყობის დაძლევა იმ გამოსავლის ნაწილია, რომელიც უნდა მოძებნოთ თქვენს თემში ადამიანის უფლებათა დაღვევებთან ბრძოლისთვის, ნდობისა და სოლიდარობის შენებისა და განმტკიცებისათვის. ადამიანის უფლებები, შეიძლება, უაღრესად სასარგებლო პლატფორმა აღმოჩნდეს ამ დიალოგის წარმატებისთვის, რადგან უფლებები ყველასთვისაა და არა მხოლოდ ზოგიერთისთვის. ადამიანის უფლებების დაცვა ყველასთვის მნიშვნელოვანია და ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე, სხვადასხვა ადამიანური სისუსტისა თუ დაუცველობის გამო, თითოეული ჩვენგანი შეიძლება აღმოჩნდეს ამ საჭიროების წინაშე.

როგორც ნებისმიერი ჯანსაღი მსჯელობა, ეს დიალოგიც ფაქტებს უნდა ეფუძნებოდეს. სახელმძღვანელოში მოყვანილი ინიციატივები მითებსა და სტერეოტიპებს უპირისპირდება. სახელმძღვანელოში მოყვანილი მაგალითები შეიძლება გამოიყენოთ ქალაქისა თუ რეგიონის ცხოვრებაში ადამიანის უფლებების დაცვით მიღებულ დადებით ზეგავლენაზე მსჯელობისათვის. ადამიანის უფლებების დაცვა მოქალაქეთა ცხოვრების ხარისხს აუმჯობესებს, ხელახალ სიცოცხლეს შთაბერავს პატარა დაბებსა თუ ქალაქებს და მხარს უჭერს კეთილსინდისიერ ეკონომიკურ წინსვლას, ყველას სასიკეთოდ.

უდიდესი სიამოვნება იყო ამ პროექტზე მუშაობა ექსპერტთა ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად და დიდი იმედი მაქვს, რომ ეს სახელმძღვანელო, რომელსაც შემდგომი გამოცემებიც მოჰყვება, დაგეხმარებათ უკეთესი ქალაქებისა და რეგიონების შენებაში.

**დრ. მიკელე გრიგოლო, სოციოლოგიის პროფესორი**
ნოტინგემ ტრენტის უნივერსიტეტი (ნოტინგემი, გაერთიანებული სამეფო)


sim

# რისთვის არის საჭირო ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო?

# რატომ არის მნიშვნელოვანი ადამიანის უფლებებზე ზრუნვა?

ადამიანის უფლებები უნივერსალურია. ისინი ყველას გვეხება, განსაკუთრებით კი თქვენ. არ აქვს მნიშვნელობა, არჩეული პოლიტიკოსი ხართ, რომელიმე ადმინისტრაციის წევრი თუ ადგილობრივ ან რეგიონულ დონეზე მუშაობთ. როგორც საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელი და საჯარო მოხელე, თქვენ უმნიშვნელოვანესი როლი გაქვთ თქვენი მოქალაქეების უფლებების დაცვაში. ადამიანის უფლებები პასუხისმგებლობებს გულისხმობს, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ისინი უდიდეს შესაძლებლობებს ქმნის.

ადამიანის უფლებების გააზრება და მათი ინტეგრირება თქვენს ყოველდღიურ საქმიანობაში მხოლოდ თქვენი იურიდიული ვალდებულებების შესრულების გზა არ არის. უფლებების დაცვა უფრო ეფექტურ პოლიტიკას, მეტ საზოგადოებრივ სიმტკიცესა და ერთსულოვნებას ნიშნავს. ის ზრდის მოქალაქეთა კმაყოფილებას, ხელს უწყობს თქვენი ადმინისტრაციის დადებითი იმიჯის განმტკიცებას, ეკონომიკურ განვითარებას, მოქალაქეთა ჩართულობას და თქვენი პოლიტიკური იმიჯის გაუმჯობესებას.

## *ადამიანის უფლებების ინტეგრირება უბრალოდ კარგი საქმე კი არა, მნიშვნელოვანი პოლიტიკური შესაძლებლობაა*

საკუთარი მოვალეობის შესრულებისას თქვენ იღებთ მოქალაქეების ყოველდღიურ ცხოვრებასთან, მათი ძირითადი უფლებების გამოყენებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს. მარტივად რომ ვთქვათ, ადამიანის უფლებები მოქალაქეებსა და საჯარო ხელისუფლებას შორის ურთიერთობის მნიშვნელოვანი ნაწილია. თქვენ ყველაზე ახლოს ხართ მოქალაქეებთან, ყოველდღიურად გაქვთ მათთან ურთიერთობა, თქვენი გადაწყვეტილებები მათზე უშუალოდ აისახება, ყველაზე უკეთ იცით მათი პრობლემები და ისიც, თუ როგორ მოძებნოთ გრძელვადიანი გამოსავალი მოქალაქეთა ინტერესების სასარგებლოდ. თქვენ პასუხისმგებლობა გაკისრიათ საკუთარი მოქალაქეების წინაშე და პირველ რიგში მათი უფლებების დაცვა გევალებათ. ამ ფაქტის უარყოფა შეუძლებელია. თქვენ ადამიანის უფლებებისთვის მებრძოლი ხართ: როგორიც არ უნდა იყოს თქვენი ინსტიტუციური როლი და კომპეტენციები, თქვენ იცავთ და მხარს უჭერთ საკუთარი მოქალაქეების უფლებებს ყოველდღიურ საქმიანობაში.

ამ პასუხისმგებლობის გათავისება და თქვენი პოლიტიკის მთავარ ფასეულობად მოქალაქეების უფლებებისა და ინტერესების

აღიარება სწორედ ისაა, რასაც ჩვენ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას ვუწოდებთ. შემცირებული ფინანსური სახსრების, კომპეტენციების ზრდისა და და ახალი პოლიტიკური გამოწვევების პირობებში, როგორიცაა, მაგალითად, ლტოლვილების მიღება და ინტეგრაცია, ექსტრემიზმის მომძლავრება ან სოფლების დაცარიელება, შეიძლება, დაიბადოს კითხვა: რა ფასი აქვს ადამიანის უფლებებს? თუმცა, სინამდვილეში ადამიანის უფლებების დაცვა სულაც არ მოითხოვს ფინანსური რესურსების ზრდას. საჭიროა უბრალოდ ხელახალი გააზრება იმისა, თუ რას და როგორ ვაკეთებთ, რაღაცის შეცვლა, მორგება.

ადამიანის უფლებათა გააზრება და მათი ინტეგრირება პოლიტიკის შემუშავების პროცესში არა მხოლოდ არებული პოლიტიკის გაუმჯობესების ინსტრუმენტია, არამედ ახალი პრობლემების უფრო სწრაფად, ეფექტიანად და ნაკლები დანახარჯით გადაჭრის გზაც არის. თქვენ არ გჭირდებათ ბორბლის ხელახლა გამოგონება, მხოლოდ არსებული სტრუქტურები და პოლიტიკა უნდა გააუმჯობესოთ. გაუზიარეთ გამოცდილება თქვენს კოლეგებს, მოიძიეთ არასამთავრობო ორგანიზაციები, ასოციაციები და საგანმანათლებლო დაწესებულებები თქვენს ქალაქსა თუ რეგიონში. ისინი დაგეხმარებიან თავიანთი გამოცდილებით. გარწმუნებთ, ადამიანის უფლებების დაცვა იმაზე ადვილი და იაფი ჯდება, ვიდრე გგონიათ.

ეს სახელმძღვანელო გიჩვენებთ, როგორ იმოქმედოთ.

## იცოდით ?



...რომ დღეს მსოფლიოს ქვეყნები შეუერთდნენ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ ასობით შეთანხმებას მსოფლიოში:

რამდენიმე უნივერსალური შეთანხმება...

მაგ. **საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ** (1966)

ზოგიერთი ჯგუფი, რომელსაც განსაკუთრებული დაცვა სჭირდება...

მაგ. **კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ** (1989)

ზოგიერთი მათგანი მხოლოდ ზოგ რეგიონს ეხება...

მაგ. **კონვენცია ადამიანის უფლებების შესახებ** (1950)

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა საშუალებას მოგცემთ, უფრო ეფექტიანად გადაჭრათ არსებული პრობლემები და იზრუნოთ მათ პრევენციაზე მომავალში. პრობლემების თავიდანვე გათვალისწინება ყოველთვის უფრო მომგებიანია, ვიდრე მათი შედეგების გამოსწორება, რასაც ფინანსურის გარდა, დიდი პოლიტიკური და სოციალური ფასი აქვს.

# როგორ ვისარგებლოთ ადამიანის უფლებების სახელმძღვანელოთი?

ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო საშუალებას მოგცემთ, გაიაზროთ ადამიანის უფლებების მნიშვნელობა და მისი ზეგავლენა თქვენს ქალაქსა თუ რეგიონზე, იმისდა მიუხედავად, ადგილობრივი ან რეგიონული მასშტაბის გადაწყვეტილებებს იღებთ თუ ადგილობრივი ადმინისტრაციის მოხელე ხართ. ის დაგეხმარებათ, უკეთ გაიგოთ ადამიანის უფლებათა სხვადასხვა ასპექტები ყოველდღიურ საქმიანობაში და თქვენი მოქალაქეების უფლებების დასაცავად მდგრადი გამოსავალი იპოვოთ. იმ ნაწილის შემდეგ, რომელშიც მიმოხილულია, რა არის ადამიანის უფლებები და რას ნიშნავს ისინი თქვენთვის პრაქტიკულად, საილუსტრაციოდ მოცემულია ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების წარმატებული გამოცდილების მაგალითების ვრცელი ნაკრები. მნიშვნელობა არა აქვს, აქტიურად გიწევთ თუ არა ადამიანის უფლებების დაცვაზე მუშაობა ან რა კომპეტენციები აქვს კონკრეტულად თქვენს სამსახურს: ეს სახელმძღვანელო შექმნილია ადამიანის უფლებათა შესახებ შემუშავებული პროექტების, პოლიტიკისა და ინიციატივების საფუძველზე, რომლებიც

თქვენმა კოლეგებმა განავითარეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ამრიგად, ის გაძლევთ პრაქტიკულ მითითებებს, როგორ უპასუხოთ მსგავს გამოწვევებს თქვენს ქალაქსა თუ რეგიონში.

ეს სახელმძღვანელო პრაქტიკული მითითებების კრებულია, რომელიც აანალიზებს, თუ რა არის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა, რას ნიშნავს ის პრაქტიკულად, რატომ არის ის სასარგებლო თქვენთვის და როგორ დაგეხმარებათ ადგილობრივი პრობლემების გადაჭრაში.

# რას ნიშნავს ადამიანის უფლებები?

უფლებები თითოეულ ადამიანს აქვს, მიუხედავად მისი იურიდიული სტატუსისა. უფლებები აქვთ მოქალაქეობის არ-მქონე ადამიანებს, ლტოლვილებს, მიგრანტებსა თუ უცხოეთის მოქალაქეებს, ქალებს, მამაკაცებს, ბავშვებს, მოხუცებს, შშმ პირებს, განურჩევლად მათი რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობის, პოლიტიკური მრწამსისა და სექსუალური ორიენტაციისა. თითოეულ ჩვენგანს ერთი და იგივე ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები აქვს და მათ კანონი იცავს - მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ ადამიანები ვართ. ეს უფლებები **უნივერსალური** და **თანასწორია**, რაც ნიშნავს, რომ ისინი ერთნაირია ყველგან, ყოველთვის, ყველასათვის.

**ადამიანის უფლებების ცნება არც იდეალისტურია და არც ბუნდოვანი,**

**ის მკაფიო სამართლებრივ ვალდებულებებს წარმოქმნის სახელმწიფოებისა და მისი ორგანოებისთვის, ხელისუფლების ყველა დონეზე.**

მეორე მსოფლიო ომის საშინელებათა შემდეგ სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს, წერილობით, სამართლებრივი ნორმების სახით განესაზღვრათ ადამიანის უფლებათა არსებული ცნებები, რასაც მოჰყვა ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციის მიღება 1948 წელს, მომდევნო ათწლეულებში კი ასობით საერთაშორისო შეთანხმებისა და დეკლარაციის გაფორმება ადამიანის უფლებათა საკითხებზე.

განვითარდა ადამიანის უფლებების საერთაშორისო სისტემა: სახელმწიფოები შეიმუშავებენ და ამტკიცებენ შეთანხმებებს ადამიანის უფლებების დასაცავად და ქმნიან საერთაშორისო სტრუქტურებს მათი შესრულების გასაკონტროლებლად, როგორებიც არიან გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ან ევროპის საბჭო. სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა შესახებ შეთანხმების რატიფიცირება ნიშნავს, რომ ის ხელს აწერს მას და კისრულობს შეთანხმების დებულებათა შესრულებას ქვეყნის მასშტაბით. ეს შეთანხმებები ისევე სავალდებულოა, როგორც ეროვნული კანონები. ამ შეთანხმებებით ნაკისრი ვალდებულებები სავალდებულოა როგორც ეროვნული, ასევე ადგილობრივი ხელისუფლებებისთვის და ეხება ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ადამიანს.

დღეს კანონი იცავს ადამიანის უფლებათა ფართო სპექტრს თქვენს ქვეყანაში არა მხოლოდ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე, არამედ თქვენი კონსტიტუციის, ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლოს გადაწყვეტილებათა თანახმადაც. რა თქმა უნდა, ეს უფლებები ეხება ისეთ საკვანძო დებულებებს, როგორიცაა წამების აკრძალვა, გამოხატვის თავისუფლება ან არა-დისკრიმინაციულობა და რომლებსაც ზოგადად **სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების** სახელით მოიხსენიებენ. თუმცა, არსებობს ასევე **ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებიც,** როგორიცაა, მაგალითად, სათანადო განსახლება, განათლება და ჯანდაცვა. ეს დებულებები სხვადასხვა სამართლებრივ დოკუმენტშია ასახული, მაგრამ მათ თანასწორი მნიშვნელობა აქვთ და თითოეული მათგანი ერთმანეთზე დამოკიდებული და ურთიერთდაკავშირებულია.

# ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა როლი: რა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებათა შესახებ დებულებებს თქვენი ქალაქის ან რეგიონისთვის?

როგორც მოქალაქეებს, გვაქვს უფლებებიცა და ვალდებულებებიც. ჩვენ შეიძლება გვევალებოდეს გადასახადების გადახდა ან სამხედრო სამსახურის გავლა, მაგრამ სახელმწიფოსაც ევალება ჩვენთვის გარკვეული მომსახურების გაწევა, ჩვენი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ჩვენი უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა. ამ უფლებათა დაცვა გარკვეულ ინსტიტუციურ კომპეტენციებს შეესაბამება და ცენტრალური ხელისუფლება სულ უფრო ხშირად აკისრებს ამ როლს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებს, რომლებიც თვითმმართველობის პრინციპზე დაფუძნებით ასრულებენ საკუთარ მოვალეობებს.

**ადამიანის უფლებათა დაცვა თქვენს კომპეტენციებში შედის და თქვენ გარდაქმნით საერთაშორისო ვალდებულებებს პრაქტიკულ ქმედებებად.**

ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირება შეუძლია მხოლოდ სახელმწიფოს, მაგრამ ამ შეთანხმებებით ნაკისრი ვალდებულებების პრაქტიკული შესრულება ხელისუფლების სხვადასხვა დონეებზე პასუხისმგებლობათა განაწილებას გულისხმობს. თუ ხართ ადგილობრივი ან რეგიონული პოლიტიკოსი, საჯარო მოხელე ან საზოგადოების წარმომადგენელი, რომლის საქმიანობაც უშუალოდ აისახება მოქალაქეებზე, უნდა გაითვალისწინოთ, რომ:

**თქვენი ვალდებულებების შეუსრულებლობა არა მხოლოდ თქვენს მოსახლეობას აზიანებს, მას შეიძლება, უფრო დიდი მასშტაბის ეროვნული თუ საერთაშორისო სამართლებრივი შედეგები მოჰყვეს.**

მაშასადამე, ადამიანის უფლებათა დაცვის რა ასპექტებია გასათვალისწინებელი თქვენს ყოველდღიურ საქმიანობაში? როგორიც არ უნდა იყოს თვითმმართველობის ხარისხი ქვეყანაში, თქვენს კომპეტენციებში ყოველთვის შედის ადამიანის უფლებების დაცვა. გაიაზრეთ საკუთარი მოვალეობები, დამოუკიდებელი იქნება ისინი თუ ხელისუფლების სხვა რგოლებთან საზიარო და სცადეთ, გამოავლინოთ პოლიტიკის ის სფეროები, რომლებშიც შედის ადამიანის უფლებათა ცნება. ზოგადი სფეროებია განსახლება, ჯანდაცვა, განათლება, სოციალური მომსახურება, უსაფრთხოება, საჯარო წესრიგი ან ურბანული დაგეგმარება. უსასრულოა იმ

საკითხების ჩამონათვალი, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება თქვენი რეგიონის მოქალაქეთა უფლებებს. მეორე ეტაპზე განვიხილოთ ის ჯგუფები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ, რადგან მათ მეტი პრობლემა შეიძლება ჰქონდეთ თავიანთი უფლებების რეალიზების თვალსაზრისით

და ხშირად განიცდიდნენ დისკრიმინაციას. ესენი არიან, მაგალითად, ბავშვები, მოხუცები, ეროვნული უმცირესობები, შშმ პირები ან მიგრანტები.

**ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე თითოეულ ჩვენგანს სჭირდება განსაკუთრებული ყურადღება, ასე რომ ნუ შეხედავთ უმცირესობებს, როგორც „განსხვავებულებს“, ეცადეთ, მათ მდგომარეობაში წარმოიდგინოთ საკუთარი თავი!**

ჩვენი კომპეტენციებისა და გარკვეული ჯგუფების იდენტიფიკაციის შემდეგ მოდით, ვნახოთ, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული რომელი საერთაშორისო ვალდებულებები უნდა გადავიტანოთ პრაქტიკაში:

**განსახლების უფლება**: უნდა იზრუნოთ თქვენი თემის თითოეული წევრისთვის სათანადო საცხოვრებელი სივრცის უზრუნველყოფაზე მათი წარმომავლობის, ეთნოსისა თუ ეროვნების **მიუხედავად**;

**განათლების უფლება**: უნდა იზრუნოთ იმაზე, რომ თითოეულ მოქალაქეს დაჰყავდეს შვილები სკოლაში, განათლების **ეროვნული** სტანდარტების შესაბამისად;

## იცოდით ?



...რომ ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულება ოთხ სხვადასხვა პასუხისმგებლობას შეიძლება ნიშნავდეს:

**პატივისცემა**: ისეთი უფლებისთვის ხელის არ შეშლა, როგორიცაა რელიგიური თემის მშვიდობიანი თავშეყრის უფლება.

**დაცვა**: უზრუნველყოფა, რომ მესამე მხარემ არ დაარღვიოს ადამიანის რომელიმე უფლება, მაგალითად, ბავშვები არავინ დააბრკოლოს სკოლაში სიარულში.

**შესრულება**: ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენების ხელშეწყობა, როგორიცაა ომბუდსმენის ან ანტი-დისკრიმინაციული სააგენტოს შექმნა თქვენს ქალაქში.

**ჩართულობა**: თქვენს მოქალაქეებთან ურთიერთობა მათი უფლებების უკეთ დასაცავად. მრგვალი მაგიდების მოწყობა, მოქალაქეთა მოსაზრებების გათვალისწინება და მათი როლის გამოკვეთა ადამიანის უფლებათა დაცვის პროცესში.

**ჯანდაცვის უფლება**: უნდა იზრუნოთ, რომ თქვენი ქალაქის/დაბის/რეგიონის თითოეულ მცხოვრებს, მათ შორის საბუთების არ მქონე პირებს, არა-რეზიდენტებსა და დაზღვევის არ მქონე პირებს, ხელი მიუწვდებოდეს ჯანდაცვის დაწესებულებებსა და მომსახურებაზე.

ადამიანის უფლებები ყველასთვის **ერთია,** მაგრამ პირობები, რომლებშიც ამ უფლებების გამოყენება ხდება, ბუნებრივად განსხვავდება ერთმანეთისგან.

სხვადასხვა კონტექსტი სხვადასხვა გამოსავალს ითხოვს. ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ ვალდებულებებში, შესაძლოა, არასოდეს მოიძებნოს ერთი საუკეთესო მიდგომა საკითხის მოსაგვარებლად. არც რამე მკაფიო ზღვარი არსებობს ადამიანის უფლებების რეალიზებისთვის. თქვენ ყველაზე კარგად იცით თქვენი მოქალაქეების საჭიროებები და მათზე საპასუხოდ საუკეთესო გამოსავალიც ყველაზე კარგად შეგიძლიათ, იპოვოთ. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ნიშნავს ადამიანის უფლებათა ცნების სიღრმისეულ გათავისებას ყოველდღიურ საქმიანობაში და იმ გრძელვადიანი ზეგავლენის გააზრებას, რომელსაც მგრძნობიარე პოლიტიკა ახდენს არა მხოლოდ უშუალო ბენეფიციარებზე, არამედ მთელ მოსახლეობაზე. ადამიანის უფლებათა დაცვა არ ნიშნავს ძვირადღირებული პოლიტიკის ან რეფორმების გატარებას: რომელიმე ადგილობრივი ასოციაციის მხარდასაჭერად ჩატარებულ ერთდღიან ღონისძიებას ან უბრალოდ მკაფიო განცხადებას, შესაძლოა, უზომოდ დიდი შედეგი მოჰყვეს.

# როგორ ვუპასუხოთ ადამიანის უფლებების თვალსაზრისით არსებულ ადგილობრივ გამოწვევებს ?

მას შემდეგ, რაც გაანალიზებთ თქვენს კონტექსტს, გამოავლენთ პრობლემას, მასში ჩართულ მხარეებს და ადამიანის უფლებების კომპონენტს, როგორია შემდეგი ნაბიჯი? როგორ უნდა განახორციელოთ რეალურად უფლებებზე დაფუძნებული პოლიტიკა? რომელი ჯგუფის უფლებებსაც არ უნდა ეხებოდეს თქვენი სავარაუდო ქმედება, პროექტი ან პოლიტიკა, მისი განხორციელება ყოველთვის ადვილი არ არის. განხორციელების პროცესში წამოჭრილი გამოწვევები, ცხადია, თქვენს ადგილობრივ კონტექსტზეა დამოკიდებული. ყველა შემთხვევაში, პირველ რიგში უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი ოპერატიული გამოწვევები და წინასწარ განსაზღვროთ, როგორ უპასუხოთ მათ ეფექტიანად:

**ლტოლვილთა მიღება – სოფლის ხელახალი სიცოცხლე**
(მილვაში, კორეზე / საფრანგეთი)

2015 წლის ბოლოს მილვაშის მერმა გადაწყვიტა, თავის 800 სულიან სოფელში 60 ლტოლვილი მიეღო. „ეს მხოლოდ ჰუმანიტარული ჟესტი არ ყოფილა, ეს ადგილობრივი განვითარების პროექტიც იყო“, ამბობს ის. ახალი მცხოვრებლების დასაბინავებლად მიღებული სახსრებით შეიქმნა ოთხი ახალი სამუშაო ადგილი, შესაძლებელი გახდა მოხუცთა თავშესაფრის რეკონსტრუქცია ადგილობრივი 10%-იანი გადასახადის გარეშე და დახურვას გადაურჩა დაწყებითი სკოლის კლასი ადგილობრივ სკოლაში.

## თქვენი ხელმძღვანელობის დარწმუნება

შესაძლოა, ადამიანის უფლებები არასოდეს ყოფილა თქვენი სამუშაო დღის წესრიგში, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ ყველას გაქვთ ჩატარებული ისეთი აქტივობები, რომლებიც ადამიანის უფლებებს ეხება. მიუხედავად ამისა, უფლებების დაცვაზე დაფუძნებული მიდგომა ბევრისთვის შეიძლება „უცხო მიწაზე“ ფეხის დადგმას ჰგავდეს.

შესაძლოა, თქვენს პერსონალს არ ჰქონდეს საკმარისი გამოცდილება და ცოდნა, შეიძლება, წინააღმდეგობასაც შეხვდეთ ახალი მიდგომის გამოყენებისას. ამიტომ ტრენინგი, ეფექტიანი შიდა კომუნიკაცია და სხვა ქალაქებისა თუ რეგიონების მთავრობებთან გამოცდილების გაზიარება ძალიან მნიშვნელოვანია პრობლემების გადასაჭრელად.

## დარწმუნება პოლიტიკურ დონეზე

ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული მიდგომის დანერგვა, შეიძლება, პოლიტიკურ წინააღმდეგობასაც შეხვდეს. ცხადია, ეს პირველ რიგში თქვენს ელექტორატს ეხება. თქვენს ქალაქში ლტოლვილთა მიღება, ბოშებისთვის საცხოვრებლის გამოყოფა ან წლიური გეი-პრაიდის ორგანიზება, შეიძლება, ყველასათვის მოსაწონი არ იყოს. ამაში უცნაური არაფერია.

მნიშვნელოვანია, სტერეოტიპები ჩაანაცვლოთ ფაქტებით, თქვენივე მოსახლეობა ჩართოთ ამ გადაწყვეტილებების მიღებაში. უნდა აუხსნათ მათ ადამიანის უფლებათა დაცვაზე დაფუძნებული პოლიტიკის მიზნები და საშუალებები, გააცნოთ ამ პოლიტიკის გრძელვადიანი სიკეთეები. გარდა ამისა, ადგილობრივ თუ რეგიონულ საბჭოშიც შეიძლება, შეგხვდეთ წინააღმდეგობა სასურველი პოლიტიკის გასატარებლად საჭირო ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის მიღების თვალსაზრისით.

## გამოსავლის ძიება იმ ადამიანებთან ერთად, ვისაც ეხება პრობლემა

არსებობს მესამე პრობლემაც: როგორ უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს ეფექტიანად ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული პროექტი ან პოლიტიკა? ყველა სფეროში მნიშვნელოვანია **კარგი გამოცდილების გაზიარება,** მაგრამ ის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია „ადამიანის უფლებების რეალურად განხორციელების საქმეში".

კონგრესის მრავალფეროვანმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ სამეტაპიანი მოდელი ყველაზე ეფექტიანი გზაა ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე ადამიანის უფლებათა რეალიზებისთვის. ეს ეტაპებია: ადგილობრივი კონტექსტის შესწავლა, პრობლემური საკითხების იდენტიფიცირება და მათთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა საკითხების გამოვლენა; წარმატებული გამოცდილების გათვალისწინება; ახალი პოლიტიკის შემუშავება ან არსებულის ადაპტირება.

თქვენს კოლეგებს ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში ხანდახან არა მხოლოდ იგივე პრობლემები აქვთ (ადამიანის უფლებებთან მიმართებაში), რაც თქვენ, არამედ იგივე დაბროლებებიც ხვდებათ პრაქტიკულ მუშაობაში. არ არსებობს უნივერსალური რეცეპტი, მაგრამ გამოცდილების გაზიარება ხშირად ყველაზე ეფექტიანი და იაფი გზაა ახალი მიდგომების დასანერგად.

ეს სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა შესახებ მეგზურობას გაგიწევთ ამ მიზნისაკენ მიმავალ გზაზე.

# რატომ არის დისკრიმინაციასთან ბრძოლა ადამიანის უფლებათა სფეროს უმთავრესი საკითხი ადგილობრივ დონეზე?

უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ნიშნავს თითოეული ადამიანის უფლებების დაცვას, თქვენს ყოველდღიურ საქმიანობაში „ადამიანის უფლებათა ხედვის" ინტეგრირებას. თითოეული ადამიანისთვის ერთი და იგივე უფლებების უზრუნველყოფა ნიშნავს იმას, რომ მიუხედავად რასის, ეთნოსის, სქესის, რელიგიის, პოლტიკური მრწამსისა თუ სექსუალური ორიენტაციისა, თქვენს ქალაქსა თუ რეგიონში ნებისმიერი ადამიანი სარგებლობს ერთნაირი უფლებებით, იღებს ერთსა და იმავე მომსახურებას და არ განიცდის პირდაპირ თუ არაპირდაპირ დისკრიმინაციას. დისკრიმინაციის ფაქტები ხდება როგორც ინდივიდუალურად, ასევე ინსტიტუციურ დონეზე, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, მაგრამ ეს ყოველთვის არ არის მიზანმიმართული ან

არასათანადო ქმედების შედეგი. თითოეულ თემში ნებისმიერი ადამიანი რომელიმე ჯგუფის წევრია: ეს შეიძლება იყოს რელიგიური, ეთნიკური ან ენობრივი ჯგუფი. ჩვენ შეიძლება ახალი წვერები ვიყოთ თემში, მივეკუთვნებოდეთ ეროვნულ უმცირესობას, გვქონდეს შეზღუდული შესაძლებლობები ან უბრალოდ ხანდაზმული ასაკის გამო გვჭირდებოდეს განსაკუთრებული დახმარება. მოკლედ, ამა თუ იმ ჯგუფის წევრობა, შეიძლება, მოწყვლადობას ნიშნავდეს, რაც ხშირად ართულებს საკუთარი უფლებებით სარგებლობას.

ეს მრავალფეროვნება ნებისმიერი საზოგადოების მახასიათებელია. განსხვავებათა გაცნობიერება და უთანასწორო მოპყრობის პრევენციის მექანიზნების შემუშავება არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა პოლიტიკის ცენტრალური საკითხია, არამედ ბევრ თანამედროვე გამოწვევაზე პასუხის გასაღებიცაა. ადგილობრივ მასშტაბში ბევრია ისეთი გამოწვევა, რომელსაც მძიმე შედეგები მოსდევს. ასეთებია რადიკალიზაცია, რასიზმი, სიძულვილის საფუძველზე ჩადენილი დანაშაული, ლტოლვილთა მიღებასა და ინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები, რასაც ძალიან ხშირად თან ახლავს დისკრიმინაცია და საზოგადოებრივი გარიყვა. არა-დისკრიმინაციულობა თავისთავად ადამიანის უფლებაა, მაგრამ ეს ცნება ამავე დროს ძალიან ბევრ მომიჯნავე საკითხსა და უფლებას ეხება, რომლებიც განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება ადგილობრივ დონეზე ყოველდღიურ საქმიანობაში. ამიტომ, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისფალთა კონგრესმა გადაწყვიტა, რომ ადამიანის უფლებების პირველი სახელმძღვანელო სწორედ ადგილობრივ მასშტაბში არა-დ ი ს კ რ ი მ ი ნ ა ც ი უ ლ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს მიეძღვნა. კონგრესი პან-ევროპული კრებაა, რომელიც ევროპის სხვადასხვა ქვეყნის 150 ათასზე მეტ ადგილობრივ და რეგიონულ წარმომადგენელს აერთიანებს და ადამიანის უფლებების დაცვა მის მრავალფეროვან საქმიანობათა ნაწილია ისევე, როგორც ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის მონიტორინგი, თანამშრომლობა, არჩევნებზე დაკვირვება და სხვა. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან ყოველდღიური ურთიერთობის შედეგად კონგრესი მუდმივად აწყდება ადამიანის უფლებათა კუთხით არსებულ პრობლემებს, რომლებშიც განსაკუთრებულად იკვეთება ზოგიერთი ჯგუფის უფლებების საკითხები.

სიღრმისეულ კონსულტაციებზე დაყრდნობით კონგრესმა გადაწყვიტა, სახელმძღვანელოს პირველი გამოცემა მიეძღვნა ლტოლვილების, თავშესაფრის მაძიებლების, მიგრანტების, იძულებით გადაადგილებული პირების, ბოშების, მომთაბარეებისა და ლგბტი თემის წარმომადგენლების უფლებებისადმი.

როგორ უნდა მოაგვაროთ ლტოლვილთა განსახლების პრობლემა თქვენს თემში? როგორ უნდა გაზარდოთ სკოლაში მოსიარულე ბოშა ბავშვების რიცხვი? რა უფლებები აქვთ გეი, ლესბოსელ ან ტრანსგენდერ ადამიანებს და

როგორ შეიძლება ამ უფლებების ინტეგრაცია თქვენი ქალაქის/დაბის/რეგიონის აქტივობებში? როგორ უნდა დაუჭირონ მხარი თემის ერთიანობასა და მოქალაქეთა წარმატებულ თანაცხოვრებას ხელისუფლების ადგილობრივმა და რეგიონულმა სტრუქტურებმა?

- **ადამიანების უფლებების განსაზღვრება** და რას ნიშნავს ეს პრაქტიკულად;
- **ძირითადი გამოწვევების იდენტიფიცირება** თემის ცხოვრებაში თითოეული ადამიანის თანაბარი ჩართულობის თვალსაზრისით;
- წარმატებული გამოცდილების **კონკრეტული მაგალითები**.



# ლტოლვილები

# თავშესაფრის მაძიებლები

# მიგრანტები

# იძულებით გადაადგილებული პირები

# ნაწილი I განსაზღვრებები



ავშესაფრის მოთხოვნის უფლება, რაც დევნისაგან თავის დაღწევის უფლებას ნიშნავს, არის კონცეფცია, რომელიც უძველესი დროიდან არსებობს და დღეს ის ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილი ძირითადი კონვენციების უმრავლესობაშია გათვალისწინებული. ლტოლვილები, თავშესაფრის მაძიებლები, მიგრანტები და იძულებით გადაადგილებული პირები ის ოთხი კატეგორიაა, რომლებიც ყველაზე ხშირად მოიხსენიება ამ კონტექსტში. ოთხივე კატეგორიას აერთიანებს ის, რომ მათ დატოვეს თავიანთი ჩვეული საცხოვრებელი ადგილი, თუმცა, ამ ოთხი სამართლებრივი კატეგორიიდან თითოეული გულისხმობს განსხვავებულ სტატუსსა და შესაბამის უფლებებს, რისი ცოდნაც ძალიან მნიშვნელოვანია შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებამდე.

## ლტოლვილები

ლტოლვილი არის პირი, რომელიც საფუძვლიანი შიშის გამო, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური მრწამსის გამო, იმყოფება თავისი მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ და არ შეუძლია ან ამგვარი შიშის გამო არ სურს, ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანი ლტოლვილად ითვლება იმ მომენტიდან, როცა მას მესამე სახელმწიფო (ან, განსაკუთრებულ შემთხვევებში, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარატი) უღიარებს დევნისაგან დაცვის უფლებას.

## თავშესაფრის მაძიებლები

თავშესაფრის მაძიებლები არიან პირები, რომლებმაც კონკრეტულ ქვეყანაში გააკეთეს თავშესაფრის განაცხადი, როგორც ლტოლვილებმა, მაგრამ ჯერ თავიანთ სტატუსის განსაზღვრის მოლოდინში იმყოფებიან. სახელმწიფოებს სხვადასხვა სისტემები და პროცედურები აქვთ დანერგილი იმის განსაზღვრისთვის, არის თუ არა ადამიანი ლტოლვილი. ადამიანმა, რომელიც ვერ მიიღებს ლტოლვილის სტატუსს, გარკვეულ სიტუაციებში მაინც შეიძლება, მიიღოს ქვეყანაში

ცხოვრების უფლება, თუ მას რეალური საფრთხე ემუქრება თავის ქვეყანაში დაბრუნებით. დაცვის ამ ფორმას სუბსიდიური დაცვა ეწოდება. .

# მიგრანტები

მიგრანტი არის ნებისმიერი ადამიანი, რომელიც გადაკვეთს ქვეყნის საერთაშორისო საზღვარს ან გადაადგილდება სახელმწიფოს საზღვრების შიგნით თავის ჩვეული საცხოვრებელი ადგილიდან, მიუხედავად ამ ადამიანის იურიდიული სტატუსისა, მიუხედავად ამ გადაადგილების იძულებითი თუ ნებაყოფლობითი ხასიათისა, მისი გამომწვევი მიზეზისა ან გადაადგილების პერიოდის ხანგრძლივობისა. **კანონიერია** მიგრანტი, რომელმაც მიიღო

დანიშნულების ქვეყანაში შესვლის ნებართვა. მიგრანტები, რომლებიც ამ კატეგორიაში არ შედიან, **უკანონო მიგრანტები** არიან. **განურჩევლად იმისა, მიგრანტი კანონიერია თუ არაკანონიერი, მას იგივე საბაზისო უფლებები აქვს, რაც ნებისმიერ ადამიანს თქვენს ტერიტორიაზე**.

## ყალბი ცნობები

მიგრანტები სამუშაოსართმევენ ადგილობრივ მოსახლეობას და საფრთხეს უქმნიან სახელმწიფოს კეთილდღეობას.

## ფაქტი

კვლევა აჩვენებს, რომ მიგრანტთა უმრავლესობა იმ საქმიანობით არის დაკავებული, რომლის შესრულებაც ადგილობრივ მოსახლეობას არ სურს ან არ შეუძლია. გარდა ამისა, ფაქტია, რომ მიგრაციას ბევრი სიკეთეც მოაქვს, ხელს უწყობს ზრდას, ინოვაციას და მეწარმეობას მიგრანტების მშობლიურ ქვეყანაშიც და მასპინძელ ქვეყნებშიც, თუ ეს პროცესი გონივრულად იქნება წარმართული. მიგრანტებსა და ლტოლვილებს წვლილი შეაქვთ ეკონომიკაში როგორც დასაქმებულებს და დამსაქმებლებს, ქმნიან ახალ ფირმებსა და საწარმოებს. მიგრანტებისა და ლტოლვილების ინტეგრაცია საზოგადოებაში და შრომის ბაზარზე თავიდან, შესაძლოა, გარკვეულ ხარჯებს უკავშირდებოდეს, მაგრამ ეს ინვესტიციაა და დიდ მოგებასაც იძლევა. მიგრანტებს წვლილი შეაქვთ თავიანთი მშობლიური ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაშიც ოჯახებისთვის ფულადი გზავნილების სახით, რომლებიც ხელს უწყობს

ეკონომიკის ზრდას, თემის განვითარებას, განათლებას და ჯანდაცვაზე წვდომას. მიგრანტები ხიდის ფუნქციას ასრულებენ ორ ქვეყანას შორის, მონაწილეობენ ცოდნისა და უნარების გადაცემაში, რითაც თავიანთ მშობლიურ თემებსაც ეხმარებიან.



### ყალბი ცნობები

უკანონო მიგრაცია სისხლის სამართლის დანაშაულია.

### ფაქტი

საერთაშორისო სამართალი მკაფიოდ განსაზღვრავს პრინციპს, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომელთა მიერ ჩადენილი ერთადერთი დანაშაული მიგრაციის კანონების დარღვევაა, სახელმწიფომ არ უნდა ჩათვალოს სისხლის სამართლის დამაშავეებად ან პოტენციურ დამნაშავეებად.

უცხო ქვეყნის მოქალაქის უკანონოდ შესვლა და ცხოვრება ქვეყნის ტერიტორიაზე შესაძლოა განხილული იყოს, როგორც ადმინისტრაციული, მაგრამ არა როგორც სისხლის სამართლის დანაშაული. უკანონო მიგრანტი არ არის დამნაშავე და საერთაშორისო სამართლის ნორმების თანახმად ის გარკვეული უფლებებით სარგებლობს, რომელთა დაცვაც სავალდებულოა. ეს უფლებებია: საბაზისო ჯანდაცვა, განათლება, დროებითი დაკავებისაგან დაცვა. მათ ასევე აქვთ უფლება, არ დააბრუნონ ქვეყნებში, სადაც მათ არასათანადო მოპყრობის ან წამების საფრთხე შეიძლება ემუქრებოდეს.

## იძულებით გადაადგილებული პირები

ქვეყნის შიდა გადაადგილების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, იძულებით გადაადგილებული პირი არის ადამიანი, რომელიც იძულებული გახდა, გაქცეულიყო საკუთარი საცხოვრებელი ადგილიდან ან დაეტოვებინა ის, განსაკუთრებით შეიარაღებული კონფლიქტის ძალადობისთვის, ადამიანის მიერ გამოწვეული თუ ბუნებრივი კატასტროფებისთვის თავის ასარიდებლად, მაგრამ არ გადაუკვეთია სახელმწიფოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვარი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ახალი განსაზღვრება არ

ცვლის იძულებით გადაადგილებული პირის იურიდიულ სტატუსს, მასში ჩანს ორი საკვანძო ელემენტი:

გადაადგილების არანებაყოფლობითი ხასიათი და ის, რომ გადაადგილება მოხდა ქვეყნის ფარგლებში. ეს უკანასკნელი ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირების იურიდიულ სტატუსსა და უფლებებს შორის არსებით განსხვავებას ქმნის.

იძულებით გადაადგილებული პირების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ, უყუროთ UNHCR-ის შექმნილ მოკლე ვიდეოს ბმულზე:

https://bit.ly/2wXNB6nb



## ყალბი ცნობები

იძულებით გადაადგილებული პირები არიან პარაზიტები, რომლებიც ბოროტად სარგებლობენ ჰუმანიტარული დახმარებით.

## ფაქტი

შიდა გადაადგილებათა მონიტორინგის ცენტრის თანახმად, ამჟამად დაახლოებით 40 მილიონი ადამიანია იძულებით გადაადგილებული, მათგან 5 მილიონი ევროპაში: ეს რიცხვი ორჯერ აღემატება 20 წლის წინანადელ ამავე მონაცემს და ორჯერ მეტია, ვიდრე მსოფლიოში ლტოლვილთა რაოდენობა.

ეს ადამიანები საკუთარ სახლს ბევრი მიზეზით ტოვებენ, ძირითადად შეიარაღებული კონფლიქტების, დევნის ან საყოველთაოდ გავრცელებული ძალადობის გამო, მაგრამ ეს არასოდეს არის მათი თავისუფალი არჩევანი.

რა უშლის მათ ხელს, საზღვარგარეთ ეძებონ უსაფრთხოება? ზოგიერთ მათგანს სურს, ახლოს დარჩეს მშობლიურ სახლთან ვითარების შეცვლის იმედით. ზოგიერთებს უბრალოდ არ აქვთ საკმარისი ფული ან ფიზიკური შესაძლებლობა, რომ სახიფათო მგზავრობა გარისკონ. თუმცა, იმ მომენტში, როდესაც საომარ მოქმედებებს გაურბიან, იძულებით გადაადგილებულ პირებს იგივე საფრთხეები ემუქრება, რაც ლტოლვილებს: ბევრი მათგანი კარგავს ქონებას, ოჯახის წევრებს, მეგობრებს, სამსახურს, შემოსავლის წყაროს. ზოგადი კვლევა აჩვენებს, რომ იძულებით გადაადგილებული პირები თავიანთ ქვეყნებში მოსახლეობის ყველაზე ღარიბ ნაწილს შეადგენენ, არა მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი ცხადი მიზეზების გამო, არამედ იმიტომაც, რომ

ისინი ხშირად გარიყულები არიან, მათი ფუნდამენტური უფლებების დაცვასა და საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ხშირად მათივე ქვეყნის ხელისუფლებაც უარს ამბობს. ამრიგად, ბანაკები, განსახლების პუნქტები და ჰუმანიტარული დახმარება ამ ადამიანებისთვის ფასდაუდებელი რესურსი და არსებობის ერთადერთი საშუალებაა. საომარი მოქმედებების ზონაში მომწყვდეულ იძულებით გადაადგილებულ პირებს ხშირად ჰუმანიტარული ორგანიზაციები დახმარებასაც ვერ აწვდიან და ისინი ვერანაირი შემწეობით ვერ სარგებლობენ. მიუხედავად იმისა, რომ ჰუმანიტარული დახმარება მდგრადი გამოსავალი არ არის, ის გაჭირვებაში მყოფი ადამიანების მდგომარეობის შემსუბუქების საშუალებაა. გრძელვადიანი გამოსავალი იძულებით გადაადგილებულ პირთათვის მდგრადი ადგილობრივი ინტეგრაციის გზით უნდა მოიძებნოს, ვინაიდან ეს მიდგომა იძულებით გადაადგილებული პირების მდგომარეობის რეალურ გაუმჯობესებას ემსახურება. ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური უფლებების მინიჭებით ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შეუძლიათ ძალადობითა და იძულებითი სიღარიბით გარიყული ადამიანების გაძლიერება. და ბოლოს, მნიშვნელოვანია, რომ იძულებით გადაადგილებულ პირებს ისევე შეეძლოთ ინკლუზიური ზომებით სარგებლობა, როგორც ადგილობრივ მცხოვრებლებს.

# ოთხი კატეგორია არ ნიშნავს ოთხ სხვადასხვა, ერთმანეთისაგან გამიჯნულ მიმართულებას

არსებობს სხვადასხვა იურიდიული კატეგორიები, მაგრამ ევროპაში ჩამოსული ადამიანებისთვის საკუთარი ქვეყნის დატოვების მიზეზები შერეულია და ერთი და იგივეც შეიძლება იყოს. დევნა, ძალადობა, ეკონომიკური და სოციალური სიღატაკე, ყველაფერი ერთად განაპირობებს იმას, რომ ადამიანები ტოვებენ მშობლიურ ქვეყნებს. ამ ფენომენს ჩვენ შერეულ მიგრაციას ვუწოდებთ. მიგრაცია ადამიანის დამახასიათებელი მარადიული ფენომენი და ევროპის ისტორიის განუყოფელი ნაწილია. დღეს ჩვენ შეიძლება მიმღები ქვეყანა ვიყოთ, ხვალ კი სამშობლოს დატოვება მოგვიხდეს. არავინ გარბის საკუთარი სახლიდან თავისი ნებით.

## არ დაგავიწყდეთ!



**ყველა ლტოლვილი მიგრანტია, მაგრამ ყველა მიგრანტი არ არის ლტოლვილი! სხვადასხვა კატეგორიების გააზრება და თქვენს საჯარო დისკურსში ამ ტერმინების სათანადოდ გამოყენება უმნიშვნელოვანესი სტარტია სათანადო პოლიტიკის შემუშავებისთვის.**

# ნაწილი II რა უფლებები აქვთ მათ?

მნიშვნელობა არა აქვს, ადმიანი ლტოლვილის კატეგორიაშია, თავშესაფრის მაძიებლის, მიგრანტის თუ იძულებით გადაადგილებული პირის, ეს ყველა მოწყვლადი ჯგუფია, რადგან ოთხივეს წევრებს შეზღუდული აქვთ ფუნდამენტურ უფლებებზე წვდომა. რატომ? - უცხო ენა, კულტურა და ტრადიციები, საკუთარი უფლებების არცოდნა ან უსაბუთოდ ყოფნა ამ ადამიანებს ექპლოატაციისა და ჩაგვრის წინაშე დაუცველებს ხდის.

## მიგრანტები

საწყის ეტაპზევე ყველა უცხოელი, ლეგალური სტატუსის მიუხედავად, იღებს ერთსა და იმავე საბაზისო უფლებებს, როგორც ქვეყნის სხვა ნებისმიერი მოქალაქე. მნიშვნელობა ადამიანის სტატუსს კი არ აქვს, არამედ იმას, რომ ის თქვენი ქვეყნის ტერიტორიაზე **იმყოფება,** მაშასადამე ის თქვენი იურისდიქციის ქვეშაა, რომლისთვისაც სავალდებულოა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების დაცვა. მაშასადამე, სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ეს ადამიანები. ადამიანის ყველაზე ფუნდამეტურ უფლებებთან ერთად, როგორიცაა **სიცოცხლის უფლება, წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის, მონობისა და იძულებითი შრომისაგან დაცვა, გამოხატვისა და შეკრების თავისუფლება, თავშესაფრის მოთხოვნის უფლება ან პირადი და ოჯახური ცხოვრების კონფიდენციალობა,** მიგრანტებს ხელი უნდა

საზოგადოების ახალი წევრების უფლებების ფარგლები ევროსაბჭოს სხვადასხვა წევრ ქვეყანაში გარკვეული დეტალებით განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ თითოეული ჩვენგანისთვის სავალდებულოა ყველაზე მნიშვნელოვანი მინიმალური სტანდარტების იდენტიფიცირება როგორც კანონიერ, ასევე უკანონო მიგრანტებთან, თავშესაფრის მაძიებლებთან და იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებით.

მიუწვდებოდეთ სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებზე, რომლებიც ადამიანის სიცოცხლესა და ღირსებას უკავშირდება, როგორებიცაა **სათანადო განსახლება და თავშესაფარი, ჯანმრთელობის**

**უფლება, სოციალური და სამედიცინო დახმარება, სოციალური დაცვა;** ასევე მნიშვნელოვანია სიღარიბის დაძლევა და ღირსების შენარჩუნება, მიგრანტი ბავშვებისთვის **დაწყებითი და საშუალო განათლების მიღების უფლება, შრომითი უფლებები,** როგორებიცაა კეთილსინდისიერი ანაზღაურება და სამუშაო პირობები. ცხადია, უაღრესად მნიშვნელოვანია დისკრიმინაციისაგან დაცვა. მიგრანტის სტატუსი არ ამართლებს არანაირ დისკრიმინაციას რასის, კანის ფერის, ეროვნებისა თუ სოციალური წარმომავლობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, აღმსარებლობის პოლიტიკური მრწამსის თუ სხვა ნებისმიერ საფუძველზე.



## ლტოლვილები და თავშესაფრის მაძიებლები

გარდა ამ უფლებებისა, ლტოლვილებსა და თავშესაფრის მაძიებლებს აქვთ დამატებითი უფლებები. ლტოლვილებს აქვთ უსაფრთხო თავშესაფრის მიღების უფლება, რაც ნიშნავს, რომ დაუშვებელია მათი იძულებით დაბრუნება ისეთ ქვეყანაში, სადაც მათ საფრთხე ემუქრებათ (refoulement-ის აკრძალვა). ზოგადად, ამ ადამიანებისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს **იგივე უფლებები და საბაზისო დახმარება, რასაც იღებს ქვეყნის ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრები ნებისმიერი სხვა უცხოელი, ხელფასიანი სამსახურის შოვნის, კერძო საკუთრების ფლობისა და გადაადგილების თავისუფლების** ჩათვლით.

## იძულებით გადაადგილებული პირები

ლტოლვილებს ოფიციალურად იცავს საერთაშორისო სამართალი, როცა ისინი თავშესაფარს ეძებენ სხვა სახელმწიფოში, იძულებით გადაადგილებულ პირებს კი ასეთი დაცვა არ გააჩნიათ და მათი იურიდიული სტატუსი მკაფიოდ არ არის განსაზღვრული. მათ მხოლოდ საკუთარი ქვეყნის მთავრობის იმედი აქვთ, თუმცა, ხშირად მთავრობებს არ შუძლიათ ან არ სურთ ამ ადამიანების დაცვა. ამის გამო იძულებით გადაადგილებული პირები განსაკუთრებულად მოწყვლადები არიან. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)6 წევრი ქვეყნებისთვის იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ იძლევა სახელმძღვანელო მითითებებს ევროსაბჭოს ქვეყნებში შიდა გადაადგილებების შესახებ. ამ რეკომენდაციის გარდა არსებობს სხვა, იურიდიულად სავალდებულო ინსტრუმენტები ამ პირების სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებით, როგორიცაა ადამიანის

უფლებათა ევროპული კონვენცია. ეს ინსრუმენტები განსაზღვრავენ იძულებით გადაადგილებილ პირთა უფლებებს და მთავარობებისა და ხელისუფლების სხვა ორგანოების ვალდებულებებს ამ ადამიანთა მიმართ. ამ ინსტრუმენტების თანახმად

იძულებით გადაადგილებული პირები სრულად უნდა სარგებლობდნენ თავიანთი უფლებებით, როგორც ქვეყნის მოქალაქეები და პირველ რიგში, როგორც ადამიანები. მათ უფლება აქვთ, უსაფრთხოდ იცხოვრონ ქვეყნის სხვა მხარეში ან დატოვონ ქვეყანა, სხვა ქვეყანაში ეძიონ თავშესაფარი, ისარგებლონ ადამიანის უფლებებით კანონის წინაშე. მათ აქვთ ჯანდაცვის, განათლების მიღების, უსაფრთხოდ და თავისუფლად გადაადგილების უფლება, ასევე იმის უფლება, რომ იძულებით არავინ დააბრუნოს ან დაასახლოს ისეთ ადგილას, სადაც მათ უსაფრთხოებას, ჯანმრთელობას, თავისუფლებას, სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება. მოკლედ რომ ითქვას, ხელისუფლებას ევალება, ჰუმანიტარული დახმარება გაუწიოს იძულებით გადაადგილებულ პირებს თავისი იურისდიქციის ფარგლებში, იძულებით გადაადგილებულ პირებს კი უფლება აქვთ, მოითხოვენ ეს დაცვა და მხარდაჭერა თავიანთი ქვეყნის მთავრობისაგან...

# ნაწილი III პრაქტიკული გამოწვევები



ახალი მცხოვრებლების ნაკადს თქვენს ქალაქსა თუ რეგიონში ახალი გამოწვევები მოჰყვება, რომლებიც ახლებურ რეაგირებას ითხოვს როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე მიღებული ადამიანების ინტერესების დასაცავად. ახალი გამოწვევების სიმძაფრე და შესაბამისი მოქმედების საჭიროება დამოკიდებულია თქვენს ადგილობრივ კონტექსტზე, არსებულ ინფრასტრუქტურაზე და სხვა მრავალ ფაქტორზე. ერთი რამ ცხადია: წარმატებული ინტეგრაციის მხარდაჭერა, რომელსაც გრძელვადიანი სიკეთეების მოტანა შეუძლია თქვენი მხარისათვის, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ახალმოსულთა უფლებები გათვალისწინებული იქნება მათთვის შემუშავებულ პოლიტიკაში. კონგრესმა, როგორც პან-ევროპულმა კრებამ, რომელიც ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების 150000-ზე მეტ ორგანოს წარმოადგენს, გამოავლინა ლტოლვილების მიღებასთან დაკავშირებული გამოწვევები, რომელთა გადაჭრაც უხებოდათ ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებს.

პირველი ცხადი საკითხია ეფექტიანი ინტეგრაცია ადგილობრივი თემის ცხოვრებაში. სოციალური შეკრულობის მიღწევა ადვილი არ არის, რადგან ახლად ჩამოსული ადამიანები ხშირად არ ლაპარაკობენ ადგილობრივ ენაზე, არ იცნობენ ადგილობრივ წეს-შვეულებებს, არ აქვთ პოლიტიკური ჩართულობის შესაძლებლობა და არ ესმით ადგილობრივი პროცედურები. თემში ახალი ადამიანების შემოსვლა შეიძლება რთული იყოს ადგილობრივი მოსახლეობისთვისთვისაც, ხდება გაუგებრობები, ყალიბდება სტერეოტიპები. სათანადო განსახლება და შემოსავლიანი დასაქმებაც მნიშვნელოვანი გამოწვევებია, რომლებსაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ საწყის ფაზაშივე უნდა უპასუხოს. დაუცველ ადამიანებზე ზრუნვა, მათ შორის ქალებზე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებზე, მარტო მყოფ ბავშვებზე განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, ისევე, როგორც განათლების საკითხების მოგვარება. ამასთან, ლტოლვილები, თავშესაფრის მაძიებლები და მიგრანტები განსაკუთრებულად მოწყვლადები არიან დისკრიმინაციის, სიძულვილის გამოხატულებებისა და ძალადობის მიმართ. ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება

ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ის პოლიტიკურ ნაბიჯებს მოითხოვს, კულტურათა შორის დაახლოების მცდელობას, საზოგადოებრივი შეკრულობის მხარდაჭერას.

**ახალი მცხოვრებლების უფლებების დაცვა თვითმიზანი არ არის! ის არსებითია ინტეგრაციისა და სოციალური ერთიანობის მისაღწევად და ამრიგად, მთელი თემის კეთილდღეობისთვის.**




არ არსებობს ერთი იდეალური გამოსავალი, არსებობს ბევრი დადებითი, შთამაგონებელი მიდგომა და გამოცდილება, რომლებიც დაგეხმარებათ, შეიმუშაოთ თქვენი პასუხი ახალი მცხოვრებლების მიღებისა და ინტეგრაციის პროცესში თქვენი ქალაქის ან რეგიონის წინაშე წამოჭრილ გამოწვევებზე. ქვემოთ მოცემული მაგალითების კრებული ემსახურება იმას, რომ შთაგაგონოთ სამოქმედოდ, საშუალება მოგცეთ, გაიზიაროთ სხვების წარმატებული მიდგომა და სტრატეგიები თქვენი კონტექსტისთვის შესაბამისი ფორმით.

ნაწილი IV **გამოსავალი**

## თემში ინტეგრაციის ხელშეწყობა

ინტეგრაცია მრავალშრიანი პროცესია. ენის, კულტურის ან ადგილობრივი ადმინისტრაციის გაგება, ახალ და ადგილობრივ მოსახლეობას შორის პირდაპირი ურთიერთობის ხელშეწყობა, ახალმიღებული ადამიანებისთვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის საშუალებების შექმნა ან უბრალოდ ახალ გარემოსთან ადაპტირებაში დახმარება წარმატებული თანაარსებობის უმნიშვნელოვანესი წინაპირობებია. სახელმძღვანელოს ამ ნაწილში მოცემულია რამდენიმე შთამაგონებელი ინიციატივა, რომლებმაც ხელი შეუწყო (ან დღემდე უწყობს ხელს) ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე ახალი მცხოვრებლების ინტეგრაციას, რაც ხშირად სხვადასხვა სექტორსა და თემატურ სფეროს მოიცავს.

### *მიგრანტთა ინტეგრაციის საბჭოები, ქიოსი, საბერძნეთი*

*მოსახლეობა : 51 930*[IV]

**მიგრანტთა დიდი ნაკადისა და თემის ცხოვრებაში მიგრანტების ნულოვანი ინტეგრაციის გამო ქიოსის (საბერძნეთი) მუნიციპალიტეტმა ჩამოაყალიბა მიგრანტთა ინტეგრაციის საბჭოები, რამაც ხელი შეუწყო ამ რეგიონის ცხოვრებაში მიგრანტების ჩართვას და ადგილობრივ მოსახლეობაში მიგრანტებისადმი დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.**

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ქიოსში ლტოლვილთა დიდი ნაკადი შევიდა, რაც ეკონომიკურ კრიზისს დაემთხვა. მოსახლეობამ გააცნობიერა, რომ მიგრანტები კუნძულზე იმაზე დიდხანს დარჩებოდნენ, ვიდრე თავიდან იყო მოსალოდნელი. ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის ქიოსის მუნიციპალიტეტმა მიზნად დაისახა, პოზიტიური ზეგავლენა მოეხდინა კუნძულზე ჩამოსული მიგრანტების მიმართ საზოგადოებრივ აზრზე. 2010 წელს ადგილობრივი ხელისუფლების რეფორმის (პროგრამა „კალიკრატის“) ფარგლებში შეიქმნა მიგრანტთა ინტეგრაციის საბჭოები (MICs) საბერძნეთის 325 მუნიციპალიტეტში. საბჭოებს აქვთ ადგილობრივ თემებში მიგრანტთა ინტეგრაციის საკითხებზე საკონსულტაციო როლი.

საბჭოები დაკომპლექტდა არჩეული მუნიციპალური მრჩევლებით, თითოეულ მუნიციპალიტეტში მიგრანტების ჯგუფებისა და თემატურად რელევანტური არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით. მალევე გამოჩნდა, რომ ამ ინიციატივამ ხელი შეუწყო მიგრანტთა მიმართ დამოკიდებულების გაუმჯობესებას ადგილობრივ მოსახლეობაში, გააღრმავა მიგრანტების პოლიტიკური

**Emmanouil Vournous**, Mayor of Chios
**George Karamanis**, Vice-Mayor of Chios
Telephone. : (+30) 6940459969
(+30) 2271350800
E-mail : karamanisgeorge@yahoo.co.uk
Website : www.chioscity.gr/

## *სტრუქტურა SPRAR სატრიანოში, კალაბრიის რეგიონი, იტალია*

*რაიონი : 3 341; დაბა : დაახლოებით 1 000*

**არაფორმალური განსახლებების პრობლემის მოსაგვარებლად პატარა ქალაქმა სატრიანომ განაახლა ისტორიული შენობა, რომელიც მასპინძლობს ადგილობრივ კოოპერატივს, რომელიც თითქმის მხოლოდ ყოფილი მიგრანტებით არის დაკომპლექტებული. ეს მცდელობა ლტოლვილების ინტეგრაციის მხარდაჭერას, ბოლო ათწლეულების მანძილზე ქალაქის მოსახლეობის შემცირების შეჩერებას და ქალაქისთვის ახალი სიცოცხლის დაბრუნებას ემსახურება.**

> *„მადლობა ღმერთს, რომ ეს ადამიანები გამოგვიგზავნა“, ამბობს 68 წლის ლუიჯი მაროტი, ადგილობრივი ეკლესიის მნათე. „სატრიანო მკვდარი იყო, მათი წყალობით ისევ გაცოცხლდა. ქალაქმა ზრდა დაიწყო.“*

სატრიანო, ქალაქი, რომლის მოსახლეობაც 1960-იანი წლებიდან 75% -ით შემცირდა, დღეს 35 ევროს იღებს შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან თითოეულ მიღებულ დევნილზე. ადგილობრივი კოოპერატივი, Mediazione Globale, თითქმის მხოლოდ ყოფილი მიგრანტებითაა დაკომპლექტებული, რომლებმაც იტალიის მოქალაქეობა მიიღეს და ის მუნიციპალიტეტის სახელით ახორციელებს

*"ჩვენი მიზანია, ინტეგრაციის ეს პროცესი კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ (...) გვინდა, თავშესაფრის მაძიებლები მართლა გრძნობდნენ თავს სატრიანოს მოქალაქეებად და ადგილობრივი თემის განუყოფელ ნაწილად."*

**მიკელე დროზი**, სატრიანოს მერი

ახალი მიგრანტების მიღების პროექტს. კოოპერატივი ეხმარება ლტოლვილებს საკვების ყიდვაში, ბინის მოძებნაში, იტალიურის სწავლაში და ყოველდღიური პრობლემების მოგვარებაში, რომლებსაც ეს ადამიანები ახალ გარემოში აწყდებიან.

„მადლობა ღმერთს, რომ ეს ადამიანები გამოგვიგზავნა", ამბობს 68 წლის ლუიჯი მაროტი, ადგილობრივი ეკლესიის მნათე. „სატრიანო მკვდარი იყო, მათი წყალობით ისევ გაცოცხლდა. ქალაქმა ზრდა დაიწყო."

ამ ინიციატივის წყალობით ზოგიერთმა ლტოლვილმა მუნიციპალიტეტში დაიწყო მუშაობა, ზოგმა კი სამუშაო გრანტები მიიღო მუნიციპალიტეტიდან. ეს ყველაფერი მხარს უჭერს როგორც თემში ლტოლვილების ინტეგრაციას, ისე ადგილობრივი კერძო წარმოების განვითარებას. ლტოლვილთა უმეტესობა ცხოვრობს ისტორიულ შენობაში, Palazzo Condò, რომელიც ევროკავშირის სახსრებით გარემონტდა. შენობის სარდაფი მასპინძლობს დღის ცენტრს ხანდაზმული მოქალაქეებისთვის. ლტოლვილებისა და მოხუცების ერთ შენობაში განთავსება მიზანმიმართული გადაწყვეტილება იყო ინტეგრაციის ხელშესაწყობად. სატრიანოს მერი იმედოვნებს, გააფართოვოს ეს პროგრამა და თავშესაფრებად მოაწყოს კიდევ რამდენიმე ცარიელი შენობა, რათა დაბამ მეტი ადამიანის მიღება შეძლოს. ამ შენობების გამოყენება დროებით, გარდამავალი ეტაპისთვის შეიძლება, თუმცა სამომავლოდ შესაძლებელია მათი გაქირავებაც იმ ადამიანებზე, რომლებიც აქ დარჩენას გადაწყვეტენ. სატრიანოს ძალისხმევა მცირე მასშტაბისაა, მაგრამ ასეთი ინკლუზიური მიდგომა ევროპის სხვა ქალაქებისთვის წარმატებული ნიმუშია[IV].

**Michele Drosi**, Mayor of Satriano
Telephone: (+39) 0967543810
Fax: (+39) 0967543300
Via Marconi, 5 – 88060
Satriano - ITALY

*ქსელი*

## *დაცვის სისტემა ლტოლვილებისა და თავშესაფრის მაძიებლებისთვის*



სატრიანო, იტალიის ბევრ სხვა ქალაქთან და სოფელთან ერთად, SPRAR[V]-ის წევრია. ეს არის მეორადი მიმღები ინფრასტურქტურის ქსელი, სადაც იგზავნებიან თავშესაფრის მაძიებლები იტალიაში თავშესაფრის მოთხოვნის განაცხადის გაკეთების შემდეგ. SPRAR შეიქმნა იტალიის 189/2002 ეროვნული კანონის საფუძველზე და მას ახორციელებენ ადგილობრივი სტრუქტურები, რომლებიც იყენებენ ინდივიდუალურად შემუშავებულ, „ინტეგრირებული მიღების" კონცეფციას. ამ მიდგომის მიზანია SPRAR-ის მითითებებისა და სტანდარტების ფარგლებში ადგილობრივი თავისებურებებისა და თავშესაფრის მაძიებელი თითოეული ადამიანის/ჯგუფის/ოჯახის საჭიროებათა გათვალისწინება სოციალური ერთიანობის მისაღწევად. ამ ცენტრებს მინიმუმ 15 ადამიანის მიღება შეუძლიათ. დიდ ქალაქებში, მაგალითად მილანში, რომში და ტურინში არსებული ცენტრები რამდენიმე ასეულ ადამიანს მასპინძლობს.

2017 წლის 2 თებერვლისთვის 640 პროექტი (501 რიგითი, 95 თანმხლები პირების გარეშე მყოფი ბავშვებისთვის, 44 გონებრივი ან სხვა სახის შეზღუდული უნარების მქონე პირებისთვის) დაუფინანსდა 546 ადგილობრივ ერთეულს (482 მუნიციპალიტეტს, 21 პროვინციას, 14 მერიასა და 4 სამთო თემს), რომელთა ფარგლებშიც გამოიყო დაახლოებით 25 838 ადგილი (23 239 რიგითი, 2 007 თანმხლები პირების გარეშე მყოფი ბავშვებისთვის, 592 გონებრივი ან სხვა სახის შეზღუდული უნარების მქონე პირებისთვის). ეს ცენტრები ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე კოორდინირებული მიდგომის კარგი მაგალითია. SPRAR-ის დადებით მხარეებს შორის ისიცაა, რომ მათი წყალობით ქალაქები და სოფლები ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას იღებენ ცენტრალური ხელისუფლებისაგან. პირველადი შედეგების სახით შეიძლება ითქვას, რომ SPRAR-ის ინფრასტრუქტურა ეხმარება ადამიანებს საზოგადოებაში ინტეგრაციაში. მუნიციპალიტეტები, რომლებიც გადაწყვეტენ SPRAR-ის პროექტის ფარგლებში თავშესაფრის მაძიებლებისა და ლტოლვილების მიღებას, პასუხისმგებლობას იღებენ ამ გეგმაზე, ცდილობენ, უზრუნველყონ მაღალი ხარისხის მომსახურება და ხელი შეუწყონ გრძელვადიან და მდგრად ინტეგრაციას ადგილობრივ დონეზე.

✉ **Marina Bozzoni**, Contact person for SPRAR facility
Telephone: (+39) 3494462616; (+39) 0967543644
SPRAR Condò Satriano / Cooperativa Mediazione Globale

## *„ღირსეული შრომა“ იძულებით გადაადგილებულ პირთა დასაქმებისთვის, ხარკოვის მხარე, უკრაინა*

*მოსახლეობა : 2 690 755*

**იძულებით გადაადგილებული პირები ჰუმანიტარული ტვირთი კი არა, რეგიონის განვითარების პოტენციალია. საპილოტე**

**პროექტი Worthy Work (ღირსეული შრომა) იძულებით გადაადგილებულ პირთა დასაქმებისთვის წარმატებით ხორციელდება ხარკოვის მხარის ხელისუფლების მხარდაჭერით.**

ოჯახებს, რომლებმაც ყველაფერი დაკარგეს, შეუძლიათ ხელახლა დაიწყონ ცხოვრება და წარმატებასაც მიაღწიონ. პროექტის მხარდამჭერია უკრაინის სოციალური ინვესტიციის ფონდი და ხარკოვის პროფესიული განვითარების ფონდი. მისი მიზანია იძულებით გადაადგილებული პირების პროფესიული ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება სამუშაოს შოვნის მიზნით ან საკუთარი ბიზნესის დასაწყებად.

> *„ჩვენ უნდა დავეხმაროთ იძულებით გადაადგილებულ პირებს მასპინძელ თემში გრძელვადიან ინტეგრაციაში და ახალ საცხოვრებელ პირობებთან შეგუებაში. წარმატებული რეგიონული პოლიტიკა ამ პროცესის საკვანძო ფაქტორია. იძულებით გადაადგილებულ პირთა უკეთესი მომავლის უზრუნველყოფა ხარკოვისთვის გამოწვევაცაა და ღირსების საკითხიც.“*
>
> იულია სვიტლიჩნა

პროექტი ხორციელდება ხარკოვის მხარის ექვს ქალაქში (ზოლოჩივი, დერგაჩი, ლოზოვა, კრასნოგრადი, იზიუმი, ბოგოდუხივი), ადგილობრივი დასაქმების სამსახურის დახმარებით. მასპინძელმა თემებმა შეიმუშავეს სხვადასხვა სასწავლო მოდული იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც დასაქმება სურთ და მათთვისაც, ვისაც საკუთარი ბიზნესის წამოწყება უნდა. მონაწილეებს ატრენინგებენ თვით-წარდგენის უნარებში და აცნობენ სამუშაოს ძიების ეფექტიან მეთოდებს. ტრენინგის დასრულების შემდეგ მინიმუმ 24 მონაწილე იღებს გრანტს დამატებითი სიღრმისეული ტრენინგის ან პროფესიული გადამზადებისთვის. სწავლის სფეროები მოიცავს სილამაზის ინდუსტრიას, ინტერნეტ მარკეტინგსა და სხვა დარგებს.

2016 წელს იძულებით გადაადგილებულმა პირებმა და საომარ დაპირისპირებებში მონაწილის სტატუსის მქონე ადამიანებმა მიიღეს ფინანსური დახმარება მათი სავარაუდო განსახლების ღირებულების 40%-ის მოცულობით, რაც ეროვნული ბიუჯეტიდან დაფინანსდა ხარკოვის რეგიონული პროგრამის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს ხარკოვის ოლქში სახლის ყიდვის ან აშენებისთვის

დახმარებას 2016-2018 წლებში. 97 ოჯახი უკვე საკუთარი ბინის მფლობელია, 2018 წელს კი კიდევ 50 ბინა გადაეცემა ახალ ოჯახებს.

**Yuliya Svitlychna**, Governor, Councillor
Kharkiv Regional Council
Telephone: (+38) 0577003235
Email: svit_yuliya@ukr.net
Postal address: 64 Sums'ka str
61002 – KHARKIV, UKRAINE



## *დახმარების პუნქტები სირიელი ლტოლვილებისთვის შიშლისა და სულთანბეილის რაიონებში, სტამბოლი, თურქეთი* [VI]

*შიშლი: 318 217; სულთანბეილი: 302 388*

**თურქეთში მცხოვრებ სირიელთა 90% ცხოვრობს ურბანულ თუ სოფლის რაიონებში ბანაკების გარეთ.[VII] სტამბოლის ბევრ რაიონში (belediye), რომელთა ხელისუფლება ადგილობრივი არჩევნების გზით აირჩევა, მოწყობილია სირიელთა დახმარების ცენტრები, სადაც მუშაობენ არაბული ენის მცოდნე სოციოლოგები, ფსიქოლოგები და უნარებისა და საჭიროებების მონიტორინგის სპეციალისტები. ამ ცენტრების მიზანია მიგრანტთა ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი თავშესაფრის საკითხებში.**

Les services sociaux de la municipalité de Şişli ont ouvert le Göç Yardim Masası ve Merkezi (შიშლის მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურის დეპარტამენტთან 2015 წლის ოქტომბერში გაიხსნა მიგრანტების დახმარების ცენტრი. მასში მუშაობენ სოციოლოგები, სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები, რომლებიც ეხმარებიან არა მხოლოდ სირიელებს, არამედ ამ რაიონში მცხოვრები ლტოლვილებისა და მიგრანტების სხვა დაუცველ ჯგუფებსაც. შიშლის მუნიციპალიტეტი ასევე თანამშრომლობს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან, როგორებიც არიან ლტოლვილთა უფლებების ცენტრი, ადამიანური რესურსებისა და განვითარების ფონდი (IKGV) და თურქეთის ოჯახის დაგეგმვისა და ჯანმრთელობის ფონდი და ინფორმაციას აწვდის სირიელებს მათი იურიდიული უფლებების შესახებ, უტარებს ვორქშოფებს ქალთა ჯანმრთელობისა და სხვა საკითხებზე. შიშლის მუნიციპალიტეტი თანამშრომლობს ასევე სოციალური ბაზრის ფონდთან - მოხალისეობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასთან, რომელიც გაჭირვებაში მყოფ ადამიანებს ურიგებს შემოწირულ საკვებს, ტანსაცმელსა და საყოფაცხოვრებო ნივთებს. ფონდიდან საჭირო პროდუქტისა თუ ნივთების მისაღებად სირიელებს უნდა ჰქონდეთ სარეგისტრაციო ბარათი, სადაც მითითებულია, რომ ისინი ლეგალურად იმყოფებიან თურქეთში. სულთანბეილის რაიონის[VIII] ლტოლვილთა საკოორდინაციო ცენტრში სრულ განაკვეთზე

დასაქმებული თანამშრომლები მუშაობენ. მათ შორის არიან სირიელებიც, რომლებმაც უკვე მიიღეს მუშაობის უფლება. უსაფრთხოების დირექტორატში რეგისტრაციის შემდეგ მიგრაციის ცენტრის მთავარი დირექტორატი (GDMM) სირიელებს ანიჭებს სარეგისტრაციო ნომერს და საგანგებო პირად ნომერს შესაბამისი მუნიციპალიტეტისთვის. ცენტრი სხვადასხვა სახის მომსახურებას უწევს სირიელებს, ინფორმაციას აწვდის მათ საკუთარ უფლებებზე და იკვლევს მათ საჭიროებებს.

**Sultanbeyli belediye**
Abdurrahmangazi Mahallesi Belediye Caddesi No. 4
Telephone: (+90) 216 564 13 00
Şişli belediye:
Telephone: (+90) 216 444 15 68

## *ლოგისტიკის ცენტრი: დახმარების დაჩქარებული მიწოდება ატიკას რეგიონში, საბერძნეთი*

*მოსახლეობ : 3 828 434*

**რეგიონულ დონეზე კოორდინირებული სამოქალაქო მოქმედების აუცილებლობისა და ლტოლვილთათვის შემოწირული საქონლის შეგროვების, შენახვისა და მიწოდების პროცესის საჭიროებების გათვალისწინებით, ატიკაში მოქმედი ლოგისტიკური ცენტრი ადგენს საჭირო მარაგების ოფიციალურ ჩამონათვალს და აქვეყნებს სახელმძღვანელო მითითებებს მოქალაქეებისა და მუნიციპალიტეტებისთვის შემოწირულობის პროცესის ოპტიმიზაციისთვის და თაღლითობისგან ლტოლვილთა დასაცავად.**

ეს ცენტრი საბერძნეთში პირველია, რომელიც რომელიც უზრუნველყოფს მარაგების სწორად მიღებას და შეგროვებას, რათა დაიცვას ლტოლვილები თაღლითობისაგან და კოორდინირებულად მართოს მოსახლეობის სოლიდარობა. კერძოდ, ცენტრი კოორდინაციას უწევს ლტოლვილთა განსახლების ობიექტებისთვის შემოწირულობათა შენახვასა და მომარაგებას მთელ რეგიონში, აქვეყნებს ყველა საჭირო მარაგის ოფიციალურ ჩამონათვალს და შესაბამის მითითებებს მოქალაქეებისა და მუნიციპალიტეტებისთვის. ცენტრი აქვეყნებს შემოწირულობათა მიღების ოფიციალურ საათებს და ადგენს წესებს, რომ შემოწირულობის პროცესი მაქსიმალურად ეფექტიანი გახადოს. საჭირო მარაგების ჩამონათვალში შედის ტანსაცმელი / ფეხსაცმელი, საკვები, მპირველადი მოხმარების ნივთები (მაგალითად, ერთჯერადი გამოყენების თეფშები, საკვების შესაფუთი მასალები), პირადი ჰიგიენის ნივთები, სამგზავრო საქონელი (საძილე ტომრები, ზურგჩანთები და კარვები) და სანიტარული პროდუქტები. ყველა ადამიანი, ვინც ასეთ საქონელს შეწირავს ცენტრს, იღებს ქვითარს, რომლის წარდგენაც შეუძლია საგადასახადო სამსახურში.

ამგვარი ცენტრალიზებული და რეგიონულ დონეზე კოორდინირებული

ინიციატივები ცალკეულ, ფრაგმენტული ქმედებებზე უკეთ ითვალისწინებს როგორც დონორების, ისე მიმღებთა ინტერესებს. ამ ცენტრის მუშაობის შედეგად რეგიონული განსახლების ობიექტებიც უფრო ეფექტიანად მუშაობენ, რადგან შემოწირულობებისა და სამოქალაქო ძალისხმევის ცენტრალიზება ხელს უწყობს მათი საჭიროებების უკეთ დაკმაყოფილებასაც. ჩამონათვალში მითითებული საქონლის შემოწირვა აადვილებს შემოწირულობათა დახარისხებას, არ გროვდება „უსარგებლო“ ნივთები და არ ხდება პროდუქტებისა თუ მასალების ფლანგვა.

**Centre for management Storage and supply of goods to refugee accommodation centres**
Miltos Efstathiadis, centre manager
Telephone: (+30)2104819001
Fax: (+30) 2104819002
Email: centre@patt.gov.gr
Website: http://bit.ly/2oIANgW



## *იტალიური ენის ადგილობრივი კურსების ონლაინ რუკა, მილანი, იტალია*

*მოსახლეობა : 1 368 590*

**უცხოელებისთვის ძნელია იმაში გარკვევა, თუ ენის რომელი კურსი აირჩიონ, ამიტომ მილანში შეიქმნა ვებ-გვერდი, რომელიც აწვდის მსურველებს ინფორმაციას იტალიური ენის ხელმისაწვდომ კურსებზე, რაც აადვილებს სასურველი კურსის პოვნას და ადგილობრივი ენის შესწავლას, რაც წარმატებული ინტეგრაციის ერთ-ერთი საფუძველია.**

ადგილობრივი ენის სათანადო ცოდნა აუცილებელია უცხოელთა სოციალური ჩართულობის მისაღწევად. თუმცა, სწორი კურსების შერჩევა, საჭირო ინფორმაციის მოძიება და უცხო ქალაქში გარკვევა რთულია. ამ პროცესის გასაადვილებლად მილანში ჩამოსული უცხოელებისთვის ქალაქმა შექმნა ძალიან მოსახერხებელი ვებ-გვერდი, რომელიც ხელმისაწვდომია სხვადასხვა ენაზე და მიგრანტებს აწვდის დეტალურ ინფორმაციას ენის კურსების შესახებ. www.milano.italianostranieri.org კურსების ონლაინ რუკაა, რომელსაც იტალიური ენის სკოლები ავსებენ ახალი შეთავაზებებით. სკოლებს ასევე შეუძლიათ, ამ გვერდზე ატვირთონ სასწავლო მასალები, ვიდეორგოლები და ფოტოები. ეს უადვილებს უცხოელებს მათთვის შესაფერისი, მათ საჭიროებებზე მორგებული კურსის მოძებნას. მომხმარებლებს შეუძლიათ შეარჩიონ სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ შეთავაზებული ენის კურსები. მაგალითად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ხშირად სთავაზობენ უცხოელებს უფასო კურსებსა და პრაქტიკულ ვორქშოფებს; ვებ-გვერდზე განთავსებულია ასევე კომერციული ორგანიზაციების შეთავაზებები და მსურველს შეუძლია, სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით აირჩიოს მისთვის ხელსაყრელი კურსი: ფასი, გრაფიკი, სერთიფიკატის აღების შესაძლებლობა, სერთიფიკატის ტიპი და სხვა. ამ ინიციატივას მხარი

დაუჭირა მილანის საქალაქო საბჭომ პროექტის „ინტეგრაციის შესაძლებლობა და მისი მართვა ადგილობრივ დონეზე“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს იმიგრაციისა და ინტეგრაციის პოლიტიკის გენერალური დირექტორატის მიერ.

**Milano Italianostranieri**
Telephone: (+39) 288448246
E-mail: info@italianostranieri.org
Website: http://bit.ly/2oJqHw1

## *გამარტივებული წვდომა ფრანგული ენის კურსებზე[IX], ლოზანა, შვეიცარია*

*მოსახლეობა : 135 629*

**ადგილობრივი ენის შემსწავლელი პროცესის გამარტივების მიზნით ლოზანის მიგრანტთა ინტეგრაციის ბიურო აწყობს ფრანგულის საზაფხულო კურსებს. მსურველებს შეუძლიათ დაესწრონ კურსებს წინასწარი რეგისტრაციის გარეშე, ეროვნებისა თუ სოციალური სტატუსის მიუხედავად.**

2010 წლიდან, ზაფხულობით, ლოზანის მუნიციპალიტეტის მიგრანტთა ინტეგრაციის ბიურო ჟენევის ტბის სანაპიროზე აწყობს ფრანგული ენის თვენახევრიან კურსებს. ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, ყოველ საღამოს, 6-დან 7:30 საათამდე, მონაწილეები რეგისტრაციის გარეშე ესწრებიან გაკვეთილებს და სასიამოვნო გარემოში სწავლობენ ფრანგულ ენას. კურსები ჩაფიქრებულია მიგრანტთა ყოველდღიური ცხოვრების გასაადვილებლად და ეხება შემდეგ თემებს: ვაჭრობა, საკუთარი თავის წარდგენა, მიმართულების კითხვა და ა.შ. ეს ინიციატივა ემსახურება ლტოლვილების, თავშესაფრის მაძიებლებისა და მიგრანტების ჩართვას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ეს იდეა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია იმით, რომ ქალაქებში უამრავი სასწავლო კურსი არსებობს, მაგრამ ხშირად კურსებზე ჩარიცხვა გარკვეულ ბიუროკრატიას უკავშირდება, საჭიროა წინასწარ ჩარიცხვა ან არსებობს გარკვეულ მოთხოვნები სოციალურ სტატუსთან დაკავშირებით, რის გამოც ბევრი ადამიანი ვერ სარგებლობს ამ შესაძლებლობით. ეს გამოცდილება კი წარმატებული აღმოჩნდა და ბოლო შვიდი წლის განმავლობაში კურსები ყოველ ზაფხულს ტარდება.

**Bureau lausannois pour les immigrés**
Secrétariat général SCS
Place de la Riponne 10, Case postale 5032
1002 Lausanne
Telephone: (+41)213157245
Email: bli@lausanne.ch;
Website: http://bit.ly/2G1AW5Q

## ბუკლეტი ადგილობრივი მოსახლეობისთვის: „გაბედე, დაუპირისპირდე სტერეოტიპებს“, ბოდენი, შვედეთი

*მოსახლეობ : 18 705*

**ბოდენის მუნიციპალიტეტმა გამოაქვეყნა ბროშურა სახელწოდებით „გაბედე, დაუპირისპირდე სტერეოტიპებს“, რომელიც მუდმივად ვრცელდება ადგილობრივ მოსახლეობაში. ამ პუბლიკაციით ქალაქი მიზნად ისახავს ბოდენის მცხოვრებთა ცნობიერების ამაღლებას მიგრაციის მიზეზების, მიგრანტთა მდგომარეობის, ადგილობრივ თემში მათი ინტეგრაციის სარგებლიანობის შესახებ.**

ბოდენის მუნიციპალიტეტმა შვედეთის სტატისტიკის ცენტრალურ ბიუროს სთხოვა კვლევის ჩატარება იმიგრაციის საკითხზე. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ემიგრანტებისთვის შვედური ენის სწავლების ცენტრებში რეგისტრირებულმა 191-მა ადამიანმა. შედეგები ბუკლეტის სახით გამოიცა. მასში მოცემულია რეალობიდან აღებული ამბები, რომლებიც ეხება 21-ე საუკუნეში იმიგრაციის ისტორიასა და მიზეზებს, მიგრანტთა განათლებისა და განსახლების მდგომარეობას, ასევე მიგრანტების მნიშვნელობას, როგორც „ბოდენის მომავლის წინაპირობას.“ ამ პუბლიკაციაში ხაზგასმულია ბოდენში იმიგრაციის აუცილებლობა ქალაქის ეკონომიკური ზრდის შენარჩუნებისთვის. შვედეთში სამუშაო ძალის დეფიციტის ფონზე იმიგრანტებს შეუძლიათ, დიდი წვლილი შეიტანონ ეკონომიკურ განვითარებაში, ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში და, შესაბამისად, შეამცირონ სტრუქტურული უმუშევრობა. ინტეგრაციის კოორდინატორის თქმით, ბოდენის მოქალაქეებმა ძალიან კარგად მიიღეს ბროშურა და მან ნამდვილად შეუწყო ხელი მიგრანტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის დაახლოებას.

**Bodens kommun Stadshuset**
Kyrkgatan 24, 961 86 BODEN
Telephone: + (46) 92162000
Website: http://www.boden.se/
„გაბედე, დაუპირისპირდე სტერეოტიპებს” (Våga möta dina fördomar)

## ონლაინ საშუალება ორიენტირებაში ხელშესაწყობად და სერვისებზე წვდომის გასამარტივებლად, ვენა, ავსტრია

*მოსახლეობა : 1 741 246*

**ლტოლვილთა მომსახურების შესახებ ინფორმაცია ხშირად არ არის მსურველთათვის ადვილად ხელმისაწვდომი ან გამჭვირვალე. New Here მრავალენოვანი და ციფრული ინტერაქტიური რუკაა, რომელიც აკავშირებს ლტოლვილებს არსებულ სერვისებსა და ფუნქციებთან, როგორც ცენტრალიზებული და ადვილად ხელმისაწვდომი ინფორმაციის წყარო.**

**New Here შეიქმნა მოხალისეთა ჯგუფის მიერ, ვენის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით.**

ქალაქში ჩამოსულ მიგრანტებს ხშირად აქვთ ერთი და იგივე კითხვები: როგორ ჩავირიცხო ენის კურსებზე? სად მივიღო იურიდიული დახმარება? რომელი ექიმი საუბრობს ჩემს ენაზე? დამოუკიდებლობა და ადვილად ორიენტირება ძალიან მნიშვნელოვანია ინტეგრაციისთვის. New Here საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, დამოუკიდებლად ორიენტირდნენ ახალ ქალაქში, მოიძიონ ინფორმაცია საკუთარ ენაზე და მარტივი პიქტოგრამების საშუალებით გაეცნონ თავშესაფრის პროცედურებს, ენის კურსებზე ჩარიცხვის, ფეხბურთის გუნდში გაწევრიანებისა თუ სხვა შესაძლებლობებს. New Here არა მხოლოდ პრაქტიკული საშუალებაა, ის ხელს უწყობს ლტოლვილების გაძლიერებას და ეხმარება მათ ახალ ადგილზე დამკვიდრებაში. New Here ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებასა და მდგრადობასაც, ის ეფუძნება ბოლო წლების განმავლობაში არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გაწეულ სამუშაოს და საშუალებას აძლევს მათ, საკვანძო საკითხებზე გაამახვილონ ყურადღება.

✉ **Kate Thompson**, President of New Here
✉ **Leonard Cuscoleca**, Cashier of New Here
E-mail: kate@newhere.org
Website: http://www.newhere.at

## *მრავალდარგობრივი ინტეგრაციის პოლიტიკა,გდანსკი, პოლონეთი*

*მოსახლეობა : 463 754*

**„გდანსკის ინტეგრირების მოდელით" ქალაქი გდანსკი გახდა პოლონეთის პირველი ქალაქი, რომელმაც განახორციელა დარგთაშორისი პოლიტიკა დევნილთა ინტეგრაციისადმი პროაქტიური მიდგომით.**

გდანსკის მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული „ინტეგრაციის გდანსკის მოდელი", როგორც მიგრანტთა ინტეგრაციისადმი პროაქტიური მიდგომა, მრავალდარგობრივი პოლიტიკაა, რომელიც შეიმუშავა ქალაქის ადმინისტრაციამ და დაამტკიცა საკრებულომ 2016 წლის ივნისში. 150-ზე მეტი ადამიანი 70-ზე მეტი სხვადასხვა ორგანიზაციიდან (საჯარო დაწესებულებები, კერძო კომპანიები, ასოციაციები, ჟურნალისტები და ა.შ.) ერთად მუშაობს სხვადასხვა საკითხზე, როგორიცაა საცხოვრებლით უზრუნველყოფა, ტრენინგები, დასაქმებაზე წვდომა, განათლება და ენის კურსები. პროექტს მხარს უჭერს ევროკავშირი და თავშესაფრის, მიგრაციისა და ინტეგრაციის ფონდი. მუნიციპალიტეტმა ასევე დააარსა 13 მრჩეველისაგან შემდგარი „იმიგრანტების საბჭო", რომელიც რეგულარულად უზიარებს შენიშვნებს მერიას და რჩევებს აძლევს მას თავშესაფრის მაძიებლების, ლტოლვილებისა და მიგრანტების საკითხებზე. ამჟამად „გდანსკის მოდელი" განხორციელების ფაზაშია.

სხვადასხვა სერვისები ხელმისაწვდომი გახდა ბენეფიციარებისთვის და შერჩეული იქნა ასოციაცია ქმედებების კოორდინაციისა და მიგრანტების დახმარების მიზნით. ამაში შედის თემატური კონფერენციებისა და სემინარების ჩატარებაც. მაგალითად, ქალაქმა შეიმუშავა პროგრამა „გახდი დევნილის მენტორი" და მოაწყო მრავალი მაგიდის ფორმატის შეხვედრები მოქალაქეებისთვის მიგრაციისა და ინტეგრაციის თემებზე.

გდანსკი „ევროქალაქების" ქსელის აქტიური წევრია. ის განსაკუთრებით მიგრაციისა და ინტეგრაციის სამუშაო ჯგუფში აქტიურობს. ქსელის პარტნიორებმა მხარი დაუჭირეს მისი სტრატეგიის განხორციელებას. ქალაქის დელეგაცია ეწვია ოსლოსა და ბრემენს ამ ქალაქებში არსებული განსხვავებული მიდგომების გასაცნობად და გდანსკის ადგილობრივ კონტექსტში მათი წარმატებული გამოცდილების დასანერგად.

**City of Gdańsk**
ul. Nowe Ogrody, 8/12
80-803 Gdańsk
Tél. : (+58) 323 63 14
Fax : (+58) 302 01 34
E-mail : prezydent@gdansk.gda.pl

*ქსელი*

## *ევროქალაქები: უდიდესი ევროპული ქალაქების ქსელი*



ევროპული ქალაქების ქსელის EUROCITIES (www.Eurocities.eu) ინიციატივა, პროექტი CITIES-GroW (მიგრანტების ინტეგრაცია ქალაქებში ეკონომიკური საქმიანობის გზით) პრაქტიკულ რჩევებს აძლევს ევროპული მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებს და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გაუმკლავდნენ მიგრანტთა ინტეგრაციის გამოწვევებს და შეიმუშაონ ინტეგრაციის ეფექტიანი სტრატეგიები.

პროექტი დაიწყება 2017 წლის 1 თებერვალს და გაგრძელდება 24 თვის განმავლობაში. პროექტ ImpleMentoring-ის მემკვიდრეს, CITIES-GroW-ს, კოორდინაციას გაუწევს „ევროქალაქები", მიგრაციის პოლიტიკის ჯგუფის, მიგრაციის სამუშაო საინფორმციო ცენტრისა და მიგრაციის პოლიტიკის ინსტიტუტის მხარდაჭერით. პროექტი მოიცავს 16 ევროპულ ქალაქს: ათენი, ბარსელონა, ბირმინგემი, ბრაიტონი და ჰოვა, დრეზდენი, გდანსკი, გენტი, ჰელსინკი, ლისაბონი, მიუნხენი, ნანტი, ნიქოზია, რიგა, როტერდამი, ტამპერე და უტრეხტი. მონაწილე ქალაქები დაწყვილებულები არიან (მენტორები / განმახორციელებლები), რათა უზრუნველყონ შედეგების შენარჩუნება, გადაცემა და გრძელვადიანი პოლიტიკისა და პრაქტიკის მდგრადობა.

მენტორული სქემების მიზნებია: მყიდველთა და მომწოდებელთა ინტერესების თანხვედრის ხელშეწყობა; ემიგრანტი მეწარმეების დახმარება საჯარო და კერძო კონტრაქტებზე წვდომაში; კერძო სექტორთან, დასაქმების ადგილობრივ სააგენტოებთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა მიგრანტი ახალგაზრდების შრომითი უნარების დასაახლოვებლად ბაზრის მოთხოვნებთან, მათი დასაქმების ხელშესაწყობად; მიგრანტ მეწარმეთა მომსახურება და ანტიდისკრიმინაციული სტრატეგიების დანერგვა ადგილობრივ სამუშაო ბაზრებზე.

**დამატებითი ინფორმაცია**
www.eurocities.eu/eurocities/projects/CITIES-GroW&tpl=home

# სათანადო განსახლება

ადეკვატური საცხოვრებელი პირობები უაღრესად მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ საზოგადოების ახალმა წევრებმა თავი იგრძნონ, როგორც საკუთარ სახლში და ინტეგრირდნენ მასპინძელ თემში. ამავე დროს, ლტოლვილთა, თავშესაფრის მაძიებელთა და მიგრანტთა საცხოვრებლით უზრუნველყოფამ მრავალი დაპირისპირება შეიძლება გამოიწვიოს და ადგილობრივ მოსახლეობაში წინააღმდეგობისა და უნდობლობის გრძნობა გააჩინოს. ქალაქები თუ დაბები შეზღუდული რესურსებით უმკლავდებიან მიგრანტთა მოულოდნელ შემოდინებას და მუდმივი საცხოვრებლით ყველას უზრუნველყოფა ძალიან ძნელია, ამიტომ აუცილებელია ნოვატორული ინიციატივების დანერგვა. ღირსეული განსახლება არა მხოლოდ ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა, არამედ ძალიან მნიშვნელოვანია კონფლიქტების თავიდან აცილებისა და მასპინძელ თემში მიგრანტთა ინტეგრირებისთვის.

## *დეცენტრალიზებული განსახლება კერძო ბინებში დრეზდენი, გერმანია*

*მოსახლეობა : 543 825*

**ქალაქი დრეზდენი თანამშრომლობდა „ვონოვიასთან“, გერმანიის ერთ-ერთ უმსხვილეს საბინაო ასოციაციასთან და 132 კერძო მფლობელთან იმ მიზნით, რომ განსახლების ცენტრების ნაცვლად თავშესაფრის მაძიებლები კერძო ბინებში დაესახლებინა. ამ ინიციატივით დრეზდენმა მოახერხა თავშესაფრის მეტი მაძიებლის განთავსება, ვიდრე გერმანიის ნებისმიერმა სხვა დიდმა ქალაქმა.**[XII]

ამ ინიციატივის წყალობით 5461 ლტოლვილიდან 3404 (61%) ამჟამად დეცენტრალიზებულ ბინებში ცხოვრობს. ამ ბინებიდან 507 ბინა „ვონოვიას“ მიერ არის მოძიებული, 132 კი კერძო მფლობელების მოწოდებულია. თავშესაფრის მაძიებელთათვის ბინების შერჩევისას ქალაქი ცდილობს, იმ ბინებიდან შეარჩიოს

სასურველი ვარიანტი, რომლებიც ბოლო ექვსი თვის მანძილზე ვერ გაქირავდა. ეს პრაქტიკა სასარგებლოა როგორც ქალაქის, ასევე დაბინავებული ოჯახებისთვის: კერძო ბინაში ცხოვრება ადამიანს საშუალებას აძლევს, შეინარჩუნოს საკუთარი ჩვევები, მოამზადოს სასურველი საკვები და თავი იგრძნოს სახლში, ეს კი ეხმარება მას მუდმივი გადაადგილების გამო გაჩენილი არასტაბილურობის შეგრძნების დაძლევაში. ბინების დაქირავება ასოციაციების ან კერძო მესაკუთრეთაგან მუნიციპალიტეტისთვის გაცილებით იაფია, ვიდრე განსახლების ცენტრის გახსნა და მისი მართვა. ამ პრაქტიკაში არსებული სირთულეები ძირითადად მხოლოდ მეზობლების საჩივრებს ეხება, მაგალითად, ნარჩენების განცალკევებასთან ან ხმაურთან დაკავშირებით.

**Dirk Hilbert**, Mayor of the city of Dresden
Dr. Külz-Ring 19 01067 Dresden, Germany
Telephone: (+49) 351-4882000
E-mail: oberbuergermeister@dresden.de

*ქსელი*

## *სოლიდარობის ქალაქების ევროპული ქსელი*



განსახლების ეს ინიციატივა დრეზდენის, როგორც „სოლიდარობის ქალაქების ევროპული ქსელის" წევრის, ძალისხმევის ნაწილია, რომელიც უკავშირდება ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის 29-ე სესიაზე მიღებულ რეკომენდაციას. ეს რეკომენდაცია გამოეხმაურა სტრასბურგის, კატანიისა და როვერეტოს მუნიციპალიტეტების მიერ 2015 წლის 3 ოქტომბერს გაკეთებულ განაცხადს.XII „სოლიდარობის ქალაქების ქსელის" პირველი კონკრეტული შედეგი იყო Vade-mecum[XIII], რომლის მიზანი იყო ლტოლვილთა მიღებისა და ინტეგრაციის საკითხებში წარმატებული ადგილობრივი საჯარო პოლიტიკის მაგალითების ჩვენება.[XV]

## *ევროპის საბჭოსა და ინტერკულტურული ქალაქების პროგრამა (ICC)*

ინტერკულტურული ქალაქები (ICC) არის ევროპის საბჭოს პროგრამა, რომელიც ეხმარება ადგილობრივ ხელისუფლებას ახალი მრავალფეროვნების მართვის მოდელის გამოყენებასთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებაში. პოლიტიკის ეს მოდელი „მრავალფეროვნების უპირატესობას" ემყარება. ის განიხილავს მიგრანტებს, როგორც ადგილობრივ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ რესურსს და არა მხოლოდ როგორც დაუცველ ჯგუფს, რომელსაც დახმარება და მომსახურება სჭირდება. ინტერკულტურული ქალაქების პროგრამა მომხმარებელს სთავაზობს ყოვლისმომცველ მეთოდოლოგიასა და ანალიტიკური

და შეფასების ინსტრუმენტების დიდ არჩევანს, მათ შორისაა „კულტურათაშორისი ქალაქების ინდექსი“.

**Intercultural cities programme** - Irena GUIDIKOVA
Inclusion and Anti-discrimination programs - Council of Europe - DGII - Democracy
intercultural.cities@coe.int - www.coe.int/interculturalcities

## *მიტოვებული სახლების განახლება მიგრანტებისთვის, რიაჩე,[XV] იტალია*

*მოსახლეობა : 2 800*

**ყოფილმა „ქალაქმა-მოჩვენებამ“, რიაჩემ, მოახერხა ადგილობრივი თემისა და ეკონომიკის აღორძინება მიგრანტი ოჯახებისთვის მიტოვებული სახლების შეთავაზებით, ლტოლვილების პროფესიული მომზადებით და ადგილობრივი ვალუტის შემუშავებით, რომელსაც ლტოლვილები გამოიყენებდნენ.**

თხუთმეტი წლის წინ იტალიის სამხრეთ სანაპიროზე, მთის წვერზე განლაგებული პაწაწინა ქალაქი რიაჩე თითქმის მკვდარი დასახლება იყო. სახლები ნანგრევებად იყო ქცეული, ადგილობრივი სკოლა დახურვის პირას იყო. ეს დასახლება გადაშენების საფრთხის წინაშე დააყენა მოსახლეობის ჩრდილოეთ იტალიაში ან საზღვარგარეთ ემიგრაციამ ეკონომიკური ბუმის წლებში. რიაჩემ გადარჩენის შანსი მიგრანტების მიღებაში დაინახა. მან კარი გაუღო გარკვეული, კონტროლირებული რაოდენობის მიგრანტებს, რომლებიც ცხოვრობენ და მუშაობენ რიაჩეს თემში. ამჯერაც რიაჩეში მცხოვრები, 20-ზე მეტი ქვეყნიდან ჩამოსული 450-მდე მიგრანტი ქალაქის მოსახლეობის დაახლოებით მეხუთედია.

ეს გარდაქმნა ქალაქის მერის, დომენიკო ლუკანოს დამსახურებაა, რომელმაც 1998 წელს დააარსა ასოციაცია „მომავლის ქალაქი“, იტალიის მთავრობისა და ადგილობრივი ფონდების მხარდაჭერით. ლტოლვილებს შესთავაზეს მიტოვებული ბინები, შეასწავლეს სხვადასხვა ხელობა ადგილობრივი რეწვის დარგების განვითარებისთვის. ამან ხელი შეუწყო ქალაქის მოსახლეობის განახლებას და ეკონომიკის აღდგენას. რიაჩეს მოდელი გამორჩეულია ადგილობრივი ვალუტის კონცეფციითაც, რამაც საგრძნობლად შეუწყო ხელი ადგილობრივ ეკონომიკურ საქმიანობებს. მულტიკულტურალიზმმა, უნარ-ჩვევების განვითარებამ და პირადმა გამოცდილებამ, რომელიც ჩამოსულებმა გაუზიარეს რიაჩეს, ქალაქს ახალი სიცოცხლე შთაბერა. 2016 წელს რიაჩეს მერი ლუკანოს ჟურნალმა „Fortune“ მსოფლიოს 50 უდიდესი ლიდერს შორის დაასახელა.

**Domenico Lucano**, Mayor of Riace
Tel.: +39 0964-733002
Fax: +39 0964-778016
Address: Piazza Municipio - 89040 Riace - ITALY

## *საკუთარი სახლი, ნიში, ნიშავის მხარე, სერბეთი*

*მოსახლეობა : 260 237*

**საკუთარი სახლი და გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობები მნიშვნელოვანია მასპინძელი მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში დევნილთა სრულყოფილი ინტეგრაციისთვის..**

2016 წელს, ქალაქ ნიშმა 10 მილიონი დინარის ინვესტიცია ჩადო იძულებით გადაადგილებულ პირთათვის 10 სახლის შესაძენად ლტოლვილთა კომისრის დახმარებით. საბინაო ხელშეკრულებები გაფორმდა გამყიდველებს, იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებსა და ნიშის მერს, დარკო ბულატოვიჩს შორის. მუნიციპალიტეტის ეს ინიციატივა არის ქალაქ ნიშისა და ლტოლვილთა კომისრის აქტიური თანამშრომლობის შედეგია, რომელიც მიზნად ისახავს დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას საკუთრებაზე წვდომის ხელშეწყობის გზით. ქალაქი და ლტოლვილთა კომისარი ცდილობენ იძულებით გადაადგილებულ პირთა მუდმივი საცხოვრებლით უზრუნველყოფას. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად ყიდულობს სახლებს იძულებით გადაადგილებულ პირთა გარკვეული რაოდენობისთვის ნიშის მახლობლად მდებარე სოფლებში. 2015 წლიდან სახლები გადაეცა 18 ოჯახს. კიდევ 320-მა ოჯახმა გამოიჩინა ამ გზით საცხოვრებლის პრობლემის გადაჭრის ინტერესი. ოჯახებს, რომლებმაც სახლები მიიღეს ქალაქისა და ლტოლვილთა კომისრის დახმარებით, მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში არ აქვთ ამ საკუთრების გასხვისების უფლება.

**Darko Bulatovic**, Nis City Mayor
7 Juli 2, 18000 Nis
Email: info@ni.rs
Adresse : Le Bourg, 19290 Peyrelevade

## *პერელვადი, საფრანგეთი*

*მოსახლეობა : 840*

**დაახლოებით 60 თავშესაფრის მაძიებელი განსახლდა ყოფილ მოხუცთა თავშესაფარში, რამაც 840 სულიან სოფელს ახალი სიცოცხლე აჩუქა. ადგილობრივი თემისთვის გაჩნდა ახალი სამუშაო ადგილები და დახურვას გადაურჩა ადგილობრივი დაწყებითი სკოლა.**

იქნებ ლტოლვილები კი არ „გვართმევენ სამუშაო ადგილებს", არამედ პირიქით, ქმნიან მათ? ამ კითხვის გათვალისწინებით, პიერ კუტომ, პერელვადის მერმა, გახსნა ლტოლვილთა მიღების ცენტრი დაბაში, სადაც თავშესაფრის დაახლოებით 60 მაძიებელია. შედეგები? საფოსტო განყოფილებას, რომლის დახურვასაც აპირებდნენ, 30%-ით გაეზარდა ბრუნვა, რადგან თითოეულმა ახალმა მცხოვრებმა საფოსტო ბანკის ანგარიში გახსნა. ადგილობრივ სკოლაში

ლტოლვილ ბავშვთა სავალდებულო რეგისტრაციის წყალობით კლასი, რომელსაც დახურვა ემუქრებოდა, შეივსო და შეიქმნა დამატებითი მასწავლებლის ადგილიც. მოსწავლეთა რიცხვი 44-დან 62-მდე გაიზარდა მაშინ, როცა ამ პროვინციას დემოგრაფიული უკუსვლა და შობადობის შემცირება ახასიათებდა 1960-იანი წლებიდან მოყოლებული. შედეგად, სოფლის ეკონომიკა გაიზარდა და შეიქმნა ხუთი ახალი სამუშაო ადგილი.

ეს პროექტი არ იყო ადვილი ამოცანა. მოსახლეობასთან შეხვედრების დროს მოსაზრებები ორად გაიყო; ბევრს ეშინოდა, ზოგიც აშკარად ეწინააღმდეგებოდა პროექტს. ისინი, ვისაც სოფელში მეორე სახლი ჰქონდა, ძალიან ეწინააღმდეგებოდა უცხოელთა ინტეგრაციის მცდელობებს.

„რეფერენდუმის ჩატარება მომთხოვეს. უარი ვთქვი.“ - თქვა მერმა. ბოლოს ადგილობრივი თემი დარწმუნდა, რომ ლტოლვილთა მიღება დადებითად მოქმედებს ადგილობრივ ეკონომიკაზე და მის ზრდას უწყობს ხელს. ლტოლვილები მალე გადაიქცნენ ნამდვილ კორეზელებად.[XVI]

**Pierre Coutaud**, Mayor of Peyrelevade
Le Bourg, 19290 Peyrelevade, France
Telephone : (+33) 5 55 94 73 13
Fax : (+33) 5 55 46 25 41
E-mail: mairie@peyrelevade.fr

## *პუიი-ან-ოსუა, საფრანგეთი*

*მოსახლეობა : 1 507*

**თავშესაფრის მაძიებლები განსახლდნენ ყოფილი ჟანდარმერიის ყაზარმაში, პუიი-ან-ოსუაში მდებარე ოთხსართულიან კორპუსში, ადგილობრივი მერის კაბინეტის ინიციატივით. ამ პროექტის წყალობით ცარიელ შენობებს კვლავ მოეძებნა დანიშნულება, განხორციელდა ადგილობრივი მოსახლეობისა და ლტოლვილების დაახლოებისა და ადგილობრივი ეკონომიკის მხარდაჭერის მრავალი პროექტი. ლტოლვილებს დაენიშნათ დღიური დახმარება, რომელსაც ისინი ადგილობრივ ბაზარზე ხარჯავენ.**[XVII]

კალეში არსებული ვითარების შემსუბუქების მიზნით, საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა განსაზღვრა დაახლოებით 20 დეპარტამენტი, რომლებიც მიიღებენ მიგრანტებს, სანამ მათი თავშესაფრის განაცხადის შესწავლა ხდება. ამ დეპარტამენტებიდან ერთ-ერთია პუიი-ან-ოსუა, რომელმაც მიიღო თავშესაფრის დაახლოებით 60 მაძიებელი, მათი უმეტესობა სომალის ნახევარკუნძულიდანაა. მერი ბერნარ მილუა და მერიის სოციალური სამსახურის ხელმძღვანელი მარიჟო ბურსიე აცხადებენ, რომ ადგილობრივთა დიდი ნაწილი მობილიზებულია მიგრანტთა დასახმარებლად: ასწავლიან მათ ფრანგულს, ეხმარებიან სხვადასხვა შემოწირულობით, ხსნიან სპორტულ ობიექტებს და სადილად ეპატიჟებიან ჩამოსულებს.

თავშესაფრის თითოეული მაძიებელი იღებს 11,45 ევროს დღეში დროებითი შემწეობის სახით, რაც იხარჯება ისევდაისევ ადგილობრივ ბაზარზე. თავიდან ადგილობრივი მოსახლეობა საკმაოდ მტრულად იყო განწყობილი მიგრანტებისადმი, საზოგადოების ზოგიერთი წევრი მონაწილეობდა ქსენოფობიურ ღონისძიებებში. თუმცა ქალაქის მერმა, რომელიც ჩართულობისა და ტოლერანტობის პოლიტიკის ერთგულია, ამ სირთულეებს იმით უპასუხა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას დაუმტკიცა თავშესაფრის მაძიებელთა ინტეგრაციის დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ზეგავლენა. ის განაგრძობდა ადგილობრივი ინტეგრაციის ინიციატივების მხარდაჭერას. ახლა ადგილობრივ მცხოვრებთა უმრავლესობა მხარს უჭერს და მიესალმება ქალაქის ახალ მოსახლეობას.

✉ **Bernard MILLOIR**, Mayor of Pouilly-en-Auxois
Place de la libération 21320 Pouilly-en-Auxois France
Telephone: (+33) 3 80 90 64 00

✉ **Association du centre social du canton de Pouilly en Auxois**
André LAPOSTOLLE, President
Marie Jo BOURCIER, Director
Espace Jean Claude Patriarche 21320 Pouilly-en-Auxois, France
Telephone: (+33) 3 80 90 86 61
E-mail: csocialpouilly@libertysurf.fr

ლტოლვილები, მიგრანტები...

# შრომის ბაზარზე და ეკონომიკაში ინტეგრაციის ხელშეწყობა

შრომის ბაზარზე დამკვიდრება წარმატებული გრძელვადიანი ინტეგრაციის გასაღებია, რადგან ის ლტოლვილებს უჩენს მიზნის შეგრძნებას ახალ თემში. დასაქმების საშუალებით ლტოლვილებს შეუძლიათ, თავიანთი წვლილი შეიტანონ მასპინძელ საზოგადოებაში, შექმნან სოციალური კავშირები და მოიპოვონ ფინანსური დამოუკიდებლობა. ენის არცოდნა და აკადემიური კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების არარსებობა მიგრანტთა პრობლემების მხოლოდ მცირე ნაწილია. სახელმძღვანელოს ამ ნაწილში მიმოხილულია ის ინიციატივები, რომლებიც ხელს უწყობს ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა ინტეგრაციას ადგილობრივ ეკონომიკაში.

## *ორწლიანი საწყისი პროგრამა და მეორე შანსის პროგრამა,[XVIII] ბერგენი, ნორვეგია*

*მოსახლეობა : 278 121*

**ბერგენის მიმღები ცენტრი ლტოლვილებს სთავაზობს სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებულ ორწლიან პროგრამას შრომით ცხოვრებაში მათი**

**ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით. ცენტრი სთავაზობს ტრენინგ-პროგრამას „მეორე შანსი“ მცირე სამუშაო გამოცდილების მქონე პირებსა და დიასახლის დედებს.**

იმ ლტოლვილთა პრობლემის გადასაჭრელად, რომლებსაც აქვთ მცირე სამუშაო გამოცდილება ან ახალი კონტექსტისთვის არასაკმარისი პროფესიული მომზადება, ბერგენის მუნიციპალიტეტმა განახორციელა ორი სამოქმედო გეგმა - „მრავალფეროვნება ქმნის შესაძლებლობებს“ (1998) და „ყველას პასუხისმგებლობა“ (2007) - და გახსნა ყველაზე დიდი მიმღები ცენტრი ნორვეგიაში. ცენტრის მიზანია, დაეხმაროს ახლად ჩამოსულ მიგრანტებს, ჩაერთონ შრომით და საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მოიპოვონ ფინანსური დამოუკიდებლობა. ცენტრის მიერ შეთავაზებული ორწლიანი პროგრამის საშუალებით ლტოლვილები სწავლობენ ნორვეგიულ ენას, საზოგადოებრივ მოწყობას, ემზადებიან შრომით ცხოვრებასა და / ან განათლებაში ჩართვისათვის. ამავე დროს, ქალაქი ბერგენი ახორციელებს შრომის ბაზრის კვლევას იმ სექტორების გამოსავლენად, სადაც არსებობს დაბალკვალიფიციური კადრების საჭიროება. მიმღებ ცენტრში მოქმედებს ასევე პროექტი „მეორე შანსი“, რომლის სამიზნე ჯგუფს შეადგენენ 18-დან 25 წლამდე ასაკის ლტოლვილები, დიასახლისი დედები ან მცირე სამუშაო გამოცდილების მქონე პირები. ეს არის სრული განაკვეთის ტრენინგ-პროგრამა, რომლის დროსაც თითოეულ ლტოლვილს ეხმარება პირადი მწვრთნელი. მონაწილეები გადიან სამოტივაციო კურსებს, ესწრებიან ჯგუფურ დისკუსიებს, იღებენ დახმარებას საშინაო დავალების შესასრულებლად და გადიან ტრენინგებს კვების ობიექტებსა თუ სუპერმარკეტებში. ამ ტრენინგის ღირებულებამ ხუთი წლის განმავლობაში თითოეულ ლტოლვილზე დაახლოებით 82 000 ევრო შეადგინა (მთლიანი ხარჯების 90%).

ერთი შეხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს დიდი თანხაა. თუმცა, სტატისტიკა აჩვენებს, რომ ეს თანხა მხოლოდ ნაწილია იმისა, რისი გადახდაც ნორვეგიის კეთილდღეობის სისტემას მოუწევდა იმ შემთხვევაში, თუ ლტოლვილები უმუშევრები იქნებოდნენ. ამ პროგრამების შედეგები უდაოდ დადებითია, რადგან ორწლიან პროგრამაში შესვლიდან ერთი წლის შემდეგ მონაწილეთა 55% დასაქმებულია ან ინტეგრირებულია განათლების სისტემაში. პროგრამის დასრულების შემდეგ მონაწილეთა 40% პოულობს სამუშაოს რეგულარულ შრომის ბაზარზე. „მეორე შანსის“ პროგრამის დასრულების შემდეგ კი მონაწილეთა 50% შოულობს სამსახურს ან აგრძელებს განათლების მიღებას.

**Centre for Refugees, Bergen**
Grethe Baldersheim, Manager of the Centre
Bredalsmarken 15/17, 5006 Bergen, Norway
Telephone: (+47) 55567960 / (+47) 40918795
Fax: +47 55567910
E-mail: Grethe.Baldersheim@bergen.kommune.no
introduksjonssenteret@bergen.kommune.no

# *IASC ჩარჩო გრძელვადიანი გამოსავალის შესახებ იძულებით გადაადგილებული პირებისთვის, ვანის პროვინცია (ვან ილი), თურქეთი*

*მოსახლეობა : 1 096 397*

**დევნილთა საჭიროებების ეფექტიანად გადაჭრისათვის აუცილებელია ყოვლისმომცველი სტრატეგიის შემუშავება. გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით ვანის გუბერნია მუშაობს ინტეგრაციისა და განსახლების, ინფრასტრუქტურისა და სოციალური დახმარების, სოციალური და ეკონომიკური განვითარების, ცნობიერების ამაღლებისა და კომუნიკაციის, თანამშრომლობისა და პარტნიორობის საკითხებზე.**

თურქეთში, ვანის პროვინციამ წამოიწყო სამოქმედო გეგმა შიდა გადაადგილების შესახებ, რომლის მიზანია პოტენციური სტრატეგიების შემუშავება ვანში ლტოლვილთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით. გეგმა ემყარებოდა ფართო კონსულტაციებს არა მხოლოდ ლტოლვილებთან, არამედ სხვა დაინტერესებულ მხარეებთანაც, როგორებიც არიან რაიონის გამგეობები და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა ორგანოები, არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო სექტორის წარმომადგენლები, ბიზნეს და პროფესიული კავშირები, დამსაქმებელთა ორგანიზაციები და შრომითი კავშირები. სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო ლტოლვილთა გაძლიერება და მათი აქტიური მოქალაქეობის მხარდაჭერა პროვინციის ცხოვრებაში. გაეროს განვითარების პროგრამის ტექნიკური დახმარებით ვანმა მხარი დაუჭირა გაღარიბებულ დევნილთა ადგილობრივ ინტეგრაციას „არსებული ინიციატივების გაფართოების“ გზით: დევნილებმა გააღრმავეს და გააფართოვეს ვანის გუბერნიის მიერ დანერგილი ინიციატივები, რომელთა მიზანი იყო ოჯახების კეთილდღეობის ზრდა, კვების ბანკის მხარდაჭერა და სხვა. ინიციატივა „მწვანე ქსელი“ უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის სოციალურ მომსახურებას, მიკრო-საკრედიტო პროგრამებს და მხარს უჭერს პროვინციის ბავშვთა საკითხების კვლევის, რეაბილიტაციისა და ტრენინგ-ცენტრის მუშაობას.

**Murat Zorluoğlu**, Governor of Van Governorate and Mayor of the City of Van Van Büyükşehir Belediyesi Seyit Fehim Arvasi Mahallesi Özdemir Sk. No: 5 İpekyolu/VAN
Telephone: (+90) 444 44 65
E-mail: info@vbb.bel.tr

# სტაჟირება „სიმენსში“ თავშესაფრის მაღალკვალიფიციური მაძიებლებისთვის,[XIX] ერლანგენი, გერმანია

### ინტერკულტურული ქალაქების ქსელის წარმატებული გამოცდილება

*მოსახლეობა : 108 336*

**ქალაქ ერლანგენისა და „სიმენსის“ თანამშრომლობით შეიქმნა სტაჟირების 10 ადგილი კომპანია „სიმენსში“ თავშესაფრის მაძიებელი მაღალკვალიფიციური პირებისთვის. ეს თანამშრომლობა სასარგებლო აღმოჩნდა თავშესაფრის მაძიებლების, კომპანიის თანამშრომლებისა და თავად კომპანიისთვის. პროგრამამ გერმანიის 14 სხვა ქალაქიც მოიცვა და მისი საშუალებით დასაქმდა დაახლოებით 100 ლტოლვილი.**

2014 წლის სექტემბერში შუა ფრანკონიის მთავრობამ ერლანგენს სთხოვა 300 ახლად ჩამოსული ლტოლვილის განსახლება. ქალაქი უკვე მასპინძლობდა სხვა ლტოლვილებს. ეს ხალხი კარვებში იყო დაბინავებული და ერლანგენში გამყარებული იყო ლტოლვილებთან დაკავშირებული უარყოფითი სტერეოტიპები. ამ სიტუაციის მოსაგვარებლად ქალაქმა 2015 წლის იანვარში კომპანია „სიმენსთან“ ერთად შეიმუშავა ანაზღაურებადი გადამზადების პროგრამა. სტაჟირების პროგრამაში შედიოდა ინტეგრაციის ვორქშოფი „სიმენსის“ შესაბამისი დეპარტამენტის მონაწილეობით და მენტორის ჩართულობით, რომელიც ინიშნებოდა კომპანიის სხვა განყოფილებიდან. სტაჟიორები ზოგადად იღებენ მინიმალურ ხელფასს ან სტაჟიორებისთვის საყოველთაოდ დადგენილ საკომპენსაციო განაკვეთს. ბევრმა მათგანმა სტაჟირებისას მაღალი კვალიფიკაცია აჩვენა საინჟინრო და საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით. სტაჟიორებისთვის „სიმენსის“ სტაჟირების კონცეფციის გრძელვადიანი სიკეთე იყო ისეთი სამომავლო შესაძლებლობების შექმნა, როგორიცაა მუდმივი დასაქმება, სტუდენტური სტაჟირება და სპეციალურ სასწავლო კურსებში ან პროფესიული მომზადების პროგრამებში ჩარიცხვა.[XX]

სერიოზული გამოწვევა იყო ისეთი პროგრამის შემუშავება, რომელიც არ თავსდებოდა არსებულ რეგულაციებსა და სტრუქტურებში და ნულიდან უნდა შექმნილიყო. გამოწვევა იყო ბიუროკრატიული სტრუქტურა, უწყებათაშორისი ცოდნის გაზიარების დანერგვა, თავშესაფრის მაძიებლის დასაქმების მიზნით თანამშრომლობა, კომპანიის მართვის პროცესების აწყობა და ძლიერი სასწავლო ჩარჩო-პროგრამის შექმნა. პროექტის მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგები იყო „სიმენსის“ თანამშრომლებს შორის ლტოლვილებთან დაკავშირებული სტერეოტიპების დაძლევა, კულტურათაშორისი დიალოგისა და ცოდნის გაზიარების ხელშეწყობა, დასაქმების შესაძლებლობის მიცემა თავშესაფრის მაძიებლებისთვის და გრძელვადიანი ინტეგრაციის ქმედითი ხელშეწყობა. თავშესაფრის მაძიებლებს მიეცათ შესაძლებლობა, სამუშაო ადგილზე გამოეცადათ საკუთარი კვალიფიკაცია. კომპანიის თანამშრომლები დაფიქრდნენ

საკუთარ სტერეოტიპებზე ლტოლვილებთან მიმართებაში, თავად კომპანიამ კი ისარგებლა თავშესაფრის მაღალკვალიფიციური მაძიებლების პოტენციალით.

და ბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ გამოცდილებამ აჩვენა, ის არის, რომ კერძო კომპანიებს შეუძლიათ, მტკიცედ დაუჭირონ მხარი ინტეგრაციის ადგილობრივ მცდელობებს, სათანადოდ შეაფასონ მრავალფეროვნების უპირატესობა და მნიშვნელოვანი პარტნიორის როლი შეასრულონ კულტურათაშორისი ინტეგრაციის პროექტებში.

**Irma Paringer**, Diversity Manager
E-mail: irma.paringer@siemens.com

**City of Erlangen**
Silvia Klein, Manager of the Mayor's Office on Integration,
Equal Opportunities and Diversity
Rathausplatz 1, 91052 Erlangen Germany
Telephone: (+49) 9131 862375
E-mail: silvia.klein@stadt.erlangen.de



*ქსელი*

## *C4I-პროექტი კომუნიკაცია ინტეგრაციისთვის*



ეს ინიციატივა არის ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის მიერ ევროპის 11 ქალაქში (ბარსელონა, ბილბაო, ამადორა, ლორეში, საბადელი, პატრასი, ერლანგენი, ნიურნბერგი, ლუბლინი, ბოტჩირკა და ლიმერიკი) განხორციელებული პროექტის, „C4i - კომუნიკაცია ინტეგრაციისთვის“, ნაწილი, რომლის მიზანია სტერეოტიპებისა და ქსენოფობიის წინააღმდეგ ბრძოლა და ადგილობრივ თემებში მიგრანტების ინტეგრაციის ხელშეწყობა. ევროპის საბჭოსა და ევროკომისიის (ევროპული ინტეგრაციის ფონდის) თანადაფინანსებით განხორციელებული „C4i-კომუნიკაცია ინტეგრაციისთვის“ მიზნად ისახავს ცრურწმენების, სტერეოტიპების, არასწორი შეხედულებების აღმოფხვრას ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით და საყოველთაოდ გავრცელებულ მცდარ ინფორმაციასა და შეხედულებებს მტკიცებულებებით პასუხობს.[XXII]

## *პროექტი AGRIV, ნევშატელი, შვეიცარია*

*მოსახლეობა : 33 712*

**ლტოლვილთა დასაქმების ხელშეწყობისა და სოფლის რეგიონების ეკონომიკური გაძლიერების მიზნით, ფედერალური სახსრების მხარდაჭერით ნევშატელში პროექტ AGRIV-ის ფარგლებში ლტოლვილებს შესთავაზეს თეორიული და პრაქტიკული მომზადება სოფლის მეურნეობის სფეროში.**

**მომზადება მოხდა ადგილობრივი მეურნეობების ბაზაზე, ენის გაკვეთილების პარალელურად.**[XXIII]

2015 წლის სექტემბრიდან ნევშატელის რეგიონული ინტეგრაციის სამსახური და კანტონის სოფლის მეურნეობისა და მევენახეობის პალატა თანამშრომლობენ პროექტზე AGRIV. ეს არის ექვსკვირიანი ტრენინგი სოფლის მეურნეობის სფეროში გარკვეული გამოცდილების მქონე ლტოლვილებისთვის და ის მოიცავს ტექნიკური ენის გაკვეთილებს, პროფესიულ მომზადებას და ხანმოკლე სტაჟირებას კანტონის ფარგლებში არსებულ მეურნეობებში. ამ გზით ლტოლვილები ეცნობიან ადგილობრივ ფერმერებს, იძენენ მეურნეობის წარმართვის საბაზო ცოდნას სრულიად ახალ კონტექსტში და იღებენ შრომის ბაზარზე ინტეგრაციისთვის საჭირო პრაქტიკულ გამოცდილებას. ექვსკვირიანი სასწავლო ტრენინგის მონაწილეები რეგისტრირებულნი არიან სამუშაო ადგილების გაცვლის პროგრამაში, რომელსაც მართავს სოფლის მეურნეობისა და მევენახეობის პალატა, რაც საშუალებას აძლევს ადგილობრივ ფერმერებს, დაზოგონ დრო და რესურსი და ადგილზე დაიქირაონ შესაბამისი კომპეტენციის მქონე ლტოლვილები იმის ნაცვლად, რომ საზღვარგარეთ ეძებონ სეზონური მუშახელი.

პროექტმა დადებითი შედეგები გამოიღო ყველა დაინტერესებული მხარისათვის, თუმცა, ნათლად წამოაჩინა ის გამოწვევებიც, რომლებიც ახლავს ასეთ ინიციატივებს და ეს პირველი შეფასებისთანავე გახდა ცნობილი[XXIII]. ფერმერებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა უფრო ხანგრძლივი ტრენინგი და რომ ხელფასები უნდა მოერგოს ამ სპეციფიკურ, პროფესიული მომზადებისა და მუშაობის კონტექსტს.

ამ დასკვნების მიუხედავად, მსგავსი პროექტების მხარდაჭერა აუცილებელია, რადგან ისინი ქმედითად პასუხობენ სოფლის რეგიონებში ლტოლვილთა ინტეგრაციის აუცილებლობას.

✉ **Pierre-Ivan Guyot**, Chef de Service
Neuchâtel, Service de l’agriculture
Route de l’Aurore 1, 2053 Cernier
Telephone: (+41) 32 889 37 00
Fax: (+41) 32 889 37 01
E-mail: sagr@ne.ch

## “Statushouders” (სტატუსის მფლობელები) ცოდნისა და უნარების შემოწმების პროგრამა,[XXIV] ამსტერდამი, ნიდერლანდები

*მოსახლეობა : 813 562*

**შრომით ცხოვრებაში ინტეგრაციის მიზნით, ნიდერლანდებში მუდმივი ცხოვრების სტატუსის მქონე ლტოლვილებს (statushouders) შეუძლიათ ჩაერთონ ამსტერდამის საქალაქო საბჭოს მიერ ინიცირებულ პროგრამაში, რომელიც პერსონალური მიდგომით გამოირჩევა: სტატუსის თითოეულ**

**მფლობელს ენიშნება პირადი მენეჯერი, რომელიც „კლიენტის“ ინდივიდუალური პროფილის საფუძველზე განსაზღვრავს მისი დასაქმებისა და ინტეგრაციის სტრატეგიას.**

პროგრამა მოიცავს შეხვედრების / ინტერვიუების სერიას სტატუსის მფლობელის საჭიროებების შესაფასებლად და ეხმარება მათ დასაქმების / განათლების / ენის კურსების ძიებაში. პროცესის პირველი ნაბიჯია კლიენტის საგანმანათლებლო და პროფესიული პროფილისა და ენების ცოდნის შეფასება. ამის შემდეგ სტატუსის მფლობელებს შეუძლიათ „ლტოლვილთათვის ენის სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის პროგრამაში” ჩარიცხვა, რომელიც მიზნად ისახავს დასაქმების, განათლების, ინტეგრაციისა და ქალაქში დამკვიდრების საკითხების მოგვარებას. სტატუსის მფლობელებს ეხმარებიან CV-ს შედგენაში ინგლისურ და ჰოლანდიურ ენებზე. პროექტის მთავარი მიზანია მონაწილეთა დახმარება საკუთარი მომავლის შენებისათვის შესაძლებლობათა მოძიებაში. ინდივიდუალური მენეჯერის დანიშვნა ემსახურება პერსონალურ დახმარებას, რათა ლტოლვილებმა უკეთ შეძლონ საკუთარი უნარებისა და საჭიროებების მიხედვით თვითრეალიზება და მოიძიონ პროფესიული შესაძლებლობები ნიდერლანდებში. შედეგად, პროგრამის მონაწილეები უფრო სწრაფად ინტეგრირდებიან ამსტერდამის შრომით ცხოვრებაში, უკეთ ეცნობიან საკუთარი გამოცდილებისა და კომპეტენციების შესაბამის შესაძლებლობებს, იუმჯობესებენ ენის ცოდნის დონეს და სწრაფად აფართოებენ სოციალური კავშირების ქსელს.

✉ **City of Amsterdam**
hotline (from within the Netherlands): 14 020
Telephone: (via Skype or from abroad): (+31) 20 624 1111
https://www.amsterdam.nl/immigratie/vluchtelingen/information-for/

*ქსელი*

## *სოლიდარობის ქალაქები(ევროქალაქები)*



პროგრამა Statushouders სოლიდარობის „სოლიდარობის ქალაქების“ პროექტის ნაწილია. „სოლიდარობის ქალაქები“ ლტოლვილთა კრიზისის მართვის მიზნით შემუშავებული ინიციატივაა, რომლის ავტორიც იყო ათენის მერი და რომელიც განხორციელდა „ევროქალაქების“ ქსელის[XXV] ფარგლებში. მისი მიზანია ჩარჩოს შექმნა, რომელიც წარმოაჩენს ქალაქების მიერ გადადგმულ ისეთ ნაბიჯებსა და ინიციატივებს, რომლებშიც გამოკვეთილია ქალაქების პოლიტიკური როლი ლტოლვილთა საკითხის გადაჭრაში. „სოლიდარობის ქალაქების“ ქსელის ფარგლებში ქალაქები უფრო აქტიურად ცდილობენ თანამშრომლობას ევროკომისიასა და წევრ სახელმწიფოებთან ლტოლვილთა სიტუაციის მართვის მიზნით. „სოლიდარობის ქალაქების“ ქსელი ღიაა ევროპის ყველა ქალაქისთვის,

რომელსაც სურს მჭიდრო თანამშრომლობა სხვა ქალაქებთან და მზადაა ლტოლვილთა მიღებისა და ინტეგრაციის საკითხებში სოლიდარობისთვის.

**დამატებითი ინფორმაცია**
http://solidaritycities.eu/about

## *სამუშაო გეგმა ადგილობრივ დონეზე იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტეგრაციისთვის, მარიუპოლი, დონეცკის მხარე, უკრაინა*

*მოსახლეობა : 470 968*

**მარიუპოლი მდებარეობს უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთით, აზოვის ზღვის სანაპიროზე. ქალაქში დაახლოებით 500,000 მოსახლე ცხოვრობს და ამჟამად ქალაქი 100,000-მდე იძულებით გადაადგილებულ პირს მასპინძლობს. ადგილობრივი ხელისუფლება მხარს უჭერს დევნილთა ინტეგრაციას ტოლერანტობის კამპანიების, სოციალური საცხოვრისის სქემებისა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე იძულებით გადაადგილებულ პირთა მოსაზიდად განხორციელებული პროექტების საშუალებით.**

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მხარდაჭერით, მარიუპოლი პირველი ქალაქი იყო უკრაინაში, სადაც 2016 წელს ჩატარდა „სოლიდარობის ქალაქების" ღონისძიება. ის დაგეგმილი იყო, როგორც რეგულარული ფორუმი დევნილთა ადგილობრივი ინტეგრაციის მხარდასაჭერად და მასში მონაწილეობდა სხვადასხვა დაინტერესებული მხარე: ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება, ჰუმანიტარული და განვითარების სააგენტოები, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოება და თავად იძულებით გადაადგილებული პირები. მონაწილეებმა შეათანხმეს ადგილობრივ დონეზე დევნილთა ინტეგრაციის სამუშაო გეგმა ქალაქის განვითარების გეგმის ფარგლებში, რომელიც დევნილთა საკითხის გრძელვადიან გადაწყვეტას გულისხმობს. ასევე შეიქმნა სოლიდარობის ქალაქების ქსელი დევნილთა დახმარებისა და ადგილობრივი ინტეგრაციის წარმატებული გამოცდილების გაზიარების მიზნით. „ტვინების გადინების" თავიდან ასაცილებლად და მაღალკვალიფიციურ იძულებით გადაადგილებულ პირთა მოზიდვის მიზნით ადგილობრივი ხელისუფლება დონეცკიდან დევნილ სამ უნივერსიტეტს მასპინძლობს და მათი ფუნქციონირებისთვის საჭიროებს ხარჯებს ფარავს. იმისთვის, რომ მხარდაჭერა ყოვლისმომცველი იყოს, ადგილობრივი ხელისუფლება ზრუნავს პერსონალსა და სტუდენტებს განსახლებაზე. იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებლის პრობლემების მოსაგვარებლად ქალაქმა უკვე დაასრულა სოციალური საცხოვრებელი სახლების პირველი პროექტი უკრაინაში (ევროკავშირის დაფინანსებით) და ამჟამად ახორციელებს სოციალური საცხოვრისის სხვა პროექტს, რომელიც ბინებით უზრუნველყოფს ოჯახებს შერჩევის გამჭვირვალე კრიტერიუმების საფუძველზე. მარიუპოლის

მუნიციპალიტეტი ადვოკატირებას უწევს დევნილთა ხმის უფლებას ადგილობრივ დონეზე. ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე იძულებით გადაადგილებული პირია.

**Vadym Boychenko**, Mayor
Telephone: (+38) 0 675 432 650
E-mail: vadym.boichenko@mariupolrada.gov.ua;

**Stepan Makhsma**, Secretary of City Council
Telephone : (+38) 0 977 772 797
E-mail: stepan.makhsma@mariupolrada.gov.ua

## *ინიციატივა „დრეზდენი მოქმედებს!“, დრეზდენი, გერმანია*

*მოსახლეობა : 543 825*

**„დრეზდენი მოქმედებს!“ - ამ ინციატივით ქალაქ დრეზდენმა შეკრიბა სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები „IQ საქსონიის ქსელის“ საშუალებით (ინტეგრაცია კვალიფიკაციის გზით), რათა ინტეგრაციის სხვადასხვა ინიციატივით დაეხმაროს ლტოლვილებს, კერძოდ კი შესთავაზოს მათ პლატფორმა უცხოური დიპლომების აღიარებისა და პროფესიული კვალიფიკაციის შეფასებისათვის.**

„IQ ქსელი“ რეგიონული პროექტია, რომელიც ეხმარება ლტოლვილებს უცხოური კვალიფიკაციის აღიარებასა და უნარების შეფასებაში. შეხვედრებისა და ინტერვიუების შემდეგ მონაწილეებს უკეთ შეუძლიათ ორიენტირება გერმანიაში მათი პროფესიული ინტეგრაციის მიზნით არსებულ სერვისებში. პროექტის „ჩემი საქაღალდე“ (Mein Ordner) ფარგლებში შეიქმნა ქალაქში პირველი დამხმარე სტრუქტურა. ის ხელმისაწვდომია ინტერნეტით, სპეციალური აპლიკაციის საშუალებით და ქალაქის ყველა მცხოვრებსა და ლტოლვილებს აწვდის ყოვლისმომცველი ინფორმაციას. გარდა თემატური ფაილებისა, სადაც შედის საჭირო საკონტაქტო ინფორმაცია და ჩამონათვალები ინგლისურ და გერმანულ ენებზე, ამ საქაღალდეების გამოყენება შეიძლება მნიშვნელოვანი დოკუმენტების შესანახად, სხვადასხვა სიტუაციაში. ინიციატივა „დრეზდენი მოქმედებს!“ დრეზდენის, როგორც „ევროქალაქების“ ქსელის წევრი ქალაქის, პასუხია ლტოლვილთა კრიზისზე.

**Employment Agency, City of Dresden**
Telephone: (+49) 351-28851074
Fax: (+49) 351-5292122
E-Mail: dresden.migration@arbeitsagentur.de

**IQ Network Saxony**
Weißeritzstr. 3 (Yenidze), 01067 Dresden
Telephone: (+49) 351-43707040

# მოწყვლადი ჯგუფების დაცვა (ქალები, თანმხლები პირის გარეშე მყოფი ბავშვები)

ქალები და ბავშვები, მათ შორის სექსუალური ძალადობის მსხვერპლი და თანმხლები პირების გარეშე მყოფი არასრულწლოვნები, ჩამოსული მოსახლეობის მნიშვნელოვან წილს შეადგენენ. ისინი განსაკუთრებით დაუცველნი არიან და მიზანმიმართულ ყურადღებასა და მიდგომებს საჭიროებენ ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების მხრიდან. ამ განყოფილების მიზანია, წარმოაჩინოს ის ინიციატივები, რომლებიც ითვალისწინებს ამ ჯგუფების განსაკუთრებულ საჭიროებებს, გულისხმობს მათ ფსიქოლოგიურ დახმარებას, მათდამი მიმღებლობის გრძნობის გაღრმავებას, ბავშვების ინტეგრაციას ადგილობრივ თემში, განათლების სისტემაში და მოგვიანებით კი - შრომით ცხოვრებაში.

## *ტრავმის უფასო მკურნალობა იეზიდი ქალებისა და ბავშვებისათვის, ბადენ-ვიურტემბერგი,[XXVI] გერმანია*

*მოსახლეობა : 10 879 618*

**დაახლოებით 1 100 იეზიდმა ქალმა და ბავშვმა, რომლებიც და ისლამური სახელმწიფოს წევრთა მიერ ჩადენილ ომის დანაშაულებებსა და სექსუალურ ძალადობას გადაურჩნენ, გერმანიაში სპეციალური ვიზა მიიღეს. ისინი განსახლდნენ გერმანიის 22 მუნიციპალიტეტსა და სოფელში, სადაც მიეცათ შესაძლებლობა, მიეღოთ სპეციალისტთა დახმარება ტრავმის დასაძლევად და დასწრებოდნენ ენის შემსწავლელ კურსებს.**

პროექტის ”Sonderkontingent für besonders schutzwürdige Frauen und Kinder aus dem Nordirak“ (სპეციალური კვოტების პროექტი განსაკუთრებით დაუცველი ქალებისა და ბავშვებისთვის ჩრდილოეთ ერაყიდან) ფარგლებში 2015 წლის მარტიდან გერმანიის ქალაქ ბადენ-ვიურტემბერგში შემუშავდა პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს ლტოლვილების უფასო მკურნალობასა და ჰუმანიტარულ საფუძველზე მათთვის ვიზების გაცემას.  ეს მომსახურება მიიღო 1100-ზე მეტმა იეზიდმა ქალმა და ბავშვმა, რომლებიც ისლამური სახელმწიფოს ტყვეობაში იყვნენ[XXVII]. ეს ინიციატივა აიტაცეს ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა და თავშესაფარი და დახმარება შესთავაზეს ლტოლვილებსXXVIII. იან ილჰან ყიზილჰანი, პროექტის წამყვანი ექსპერტი, გაემგზავრა ერაყის ჩრდილოეთში, რათა შეხვედროდა სექსუალური მონობის მსხვერპლ ქალებს და შეერჩია ისინი, ვინც გერმანიაში ჩავიდოდა. გადაწყდა, რომ ხანდაზმული ქალებისთვის, რომლებსაც გაუჭირდებოდათ ახალი ცხოვრების დაწყება ახლობლების გარეშე, პროგრამა ნაკლებად სასიკეთო იქნებოდა. ამიტომ შეარჩიეს საშუალოდ 20 წლის ასაკის ქალები. ბადენ-ვიურტემბერგის მიერ დაფინანსებული პროგრამის ბიუჯეტი 95 მილიონ ევროს შეადგენდა. ქალებს შესთავაზეს უსაფრთხო

თავშესაფარი, ფინანსური და ფსიქოლოგიური დახმარება, ენის კურსებზე და მრავალფეროვან საგანმანათლებლო პროგრამებზე დასწრების საშუალება. კომუნიკაციის სირთულეების მიუხედავად, ბევრმა ადგილობრივმა მოსახლემ გამოთქვა დახმარების სურვილი მოხალისეობრივ საფუძველზე. ქალები და ბავშვები განსახლდნენ 22 სოფელსა და ქალაქში: ბადენ-ვიურტემბერგში (1000 ქალი), ქვემო საქსონიაში (70 ქალი) და შლეზვიგ-ჰოლშტაინში (30 ქალი). მათივე უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, მათი ადგილსამყოფელი საიდუმლოა. ახლახან კანადამ გადაწყვიტა, ისლამური სახელმწიფოს მიერ დაზარალებული 400 ადამიანი მიიღოს გერმანიის მაგალითისა და მეთოდის გამოყენებით.[xxxiii]

**Staatsministerium Baden-Württemberg**
Richard-Wagner-Straße 15, 70184 Stuttgart
Telephone: (+49) 711/21530
E-mail: poststelle@stm.bwl.de

**Dr . Michael Blume**, Project Manager
Hohenheimer Str. 30/1 70794 Filderstadt, Germany
E-mail: blume-religionswissenschaft@email.de

**Professor Dr. Jan Ilhan Kizilhan**, Project’s leading expert
Telephone: (+49) 7720 3906-217
Fax: (+49) 7720 3906-219
E-mail: kizilhan@dhbw-vs.de

## *ლტოლვილთა მომზადება შრომითი ცხოვრებისათვის: “After18” (18-ის შემდეგ), ლესტერი, გაერთიანებული სამეფო*

*მოსახლეობა : 397 100*

**ქალაქი ლესტერი და ინიციატივა ”After18” 2013 წლიდან მუშაობენ ლესტერში თანმხლები პირების გარეშე მყოფი არასრულწლოვნების დახმარების მიზნით, რათა მხარი დაუჭირონ მათ ზრდასრული ასაკისა და შრომითი ცხოვრებისთვის მომზადებაში. სხვადასხვა მომსახურებასთან ერთად ახალგაზრდები იღებენ სპეციფიკურ ინფორმაციას პიროვნული და ემოციური პრობლემების მართვის, დასაქმების შესაძლებლობების ძიების, განათლების დაგეგმვის საკითხებზე.**

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში დიდ ბრიტანეთში საომარი ადგილებიდან ლტოლვილი განსაკუთრებით ბევრი ბავშვი შევიდა. მათგან ბევრი 11 წლის ან უფრო მცირე ასაკისაც იყო. მათთვის, როგორც თანმხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვნებისთვის, სახელმწიფოს ზრუნვის განსაკუთრებული მექანიზმები აქვს. 18 წლის ასაკში ამ ადამიანების იურიდიული სტატუსი იცვლება, რაც მათთვის დიდ სირთულეებს უკავშირდება. ბევრი შესაძლოა, სამშობლოში დაბრუნდეს, ხოლო დარჩენილები დიდ ბრიტანეთში ცხოვრების წესს უნდა

მოერგონ. პროექტი „18 წლის შემდეგ" ეხმარება ახალგაზრდებს ზრდასრული ასაკისთვის მზადებასა და მომავლის დაგეგმვაში.

მაგალითად, 2015 წელს ქალაქ ლესტერმა 14 სხვადასხვა ეროვნების 150 არასრულწლოვანს გაუწია მომსახურება. თავშესაფრის სისტემაში შემავალი ახალგაზრდები ინდივიდუალურ დახმარებას იღებენ, რათა გააცნობიერონ სტატუსის ცვლილების შედეგები, განავითარონ საჭირო კავშირები და დაგეგმონ თავიანთი მომავალი. „18 წლის შემდეგ" თანამშრომლობს მეცნიერებთან თანმხლები პირების გარეშე მყოფი მოზარდების ზრდასრულ ასაკში გადასვლის საკითხების კვლევის მიზნით. After18 ამჟამად თანამშრომლობს პროექტთან Becoming Adult[XXX] , რომელიც შემუშავდა ლონდონის უნივერსიტეტის კოლეჯის ბაზაზე. „18 წლის შემდეგ" ასევე ახორციელებს აქტივობებს[XXXI] ახალგაზრდების სოციალიზაციის მხარდასაჭერად და ახალი უნარების შეთვისების პროცესის გასახალისებლად. პროექტის მიხედვით თითოეულ ჯგუფს ჰყავს სპიკერი, რომელიც ხელს უწყობს ცნობიერების ამაღლებას თავშესაფრის ახალგაზრდა მაძიებლების საჭიროებათა შესახებ[XXXII].

✉ **Irene Kszyk**, Head of Equalities, Leicester City Council
Telephone: (+44) 116 454 41 47
E-mail: Irene.Kszyk@leicester.gov.uk

✉ **Alison Birch**, After 18 (Charity)
Telephone: (+44) 07851 022 125
E-mail: alisonbirch@after18.org.uk
Website: http://www.after18.org.uk

## *სამოქალაქო საზოგადოების არსებული ინიციატივების მხარდაჭერა, სტრასბურგ-ორტენაუს ევროპული რეგიონი, საფრანგეთი და გერმანია*

*მოსახლეობა : 915 000*

**ევრორეგიონმა გადაწყვიტა, ახალი პროექტების შემუშავების ნაცვლად მხარი დაეჭირა არსებული პროექტებისთვის და ამ მიზნით შექმნა ფონდი (30,000 ევრო) ადგილობრივი ასოციაციებისთვის, რომლებიც ლტოლვილ ბავშვთა და მოზარდთა ინტეგრაციის საკითხებზე მუშაობენ, რითაც ხელი შეუწყო ლტოლვილების ინტეგრაციას საზღვრისპირა რეგიონში.**

ფრანგულ-გერმანული ევრორეგიონი ტრანსსასაზღვრო ადმინისტრაციული ერთეულია (ტერიტორიული თანამშრომლობის ევროპული დაჯგუფება), რომელსაც საერთო ინსტიტუციები აქვს და 2010 წლიდან არსებობს.[XXXIII] ამ კონტექსტში დაფინანსებულ პროექტებს შორის იყო ლტოლვილთა განსახლების პუნქტში არტ-თერაპიის ჯგუფების შექმნა. სხვა პროექტები ეხება შემდეგ თემებს:

- ვიზიტების ორგანიზება გერმანული და ფრანგული დაწყებითი სკოლის ბავშვებთან ერთად, მასპინძელი ქვეყნის ტერიტორიისა და კულტურის გასაცნობად;
- თანამედროვე ცეკვის გაკვეთილები ფრანგი, გერმანელი და ემიგრანტი ბავშვებისთვის. ქორეოგრაფიის სწავლება „კუთვნილების“, „თვითმყოფადობისა“ და „პირადი ისტორიის“ ცნებების გააზრების მიზნით;
- შემოქმედებითი მედიაციის სემინარები, რომლებიც ჩაატარეს მხატვრებმა კლინიკური ფსიქოლოგის ჩართულობით ლტოლვილებისა და სკოლის მოსწავლეებისთვის სტრასბურგში;
- სამეცნიერო აქტივობები;
- ფოტოგრაფიის სემინარები, სადაც ლტოლვილ ბავშვებს შეუძლიათ მიგრაციის პროცესში და ახალ საცხოვრებელ გარემოში გადაღებული ფოტოების წარმოდგენა.

ევრორეგიონმა წარმატებით განახორციელა 17 სამეცნიერო და შემოქმედებითი პროექტი ფრანგ და გერმანელ ბავშვებთან ლტოლვილი ბავშვების დაახლოების მიზნით, რითაც მხარი დაუჭირა საერთაშორისო, კულტურათაშორის ინტეგრაციას. ეს მიდგომა არა მხოლოდ ხაზს უსვამს ადგილობრივი ასოციაციების სტრატეგიულ მნიშვნელობას, რომლებსაც ხშირად ყველაზე ქმედითი სოციალური კავშირები, ცოდნა და გამოცდილება აქვთ ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, არამედ ნათლად აჩვენებს ტრანსსასაზღვრო რესურსების გაერთიანების შესაძლებლობასაც.

**GECT Eurodistrict Strasbourg-Ortenau**
Telephone: (+49) 7851-899 750
E-mail: info@eurodistrict.eu
Website: http://bit.ly/2n0pXkF

## *ინიციატივა Stadtteilmütter (რაიონის დედები) - ბერლინი - ნიოკელნი, გერმანია*

*მოსახლეობა : 322 931*

**Stadtteilmütter-ის (რაიონის დედების) სქემის ფარგლებში დატრენინგდა 140 მიგრანტი ქალი, რომლებიც ემიგრანტთა 100-მდე ოჯახს გააცნობენ განათლების, დასაქმების, ბავშვთა მოვლის, იურიდიულ და ჯანდაცვის საკითხებს, მიაწვდიან სხვადასხვა ინფორმაციის და ხელს შეუწყობენ ადგილობრივი ქსელის გაძლიერებას ინტეგრაციისთვის.**

ემიგრანტი ქალები და დედები გადიან ტრენინგის მოკლე კურსს, რომელიც მათ საშუალებას აძლევს, საკუთარი თემის წარმომადგენლებს მიაწოდონ ინფორმაცია სხვადასხვა საკითხზე (ემიგრაცია, ენა, სამუშაო, ჯანმრთელობა, კანონი, ბავშვის მოვლა, ბავშვებისა და ახალგაზრდების მიზნობრივი განვითარება). ეს ადამიანები

ინფორმაციას აწვდიან იმ ჯგუფებს, რომლებიც განათლებისა და სოციალური სერვისების მიღმა არიან დარჩენილი და ეს ინიციატივა უადვილებს ემიგრანტ ოჯახებს სამეზობლოსთან კავშირს. თავად ქალები კი იძენენ ისეთ უნარ-ჩვევებს, რაც მათ ეხმარება საკუთარი, როგორც დედისა და აღმზრდელის, როლის უკეთ შესრულებაში. მათ ეძლევათ ანაზღაურება, რაც ასევე მნიშვნელოვანია შრომის ბაზარზე თვითდამკვიდრებაში. მიგრანტი ოჯახებისთვის მშობლიურ ენაზე მიწოდებული ინფორმაცია მნიშვნელოვნად აჩქარებს ინტეგრაციის პროცესს. ამ თვალსაზრისით, პროექტი ხელს უწყობს როგორც სამეზობლოში მიგრანტთა ინტეგრაციას, ასევე თავად მედიატორების გაძლიერებასაც.

**Diakoniewerk Simeon gGmbH /Stadtteilmütter Neukölln**
Karl-Marx-Str. 83, 12040 Berlin, Germany
Telephone: (+49) 30902394185
Fax: (+49) 30902394419
E-mail: stadtteilmuetter@diakoniewerk-simeon.de

## განათლებაზე წვდომის გაუმჯობესება

ახალ საცხოვრებელ ადგილას, ახალ თემში ინტეგრაცია ხარისხიანი განათლებით იწყება. ეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფასეულობაა ლტოლვილთათვის. განათლება საშუალებას აძლევს მათ, შეისწავლონ მასპინძელი თემის ენა, კულტურა და ტრადიციები და შეიძინონ ახალი ცოდნა და უნარები, რათა საზოგადოების სრულფასოვან წევრებად იქცნენ. ინიციატივები, რომლებიც ხელს უწყობს განათლების ხელმისაწვდომობას, მაგალითად, ღია სკოლები და უნივერსიტეტები, დროებითი საგანმანათლებლო საშუალებები, ენის დაჩქარებული კურსები და ა.შ. მნიშვნელოვანია წარმატებული ინტეგრაციისთვის.

### *მუნიციპალიტეტის კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობა რეგიონის თითოეული მცხოვრებისთვის, გორი, საქართველო*

*მოსახლეობა : 48 143*

**მუნიციპალიტეტის კულტურულ და ისტორიულ მემკვიდრეობაზე თანაბარი წვდომა რეგიონის თითოეულ მცხოვრების, მათ შორის იძულებით გადაადგილებული პირებისთვის, ადგილობრივ თემში უმტკივნეულო ინტეგრაციის საწინდარია.**

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტმა ასოციაცია FLEX Alumni-ს უფასოდ გადასცა აუდიოვიზუალური აპარატურა იძულებით გადაადგილებული ოჯახების ბავშვებისთვის ორთვიანი ინგლისურენოვანი საზაფხულო ბანაკის მოსაწყობად

გორის ახალგაზრდობის სასახლეში. ეს ქალაქ გორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შენობაა. მუნიციპალიტეტის აქტიურმა ჩართულობამ შესაძლებელი გახადა ამ ამბიციური პროექტის განხორციელება, რომელიც დაეხმარა იძულებით გადაადგილებული ოჯახების ბავშვებს ცოდნის შეძენაში, ახალი ენის შესწავლაში, ქალაქის ცხოვრების ნაწილად აქცია ისინი და აზიარა ადგილობრივ კულტურულ მემკვიდრეობას.

**Contact**
Tamar Mepe st.
Telephone: (+995) 5 77 500 912



## *უმაღლეს განათლებაზე წვდომა მაღალკვალიფიციური ლტოლვილებისთვის, ერლანგენ-ნიურნბერგი (FAU), გერმანია*

*ერლანგენის მოსახლეობა : 108 336 ; ნიურნბერგი: 501 072*

**როგორც „ინტერკულტურული ქალაქების ქსელის“ წევრმა, ქალაქ ერლანგენმა მხარი დაუჭირა ერლანგენ-ნიურნბერგის უნივერსიტეტის (FAU), გერმანიის ერთ-ერთი პირველი უნივერსიტეტის, ძალისხმევას, რომელიც ითვალისწინებდა ლტოლვილებისთვის უმაღლესი განათლების მხარდაჭერას უნივერსიტეტში ჩარიცხვის ბიუროკრატიული პროცედურების გამარტივებით, ინტერვიუების ჩატარებითა და ენის შემსწავლელი კურსების შეთავაზებით.**

2015 წელს ერლანგენ-ნიურნბერგის უნივერსიტეტმა წამოიწყო პროექტი „სწავლის შესაძლებლობები ლტოლვილებისთვის“. პროგრამის პირველ ფაზაში უნივერსიტეტის საერთაშორისო საქმეთა ცენტრალური სამსახურის განყოფილების გუნდი ატარებს საორიენტაციო ინტერვიუებს სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და პროფესიული ორიენტაციის სამსახურთან ერთად, რათა დაადგინოს ლტოლვილების კვალიფიკაცია და გერმანული ენის ცოდნის დონე. თავშესაფრის მაძიებლები და ლტოლვილები, რომლებიც აკმაყოფილებენ უნივერსიტეტში ჩარიცხვის კრიტერიუმებს, პროგრამაში ირიცხებიან პირველივე ინტერვიუს შემდეგ. შემდეგ ისინი ესწრებიან გერმანული ენის კურსებს ენის ცოდნის სათანადო დონის მისაღწევად. პროგრამის შემდგომი ეტაპი მოიცავს საცდელ ლექციებზე დასწრების შესაძლებლობას.

ჩარიცხული სტუდენტები გადიან დამატებით პრაქტიკულ ტრენინგებს სწავლის დაწყებამდე. საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილება მჭიდროდ თანამშრომლობს განათლების ადგილობრივ პროვაიდერებთანაც, რათა ლტოლვილებს, რომლებიც არ აკმაყოფილებენ გერმანულ უნივერსიტეტში სწავლის კრიტერიუმებს, ჰქონდეთ განათლების ალტერნატიული შესაძლებლობები.

უნივერსიტეტის სტუდენტები ნებაყოფლობით ეხმარებიან ლტოლვილებს, ერთობლივ პროექტებს ახორციელებენ მათთან, ტუტორის როლს ასრულებენ

მათთვის და ეხმარებიან უწევენ ყოველდღიური პრობლემების მოგვარებაში. უნივერსიტეტის „იურიდიულ კლინიკაში“ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები ეხმარებიან ლტოლვილებს თავშესაფრის პროცედურების მოგვარებაში და მოხალისე ადვოკატების მოძიებაში. ადამიანის უფლებათა და მედიცინის სამუშაო ჯგუფი დახმარებას უწევს ლტოლვილებს განსახლების, სამედიცინო დახმარების საკითხებზე და საჭიროების შემთხვევაში ამისამართებს მათ ადგილობრივ ექიმებთან.

პროექტი თავიდანვე ძალიან წარმატებული აღმოჩნდა. ეს შესაძლებელი გახადა უნივერსიტეტის საბჭოს, უნივერსიტეტის წევრების, მოხალისე სტუდენტების, ერლანგენის, ფიურტისა და ნიურნბერგის მუნიციპალიტეტებისა და სხვა ადმინისტრაციული ოლქების მჭიდრო თანამშრომლობამ. გარე დაფინანსება აუცილებელი იყო პროგრამის რეალიზაციისთვის. თავიდან პროგრამა დააფინანსა ერლანგენ-ნიურნბერგის უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის ასოციაციამ, 2015 წლის ბოლოს კი Deutsche Akademische Dienst (DAAD) გამოეხმაურა ახალ რეალობას და დაფინანსების სპეციალური პროგრამები შემოიღო. FAU-ს ძალისხმევა განსაკუთრებულად წარმატებული აღმოჩნდა: 2015 წლიდან მოყოლებული დღემდე უნივერსიტეტის თანამშრომლებმა, მათი მუდმივი მოვალეობების მიღმა, 1800 საორიენტაციო ინტერვიუ ჩაატარეს, რამაც განათლების მიღების საშუალება მისცა 300 ლტოლვილს.

**Friedrich Alexander University Erlangen Nurnberg**
Department for International Affairs

**Dr. Brigitte Perlick**, Head of Department
Telephone: (+49) 9131 85-65170
Fax: (+49) 9131 85-65162
E-Mail: brigitte.perlick@fau.de
Helmstr. 1, Eingang A 91054 Erlangen, Germany

## *განათლების დროებითი ცენტრი, სულთანბეილი, სტამბოლი, თურქეთი*

*მოსახლეობა : 302 388*

**რაიონი ხელს უწყობს სირიელი ბავშვების განათლებას დროებითი სწავლების ცენტრების საშუალებით, სადაც ბავშვები შეისწავლიან თურქულ ენას. გარდა ამისა, გამარტივებულია კრიტერიუმები, რომლებიც უნდა დააკმაყოფილონ სკოლის ასაკის ბავშვების ოჯახებმა სახელმწიფო დახმარების მისაღებად.**

ენის ბარიერის გამო, ლტოლვილთა შვილების სკოლებში მიღება თურქეთის ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევაა. სულთანბეილის რაიონმა სირიელი ბავშვებისთვის დროებითი სწავლების ცენტრი გახსნა, რომელსაც ეროვნული განათლების სამინისტრო აღიარებს და რომლის მიზანია, დაეხმაროს სირიელებს თურქულ საზოგადოებასთან

ჯანსაღ კომუნიკაციასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში სწრაფ ადაპტაციაში. ენის გაკვეთილები მთელი კვირის განმავლობაში ტარდება[XXXIV]. 2016 წლის სექტემბრისთვის სულთანბეილის სასწავლო ცენტრში 1200 ბავშვი იყო აღრიცხული.

ჰუმანიტარული დახმარების მისაღებად სკოლის ასაკის ბავშვების ოჯახებმა უნდა დაარეგისტრირონ ისინი ადგილობრივ სასწავლო ცენტრში. ამ ინიციატივას არა ერთი გამოწვევაც უკავშირდება. დაინტერესებული მხარეები ირწმუნებიან, რომ საჭიროა შემდგომი საგანმანათლებლო დაწესებულებების არსებობა და უფრო მკაცრი სასკოლო მოთხოვნები ჰუმანიტარული დახმარების კონტექსტში. პროექტის წარმატების ერთ-ერთი მაჩვენებელია ის, რომ სულთანბეილის ოლქში მცხოვრები სირიელი ბავშვების 50% ირიცხება სკოლაში, მაშინ, როცა თურქეთის მასშტაბით ეს მაჩვენებელი მხოლოდ 25%-ია. ეს სულთანბეილის ლტოლვილთა საკოორდინაციო ცენტრის მონაცემებია.[XXXV]

**Association for Assistance and Solidarity for Refugees and Asylum Seekers**
Turgut Reis Mah. Fatih Bulvarı, Postcode: 34930
No: 306 Sultanbeyli /İstanbul, Turkey
Telephone: (+90) 216 564 45 45
E-Mail: info@multeciler.org.tr

**Refugee Education Centre Address**
Abdurrahmangazi Mah. Petrol Yolu Cad. No: 169, Sultanbeyli / Istanbul

## *ინიციატივა „ღია სკოლები“, ათენი, საბერძნეთი*

*მუნიციპალიტეტის მოსახლეობა : 664 046*

**25 საჯარო სკოლის სამეცნიერო, შემოქმედებითი და სპორტული საქმიანობის ცენტრებად გარდაქმნით და ათენელებისა და ლტოლვილებისთვის ენის კურსების ორგანიზებით ათენმა მოახერხა ლტოლვილი და ბერძენი ბავშვების ერთმანეთთან დაკავშირება და სამეზობლოებისა და ადგილობრივი სკოლების ჩართულობის გაზრდა ლტოლვილთა ინტეგრაციის პროცესში. ამით ქალაქმა ლტოლვილ ბავშვებს შესთავაზა უფრო უსაფრთხო გარემო, სადაც მათ შეუძლიათ სწავლა და გართობა საცხოვრებელი ცენტრების გარეთაც.**

2015 წელს ათენმა წამოიწყო ინიციატივა „ღია სკოლები“ - პროგრამა, რომლის მიზანია ათენის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი საჯარო სკოლების გარდაქმნა სპორტის, კრეატიული სწავლების, ენის კურსების და სხვა აქტივობათა ცენტრებად, რომლებიც მოემსახურება როგორც ათენის მცხოვრებლებს, ასევე ლტოლვილებს. ამ ინიციატივის შედეგად სკოლების შენობები ღიაა გაკვეთილების დასრულებიდან საღამოს 9:30 საათამდე სამუშაო დღეებში და დილის 10 საათიდან 8 საათამდე შაბათ-კვირას. ეს ფორმატი არა მხოლოდ ადგილობრივი ენის შესწავლასა და კულტურასთან დაახლოებაში ეხმარება

ლტოლვილ ბავშვებს, არამედ ხელს უწყობს უშუალო კონტაქტს ლტოლვილებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ყველა ასაკში. სკოლის შენობები მასპინძლობს შემოქმედებით სემინარებს ყველა ასაკის ადამიანებისთვის და ხელს უწყობს ადგილობრივი თემის შეკრულობას. პროგრამას ხელმძღვანელობს ქალაქ ათენის მუნიციპალიტეტი და აფინანსებს სტავროს ნიარქოსის ფონდი.

2016 წლის ზაფხულში „ღია სკოლების" 1250 მონაწილიდან 450 ლტოლვილი იყო. დღეს ეს ინიციატივა ათენის მუნიციპალიტეტის 25 საჯარო სკოლასა და 170 კურსს მოიცავს. მასში ჩართულია სულ 10 184 მონაწილე.[XXXVI]

**Open Schools**
22 Liosion Street, 5th floor 10438 Athens, Greece
Telephone: (+30) 210 52 77089 or (+30) 210 52 77 570
E-mail: info@athensopenschools.gr

## *მობილური აპლიკაცია Funzi - მიგრანტთა დახმარება ადგილობრივი ენის, ფასეულობებისა და ტრადიციების შესწავლაში, ესპოო, ფინეთი*

*მოსახლეობა : 270 744*

**ლტოლვილთა ინტეგრაციის პროცესის თანამედროვე ტექნოლოგიებით გამარტივების მიზნით და ლტოლვილთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გასაადვილებლად ფინეთში შეიქმნა აპლიკაცია Funzi, ესპოოს საიმიგრაციო სამსახურთან თანამშრომლობით. ეს არის მობილური სწავლისა და ინფორმაციის უფასო სერვისი, რომელიც მობილური ტელეფონების მომხმარებლებს აწვდის სანდო ინფორმაციას განათლების, ენის კურსებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ მთელ მსოფლიოში.**[XXXVII]

აპლიკაცია მარტივია, მომსახურება ყველა მიგრანტზე ვრცელდება. მისი თავდაპირველი ვერსია ინგლისურენოვანია, თუმცა მუშავდება ვერსიები სხვადასხვა ენაზე. Funzi შეიცავს ოფიციალური წყაროებიდან აღებულ, სანდო ინფორმაციას, რომელიც საშუალებას აძლევს იმიგრანტებს, უფრო ეფექტურად მოაგვარონ ყოველდღიური გამოწვევები და საკუთარი ინტერესების მიხედვით მოიძიონ შესაბამისი ორგანოები. მომსახურება უფასოა და ხელმისაწვდომია მსოფლიოს ყველა კუთხიდან. კომპანია გეგმავს საქმიანობის გაფართოებას; ევროკავშირის მასშტაბით გამოქვეყნდება თავშესაფრის მაძიებელთა სპეციფიკური მიზნობრივი სასწავლო პაკეტები. გარდა ამისა, Funzi სთავაზობს მომხმარებლებს მობილურ კურსებს დასაქმებისა და მეწარმეობის უნარების განვითარებისთვის, რაც გაუადვილებს იმიგრანტებს საკუთარი პროფესიული უნარების რეალიზებას შრომის ბაზარზე.

Funzi-ს კურსები მოცემულია საინფორმაციო ბარათების პაკეტების სახით, რომლებიც ჩაშლილია მცირე, ადვილად გასაგებ მონაკვეთებად. ბარათის

წაკითხვისა და გააზრების შემდეგ მომხმარებელს საშუალება აქვს, უპასუხოს შესაბამის კითხვას და მყისიერად გაარკვიოს საკუთარი ცოდნა. თავდაპირველი ვერსია ემსახურებოდა განვითარებად ქვეყნებში ინფორმაციის საჭიროებების დაკმაყოფილებას. 2014 წელს Funzi-მ გამოუშვა პაკეტები „მეწარმეობა" და „იშოვე სამსახური", რომლებიც გამოიყენება ბოცვანაში, კენიაში, ნიგერიაში, ტანზანიასა და სამხრეთ აფრიკაში.

**Tero Salonen**, CEO Funzilife
Telephone: (+35)8405062440
E-mail: tero@funzi.fi; info@funzi.fi
Website: www.funzi.fi
Funzi and the city of Espoo: http://bit.ly/2DzgFao



# სიძულვილის ენასა და ძალადობრივი ექსტრემიზმის გამოვლინებებთან ბრძოლა

ძირითადი მექანიზმების არსებობის მიუხედავად (როგორიცაა საცხოვრებელი, დასაქმება, განათლება), ლტოლვილთა ფაქტობრივი ინტეგრაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან შეუძლებელია, სანამ არსებობს სიძულვილის ენა და ძალადობრივი ექსტრემიზმის გამოვლინებები. ასეთი პრაქტიკა იწვევს დაზარალებული ჯგუფების გარიყვას და აფერხებს თანასწორ და მშვიდობიან თანაცხოვრებას საზოგადოებაში. შესაბამისად, სიძულვილის ენისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ინტეგრაციის ადგილობრივი და რეგიონული პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს. ამ ბოლო მონაკვეთში მოცემულია ინოვაციური პრაქტიკის მაგალითები, რომლებიც ხელს უწყობს კულტურულ მგრძნობელობის გაღვივებას, ადამიანების ჩართვას ღია დისკუსიებში, სკოლებსა და უნივერსიტეტებში სტერეოტიპებისა და არასწორი შეხედულებების აღმოფხვრის სტრატეგიების დანერგვასა და ახალი ტექნოლოგიების და ხელოვნების მეშვეობით ცნობიერების ამაღლებას.

## *ვებ-აპლიკაცია, რომელიც ამოწმებს მოქალაქეთა ცოდნას იმიგრაციის საკითხებზე და ემსახურება მიგრანტებთან დაკავშირებული მცდარი შეხედულებების აღმოფხვრას, ბილბაო, ესპანეთი*

***ინტერკულტურული ქალაქების ქსელის წარმატებული გამოცდილება***

*მოსახლეობა : 345 141*

**სიძულვილის ენისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის აღმოსაფხვრელად შექმნილი ეს აპლიკაცია ამოწმებს მომხმარებელთა ცოდნას იმიგრაციის**

**საკითხებზე და ფაქტებზე დაფუძნებული ქვიზების მეშვეობით გამოავლენს სიმართლეს ან იმიგრანტებთან დაკავშირებულ მცდარ შეხედულებებს. აპლიკაცია ემსახურება ამ თემაზე ცნობიერების ამაღლებას და წარმოაჩენს სტერეოტიპებისა და მცდარი შეხედულებების უარყოფით შედეგებს.**

ბილბაოს საკომუნიკაციო კამპანიაში გამოყენებული მთავარი მეტაფორა არის ქოლგა, როგორც ციდან ჩამოცვენილი მცდარი შეხედულებებისაგან თავის დაცვის სიმბოლო. კამპანიამ შეიმუშავა მოკლე თამაში, ორი ფორმით, გადასაფხეკი ბარათები და ვებ აპლიკაცია, რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს, შეაფასოს, რამდენად თავისუფალია სტერეოტიპებისა და არასწორი შეხედულებების ზეგავლენისაგან. გამოიყენება „მრავალპასუხიანი კითხვები". გარდა ამისა, თითოეულ პასუხთან ერთად მოცემულია სწორი ინფორმაცია ვრცელი სახით, რათა სტერეოტიპებისა და დამკვიდრებული მცდარი მოსაზრებების შესახებ ამაღლდეს საზოგადოების ცნობიერება, რადგან სტერეოტიპები და მცდარი მოსაზრებები ყოველთვის უარყოფითად აისახება საზოგადოებრივ ერთობას. თამაშის ბოლოს მომხმარებელი ხედავს საბოლოო ქულას, რაც მიანიშნებს სტერეოტიპებისაგან მისი თავისუფლების ხარისხს. ამ ინფორმაციის სოციალურ ქსელებში გავრცელებით მომხმარებელმა შეიძლება მიიღოს დამატებითი „ქულები" და შეუერთდეს მულტიკულტურალიზმის, სოციალური ერთობის მხარდაჭერისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიას.

იგივე მიზნით, იმ ადამიანებისთვის, რომლებიც არ არიან აღჭურვილი ინფორმაციული ტექნოლოგიებით, შეიქმნა თამაშის საქაღალდე ვერსია.

2014 წლის სექტემბრიდან 2015 წლის თებერვლამდე აპლიკაცია გადმოიწერა 1300-ზე მეტმა მომხმარებელმა და საშუალოდ თითო სესიაზე ოთხ წუთზე მეტი დაიხარჯა.[XXXVIII]

**María Begoña Cortázar Zubiaguirre**
Head of Immigration Bureau, Bilbao City Council
Telephone: (+34) 94 420 3104
E-mail: begona.cortazar@ayto.bilbao.net

## *უნივერსიტეტის სტუდენტების მომზადება რასისტული დამოკიდებულებების წინააღმდეგ ბრძოლისთვის,[XXXIX] პატრასი, საბერძნეთი*

*მოსახლეობა : 260 308*

**კულტურულად მგრძნობიარე და მრავალფეროვნების დამფასებელი მომავალი მასწავლებლების მნიშვნელობის გააზრებით 250 მომავალ მასწავლებელს (ბაკალავრიატის სტუდენტებს) სთხოვეს სტერეოტიპების საწინააღმდეგო კამპანიის შემუშავება და განხორციელება მულტიკულტურალიზმის კურსის ფარგლებში, რომელსაც ისინი პატრასის უნივერსიტეტში გადიოდნენ.**

2015 წლის მარტიდან ივნისის ჩათვლით, კამპანიამ C4i პატრასის უნივერსიტეტში ჩაატარა საგანგებო პროფესიული ტრენინგი მომავალი პედაგოგებისთვის სტერეოტიპების დაძლევის თემაზე. თავდაპირველად სტუდენტები მოამზადეს C4i-ის აგენტებად, რომლებიც იმუშავებდნენ პატრასის სკოლებში და იმ არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომლებიც მრავალფეროვნებისა და მიგრაციის საკითხებზე მუშაობენ. სტუდენტებმა აღრიცხეს დამკვიდრებული მცდარი შეხედულებები და სტერეოტიპები, შეიმუშავეს და განახორციელეს მათ აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებები სამუშაო ადგილზე, შემდეგ შეაფასეს ამ ღონისძიებათა ეფექტურობა და მოამზადეს შესაბამისი დეტალური ანგარიშები, რომლებიც სხვადასხვა ღონისძიებაზე წარმოადგინეს (მაგალითად,ადგილობრივი დემოკრატიის ევროპულ კვირეულზე დელფოში, 2015 წლის ოქტომბერში).

სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიაში მონაწილეობის შემდეგ გამოჩნდა, რომ სტუდენტები უფრო დადებითად არიან განწყობილნი მრავალფეროვნების მიმართ. ეს პროექტი შეადგენდა საუნივერსიტეტო კურსის პრაქტიკულ კომპონენტს, რადგან იგი სტუდენტებს საშუალებას აძლევდა, პრაქტიკულად, რეალურ სამუშაო გარემოში გამოეყენებინათ თავიანთი ცოდნა. ეს პროექტი უნივერსიტეტის სასწავლო გეგმაში სტერეოტიპების აღმოფხვრის სტრატეგიის ინტეგრირების მდგრადი გეგმის შემუშავების პირველ ნაბიჯადაც შეიძლება ჩაითვალოს.

**Municipality of Patras**
Maizonos 108, 26221 Patras, Greece
Telephone: +30 2613610200
Website: http://pjp-eu.coe.int/en/web/c4i/patras

## *სტერეოტიპების საწინააღმდეგო კაფე, ბოტჩირკა, შვედეთი*

***ინტერკულტურული ქალაქების ქსელის წარმატებული გამოცდილება***

*მოსახლეობა : 90 675*

**ბოტჩირკაში ემიგრანტების შესახებ გავრცელებული სტერეოტიპების აღმოსაფხვრელად მუნიციპალიტეტმა შექმნა საჯარო პლატფორმა სტერეოტიპებისა და ცრუ შეხედულებების განხილვისა და კვლევის მიზნით. 2014 წლის იანვრიდან სექტემბრამდე მოეწყო სტერეოტიპების საწინააღმდეგო ოთხი კაფე. პროექტში 100 ადამიანი მონაწილეობდა.**

ბოტჩირკა ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე დაბალი შემოსავლის მქონე მუნიციპალიტეტია სტოკჰოლმის ოლქში. ის შვედეთის მასშტაბით მესამე ქალაქია ყველაზე ახალგაზრდა მოსახლეობით. 2010 წელს ბოტჩირკა გახდა მუნიციპალიტეტი, რომელსაც მთელ შვედეთში უცხოელ მოქალაქეთა ყველაზე დიდი წილი ჰყავდა (53.2%)[XL]. „სტერეოტიპების საწინააღმდეგო კაფე“ ბოტჩირკას ინიციატივაა, რომელიც „კომუნიკაცია ინტეგრაციისთვის“ (C4i) კამპანიის

ფარგლებში შეიქმნა.

თითოეული კაფე მიგრანტებთან დაკავშირებულ რომელიმე ერთ სტერეოტიპს აკვირდებოდა. შერჩეული თემები იყო: „კრიმინალი“, „შვედური და იმიგრანტი კულტურების შეუთავსებლობა“, „სახელმწიფო რესურსების არათანაბარი განაწილება“ და „შვედეთის კულტურას საფრთხე ემუქრება“. თემა „შვედეთის კულტურას საფრთხე ემუქრება“ ყველა კაფეს აერთიანებდა.

მიუხედავად ამ თემებისადმი ინტერესისა, შვედები ნაკლებად დადიოდნენ ამ კაფეებში, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც ემიგრანტების მაღალი კონცენტრაციაა. ამ გამოწვევაზე საპასუხოდ სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებს ეგზავნებოდა „დამატებითი მოსაწვევები“ და ინფორმაცია ვრცელდებოდა სოციალური მედიის საშუალებით (ფეისბუქი, ინტრანეტები და ა.შ.).

კაფეების მიზანი იყო ხალხის წახალისება სტერეოტიპებზე სასაუბროდ, რასაც ჩვეულებრივ ერიდებიან ხოლმე ადამიანები. მონაწილეთა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ეს მიზანი მიღწეული იყო. მონაწილეები განიხილავდნენ, რამდენად საფუძვლიანი იყო ბოტჩირკაში გავრცელებული სტერეოტიპები და შეხედულებები და ყვებოდნენ მაგალითებს საკუთარი ცხოვრებიდან.

**Municipality of Botkyrka**
Selin Kayhan, Project manager of the anti-rumour Campaigns
Telephone: (+46) 8 530 610 00 - Fax: (+46) 8 530 223 50
Email: selin.kayhan@botkyrka.se
kontaktcentre@botkyrka.se

## *ნუ ასაზრდოებ სტერეოტიპებს! ამადორა[XLII], პორტუგალია*

*მოსახლეობა : 175 136*

**ეს ღია და ინოვაციური კამპანია, რომლის მიზანია სკოლებში სტერეოტიპების, მცდარი მოსაზრებების და სიძულვილის ენის აღმოფხვრა და ინკლუზიური საგანმანათლებლო სისტემის პოპულარიზაცია, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, ჩაუღრმავდნენ თავიანთ გრძნობებსა და მოსაზრებებს, გაიაზრონ კულტურული განსხვავებები, სტერეოტიპები და საყოველთაოდ გავრცელებული მცდარი შეხედულებები პოზიტიური დიალოგისა და ხელოვნების საშუალებით.**

პროექტის „კომუნიკაცია ინტეგრაციისთვის“ (C4i) ფარგლებში ქალაქი ამადორა ახორციელებს საკომუნიკაციო კამპანიას, რომელიც ორიენტირებულია განათლებასა და სკოლებზე. კამპანიის მიზანია, აღმოფხვრას კვლევების შედეგად გამოვლენილი სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც სკოლებს, სადაც მეტი მიგრანტი მოსწავლეა, წარმატების უფრო დაბალი მაჩვენებელი აქვთ. კამპანიის ფარგლებში საშუალოს სკოლის, Seomara da Costa Primo-ს 60 მოსწავლე დატრენინგდა „სტერეოტიპებთან მებრძოლ აგენტად“. მათ სხვადასხვა

მხატვრული რესურსი გამოიყენეს სტერეოტიპებისა და მათთან ბრძოლის თემატიკის წარმოსაჩენად, როგორიცაა ფოტოგრაფია, სიმღერა და ვიზუალური ხელოვნება. მოეწყო თემატური დისკუსია „როგორ ვხედავ სხვებს?“ და ბოლოს, კამპანიის ფარგლებში, ქალაქმა გამართა ფრანების შეჯიბრი, რომელშიც ყველა დაწყებითი და საშუალო სკოლა მონაწილეობდა. შეჯიბრი 2015 წლის 2 მარტიდან 30 აპრილამდე მიმდინარეობდა.

პროექტმა „კომუნიკაცია ინტეგრაციისთვის“ შეიმუშავა ინოვაციური მეთოდოლოგია, რომლისთვისაც გამოიყენა კონკრეტულ ინფორმაციაზე დაფუძნებული სხვადასხვა საკომუნიკაციო მიდგომები (მაგ. საიმიგრაციო სტატისტიკა, ემიგრანტთა სოციალურ-ეკონომიკური როლი მასპინძელ ქვეყანაში) და ჩაატარა სტერეოტიპების აღმოფხვრის ტრენინგები, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას აწვდის ობიექტურ ინფორმაციას და ხელს უწყობს სტერეოტიპების საწინააღმდეგო ქსელის შექმნას[XLIII]. ამ მეთოდოლოგიით განხორციელებული და ადგილობრივი პოლიტიკური პასუხისმგებლობით დატვირთული ეს პროექტი ძალიან კარგად მიიღო მოსახლეობამ. სტერეოტიპების აღმოფხვრის სტრატეგია და მრავალფეროვნების მხარდაჭერის პოლიტიკა შევიდა სასკოლო სასწავლო გეგმასა და საზოგადოებრივ დისკურსში მუნიციპალიტეტის მასშტაბით. პროექტის ერთი შედეგი ისიც იყო, რომ სკოლებთან მჭიდრო კავშირმა და კამპანიით გამოწვეულმა ინტერესმა შთააგონა პედაგოგები, ამადორას ყოველწლიური თეატრალური კონკურსის თემად მრავალფეროვნება აერჩიათ. პროექტის „ნუ ასაზრდოებ სტერეოტიპებს!“ განხორციელების შემდეგ ქალაქი ამზადებს იმიგრანტების ინტეგრაციის მუნიციპალურ გეგმას, რომელიც დისკრიმინაციისა და სტერეოტიპების აღმოფხვრას ეძღვნება.

**Amadora City Council**
Avenida Movimento das Forças Armadas No.1
2700-595 Amadora Portugal
Telephone: (+351) 21 436 90 00 - Fax: (+351) 21 492 20 82
Email: geral@cm-amadora.pt - Website: http://bit.ly/2DqgCcS

## *„Lublin 4 All“ - საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანია მიგრანტებთან დაკავშირებით, ლუბლინი, პოლონეთი*

*მოსახლეობა : 349 103*

**2012-2014 წლებში ქალაქ ლუბლინის მერიამ შვეიცარიის კანტონთან, ნევშატელთან ერთად განახორციელა კამპანია „Lublin 4 All“ (ლუბლინი ყველასათვის), რომელიც ეძღვნებოდა ქალაქის ადგილობრივ მრავალფეროვნებას. კამპანიამ ხელი შეუწყო ქალაქის ადმინისტრაციის თანამშრომელთა ინტერკულტურული ჩართულობის გაზრდას და ინტეგრაციის ხელშეწყობის მდგრადი სტრუქტურების შექმნას. ეს ყველაფერი**

**მოხდა ქალაქში, რომელმაც სულ ახლახან განიცადა სერიოზული პოლიტიკურ-ეკონომიკური ტრანსფორმაცია.**

კამპანია განხორციელდა პროექტის „კომუნიკაცია ინტეგრაციისთვის" ფარგლებში და შვეიცარიის მთავრობის გრანტით დაფინანსდა. ის მოიცავდა ისეთ საქმიანობებს, როგორიცაა გამოკითხვები, რეგულარული შეხვედრები ინტეგრაციის მხარდამჭერ ჯგუფებთან, კულტურული მგრძნობელობის სემინარები და ლუბლინის მცხოვრებთა პორტრეტების ფოტოგამოფენები. კამპანიამ დადებითი როლი[XLIV] შეასრულა კულტურათაშორისი ჩართულობის გაზრდაში და ქალაქის ადმინისტრაციის თანამშრომლების კოორდინირებულ მუშაობაში. „ლუბლინი ყველასათვის" აერთიანებდა ადგილობრივი ხელისუფლების სხვადასხვა სამსახურების თანამშრომლებს, პროექტი ითვალისწინებდა შვეიცარიის წარმატებული გამოცდილების გაზიარებასა და შესაბამისი სტრუქტურების შექმნას ლუბლინის ადმინისტრაციაში. თანამშრომლობისა და გახსნილობის კულტურის შემოტანით ლუბლინის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციასა და მრავალფეროვნების საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის გაუმჯობესდა თანამშრომლობა. პროექტის ფარგლებში შეიქმნა დამხმარე ჯგუფი, რომელიც პროექტის დასრულების შემდეგ განაგრძობს მისი მიზნის შესრულებას. კამპანიის დახმარებით ქალაქში შეიქმნა ინტეგრაციის ხელშეწყობის მდგრადი სტრუქტურები: კამპანიის დასრულების შემდეგ შეიქმნა უცხოელთა დახმარების სამსახური და უფროსი სპეციალისტის პოზიცია მუნიციპალიტეტის არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და საზოგადოებრივი ჩართულობის სამსახურში.

და ბოლოს, ამ კამპანიის შედეგებმა ზეგავლენა მოახდინა სხვა ქალაქებზეც, რადგან პროექტის ზოგიერთი კონცეფცია დაინერგა შრომის სამინისტროსა და პოლონეთის 10 სხვა ქალაქის მიერ.

**Municipality of Lublin**
Mayor's Office
Division for Co-operation with NGOs and social participation
3, Bernardyńska Street, 20-109 Lublin, Poland
Telephone: (+48) 81 466 1956
E-mail: anna.szadkowska@lublin.eu
Website: http://bit.ly/2BkFdO9

## *„ბოლონია ზრუნავს!" პროექტ SPRAR-ის საკომუნიკაციო კამპანია ბოლონიაში, იტალია*

*მოსახლეობა : 388 257*

**როგორც SPRAR-ის ქსელების საკომუნიკაციო სექტორის ნაწილი, ეს კამპანია მიზნად ისახავს ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას და მის აქტიურად ჩართვას თავშესაფრის მაძიებლებისა და ლტოლვილთა**

**მიღების საკითხებში. კამპანია ყოველწლიურად ირჩევს კონკრეტულ თემას. ღონისძიებები ძირითადად უკავშირდება ლტოლვილთა მსოფლიო დღეს, 20 ივნისს.**

კამპანიას „ბოლონია ზრუნავს!“ ახორციელებს პროექტი SPRAR მესამე სექტორის სოციალურ ინსტიტუტებთან, კერძოდ, ბოლონიის მოქალაქეთა მომსახურების სააგენტოსთან და მიგრანტთა მიღების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან ერთად (Arcolaio, MondoDonna, Lai-momo და Camelot). ეს წარმატებული კამპანია 2014 წლიდან ყოველწლიურად ტარდება. 2014 წლის თემა იყო **„გავიქეცი იმიტომ, რომ...”** და ეძღვნებოდა მიზეზებს, რომელთა გამოც ყოველწლიურად მილიონობით ადამიანი ტოვებს საკუთარ სამშობლოს და უცხო ქვეყანაში ეძებს უსაფრთხოებას. 2015 წლის კამპანიის თემა, **„ლტოლვილობა გუშინ და დღეს: ისტორიები“,** ყურადღებას ამახვილებდა თავშესაფრის მაძიებელთა მონათხრობ ამბებზე. 2016 წლის კამპანია, **„გულთბილი მიღება: პოზიტიური არჩევანი“,** ეძღვნებოდა თავშესაფრის მაძიებელთა მიღებას, როგორც ადამიანების აუცილებელ ვალდებულებას დღესაც და მომავალშიც. 2017 წელს კი „ბოლონია ზრუნავს!“ კამპანიის თემაა **„ინტეგრ-აქცია“** და იგი იყენებს ტექნიკას, რომელიც აერთიანებს ფოტოგრაფიას, კვლევასა და მოქმედებას. ”Photovoice-გამოსახულება, როგორც ხმა” ჩართულობითი ფოტოპროექტია, რომელიც განხორციელდა ასოციაცია „გამოღვიძებისა“[XLV] და პადუას უნივერსიტეტის თანამშრომლობით. ფოტოგრაფებისა და გამოცდილი სოციალური მუშაკების მიერ ჩატარებული ხანმოკლე შესავალი ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილეებმა უნდა გადაიღონ ფოტოები, რომლებშიც ასახავენ თავიანთ თვალსაზრისს მიგრაციისა და მიგრანტთა ინტეგრაციის თემაზე. მონაწილეები ბოლონიის საზოგადოების ოთხი ჯგუფის წარმომადგენლები არიან: ლტოლვილთა მიღების სამსახურების თანამშრომლები, განსახლების ცენტრებში მცხოვრები თავშესაფრის მაძიებლები და ლტოლვილები, ემიგრანტების მიღების მომხრე ადგილობრივი მოქალაქეები და მოქალაქეები, რომლებიც კრიტიკულად არიან განწყობილები ლტოლვილების მიღებისადმი.

**Contact Bologna cares!**
**Lai-momo società cooperativa sociale**
Telephone: (+ 39) 51-840166
E-mail : progetti@laimomo.it
Website: http://www.laimomo.it/

**ASP Città di Bologna**
Telephone: (+39) 51-2966211
E-mail: asp@pec.aspbologna.it
Website: www.aspbologna.it

# ნაწილი V რეკომენდაციები



## პოლიტიკის განხორციელება ადგილობრივ დონეზე

- ლტოლვილები ინდივიდუალურად და კოლექტიურად **ჩართეთ** მათ მდგომარეობასთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილების მიღებაში; ადგილობრივი მოსახლეობა ჩართეთ წინსვლის გზების ძიებაში;
- სტრატეგია **დააშენეთ** ადგილობრივ ცოდნასა და გამოცდილებაზე. ყველა მომიჯნავე სფეროს (განათლება, უსაფრთხოება, მიგრაცია და სხვა) გამოცდილებას გაეცანით დევნილთა ჩართულობის პოლიტიკის განხორციელებამდე და მისი განხორციელების პროცესში;
- **არ არის საჭიროს ბორბლის ხელახლა გამოგონება.** პროექტის დაწყებამდე კონსულტაცია გაიარეთ ყველა იმ ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციასა და სტრუქტურასთან, რომლებსაც უმუშავიათ ამ საკითხზე და ეცადეთ, მხარი დაუჭიროთ უკვე არსებულ ასოციაციებსა თუ პროექტებს;
- იზრუნეთ **კოორდინირებასა და თანამშრომლობაზე.** ეცადეთ, შეიმუშაოთ კონსულტაციების რეგულარული მექანიზმი ეროვნულ დონეზე და ითანამშრომლოთ ხელისუფლების ყველა რგოლთან თქვენი საქმიანობის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცესში;
- **შექმენით საერთაშორისო ქსელი.** ისარგებლეთ საერთაშორისო ქსელებით, გაიზიარეთ იგივე პრობლემების მქონე სხვა ქალაქების ან რეგიონების წარმატებული გამოცდილება და ჩაერთეთ უკვე არსებული პროექტებისა და სოლიდარული ქალაქების ქსელებში, რაც მნიშვნელოვნად დაგეხმარებათ თქვენი პოლიტიკის დანერგვასა თუ გაუმჯობესებაში;

## ინტეგრაციის ხელშეწყობა თქვენს თემში

- გახსოვდეთ **შეთანხმებული სამოქალაქო და საზოგადოებრივი მოქმედების მნიშვნელობა**. შექმენით საკოორდინაციო სამსახურები ან ლტოლვილთა ადგილობრივი და რეგიონული ცენტრები, რომ უკეთესად შეაფასოთ მათი საჭიროებები და თავიდან აიცილოთ იგივე საქმის კეთება, რაც უკვე გააკეთეს სხვებმა;

- **ხელი შეუწყვეთ** ლტოლვილებს ენის შესწავლაში, მიაწოდეთ ინფორმაცია არსებული კურსების შესახებ, შეიმუშავეთ კურსები რეგისტრაციის გამარტივებული პროცედურებით ან რეგისტრაციის გარეშე, განავითარეთ ონლაინ მოდულები;

## სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფა

- იფიქრეთ განსახლების პროცესის დეცენტრალიზაციაზე და **პერსონალურ** დაბინავებაზე კერძო მეპატრონეებთან და საბინაო ასოციაციებთან თანამშრომლობით;
- **ერიდეთ სეგრეგაციას**, ეცადეთ, ხელი შეუწყოთ ჯგუფების შერევასა და ინტეგრაციას. ლტოლვილთა მიმღები ცენტრების ინტეგრირება უკვე არსებულ საცხოვრებელ ადგილებში უფრო ხელმისაწვდომს გახდის სოციალური მომსახურების სტრუქტურებს (მაგ. საგანმანათლებლო დაწესებულებებს, დასაქმების ცენტრებს, ბავშვთა მოვლისა და ჯანდაცვის სამსახურებს), ხელს შეუწყობს სოციალურ ინკლუზიას და მოსახლეობაში გავრცელებული უნდობლობისა და სტერეოტიპების დაძლევას;

## შრომის ბაზარზე და ეკონომიკაში ინტეგრაციის ხელშეწყობა

- **შექმენით** საჭირო სტრუქტურები ლტოლვილთა პროფესიული უნარებისა და გამოცდილების განვითარების და ენის ცოდნის გაუმჯობესების მიზნით;
- **მიეცით** მიგრანტებს მუშაობის უფლება, რითაც დაეხმარებით მათ ინტეგრაციას და გააძლიერებთ ადგილობრივ ეკონომიკას. ითანამშრომლეთ კერძო კომპანიებთან ლტოლვილებისთვის სწავლებისა და სტაჟირების ისეთი შესაძლებლობების შექმნის მიზნით, რომლებიც პასუხობენ ადგილობრივი ბიზნესის საკადრო საჭიროებებს;

## მოწყვლადი მოსახლეობის დაცვა (ქალები, თანმხლები პირების გარეშე მყოფი ბავშვები)

- **შეიმუშავეთ** მექანიზმები, რომლებიც პასუხობს დაუცველი მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების კონკრეტულ საჭიროებებს, შეიმუშავეთ ფსიქოლოგიური დახმარებისა და მენტორობის პროგრამები ჯანდაცვის სფეროს პროფესიონალთა დახმარებით;
- **დარწმუნდით**, რომ თანმხლები პირების გარეშე მყოფი ბავშვებისთვის გამოყოფილია უსაფრთხო სივრცე და უზრუნველყოფილია პროფესიონალების დახმარება საგანმანათლებლო სისტემაში ბავშვების ინტეგრაციისა და შრომითი ცხოვრებისთვის მათი მომზადების მიზნით;

## უკეთესი განათლების უზრუნველყოფა

- **ითანამშრომლეთ** უნივერსიტეტებთან, რომ წაახალისოთ ლტოლვილთა წვდომა უმაღლეს განათლებაზე. ეს შესაძლებელია, მაგალითად, უნივერსიტეტში ჩარიცხვის კრიტერიუმების გამარტივებით;
- **ინტეგრაცია** არ სრულდება სკოლის დამთავრებისას. გამოიყენეთ მრავალფეროვანი საგანმანათლებლო საშუალებები; მოაწყვეთ სამუშაო შეხვედრები, დაგეგმეთ შემოქმედებითი კლასები ან სპორტული ღონისძიებები ადგილობრივი მცხოვრებლებისა და ლტოლვილების დაახლოების მიზნით; დაგეგმეთ მიზნობრივი ღონისძებები შაბათ-კვირას ან ზაფხულის არდადეგებზე;

## სიძულვილის ენისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის აღმოფხვრა

- **შეიმუშავეთ და გაავრცელეთ** სიძულვილის ენისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის მკაფიო პოლიტიკა;
- **შეისწავლეთ** ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებული სტერეოტიპები, დაგეგმეთ ფართო საზოგადოებაშო ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები, როგორიცაა სტერეოტიპებისა და მცდარი შეხედულებების საწინააღმდეგო კაფეები ან პუბლიკაციები; სასურველია ამ თემებზე სპეციალური ტრენინგების ორგანიზება სხვადასხვა დაწესებულების პერსონალისთვის (მასწავლებლები, ქალაქის ადმინისტრაციის პერსონალი);
- **შეხვდით ბენეფიციარებს და მიაწოდეთ ინფორმაცია.** იზრუნეთ ლტოლვილებისა და ადგილობრივი მოსახლეობის დაახლოებაზე მრგვალი მაგიდების, სამუშაო შეხვედრებისა და კულტურათაშორისი ღონისძიებების საშუალებით. ეს უნდობლობისა და შიშის დაძლევის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი გზაა და თქვენი პოლიტიკის წარმატებით დანერგვას შეუწყობს ხელს.

# ნაწილი VI რელევანტური ტექსტები და დამატებითი საკითხავი მასალა



## *ევროპის საბჭო - ინტერკულტურული ქალაქების პროგრამა (ICC)*

intercultural.cities@coe.int

www.coe.int/citesinterculturelles

## *ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების სააგენტო (FRA)*

ინსტრუმენტები ფუნდამენტური უფლებების შესახებ ადგილობრივი, რეგიონული და ეროვნული საჯარო მოხელეებისთვის:

http://fra.europa.eu/en/joinedup/home

## *გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR)*

ევროპაში ლტოლვილთა და მიგრანტთა საკითხებზე რეაგირების გეგმა, 2017 წლის იანვარი-დეკემბერი:

http://fra.europa.eu/en/joinedup/home

## *ინიციატივა „სოლიდარობის ქალაქები“, ევროქალაქების ქსელი*

ქალაქების მიერ განხორციელებული ინიციატივები ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა განათლებისთვის, 2017 წლის იანვარი:

www.eurocities.eu/eurocities/documents/Cities-actions-for-the-education-of-refugees-and-asylum-seekers-WSPO-AHNHJB

## გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია, (UNESCO)

ლტოლვილთა და მიგრანტთა მიმღები ქალაქები, ეფექტიანი ურბანული მმართველობის გაძლიერება მიგრაციის ეპოქაში  (ინკლუზიური და მდგრადი ქალაქები), 2016:

http://unesdoc.unesco.org/images/0024/002465/246558e.pdf


Best

# ბოშები

# მომთაბარეები

# ნაწილი I განსაზღვრებები

ევროპაში 10–12 მილიონი ბოშა და მომთაბარე ცხოვრობს. ისინი ევროპის უმცირესობების უმსხვილეს ჯგუფს შეადგენენ, თუმცა ბევრი ჩვენგანი ვერ პასუხობს კითხვას: ვინ არიან ბოშები? ტერმინი „ბოშები და მომთაბარეები“ ერთის მხრივ, ადამიანთა ფართო ჯგუფებს მოიცავს: ა) რომა, სინტი/მანუშ, კალე, კაალე, რომანიჩალ, ბოიაშ/რუდარი; ბ) ბალკანელი ეგვიპტელები (ეგვიპტელები და აშკალები); გ) აღმოსავლეთის ჯგუფები (დომ, ლომ და აბდალ); მეორეს მხრივ კი ჯგუფებს, როგორებიც არიან მომთაბარეები, იენიშები და პოპულაცია, რომელიც იდენტიფიცირებულია ადმინსტრაციული ტერმინით „Gens du voyage“ (მოგზაური ხალხი), აგრეთვე პირები, რომლებიც თავს Gypsies - ასე უწოდებენ.

ამ ჯგუფებს საერთო ის აქვთ, რომ ხშირია მათი დისკრიმინაცია მხოლოდ ამ ჯგუფის წევრობის გამო. მათ ხშირად მოიხსენიებენ ტერმინით Gypsies, რომელსაც დამამცირებელი კონოტაცია აქვს, რადგან მათ უკანონობაზე და გაუნათლებლობაზე მიანიშნებს.

## ყალბი ცნობები

ბოშები და მომთაბარეები ზარმაცები, გაუნათლებლები არიან და ცდილობენ, სხვის ხარჯზე იცხოვრონ.

## ფაქტი

2013 წელს ევროკომისის მიერ ჩატარებული კვლევა ადასტურებს, რომ ევროკავშირის ფარგლებში მიგრანტებს, მათ შორის ბოშა მიგრანტებს, წვლილი შეაქვთ მასპინძელი ქვეყნის კეთილდღეობაში, რადგან ისინი გადასახადების სახით მეტს იხდიან, ვიდრე სარგებელს იღებენ სახელმწიფოსაგან. უფრო მეტიც, ისინი თითქმის არასოდეს ითხოვენ უმუშევრობის დახმარებას, ოჯახთან და ბავშვთან დაკავშირებულ დახმარებებს, ამ ქვეყნების ადგილობრივ მცხოვრებთაგან განსხვავებით. მსგავსი დასკვნა დიდ ბრიტანეთში (2014)

და შვედეთში (2014) ჩატარებულმა კვლევებმა მოგვცა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბოშა იმიგრანტთა სიტუაციები ხშირად ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. ბევრი ბოშა მუშაობს და კარგად არის ინტეგრირებული თავის მასპინძელ ქვეყანაში.

## ✖ ყალბი ცნობები

ყველა ბოშა მომთაბარედ ცხოვრობს.

## ✔ ფაქტი

ბოშების რაოდენობა წლების განმავლობაში სტაბილურად არის შენარჩუნებული. მაგალითად, დადგენილია, რომ საფრანგეთში ბოშების რაოდენობა 15-20 ათასს შეადგენს და ეს მაჩვენებელი არ შეცვლილა 2000-იანი წლების დასაწყისიდან. ავსტრიაში ბოშების 80% სინამდვილეში არა მომთაბარე, არამედ რეზიდენტია. არ არსებობს კვლევაზე დაფუძნებული მტკიცებულება იმისა, რომ ბოშები უფრო მეტად ტოვებენ თავიანთ ადგილსამყოფელ ქვეყანას, ვიდრე მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი. რუმინეთში ბოშების შესახებ 2013 წელს ჩატარებულმა კვლევამ დაადგინა, რომ პირიქით, მათ უფრო არ სურდათ ემიგრაციაში წასვლა, ვიდრე არა-ბოშებს. კვლევებმა აჩვენა, რომ ბოშათა ემიგრაციის მიზეზები არსებითად არ განსხვავდება სხვა მოქალაქეების ემიგრაციის მიზეზებისაგან: ისინი ეძებენ სამუშაოს, უკეთესი ცხოვრების პირობებსა და უკეთეს განათლებას თავიანთი შვილებისთვის.

## ✖ ყალბი ცნობები

ყველა ბოშა უცხოელია.

## ✔ ფაქტი

როგორც ზემოთ იყო ნახსენები, ტერმინი „ბოშა“ არ აღნიშნავს რომელიმე ერთ, ჰომოგენურ ჯგუფს. ისინი ევროპაში რამდენიმე ასეული წლის წინ ჩამოვიდნენ ინდოეთის ნახევარკუნძულიდან. მაგალითად, გერმანიაში სინტის ტომები და ბოშები 600 წელია, ცხოვრობენ. ბოშები ევროპის ისტორიის განუყოფელ ნაწილს შეადგენენ.

# ნაწილი II **რა უფლებები აქვთ მათ?**



არტივად რომ ვთქვათ, **ბოშები იგივე უფლებებით სარგებლობენ, როგორითაც თქვენი ქალაქის ან რეგიონის ნებისმიერი სხვა მცხოვრები.** თუმცა, ამის განხორციელება პრაქტიკაში არც ისე მარტივია, რადგან ბოშები უფრო მოწყვლადები არიან ექსპლოატაციის, მარგინალიზაციისა და სტიგმატიზაციის მიმართ, ვიდრე სხვა მოქალაქეები. გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში ბოშებმა თავადაც არ იციან საკუთარი უფლებები, რადგან ისინი ათწლეულების, ხშირად ასწლეულების მანძილზეც, გარიყულები იყვნენ საზოგადოებისაგან.

ამ მიზეზის გამო, ამ სახელმძღვანელოში მითითებულ სხვა დაუცველ ჯგუფებთან ერთად, ბოშები სარგებლობენ **დამატებითი დაცვის გარანტიებით** ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისა და ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და დასაქმების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის. რაც მთავარია, ბოშები სარგებლობენ **არა-დისკრიმინაციის უფლებით.** არადისკრიმინაციულობის პრინციპის მიზანია, საზოგადოების ყველა წევრს თანაბარი და სამართლიანი შანსი მისცეს, განურჩევლად რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, საკუთრების, დაბადების ან სხვა სტატუსისა.

თანასწორობისა და არა-დისკრიმინაციულობის უფლება აღიარებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-2 მუხლით და მას დიდი ყურადღება ეთმობა გაეროსა თუ ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებსა და ხელშეკრულებებში, მათ შორის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტში, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტში, ბავშვის უფლებათა კონვენციაში, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში და ევროპის სოციალურ ქარტიაში.

ბოშების ძირითადი სოციალური უფლებები ხშირად ილახება ჯგუფთან დაკავშირებული **სტერეოტიპების** გამო: ბევრი ფიქრობს, რომ ბოშები სისტემატურად მონაწილეობენ არალეგალურ საქმიანობაში, არიან გაუნათლებლები და მისდევენ ცხოვრების არაჯანსაღ წესს. ამ სტიგმის საფუძველზე **ბოშათა მიმართ ჩამოყალიბებული**

**მტრული დამოკიდებულება** რასიზმის კონკრეტული ფორმაა, რომელიც მიმართულია ბოშებისა და მომთაბარეთა მიმართ და სხვადასხვაგვარად ვლინდება: სიძულვილის ენაში (პოლიტიკურ დონეზეც), იძულებით გამოსახლებაში, სეგრეგაციაში, დისკრიმინაციულ ან რასისტულ პოლიტიკებში.

იმისთვის, რომ გრძელვადიანი გამოსავალი იპოვოთ თქვენს საზოგადოებაში ბოშათა ინტეგრაციის პრობლემის მოსაგვარებლად, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაგმოთ მათი დისკრიმინაცია და შექმნათ პირობები ბოშებისა და მოგზაურთა ეკონომიკური და სოციალური უფლებების რეალიზაციისთვის. ეს თქვენს კომპეტენციებში შედის. გარდა ამისა, საჭიროა ისეთი ზომების მიღება, რომლებიც მხარს დაუჭერს არადისკრიმინაციულ დამოკიდებულებას ყოველდღიურ ცხოვრებაში და აქტიურად შეუწყობს ხელს ბოშებს, ისარგებლონ განათლების უფლებით, სოციალური მომსახურებით, საცხოვრისისა და დასაქმების უფლებით. არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ ბოშები თქვენი ქვეყნის მოქალაქეები და, უპირველეს ყოვლისა, ევროკავშირის მოქალაქეები არიან. თუნდაც მათ არ ჰქონდეთ სათანადო დოკუმენტაცია (სარეგისტრაციო საბუთები, განათლების / პროფესიული სერთიფიკატები), ეს არავითარ შემთხვევაში არ ამართლებს ადამიანის უფლებების შეზღუდვას.

## იცოდით ?



...რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არა ერთ შემთხვევაში გაამტყუნა სახელმწიფო, სადაც ბოშების უფლებების დარღვევა ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებას უკავშირდებოდა. ბოშების უფლებების დაცვა არამარტო საჭიროა, ეს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების მოვალეობაა.

ბოშების ინტეგრირების პოლიტიკაში ინვესტიციით თქვენ უბრალოდ საკუთარ მოვალეობას კი არ ასრულებთ, არამედ აძლევთ ამ ადამიანებს შესაძლებლობას, დაუბრუნდნენ ადგილობრივ საზოგადოებას და გააუმჯობესონ მთელი თემის ცხოვრების ხარისხი. **მათი ინტეგრაცია თქვენი ქალაქის კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ჩადებული ინვესტიციაა.**

## განსახლება

**იორდანოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ, 25446/06, 24 აპრილი, 2012**

რაიონის გამგებლის გეგმა, გამოესახლებინა ბოშები მუნიციპალურ საკუთრებაში მყოფი მიწიდან მათი შემდგომი განსახლების გეგმის გარეშე, წარმოადგენდა მე-8 მუხლის დარღვევას. ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობდა ბრძანების შესრულებას 2005 და 2006 წლებში, მიუხედავად მოსალოდნელი შედეგებისა. ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა ბოშათა თემის საჭიროებები და ეს იმით დაასაბუთა, რომ „ხდებოდა უმრავლესობის დისკრიმინაცია“. საქმე არაპრივილეგირებულ ჯგუფს ეხებოდა, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა ყოფილიყო იმისთვის, რომ ხელისუფლებას სათანადოდ მოეგვარებინა მათი უკანონო დასახლების პრობლემა და თუ მათი გამოსახლება აუცილებელი იქნებოდა, უნდა განესაზღვრულიყო მისი ვადები და წესები ალტერნატიული თავშესაფრის შეთავაზებით, რაც ამ შემთხვევაში არ მომხდარა.

**კონორები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, No. 66746/01, 2004 წლის 27 მაისი**

ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განმცხადებლის ოჯახის გამოსახლება ბოშათა ბანაკიდან მოხდა მე-8 მუხლის (ოჯახური ცხოვრების უფლება) დარღვევით, რადგან გამოსახლებისას დაცული არ იყო სათანადო პროცედურები. procédurales requises.

## განათლება

**ჰორვატი და კისი უნგრეთის წინააღმდეგ, 11146/11, 29 იანვარი, 2013**

ბოშა ბავშვების გამოსასწორებელ დაწესებულებებში გაგზავნა იყო დისკრიმინაცია ეთნიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ საფუძველზე. განჩინებამ, სხვა საკითხებთან ერთად, დაადგინა, რომ წარსულში მომხდარი დისკრიმინაციით გამოწვეული სტრუქტურული უთანასწორობა და ზიანი პოზიტიური ზომებით უნდა გამოსწორდეს.

**სამპანისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ, 32526/05, 5 ივნისი 2008**

2004-2015 სასწავლო წლის განმავლობაში თერთმეტ ბოშა ბავშვს უარი უთხრეს სკოლაში მიღებაზე (საბოლოოდ კი ისინი ჩასვეს „სპეციალური საჭიროებების" კლასებში, რომლებიც მთავარი შენობის გარეთ, დამხმარე ნაგებობაში იყო განთავსებული). სასამართლომ დაასკვნა, რომ მოხდა ბოშა ბავშვების დისკრიმინაცია და მათ შეეზღუდათ განათლების მიღების უფლება, რაც კონვენციის მე-14 მუხლისა (დისკრიმინაციის აკრძალვა) და 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის (განათლების უფლება) დარღვევაა.

**დ.ჰ. და სხვები ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, 57325/00, 13 ნოემბერი, 2007**

სასამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა, რომ სტატისტიკური მტკიცებულებები ადასტურებს მსუბუქი ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა „სპეციალურ სკოლებში" ჩარიცხვის მაჩვენებლებში აშკარა უთანასწორობას, რაც არღვევს კონვენციის დებულებებს განათლების არადისკრიმინაციულობის შესახებ.

ბოშები და მომთაბარეები

# ნაწილი III პრაქტიკული გამოწვევები

ბოშების მიმართ ევროპული რეპრესიების ისტორია იწყება ინდოეთიდან მათი ჩამოსვლის მომენტიდან, რაც რამდენიმე ასეული წლის წინ მოხდა. იმთავითვე იყო ტენდენცია, განსაკუთრებით რთულ პერიოდებში, რომ ბოშებისაგან განტევების ვაცი ექციათ. ისინი იყვნენ მონობის, მასობრივი მკვლელობების, მარგინალიზაციისა და დევნის მსხვერპლები. ამ მიზეზებისა და იმის გამო, რომ დღეს პოლიტიკოსები ბოშათა მიმართ მტრულ რიტორიკას იყენებენ, ბოშები არათუ იშვიათად მიმართავენ ხელისუფლებას დახმარებისთვის, არამედ საფრთხედაც კი მიიჩნევენ მას. ეს ფაქტი, მათი ცხოვრების სტილთან ერთად, რომელიც ხშირად არ შეესაბამება გლობალიზებული საზოგადოებების წესებს, მათ შორის საზღვრებს, ბიუროკრატიასა და ოფიციალურ ინსტიტუტებს, თუნდაც სკოლებისა და სოციალური მომსახურების სისტემებს, ბოშათა ინტეგრაციას კიდევ უფრო ართულებს.

ეს რთული მდგომარეობა არ გაუმჯობესდება, სანამ ბოშათა მიმართ მტრული დამოკიდებულება ფესვგადგმულია ჩვენს საზოგადოებებში. რას ნიშნავს ეს პრაქტიკაში? იმას, რომ მაგალითად, მერს არ სურს თანხების მიღება ბოშების დასახლებაში გზების ან სანიტარული სისტემის გასაუმჯობესებლად, რადგან პოლიტიკური რეაგირების ეშინია; ან იმას, რომ ხელისუფლება არ ცდილობს, დაარეგისტრიროს ახალშობილი, რის გამოც ბავშვი პირადობის დამადასტურებელი საბუთების გარეშე იზრდება და ვერასდროს შეძლებს დარეგისტრირებას, რომ მიიღოს განათლება, სოციალური დახმარება ან დასაქმდეს.[XLVI]

ამრიგად, ერთადერთი გამოსავალია ის, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაიცვას არადისკრიმინაციულობის პრინციპი და ყველა მოქალაქეს თანაბრად მოეპყრას, მიუხედავად წარმომავლობისა თუ სოციალური ფონისა.

უნდა აღინიშნოს, რომ თქვენი, როგორც ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების სამუშაო, არ არის ადვილი. განსხვავებული ცხოვრების სტილის, კულტურის, ტრადიციების, სოციალური სტრუქტურისა და ბოშათა თემში ჯანდაცვისა და განათლების დაბალი სტანდარტების გამო ქალაქის მერისთვის ძალიან რთული შეიძლება იყოს ბოშათა ინტეგრაციის ეფექტიანი

ზომების განხორციელება.

მაგალითად, როდესაც საქმე **საცხოვრებელს** ეხება, დისკრიმინაცია განსახლებასთან დაკავშირებული ყველა პრობლემის სათავეა, რადგან ბოშებს არ მიუწვდებათ ხელი სახელმწიფო თუ კერძო საცხოვრებლებზე ისე, როგორც მოსახლეობის დანარჩენს ნაწილს. არა-ბოშებს ბევრად მეტი შეღავათი აქვთ, მაშინ როცა ბოშები არასანქცირებულ ადგილებში და უკიდურესად შეჭირვებულ საცხოვრებელი პირობებში ცხოვრობენ.

რაც შეეხება ბოშათა განათლებას, სოციალური გარიყულობა, რაც განათლებაზე წვდომის სისტემატური უკმარისობის მიზეზია და რაც ხშირად ბოშათა რამდენიმე თაობას აყენებს ზიანს, კვლავაც ამცირებს ბოშა ბავშვების განათლების დონეს. დაზღვევის არქონა, არასაკმარისი ფინანსური რესურსები, რის გამოც ბოშები მკურნალობის ხარჯებს ვერ იხდიან, საიდენტიფიკაციო დოკუმენტებისა და სატრანსპორტო საშუალებების არქონა და სხვა ფაქტორები, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლების მხრიდან დისკრიმინაციასთან ერთად, მიზეზია იმისა, რომ ბოშებს ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები აქვთ და ბოშათა და მომთაბარეთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ბევრად ნაკლებია, ვიდრე მოსახლეობის დანარჩენი ნაწილისა.

ბოშებისთვის **შრომის ბაზარზე** შესვლა ასევე განსაკუთრებით რთულია, რადგან ბევრი მათგანი გაუნათლებელი, არაკვალიფიციურია და სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციას განიცდის. ეს იწვევს იმას, რომ ბოშები და მომთაბარეები ძირითადად არაფორმალურად არიან დასაქმებულები და დაბალკვალიფიციურ საქმეს ასრულებენ.

ზემოხსენებული გამოწვევები აჩვენებს, რომ ბოშების საკითხის მოსაგვარებლად **მხოლოდ ორივე მხარისათვის თანაბარი უფლებების მინიჭება კი არ კმარა** (მაგ., ბოშათა უფლება საცხოვრებელზე და მუნიციპალიტეტის უფლება, დაიცვას ქალაქი უკანონო დასახლებებისაგან), **არამედ საჭიროა ამ უფლებების დაბალანსება ორივე მხარის საჭიროებათა მიხედვით, ბოშათა მდგომარეობის განსხვავებულობის აღიარებით და მდგრადი პოლიტიკის შემუშავებისას მათი უფლებების გათვალისწინებით.**

მიზანი ისაა, რომ პოლიტიკა და გადაწყვეტილებები არ გამორიცხავდეს მოსახლეობის რომელიმე ჯგუფს და მიზნად ისახავდეს სოციალური სიმტკიცის მიღწევას. ქალაქი, რომელიც არ იშურებს ძალისხმევას მდგრადი პოლიტიკის განსახორციელებლად, ყოველთვის მიაღწევს პოლიტიკურ წარმატებას. ამ თვალსაზრისით, თქვენი მეთოდოლოგიური მიდგომა ბოშათა ინტეგრაციასთან დაკავშირებით უნდა იყოს სამეტაპიანი: პირველ რიგში მნიშვნელოვანია ბოშებთან დაკავშირებული გამოწვევების მიზეზების გაცნობიერება; შემდეგ აუცილებელია ეფექტიანი კომუნიკაცია და მითებისა და სტერეოტიპების

ჩანაცვლება ფაქტებით. მესამე ეტაპი კი უნდა იყოს გრძელვადიანი და მდგრადი გადაწყვეტილებების დანერგვა, რაც ემყარება ურთიერთგაგებას, უფლებათა ბალანსს და არადისკრიმინაციულობის პრინციპის დაცვას.

## არ დაგავიწყდეთ!!



**პრაქტიკა აჩვენებს, რომ ბოშათა უფლებების დაცვაზე ორიენტირებული**

**პოლიტიკა თვითმიზანი კი არა, თქვენი თემის ცხოვრების გაუმჯობესების**

**მნიშვნელოვანი წინაპირობაა.**

**ბოშების ინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად მდგრადი გადაწყვეტილებების მიღება ყოველთვის არ არის ადვილი, მაგრამ შესაძლებელია. ასეთი გადაწყვეტილებების უამრავი მაგალითია მოცემული შემდეგ თავში.**

# გამოსავალი

## ევროპის საბჭოს პროგრამები ადგილობრივ ხელისუფალთა მხარდასაჭერად

ევროპის საბჭომ ევროკავშირთან ერთად განახორციელა ბოშათა ინტეგრაციის პროექტები ადგილობრივი ინიციატივების შემუშავებასა და არსებული პროგრამების კონსოლიდირებაში ადგილობრივი ხელისუფლების მხარდასაჭერად, ევროპის საბჭოს რესურსების, სტანდარტების, მეთოდოლოგიის, ქსელებისა და ინფრასტრუქტურის ყველაზე ეფექტიანად გამოყენების გზით.

### *კონცეფცია ROMED-2*

**კონცეფცია ROMED-2, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამა, განხორციელდა განსხვავებული ზომისა და შემადგენლობის ბოშა მოსახლეობის მქონე 12 წევრ სახელმწიფოში. პროგრამა ეხება ადგილობრივ ადმინისტრაციებს და იყენებს მედიაციის პროცესებსა და ეფექტიანი მმართველობის პრინციპებს ბოშათა გაძლიერების ხელშეწყობისა და მათი სამოქალაქო, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული უფლებების მხარდაჭერის მიზნით.**

პროგრამა მიზნად ისახავს ბოშათა თემის წევრებს, პროფესიონალებსა (შუამავლებს, ფასილიტატორებს, ტრენერებს, ექსპერტებს, მენეჯერებს) და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის მდგრადი კავშირების დამყარებას. ROMED-2-ის ერთ-ერთი წამყვანი პრინციპი ის არის, რომ ადგილობრივ მმართველობაში მონაწილეობა ეფექტური მხოლოდ იმ შემთხვევაშია, როცა ის კონტექსტზეა მორგებული. შესაბამისად, თითოეულმა პროექტმა მაქსიმალურად უნდა ისარგებლოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის კონტექსტის მრავალფეროვნებით.

პროგრამა ROMED-2-ის მეთოდოლოგია ჩამოყალიბებულია ROMED-22-ის სახელმძღვანელო ინსტრუქციებში და ეროვნული და ადგილობრივი ფასილიტატორებისთვის შექმნილ სასწავლო რესუსრსებში, რომლებიც შეიმუშავა ბოშათა ინტეგრაციის, ადამიანის უფლებების, ფორმალური და არაფორმალური განათლებისა და ადგილობრივი მმართველობის სფეროების ექსპერტებისა და სპეციალისტების საერთაშორისო ჯგუფმა.

ძირითადი გამოწვევები უკავშირდება იმას, რომ ნდობის გაღრმავებას და მარგინალიზებული თემების გაძლიერებას მეტი დრო სჭირდება. არასაიმედო პოლიტიკური მხარდაჭერა ადგილობრივი საბჭოების მხრიდან ზოგჯერ პრობლემას ქმნიდა. თუმცა, 2016 წელს ჩატარებული გარე შეფასების შედეგებმა აჩვენა, რომ პროგრამა ძალიან აქტუალურია. საზოგადოებრივი სამოქმედო ჯგუფები (CAGs), რომლებიც პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა, განიხილება, როგორც აქტიური მოქალაქეობის ერთგვარი პრაქტიკული სკოლები, რომლებიც ემსახურება მოსახლეობის ჩართულობის ზრდას, მონაწილეობითი და თვითშეფასების უნარების განვითარებას, რაც საშუალებას აძლევს ამ ჯგუფებს, ზეგავლენა მოახდინონ ადგილობრივ პოლიტიკაზე და მუნიციპალიტეტების სამოქმედო გეგმებზე. სულ ცოტა ხნის წინ ასეთი ჯგუფის აქტივობას შედეგად მოჰყვა ბოშათა თემის გადაუდებელი პრობლემების მოგვარება და ახალი ინიციატივების შემუშავება ინფრასტრუქტურის, განათლების, დასაქმებისა და მომსახურების სფეროებში. ადგილობრივი ხელისუფლება აღიარებს ROMED-2 პროცესის მნიშვნელობას, რადგან ამ პროგრამამ საშუალება მისცა ადგილობრივ სტრუქტურებს, უშუალოდ გაეცნოთ ბოშა თემის საჭიროებები. ხელისუფლება განიხილავს ამ ჯგუფებს, როგორც ახალ პარტნიორებს გადაუდებელი პრობლემების გადასაჭრელად. დღეისათვის პროგრამა ფარავს 50 მუნიციპალიტეტს და ფუნქციონირებს 50-ზე მეტი საზოგადოებრივი სამოქმედო ჯგუფი.

✉ **Marcos Andrade**, Programme Manager
Agora Building, Office A4.08.V, Council of Europe, 1 Quai Jacoutot,
F - 67075 Strasbourg Cedex, France
E-mail: marcos.andrade@coe.int
Telephone: (+33)388413728
Website: http://coe-romed.org/

## *პროგრამა ROMACT*

**ROMACT არის ევროკომისიისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამა, რომელიც ხორციელდება ევროკავშირის ექვს ქვეყანაში და - 2017 წლის აპრილის მდგომარეობით - 80-ზე მეტ მუნიციპალიტეტში. პროგრამის ძირითადი მიზანია მოწყვლადი ბოშა თემების სოციალური გარიყულობის აღმოფხვრა, მათი და საჯარო ხელისუფლების ორგანოების მხარდაჭერა სიღარიბისა და გარიყულობის დასაძლევად საჭირო შესაძლებლობების განვითარებაში, ყოვლისმომცველი პოლიტიკის, სტრატეგიებისა და სერვისების შემუშავებისა და დანერგვის გზით.**

პროგრამაში გამოყენებული მეთოდოლოგია მოიცავს ოთხ ნაბიჯს:

1. ცნობიერების ამაღლებას და ადგილობრივი ხელისუფლების ვალდებულებების გაღრმავებას ბოშების ჩართულობის მხარდასაჭერად;

2. შეთანხმებას იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს ბოშათა თემის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად;
3. ადგილობრივი განვითარების სამოქმედო გეგმების გარდაქმნას კონკრეტულ ზომებად და პროექტებად;
4. მონიტორინგის ღონისძიებებისა და პროექტების დაფინანსებასა და განხორციელებას.

პროგრამის ხანგრძლივობაა 18-დან 22 თვემდე თითოეულ მუნიციპალიტეტში.

2016 წლის მაისამდე დატრენინგდა საჯარო ადმინისტრაციის 545 და მუნიციპალიტეტების 735 თანამშრომელი სოციალური ინკლუზიის ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების საკითხებზე. დაახლოებით 2900-მა ბოშამ მიიღო მონაწილეობა სათემო შეხვედრებში, მათი საჭიროებებისა და პრიორიტეტების შესაფასებლად. თემის 547 წარმომადგენელი მომზადდა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის საკითხებზე. გარდა ამისა, გაიმართა ბოშათა „საზოგადოებრივ სამოქმედო ჯგუფებსა“ და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის 138 ერთობლივი შეხვედრა, რომლებშიც 1522-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა სოციალური ჩართულობის გეგმების განხილვისა და მუნიციპალიტეტების ადგილობრივი განვითარების სტრატეგიების გადახედვისა თუ შემუშავების მიზნით. ამ პერიოდში ROMACT-ის საველე ფასილიტატორებმა ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე აღრიცხეს 350 შეხვედრა საჯარო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და 23 შეხვედრა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან. 2016 წლის მაისის ბოლოსთვის ROMACT-ში ჩართულმა 32-მა მუნიციპალიტეტმა წარადგინა 57 პროექტი, რომლებიც ეძღვნებოდა ერთობლივ სამოქმედო გეგმებში / ადგილობრივი განვითარების სტრატეგიებში ბოშების სოციალური ჩართულობის საჭიროების გათვალისწინებას. გარდა დაფინანსების გარე წყაროებისთვის წარდგენილი პროექტებისა, მუნიციპალურ დონეზე 133 მოკლე და საშუალოვადიანი ინიციატივა განხორციელდა. პროცესის მხარდაჭერა ხდებოდა ადგილობრივი სამუშაო ძალით, მოხალისეთა ჩართულობითა და მუნიციპალური ბიუჯეტებიდან გამოყოფილი სახსრებით. ეს ინიციატივები მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა სასკოლო და ჯანდაცვის მედიატორების ჩართულობა, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (შენობა-ნაგებობები, გზები, ქუჩის განათება და ა.შ.), დასუფთავება და მავნებლებთან ბრძოლა, ჯანდაცვის საკითხებთან დაკავშირებული კამპანიები და სერვისები, ახალგაზრდების დასაქმება, განათლებზე წვდომის გაუმჯობესება (სკოლამდელი აღზრდის ჩათვლით), კულტურული აქტივობები, ქონებისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემა.

ROMACT ხელს უწყობს ბოშათა ჩართულობას და მონაწილეობას, რადგან მათ ყველაზე კარგად იციან საკუთარი საჭიროებები. პროცესის მიმდინარეობაში თავად ბოშებისთვის წამყვანი როლის მინიჭება პროექტის მდგრადობის საწინდარია. არა-ბოშა თემის ჩართულობა და დახმარებაც გადამწყვეტია ბოშების სტიგმატიზაციის თავიდან ასაცილებლად და ურთიერთპატივისცემისა და

თანამშრომლობის გასაღრმავებლად.

ROMACT ხელს უწყობს მდგრადი სოციალური ინკლუზიური სივრცის შექმნას, ეფექტიანი მმართველობის სტანდარტების დანერგვას და წარმატებულ, ინტეგრირებულ განვითარებას, რომელიც მოიცავს განათლებას, დასაქმებას, ჯანდაცვას, განსახლებას, ურბანულ და კულტურულ განვითარებას. პროექტი თვალნათლივ წარმოაჩენს მეთოდს, რომელიც სოციალური ინკლუზიის საშუალებას აძლევს მოწყვლად თემებს, კერძოდ კი ბოშებს და უადვილებს მათ სამოქალაქო, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სოციალური უფლებების რეალიზაციას.

ROMACT-ის ახალი ტრანსნაციონალური კომპონენტი (http://coe-romact.org/about-romact-tcc) ეხმიანება იმ მუნიციპალიტეტების საჭიროებებს, რომლებსაც სურთ სხვა ქვეყნების ეთნიკური ბოშების ინტეგრაცია და მათი მშობლიური ქვეყნების მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობა სოციალური ინკლუზიის კონკრეტული სამომავლო ინიციატივების დასაგეგმად.

**http://coe-romact.org/**
Council of Europe, Office A4.21.C, Agora Building, 1 Quai Jacoutot,
F - 67075 Strasbourg Cedex, France
E-mail: ana.oprisan@coe.int
Telephone: +33 (0) 3 90 21 56 83



# ადგილობრივი თემის ცხოვრებაში ინტეგრაცია (განსახლებისა და პოლიტიკური მონაწილეობის ჩათვლით)

ბოშათა ინტეგრაციას მრავალი ასპექტი აქვს: უსაფრთხო, სანიტარული ნორმების შესაბამისი საცხოვრებელი პირობები, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჩართულობა, ბოშათა თემის წარმომადგენლობა საზოგადოებრივ დიალოგში, წვდომა განათლებასა და დასაქმების შესაძლებლობებზე და ბოშათა ისტორიისა და კულტურის მიღება. ბოშების ინტეგრაციის პოლიტიკის დაგეგმვისას ადგილობრივმა და რეგიონულმა ხელისუფლებამ დღეს ყველა ეს ფაქტორი უნდა გაითვალისწინოს. ქვემოთ მოცემული მაგალითები აჩვენებს ინტეგრაციის პრაქტიკულ გზებს და შეახსენებს ხელისუფლებას, რომ თუნდაც მცირე მასშტაბის ინიციატივების გაზიარებამ შეიძლება უდიდესი როლი შეასრულოს მოსახლეობის ამ დაუცველი ჯგუფის ჩართულობის მიღწევაში.

# IL DADO (კამათელი): საცხოვრებელი თემი ტურინსა და მის შემოგარენში უნებართვო დასახლებებში მცხოვრები ბოშათა ოჯახებისთვის, სეტიმო ტორინეზე, ტურინი, იტალია

*მოსახლეობა : 349 103*

**„კამათელი" არის პროექტი, რომელიც წარმოაჩენს მცირე მასშტაბის ქმედებათა გაზიარების ეფექტიანობას და მიზნად ისახავს რუმინელ ბოშათა ოჯახების განსახლებას. მისი ძირითადი მიზანია, დაეხმაროს ოჯახებს, დატოვონ უნებართვო განსახლების ადგილები და შეუდგნენ კანონიერი განსახლების, სოციალური და ეკონომიკური ემანსიპაციის გზას.**

ამჟამად ქალაქ ტურინში ბოშებისა და სინტების ეთნიკური ჯგუფების 2400, მიმდებარე რაიონში კი - 450 წარმომადგენელი ცხოვრობს. მათი თითქმის 50% არასრულწლოვანია. ქალაქში არსებულ ნებადართული განსახლების ადგილებს დაახლოებით 900 ადამიანის მასპინძლობა შეუძლია. დანარჩენებს უწევთ ცხოვრება უნებართვო დასახლებებში, ჰიგიენის დაბალი სტანდარტებით, რაც გარემოს დაბინძურებასაც იწვევს და ამ ადამიანების მარგინალიზაციასაც, საიდანაც ძნელია თავის დაღწევა. პროექტი Il Dado, რომელსაც ახორციელებს ასოციაცია „Terra del Fuoco" სეტიმო ტორინეზეს მერიის მხარდაჭერით, აღრიცხავს უნებართვო დასახლებებში მცხოვრებ ოჯახებს და სთავაზობს მათ დასაქმების, საზოგადოებაში არასრულწლოვანთა ინტეგრაციისა და სოციალური ინკლუზიის შესაძლებლობებს. ოჯახების ავტონომიის ხელშეწყობის მიზნით მათთვის იძებნება ინდივიდუალური საცხოვრებელი. ტურინის პროვინციამ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ასოციაცია „Terra del Fuoco"-სთან და პროექტს ყოველწლიურად 35 000 ევროთი აფინანსებს (2011-2014). პროვინციამ პროექტის ფარგლებში დაფუძნებული საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციაც დააფინანსა. ფონდმა „Compagnia di San Paolo" პროექტს გამოუყო 150 000 ევროს მოცულობის დაფინანსების ორი ტრანში, რომელიც მიზნად ისახავს შენობა-ნაგებობის რესტრუქტურიზაციის ხარჯების დაფარვას და შენობაში ფოტოვოლტური სისტემის დამონტაჟებას. დამატებითი დაფინანსება უზრუნველყო ტურინის შემნახველმა ბანკმა ცხელი წყლის სისტემის დასამონტაჟებლად. შემთხვევების ნახევარში ორივე მშობელმა იშოვა სტაბილური სამსახური. ზოგიერთმა ოჯახმა დამოუკიდებელი ბინა მიიღო. ყველა არასრულწლოვანი დადის სკოლაში და მათი დასწრებისა თუ წარმატების მაჩვენებელი და ზოგიერთ შემთხვევაში იტალიელი თანატოლებისას აღემატება. პროექტის კიდევ ერთი დადებითი შედეგი იყო ეკოლოგიური მდგრადობა: 2010 წლამდე მნიშვნელოვანი პრობლემა იყო საცხოვრებელი სახლის მიერ ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის მოხმარება (წელიწადში 164 000 კვტ / სთ). პროექტი Eco-Dado მიზნად ისახავს გარემოზე ზემოქმედების, მოხმარებასა და შესაბამისი ხარჯების შემცირებას, ასევე გარემოს დაცვის კულტურის პოპულარიზაციას. ამ ზომების წყალობით საცხოვრებლის მთლიანი დანახარჯი წელიწადში 67 700 კვტ / სთ-ით შემცირდა.

მშენებლებმა ჩაატარეს ფოტოვოლტური სისტემის - მზის ენერგიის პანელების დამონტაჟების ტრენინგი. საერთო ჯამში, ამ პროცესმა ხელი შეუწყო ბოშათა თემის ინტეგრაციას იტალიურ დასახლებაში, გაუმჯობესდა პროექტის საცხოვრებელ სახლში დაბინავებულთა ცხოვრების ხარისხი და ეს სახლი გახდა ეკოლოგიური მდგრადობისა და ეკონომიკური და სოციალური განვითარების მაგალითი. ამ წარმატების გასაღები იყო უწყვეტობა, ბენეფიციარებთან სტაბილური ურთიერთობა, ბენეფიციარებისა და ოპერატორების თანაცხოვრება და ინდივიდუალური ქმედებების ერთობლივად დაგეგმვა. „Terra del Fuoco“ მიიჩნევს, რომ მცირე თემებთან დაკავშირებული პროექტების წარმატებისთვის უფრო ეფექტიანია მცირე მასშტაბის ქმედებებით დაწყება და შემდეგ მათი გამეორება სხვა ადგილებში, ვიდრე ერთი თემის მასშტაბის გაფართოება. პროექტმა წარმოაჩინა აგრეთვე საწყის ეტაპზე დაფინანსების წყაროებთან მუშაობისა და ადგილობრივ ადმინისტრაციასთან თუ სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციებთან სტაბილური და პროდუქტიული ურთიერთობების განვითარების მნიშვნელობა.

**Città di Settimo Torinese**
Piazza Libertà 4
10136 Settimo Torinese, Italy
Telephone: (+39) 011 8028243
E-mail: sindaco@comune.settimo-torinese.to.it
Website: www.terradelfuoco.org

ბოშები და მომთაბარეები

## *Espace 16, სტრასბურგი, საფრანგეთი*

*მოსახლეობა : 271 782*

**სტრასბურგში მუდმივად მზარდი ბოშა თემის სანიტარული და უსაფრთხოების ნორმების დაუცველად არსებული, უნებართვო დასახლებების გაუქმების მიზნით სამოქალაქო კეთილდღეობის ჯგუფთან ერთად, რომელიც შედგებოდა მერიის სოლიდარობისა და ჯანდაცვის დირექტორატისა და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან, ქალაქის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა დროებითი საცხოვრებელი სივრცის შექმნა ბოშათა 20-მდე ოჯახისთვის, ადგილობრივ საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის მხარდასაჭერად.**

2011 წლის ივნისში მიღებული გადაწყვეტილებით, „Espace 16“ განთავსდა მუნიციპალიტეტის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ქალაქის ცენტრში (რკინიგზის სადგურთან ახლოს), რომელიც უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი ტრანსპორტითა და ინტეგრაციისთვის საჭირო სხვა სერვისებით. მასში განლაგებულია 26 ავტომისაბმელი და შენობა, ტუალეტები, საშხაპეები, სარეცხი მანქანები და შეხვედრების დარბაზი.

Horizon Amitié-ს ორ სოციალურ მუშაკს ევალება Espace 16-ის სივრცის მენეჯმენტი და ოჯახების დახმარება ადმინისტრაციული პრობლემების მოგვარებაში. ამ

სივრცეში დასასახლებლად ოჯახებმა ხელი მოაწერეს კონტრაქტს, რომელშიც განსაზღვრულია ინტეგრაციის მიზნები და ამ მუნიციპალური ტერიტორიის ფუნქციონირების წესები. პროექტი ითვალისწინებს ოჯახების ინტეგრაციის რამდენიმე ასპექტს. საგანგებოდ შექმნილი „საზოგადოებრივი ცხოვრების კომიტეტი“ ადგენს წესებს მუნიციპალური ფართის გამოყენებისა და ისეთი საკითხების გადასაჭრელად, როგორებიცაა ნარჩენების მართვა, კონფლიქტების მოგვარება და ერთობლივი ცხოვრების პირობები. გარდა ამისა, ოჯახებს მიეწოდება ინფორმაცია ჯანდაცვის საკითხებზე, მათ შორის ტუბერკულოზის სკრინინგზე, კონტრაცეფციასა და სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე, სტომატოლოგიურ ჰიგიენაზე და ზოგადი ინფორმაცია საფრანგეთის ჯანდაცვის სისტემის შესახებ.

ბავშვების სწავლასთან დაკავშირებით საფრანგეთის ეროვნული განათლების სტრუქტურებთან დამყარდა მჭიდრო პარტნიორობა. ამჟამად ყველა ბავშვი დადის ამ უბნის რომელიმე სკოლაში. შეიქმნა სკოლაში ბავშვთა სწავლების მონიტორინგის მექანიზმი, რომელშიც მონაწილეობენ მასწავლებლები, მშობლები და სამეზობლო ასოციაციები. ოჯახები იღებენ სასურსათო დახმარებას საქველმოქმედო ასოციაციებისაგან, კერძოდ კი ორგანიზაციისგან „les Resto du Cœur“. ეს მნიშვნელოვანია მათი სრულფასოვანი კვების უზრუნველსაყოფად. და ბოლოს, ამ სივრცეში ტარდება სხვადასხვა გასართობი ღონისძიება და წარმოდგენა, ბავშვებისთვის ორგანიზებულია ექსკურსიები და ვიზიტები ევროპარლამენტსა და სხვა ევროპულ ინსტიტუციებში.

პროექტს მრავალი სირთულე უკავშირდებოდა, პირველ რიგში, ფინანსური უზრუნველყოფის საკითხი. ბენეფიციარებს არ ჰქონდათ დასაქმების შესაძლებლობა და სტრასბურგის მზარდ და მუდმივად ცვალებად ბოშათა თემის წევრთათვის ძნელი იყო საცხოვრებელი ადგილის მოძებნა მუნიციპალურ ფართში. მაგრამ მუნიციპალიტეტის მიერ ნაკისრმა ვალდებულებამ და ასოციაციებთან და ოჯახებთან თანამშრომლობამ პროექტის წარმატება განაპირობა. მაგალითად, 2012 წლის მარტის მდგომარეობით, ამ სივრცეში მცხოვრები 16 წელზე უფროსი ასაკის ყველა პირი ირიცხებოდა ფრანგულის შემსწავლელ კურსებზე. ენის გაკვეთილებთან ერთად მათ მიეწოდებოდათ ინფორმაცია საფრანგეთში ცხოვრების ძირითადი წესებისა და ფრანგულ საზოგადოებაში ინტეგრაციის შესახებ, ასევე გრძელვადიანი სამუშაოს პოვნისათვის საჭირო ინფორმაცია. თემის 50%-ზე მეტი აცნობიერებდა ამ გაკვეთილების მნიშვნელობას და რეგულარულად ესწრებოდა კურსებს.

✉ **Clément Dolisi**
Parc Etoile 67100, Strasbourg, France
Telephone: +33 3 88 60 90 90
E-mail: Clement.DOLISI@strasbourg.eu
Website: http://www.strasbourg.eu/

# *მრავალეთნიკური სტრუქტურების შექმნა ადგილობრივი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, ჩანტავირი, ჰორგოში, ნიში, სერბეთი*

*ჩანტავირის მოსახლეობა : 7 178, ჰორგოში : 6 325, ნიში : 186 222*

**ადგილობრივ თვითმმართველობასა და დემოკრატიულ პროცესებში ბოშათა ჩართულობის წახალისებისა და ისეთი სოციალურ-პოლიტიკური გარემოს შექმნის მიზნით, რომელიც ხელს შეუწყობს სერბულ საზოგადოებაში ბოშათა პრობლემების უკეთ გააზრებას, სერბეთის ქალაქებსა და რაიონებში შეიქმნა ეთნიკური ურთიერთობების სტრუქტურები, რაც უაღრესად ეფექტიანი აღმოჩნდა ადგილობრივი ბოშა მოსახლეობის პრობლემების გადასაჭრელად.**

ქალაქ ნიშში, კანიჟას ჰორგოშის რაიონში და ჩანტავირსა და პესჩარაში, სუბოტიცას რაიონში, ბოშათა არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივისტებმა (სხვადასხვა ინიციატივის გზით) შექმნეს ეთნიკურ ურთიერთობათა სტრუქტურები ადგილობრივი მოსახლეობის სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ურთიერთობის გაუმჯობესებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ადგილობრივ ბოშათა ჩართულობის გაზრდის მიზნით. ეს სტრუქტურები სასარგებლო აღმოჩნდა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისთვის ბოშათა საჭიროებების გასაცნობად. ამ რაიონებში ხშირად ხდებოდა, რომ ბოშათა თემის წევრების მიერ ჩადენილი ცალკეული წვრილი დანაშაულის გამო ადგილობრივი მოსახლეობა ბოშათა მთელ თემს აქცევდა განტევების ვაცად. ეთნიკური საკითხების საბჭოებმა ამ პრობლემის მოგვარებაშიც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

მართალია, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ სერბეთის კანონის თანახმად სავალდებულოა ეთნიკურ ურთიერთობათა საბჭოს შექმნა იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც რომელიმე ერთი ეროვნული უმცირესობა მთლიანი მოსახლეობის ხუთ პროცენტზე მეტს ან ყველა უმცირესობა ერთად მოსახლეობის 10%-ზე მეტს შეადგენს, მაგრამ ნიშში და პესჩარაში შექმნილი საბჭოები განსხვავდება კანონით სავალდებულო საბჭოებისაგან. ნიშში ეს განსხვავება უმეტესწილად ნომინალურია, ამ ორგანოს ჰქვია „ადამიანის უფლებათა და უმცირესობათა უფლებების საბჭო“ და ის ქალაქის წესდებაშია გათვალისწინებული.XLVII ჩანტავირში, ჰორგოშში და პესჩარაში კი ამ ორგანოს ეწოდება „ეთნიკური ურთიერთობების კომისია“ და ის რაიონის მასშტაბით არის შექმნილი და არა მუნიციპალურ დონეზე. ჩანტავირსა და ჰორგოშში ეთნიკური ურთიერთობების საკითხთა კომისიების ჩამოყალიბებას მხარი დაუჭირა „სერბეთის ღია საზოგადოების ფონდმა“.[XLVIII]

ამ ორგანოების განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ბოშებს ეთმობა (თუმცა არა მხოლოდ მათ) და გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და პოლიტიკის შემუშავებაში ბოშათა ჩართულობის მხარდაჭერა ამ სტრუქტურების წარმატების გასაღებია.

✉ **Contact YUROM Centre**
**Osman Balić**, Directeur
Jovana Ristića 12/16, 18000 Niš Serbia
Telephone: +381 18 4246 940
E-mail: yuromcentar@sbb.rs
rec_ni@yahoo.com
Website: www.yuromcentar.org.rs

## *საცხოვრებელი 50 ოჯახისთვის; ენდრი, საფრანგეთი*[XLIX]

*მოსახლეობა : 4 000*

**ენდრის ყოფილმა მერმა ძალისხმევა არ დაიშურა 2013 წელს ნანტიდან გასახლებული 50 ოჯახის მისაღებად: ადმინისტრაციის მიერ ინიცირებული სოლიდარული ქმედებები ითვალისწინებდა ოჯახების განსახლებას, განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობას. ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩაერთო ინკლუზიის ამ მცდელობაში.**

ბოშების ორმოცდაათი ოჯახი ენდრში ჩავიდა ნანტიდან გაძევების შემდეგ. მერმა ჟან-ლუკ ლე დრენმა თავისი გუნდის დახმარებით სოლიდარობის არაერთი ინიციატივა განახორციელა. შეგროვდა ტანსაცმელი და ტექნიკა ჩამოსული ოჯახების ელექტროენერგიით და საშხაპეებით უზრუნველსაყოფად. თითოეული ოჯახი თვეში 50 ევროს იხდიდა ამ მომსახურებისთვის. როგორც მერი ამბობს, ოჯახებისგან ამ გადასახადის გადახდის პრობლემა არ შექმნილა. ენდრის მოსახლეობის მესამედი ბოშათა მიღების მომხრე იყო, მესამედი ყოყმანობდა, ხოლო მცხოვრებთა ერთი მესამედი ეწინააღმდეგებოდა ამ ინიციატივას, მაგრამ ქალაქმა გადაწყვიტა, მიეცა ამ ოჯახებისთვის დარჩენისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის საშუალება. პირველი ნაბიჯი იყო ბავშვებისთვის სასკოლო განათლების მიცემა. შედეგად, ბოშა ბავშვები ახლა უაქცენტოდ ლაპარაკობენ ფრანგულად. არასაკმარისი რესურსების გამო მოგვიანებით ქალაქმა 50-დან მხოლოდ ექვს ოჯახზე ზრუნვა იკისრა და მობილური სახლები შეიძინა მათთვის, დანარჩენი ოჯახები  კი გადაანაწილეს სხვა მუნიციპალიტეტებში, რომლებმაც მოისურვეს ენდრის მერის პროექტის გაზიარება. მერი პირად მაგალითს აძლევდა მოსახლეობას ბოშათა ოჯახებთან ურთიერთობების გაღრმავებაში. მისი ინიციატივით ჩატარდა სამზარეულო სემინარები, სადაც ბოშებს ასწავლიდნენ ფრანგული კერძების, ფრანგებს კი - ბოშური კერძების მომზადებას.

თავისი საქმიანობის დასასრულს ბ-ნმა ლე დრენმა აღნიშნა, რომ ინტეგრაცია შესაძლებელია. მისი კოლეგების უმრავლესობას, მისივე პოლიტიკური გუნდიდან, არ სჯეროდა ამ პროექტის და ფიქრობდა, რომ ბოშების ინტეგრაცია შეუძლებელი იყო. ქალაქმა შეცვალა ეს დამოკიდებულება, რადგან ენდრსა და მის შემოგარენში მდებარე 11 მუნიციპალიტეტში 50 ბოშური ოჯახი განსახლდა. ბატონი ლე დრენი აღნიშნავს, რომ სამწუხაროა, რომ ეს წარმატებული გამოცდილება მხოლოდ 50 ოჯახს შეეხო ნანტის რაიონში მცხოვრები 1000 ბოშადან. ამ თემის 800 წევრი დღემდე განიცდის დევნას და რუმინული მაფიის გამოძალვის მსხვერპლია.

**City Hall of Indre**
Avenue de la Loire
44 610 Indre, France
Telephone: (+33) 2 40 85 45 85
Fax: (+33) 2 40 85 45 89

# *RAE - ბოშა, აშკალი და ეგვიპტელი თემების განსახლებისა და ინტეგრაციის პროექტი გიაკოვაში, პეჩის რეგიონში, კოსოვოში*[1]

*მოსახლეობა : 94.556*

**გიაკოვას მუნიციპალიტეტმა „კოსოვოს კარიტასთან“ და „შვეიცარიის კარიტასთან“ ერთად წამოიწყო პროექტი ალი იბრას დასახლებაში ბოშების, აშკალებისა და ეგვიპტელთა თემების საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად და მათი ცნობიერების ასამაღლებლად ჯანდაცვის, ბავშვების განათლების, შრომის ბაზრისა და საჯარო სერვისების საკითხებზე.**

ალი იბრას დასახლება გიაკოვას მუნიციპალიტეტის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს. ის 1960-იანი წლებიდან არსებობს და 140 ოჯახს მასპინძლობს, სადაც 720 მოსახლეა. ალი იბრას დასახლებაში მძიმე საცხოვრებელი პირობებია: სახურავებიდან ჟონავს წყალი, არ არსებობს თერმული იზოლაცია, უხარისხოა ფანჯრები და სახლების გარე კედლები, რის გამოც საცხოვრებლებში ნესტი, სიცივე და არაჯანსაღი პირობებია. გაუმართავი წყალსადენისა და კანალიზაციის სისტემის გამო დასახლებაში არაჯანსაღი ჰიგიენური მდგომარეობაა და გარემო დაბიძნურებულია მღრღნელებითა და მწერებით, რაც სერიოზულ პრობლემად იქცა. დაახლოებით 48 სახლს არა აქვს სათანადო წყალმომარაგება. 2010 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის 31 მაისამდე მუნიციპალიტეტი აქტიურად მუშაობდა შემდეგი მიზნების მისაღწევად:

**I.** მუდმივი, გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობები (ეს მოიცავს ცალკეული სახლების უზრუნველყოფას სათანადო სანიტარული სისტემებით და ტექნიკური ინფრასტრუქტურით, აგრეთვე მიზნობრივი შეფასების საფუძველზე განსაზღვრული სოციალური ინფრასტრუქტურის მოწყობას).

**II.** ბოშა, აშკალი და ეგვიპტელი თემის სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა სათემო აქტივობებით და მუნიციპალურ დონეზე განათლებისა და ჯანდაცვის სერვისებზე წვდომით (განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და ქალთა საჭიროებების გათვალისწინება).

1. წინამდებარე ტექსტში კოსოვოსთან, მის ტერიტორიასთან, ინსტიტუციებთან და მოსახლეობასთან დაკავშირებული ყველა მინიშნება უნდა იყოს გაგებული კოსოვოს სტატუსის შესახებ გაეროს უშიშროების საბჭოს #1244 რეზოლუციის თანახმად.

**III.** მიზნობრივი ჯგუფების შეფასების საფუძველზე დასაქმებისა და მდგრადი შემოსავლის შესაძლებლობების შექმნა.

**Contact**
Telephone: +381290328110
Fax: +381290396588
Caritas Kosova in Gjakova
Qendra e Komuniteteve Ali Ibra, 50000 Gjakovë
Headquarters
Rr. Rexhep Bislimi 70000 Ferizaj

# ბოშა ბავშვების ინტეგრაცია და დაცვა

ბოშა ბავშვების მდგომარეობა ძალზე საგანგაშოა, რადგანაც ბავშვები განსაკუთრებით დაუცველები არიან ჯანმრთელობის პრობლემების, ცუდი საცხოვრებლის, ცუდი კვების, გარიყვის, დისკრიმინაციის, რასიზმისა და ძალადობის წინაშე. ბოშა ბავშვების სოციალური გარიყვა ხშირად უკავშირდება დაბადების რეგისტრაციისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების უქონლობას, რის გამოც ბავშვები ადრეული ასაკიდანვე მოკლებულები არიან ზრუნვას და შეზღუდული აქვთ განათლებაზე წვდომა. სეგრეგაცია სერიოზული ბარიერია, რომელიც ხელს უშლის ხარისხიანი განათლების მიღებას. ბავშვების ინტეგრაციასა და უსაფრთხოებაზე ყურადღების გამახვილება და ადრეული განათლების ხელშეწყობა გადამწყვეტია ბოშათა უთანასწორობის დასაძლევად და მათი ჩართულობის მხარდასაჭერად.

## *„მოგზაური" ბავშვების განათლების ზედამხედველობა პერსონალიზებული ჟურნალის შექმნით, დიჟონი, საფრანგეთი*

*მოსახლეობა : 151 212*

ბავშვებისთვის განათლებაზე პერსონალური წვდომის უზრუნველსაყოფად დიჟონის სკოლამ „Les Voyageurs" შექმნა თითოეული ბოშა მოსწავლის ჟურნალი, რომელიც მოიცავს ამ მოსწავლის ადმინისტრაციულ და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, იურიდიულ მონაცემებს და CV-ს, რომელშიც ასახულია ბავშვის განათლებისა და უნარების შეფასება. ეს ჩანაწერები ხელს უწყობს აღმზრდელების ეფექტიან მუშაობას და ბოშა ბავშვების ინტეგრაციას განათლების სისტემაში.

პროცესი სამ მთავარ სტრატეგიას ემყარება:

- საგანმანათლებლო და ურთიერთობის დამყარების პრაქტიკა, რაც საშუალებას აძლევს ბავშვებს, შეიძინონ თავდაჯერებულობა, გააცნობიერონ საკუთარი პასუხისმგებლობა საკუთარ სასწავლო შედეგებზე და განსაზღვრონ საკუთარი პოზიცია სკოლის მიმართ.
- დოკუმენტის (ჩანაწერების წიგნის, ჟურნალის ან სასკოლო ფაილის) შექმნა, რომელიც მშობლებსა და მასწავლებლებს მიაწვდის ინფორმაციას სხვადასხვა საგანში ბავშვის ცოდნის დონის შესახებ.
- დოკუმენტის გადაცემისა და განახლების მექანიზმი, რომელიც შეიძლება შემუშავდეს ადმინისტრაციის ან თავად ოჯახების მიერ მისი შინაარსისა და მიზნების მიხედვით.

ჩანაწერების ჟურნალი პედაგოგს აძლევს ინფორმაციას ბავშვის ინტერესებისა და მასთან გამოყენებული სწავლების მეთოდების შესახებ, რადგან მასში შედის კითხვები ბავშვისთვის: „როგორ სწავლობ?“, „რა გეხერხება და რატომ?“, „რა გიყვარს?“, „რა გიჭირს და რატომ?“ და ა.შ.

უფრო ზუსტად, ჟურნალი შემდეგი ნაწილებისაგან შედგება:

- ადმინისტრაციული ინფორმაცია ბავშვის შესახებ (გვარი, სახელი, დაბადების თარიღი) და იურიდიული მონაცემები (სავალდებულო სასკოლო განათლება); ინფორმაცია სხვა სკოლების შესახებ, სადაც სწავლობდა ბავშვი (წინა მსწავლებლებთან კავშირის დამყარების მიზნით).
- განყოფილება, რომელშიც მოცემულია სხვადასხვა საგანში მოსალოდნელი სასურველი ცოდნა და კომპეტენციები; ინფორმაცია გამოყენებულ სახელმძღვანელოებსა და სასწავლო საშუალებებზე; „გეგმა“, რომელშიც ასახულია წაკითხულის გააზრებისა და მათემატიკის შედეგები.
- ოჯახებისთვის განკუთვნილი განყოფილება, რომელიც ივსება მაშინ, როცა ბავშვი ირიცხება სკოლაში. მასში შედის სხვადასხვა პრაქტიკული ინფორმაცია (მაგალითად, შეუძლია თუ არა ბავშვს სასკოლო ექსკურსიებში მონაწილეობის მიღება) და სხვა ცნობები (მაგალითად, ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია).
- განყოფილება ბავშვის მნიშვნელოვან მიღწევებზე, რომელიც შეირჩევა თავად ბავშვთან ერთად, მისი შეფასების მონაცემები და მასწავლებლების კომენტარები (პერსონალიზებული პროექტები, ბავშვის ინდივიდუალური სამუშაო გეგმა და ა.შ.) კონკრეტულ საგანმანათლებლო მასალებსა და ასპექტებს შორის დიფერენციაციის მიზნით, ბავშვის ზოგადი განვითარების საკეთილდღეოდ.

✉ **Ecole ”Les Voyageurs”**
Rue Django Reinhardt
21 000 Dijon, France
Telephone: +33 (0)3 80 68 28 64

## *თითოეული ბავშვი მნიშვნელოვანია: მაღალი ხარისხის განათლება ყველასათვის, ლესტერი, დიდი ბრიტანეთი*

*მოსახლეობა : 391 100*

**დიდი ბრიტანეთის ქალაქ ლესტერში, ბაბინგტონის სათემო კოლეჯი მაგალითია სკოლისა, რომელიც ახორციელებს ინკლუზიურ განათლებას და აქტიურად არის ჩართული ადგილობრივი ბოშების განათლების გაუმჯობესებაში, საგანგებოდ მორგებული სასწავლო გეგმით, მოქნილი გრაფიკითა და ბავშვების ოჯახებთან უწყვეტი კომუნიკაციით.**

ბაბინგტონის ტექნოლოგიურ სათემო კოლეჯში სულ უფრო იზრდება სტუდნეტების ჯგუფი, რომლებსაც შეადგენენ ბოშები ჩეხეთიდან და სლოვაკეთიდან. კოლეჯმა თავდაპირველად ყურადღება გაამახვილა პერსონალსა და ბოშა მოსწავლეთა შორის ურთიერთობის დამყარებაზე, ნდობის შენებაზე, ბავშვების ისტორიების გაცნობაზე, მათ მოსმენაზე. მორგებულმა სასწავლო გეგმამ, მოქნილმა გრაფიკმა, სასწავლო პროცესში ბოშების ისტორიისა და კულტურის წარმოჩენამ, მშობლების ჩართვამ სკოლის ცხოვრებაში, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამ ჯგუფში სწავლისადმი ინტერესის გაღვივებაში. ახლა სკოლას სურს, ყურადღება გაამახვილოს მოსწავლეთა წიგნიერების გაუმჯობესებაზე სასწავლო გეგმის ფარგლებში.

ლესტერის სკოლებს ჰქონდათ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული მოსწავლეების მიღებისა და სწრაფ ადაპტაციაში მათი დახმარების წარმატებული ისტორია, მათ შორის ისეთი ბავშვებისაც, რომლებსაც ინგლისურ ენაზე სწავლის გამოცდილება თითქმის არ ჰქონდა. თუმცა, ბოშათა თემის ინტეგრაცია ასეთი წარმატებული არ ყოფილა. დასწრების მაჩვენებელი დაბალი იყო, ბავშვების პროგრესი - ნელი. წიგნიერების დაბალი დონე, ჯანმრთელობის პრობლემები, დაბალი თვითშეფასება და სიღარიბე დამატებით სირთულეებს უქმნიდა კოლეჯს პროგრამის განხორციელებაში. მაგრამ კოლეჯმა შეძლო, კომუნიკაცია დაემყარებინა ოჯახებთან, მიეწოდებინა მათთვის ინფორმაცია ბაბინგტონში ცხოვრების შესაძლებლობებზე, დაერწმუნებინა ბოშა მოსწავლეები, რომ განათლებაში წარმატების მიღწევა მათი უფლებაც არის და არა მხოლოდ სხვებისთვის განკუთვნილი პრივილეგია. ამრიგად, კოლეჯის თანამშრომლებმა შეძლეს სირთულეების გადალახვა. სკოლის ინკლუზიურმა მიდგომამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ წარმატებაში გამოცდილ გუნდთან ერთად, რომელიც ასწავლიდა „ინგლისურს, როგორც დამატებით ენას“. ამ ძალისხმევამ მალე გამოიღო იმედისმომცემი შედეგი: გაუმჯობესდა დასწრება, იმატა მოსწავლეთა აქტიურობამ, რამაც ნათლად წარმოაჩინა სკოლის მიერ ჩატარებული გამორჩეული სამუშაო. სხვა სკოლები და სასწავლო დაწესებულებები დიდი ბრიტანეთიდან და სხვა ქვეყნებიდან დაუკავშირდნენ ბაბინგტონს ბოშათა მიგრანტ თემებთან ურთიერთობის შესახებ რჩევების მისაღებად.

**Contact**
Strasbourg Drive, Beaumont Leys, Leicester LE4 0SZ
Telephone: (+44) 116 222 1616
Fax: (+44) 116 222 1620
E-mail: office@babington.leicester.sch.uk
Website: http://www.babington.leicester.sch.uk/

## *ქუჩის ბავშვების დაცვა და ინტეგრაცია, ტირანა, ალბანეთი*

*მოსახლეობა : 418 495*

**ბავშვებზე ძალადობისა და ექსპლოატაციის შემცირებისა და თავიდან აცილების მიზნით ადგილობრივმა ხელისუფლებამ ტირანაში გამოყო ადგილი, სადაც ორგანიზაციამ Save the Children გახსნა დღის ცენტრი, რომელიც ოჯახებს სთავაზობს არაფორმალურ განათლებას, მატერიალურ დახმარებას, რეფერალურ და რეკრეაციულ საქმიანობას და ფსიქო-სოციალურ დახმარებას.**

ბავშვების ექსპლოატაცია, ჩაგვრა და მათზე არასაკმარისი ზრუნვა დიდი ხანია, აქტუალური პრობლემაა ალბანეთში. ამ ვითარების გასაუმჯობესებლად, Save the Children ხელს უწყობს ეფექტიანი დაცვის პროგრამების შემუშავებას ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის. ამ პროგრამების მიზანია, შეამციროს არასრულწლოვანთა მოწყვლადობა ექსპლოატაციისა და ტრეფიკინგის მიმართ. პროექტის ფარგლებში, რომელიც 2009 წელს განახორციელა Save the Children-მა და შემდეგ (2011 და 2012 წლებში) ალბანეთში ევროკავშირის წარმომადგენლობამ დააფინანსა, შეიქმნა დღის ცენტრი ტირანას სქალაქო საბჭოს მიერ გამოყოფილ შენობაში. ცენტრი ყოველწლიურად ემსახურება დაახლოებით 300 ბავშვს, რომლებიც ცხოვრობენ და მუშაობენ ქუჩაში, იმყოფებიან მუდმივი საფრთხის ქვეშ და არიან ძალადობის, ექსპლოატაციისა და ტრეფიქინგის მსხვერპლები. ვინაიდან ბოშა და ეგვიპტელი ბავშვები ქუჩაში მცხოვრებ ბავშვთა უმეტეს ნაწილს შეადგენენ, ისინი წარმოადგენენ ამ ცენტრის მთავარ სამიზნე ჯგუფსაც. ცენტრი მუშაობს რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების იდენტიფიცირებისა და მათ ოჯახებთან კომუნიკაციის საკითხებზე. ამ სამუშაოს გარდა, ცენტრის მომსახურებები მოიცავს დაბადებისა და სამოქალაქო რეგისტრაციაში დახმარებას, სამედიცინო დახმარებას და სკოლაში ჩარიცხვას. ცენტრი უზრუნველყოფს ასევე ტრენინგებს იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც მუშაობენ ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებთან და მათ ოჯახებთან.

**Save the Children Albania**
Telephone: (+355) 4 2261840 / 4 2261929 / 4 2266227
Fax: (+355) 4 2263 428
E-mail: info.albania@savethechildren.org

## *პროექტი „ბოშა ბავშვების ჩართვა სკოლამდელ განათლებაში“, სკოპიე, ჩრდილოეთ მაკედონია*

*მოსახლეობა : 536 271*

**ეს ინიციატივა ეფუძნება მოსაზრებას, რომ განათლებაზე წვდომის მიღწევა უფრო ადვილია, როდესაც ინტეგრაციის მცდელობა ადრეულ ეტაპზე იწყება და ის გულისხმობს სკოლამდელ განათლებაში ბოშა ბავშვების ინტეგრაციას ადგილობრივ საგანმანათლებლო სისტემაში მათი შემდგომი ჩართვის მიზნით.**

პროექტის ძირითადი მიზნებია:

**I.** ბოშა მოსწავლეთა რაოდენობის ზრდა (459 ბოშა ბავშვი) ჩრდილოეთ მაკედონიის 18 მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლამდელ დაწესებულებებში.

**II.** 908 ბოშა მშობლის შესაძლებლობების გაუმჯობესება მათი ბავშვების განათლებისა და განვითარებას მხარდაჭერის მიზნით.

**III.** 459 ბოშა ბავშვის დახმარება მაკედონური ენის შესწავლაში და სოციალური უნარების გაუმჯობესებაში.

**IV.** მასწავლებლებისა და დამხმარე პედაგოგების მხარდაჭერა ბოშებთან დაკავშირებული სტერეოტიპების დაძლევაში.

**V.** საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ბოშების პრობლემებთან დაკავშირებით და ადგილობრივი მუნიციპალური ხელისუფლების ჩართვა მათ გადასაჭრელად განხორციელებულ ღონისძიებებში.

შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო ახორციელებს ამ პროექტს ბოშათა განათლების ფონდთან და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებთან თანამშრომლობით.

პროექტის სხვა პარტნიორები არიან არასამთავრობო ორგანიზაციები / კერძო პირები, ბოშების მასწავლებლები, დამხმარე პედაგოგები, ბაგა-ბაღების პერსონალი. ბავშვების ჩარიცხვა ხდება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ადგილზე ჩატარებული ანალიზის საფუძველზე. საბავშვო ბაღები, როგორც პროექტის პარტნიორები, უზრუნველყოფენ სათანადო გარემოს ბოშა ბავშვებისთვის, პროექტის მიზნების შესაბამისად. საბავშვო ბაღები პასუხისმგებელნი არიან ბავშვებზე ყოველდღიურ ზრუნვასა და საგანმანათლებლო პროგრამებზე. საბავშვო ბაღებში ბავშვების სრულფასოვანი ინტეგრაციისა და ადაპტაციის ხელშესაწყობად შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრომ გამოყო 17 დამხმარე პედაგოგი. საბავშვო ბაღის ფუნქციონირებისთვის საჭირო თანხებს უზრუნველყოფს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებთან და ბოშათა განათლების ფონდთან ერთად. ძირითადი სირთულე იყო ბოშა მშობლების ინფორმირებულობის დაბალი დონე შვილებისთვის სკოლამდელი აღზრდის მნიშვნელობის შესახებ. დაინტერესებულ მხარეებს შორის მუდმივი

კომუნიკაცია და მშობლების აქტიური მონაწილეობა პროექტის წარმატების საწინდარი გახდა. პროგრამაში ყოველწლიურად 460 ბოშა ბავშვი ირიცხება.

**Ministry of Labour and Social Policy**
**Aleksandar Georgievski**, Head of Department
Telephone: (+389) 2 3106 253
Fax: (+389) 2 3220 408
E-mail: Aleksandar.Georgievski@mtsp.gov.mk
”Dame Gruev“ 14, 1 000 Skopje
North Macedonia

# განათლებაზე წვდომა

ინტეგრაცია იწყება განათლებით! განათლება ბოშა ახალგაზრდებსა და მოზარდებს არა მხოლოდ აქტიური მოქალაქეობისთვის, პიროვნული თვითრეალიზაციისთვის საჭირო ცოდნასა და უნარებს აძლევს, არამედ ეხმარება მთლიან თემს, დაძლიოს სოციალური გარიყულობა და გაიუმჯობესოს ეკონომიკური მდგომარეობა. განათლების მხარდამჭერი ღონისძიებები საშუალებას აძლევს ბოშებს, ისარგებლონ თავიანთი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებებით, როგორიცაა, მაგალითად, საცხოვრებლის, ჯანდაცვისა და დასაქმების უფლება.

## *ბოშა ბავშვებისთვის ხარისხიან, ინტეგრირებულ სკოლამდელ და სავალდებულო განათლებაზე წვდომა, კორჩა და გიროკასტრა, ალბანეთი*[LI]

*კორჩას მოსახლეობა : 75 994 ; გიროკასტრა : 25 301*

**2008 წლის იანვრიდან 2013 წლის მარტამდე ალბანეთის განათლების სისტემის რეგიონული ორგანოები, კორჩასა და გიროკასტრას მუნიციპალიტეტები, ორგანიზაცია Save the Children და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ბოშა ბავშვებისთვის ხარისხიანი ინკლუზიური განათლების უზრუნველსაყოფად. პროექტი ეფუძნებოდა ჰოლისტიკურ მიდგომას ბოშა ბავშვებისა და მშობლების ჩართულობით და მოიცავდა ტრენინგებს მასწავლებლებისთვის, ადგილობრივი, რეგიონული და ეროვნული პოლიტიკის გაუმჯობესებას, განათლების სამინისტროსათვის გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებას.**

ბოშათა განათლების ფონდისა და „მედიკორის“ მიერ დაფინანსებულ და Save the Children Albania-ს მიერ განხორციელებულ პროექტში ჩართული იყო 780 ბოშა ბავშვი (3-16 წლამდე) კორჩაში და გიროკასტრაში და დაწყებით სკოლებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მომუშავე 193 მასწავლებელი.

პროექტის პირველ ეტაპზე (2008–2011) შემუშავდა მოდელი ბოშა / ეგვიპტელი ბავშვების ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ჩართვისათვის. პროექტის აქტივობებში შედიოდა მასწავლებლების ტრენინგები კულტურული მგრძნობელობის ამაღლების, მიზნობრივი სასკოლო მასალებისა და კლასგარეშე აქტივობების შემუშავების საკითხებზე, რაც ხელს უწყობს ტოლერანტობასა და კულტურულ გააზრებას. პროექტში გათვალისწინებული იყო ასევე მათემატიკისა და ალბანური ენის გაკვეთილები და კლასგარეშე აქტივობები ბოშების ისტორიის, კულტურისა და ტრადიციების შესახებ. პროექტი უზრუნველყოფდა ძირითად საჭიროებებსაც, როგორიცაა ბაგა-ბაღების ბავშვების კვება და ტრანსპორტირება, რაც ზრდიდა ოჯახების მოტივაციას, გაეგზავნათ შვილები სკოლაში. ბოშა / ეგვიპტელი თემის მედიატორები მუშაობდნენ მშობლებსა და სკოლას შორის თანამშრომლობის გასაადვილებლად.

მეორე ფაზაში პროექტი ითვალისწინებდა იმ ბავშვების ხელშეწყობას, რომლებმაც დაასრულეს ზოგადი განათლების პროგრამა და აპირებდნენ საუნივერსიტეტო ან პროფესიული განათლების მიღებას. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა მცირეწლოვანი ბავშვების მოტივირებისთვის. შემუშავდა მასწავლებელთა ტრენინგის მოდულები უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით. უწყვეტად ხდებოდა ბავშვთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და შეფასება. პროექტი მჭიდროდ თანამშრომლობდა არასამთავრობო ორგანიზაციებთან პროექტის ლობირებისა და ადვოკატირების საკითხებზე, სამთავრობო დონეზე მხარდაჭერის მოსაპოვებლად და მისი შედეგების მდგრადობის უზრუნველსაყოფად. ბოლო ეტაპზე პროექტის ეფექტიანობას მონიტორინგს უწევდა და აფასებდა ბოშათა განათლების ფონდის ეროვნული ფასილიტატორი.

მიუხედავად პოლიტიკური არასტაბილურობისა და ფინანსური შეზღუდვებისა, მრავალმხრივი ჩართულობისა და თანამშრომლობის წყალობით პროექტმა გამოიღო დადებითი შედეგები სკოლებში ბოშა / ეგვიპტელ ბავშვთა ჩარიცხვისა და შენარჩუნების თვალსაზრისით და წვლილი შეიტანა სკოლამდელი აღზრდიდან დაწყებითი სკოლაში მათ გადასვლაში, მასწავლებლების მომზადებაში მულტიკულტურულ გარემოში სამუშაოდ, ცნობიერების ამაღლებაში და ბოშათა სოციალური ჩართულობის პოლიტიკაში სისტემური გაუმჯობესების ხელშეწყობაში.

**Save the Children Albania**
Ish Pallatet 1 Maji, Ndertesa 7 (Vila Lami), Rruga Mihal Popi
Tirana, Albania
Telephone: (+355) 4 226 1840
Website: https://albania.savethechildren.net/news

## *მოძრავი საკლასო ოთახი და სასკოლო მედიატორები, გენტი, ბელგია*

*მოსახლეობა : 248 358*

**ქალაქ გენტში (ბელგია) დასაქმებული მედიატორები თანამშრომლობაში ეხმარებიან სკოლის ადმინისტრაციასა და ბოშათა ოჯახებს. შეიქმნა მოძრავი საკლასო ოთახი ბოშათა ბანაკის ტერიტორიაზე, სადაც ბავშვებს ასწავლიან წერა-კითხვას ჰოლანდიურად, ფრანგულად და ინგლისურად და ეხმარებიან რთული ინტელექტუალური დავალებებისთვის კონცენტრაციის შენარჩუნებაში.**

ენის არცოდნით და მწირი საკომუნიკაციო და ინტელექტუალური უნარებით გამოწვეული სირთულეების დასაძლევად გენტში მომზადდნენ სკოლის მედიატორები, რომელთა ნაწილი თავადაც ყოფილი მიგრანტია. მედიატორები არა მხოლოდ ეხმარებიან მშობლებს საკომუნიკაციო ბარიერების დაძლევაში და სკოლაში მოსიარულე შვილების მონიტორინგში, არამედ სთავაზობენ მათ სკოლის ცხოვრებაში ჩართვას. „ჩვენი სკოლა ღიაა, მშობლებს შეუძლიათ სკოლის ცხოვრებაში მონაწილეობა, გაკვეთილებზე დასწრება და გვსურს, წავახალისოთ ისინი საამისოდ."

მედიატორთა როლი ამით არ შემოიფარგლება. ისინი ეხმარებიან ბავშვებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვაში, სპორტულ კლუბებში, მუსიკალურ სკოლებში ჩარიცხვაში და მსგავს აქტივობებში. ამ მედიატორებს ხშირად თემსა და სკოლას შორის გადებულ „ხიდებს" უწოდებენ.

ამ პროექტით გენტმა პირველი ადგილი დაიკავა კონგრესის კონკურსში Dosta!, რომელიც მეხუთედ ჩატარდა (დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ).

**Contact Stad Gent-Department of Living, Welfare and Health**
**Stefan Vanbroeckhoven**, Head of department
Woodrow Wilsonplein 1, 9000 Gent, Belgium
Telephone: (+32) 9 266 76 76
Fax: (+32) 9 266 76 89
E-mail: dep.samenlevenenwelzijn@stad.gent
Website: http://bit.ly/2DycfQ5

## *სემინარები სკოლებში ასისტენტებად და დამხმარე მასწავლებლებად მომუშავე ბოშებისთვის; ვროცლავი, პოლონეთი*[LII]

*მოსახლეობა : 628 589*

**2005-დან 2011 წლამდე ვროცლავის მუნიციპალიტეტმა ჩაატარა სემინარები პოლონურ სკოლებში მომუშავე ბოშა ასისტენტებისთვის, ბოშა ბავშვების**

**განათლების დონის გასაუმჯობესებლად, ბოშათა თემებში გაუნათლებლობის აღმოსაფხვრელად და ბოშური წარმოშობის ბავშვებთან მუშაობაში პედაგოგების მხარდასაჭერად.**

ყოველწლიურად ტარდებოდა ოთხდღიანი ვორქშოფები 15-დან 20-მდე ბოშა ასისტენტისა და 15 დამხმარე მასწავლებლისთვის. პროგრამაში შედიოდა ფსიქოლოგიის, პედაგოგიკის, ბოშების ისტორიისა და კულტურის, ბოშური ენის მოდულები, ასევე ინფორმაცია განათლების სამართლებრივ სისტემაზე, ნარკომანიის პრევენციაზე და სხვა აქტუალურ, მათ შორის განათლებასთან დაკავშირებულ, პრობლემებზე. ყველა მონაწილეს ეძლეოდა დამატებითი მასალები, წიგნები, თამაშები, ბოშური მუსიკის კომპაქტ-დისკები, მანჩესტერის უნივერსიტეტის ენის შემსწავლელი მასალები, ბოშებთან დაკავშირებული ანგარიშები და სხვა ინფორმაცია. დასასრულს მოეწყო კულტურული ღონისძიებები, გამოფენები, კინოჩვენებები, თეატრსა და ოპერაში ვიზიტები, მონაწილეთა ადგილობრივ კულტურაში ინტეგრირებისა და არაფორმალური სოციალური კავშირების განვითარებაში მათი დახმარების მიზნით.

სამუშაო შეხვედრები გულისხმობდა ლექციებს, ტრენინგების სესიებს, დისკუსიებს, პრეზენტაციებსა და წერილობით ნაშრომებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა პრაქტიკული პრობლემების განხილვას, რომლებსაც ეს ადამიანები აწყდებიან მუშაობისას (მათ შორის, თავად ასისტენტთა დასაქმების ხელშეკრულებები, სახელფასო საკითხები, სამუშაო პირობები და ა.შ.). სკოლების ბოშა თანაშემწეთა გუნდი თანამშრომლობდა ხელისუფლებისა და ეროვნულ უმცირესობათა ორგანოების წარმომადგენლების ერთობლივ კომისიასთან სკოლებში მომუშავე ბოშა პერსონალის შრომითი პირობების გაუმობესების მიზნით (სტაბილური კონტრაქტები, გაზრდილი ხელფასები, პროფესიული უნარების განვითარების შესაძლებლობა და ა.შ.).

ამ პროექტმა, რომელიც პოლონეთის ბოშათა თემის 2004-2015 წლების სამთავრობო პროგრამის ნაწილი იყო, შეძლო გუნდური ატმოსფეროს შექმნა სკოლების ბოშა თანაშემწეებსა და მასწავლებლებს შორის და პედაგოგთა ქმედითი დახმარება არსებული წინააღმდეგობებისა და სტერეოტიპების მიუხედავად. ასეთივე პროექტი განხორციელდა შემდეგ მალოპოლსკას რეგიონშიც, სადაც ასევე დიდია ბოშური მოსახლეობა.

**Dom Spotkan im. Angelusa Silesiusa**
**Joanna Marzec**
ul. W. Stysia 16a 53-526 Wrocław, Poland
Telephone: (+ 48) 605 115 532
E-mail: joanna.marzec@silesius.org.pl
angelus@silesius.org.pl

# Services de santé

ბოშათა და მოგზაურთა არადამაკმაყოფილებელი ჯანმრთელობა მჭიდრო კავშირშია ჯანმრთელობის სოციალურ განმსაზღვრელებთან, რადგან ბოშათა თემები ხშირად განიცდიან სოციალურ გარიყულობას, დისკრიმინაციას და, შესაბამისად, არა ერთ დაბრკოლებას აწყდებიან ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით. აღიარებულია, რომ უთანასწორობის მიზეზი სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და გარემოსდაცვითი პირობებია, ამიტომ აუცილებელია ბოშებისთვის განვითარების პროგრამების შემუშავება და ძირითადი სერვისების ინკლუზიურობის გაზრდა.

## *ერთსაფეხურიანი მიდგომა ბოშების ჯანდაცვისა და კეთილდღეობისადმი, ნეა იონია, ვოლოსი, საბერძნეთი*[LIII]

*მოსახლეობა : 144 449*

**სოციალურ სერვისებზე წვდომის პრობლემების მოსაგვარებლად ვოლოსის მუნიციპალიტეტმა ალივერიში გახსნა სოციალური და სამედიცინო ცენტრი ბოშებისთვის, რამაც გააუმჯობესა ბავშვების სკოლაში სიარულის მაჩვენებლები, მოქალაქეობის მიღების შესაძლებლობა მისცა რეზიდენტ ბოშათა 100%-ს და გაზარდა ბოშათა სამედიცინო კონტროლის მაჩვენებლები.**

ეს პროექტი მაგნისიაში, ნეა იონიაში 2005 წლის მარტიდან 2009 წლის ივნისამდე განხორციელებული მსხვილი პროექტის, „ადგილობრივი ინიციატივები დასაქმებისათვის“, შვილობილი პროექტი და ეფუძნებოდა მიდგომას, რომ სოციალური უფლებების პოპულარიზაცია შეუძლებელია სხვა უფლებებისაგან იზოლირებულად. პროექტი ეყრდნობოდა სოციალური ინკლუზიისა და ზრუნვის, პრევენციისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის, ბავშვების შემოქმედებითი აქტივობების, განსახლების, შრომის ბაზარზე ინტეგრაციისა და ბოშათა თემების ქსელის შექმნის საჭიროებებს. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში შეიქმნა „ქალთა შეხვედრების ადგილი“, რომლიც მიზანი იყო ბოშა ქალების დაახლოება და საერთო ინტერესის საკითხებზე მსჯელობის წახალისება, როგორებიცაა ბავშვთა განათლება, დასაქმება და სხვა.

უფლებათა ადვოკატირებაში მხარდაჭერა დაეხმარა ბოშათა სოციალურ ჩართულობას. ამ პროექტის ფარგლებში სასამართლოში წარდგენილი იქნა საპილოტე საქმეები, რის შედეგადაც მოქალაქეობა მიიღეს რეზიდენტმა ბოშებმა, რომლებიც ინფორმაციის მუდმივი ნაკლებობის გამო ვერ ახერხებდნენ თავიანთი, როგორც ქვეყნის მოქალაქეების, უფლებების რეალიზაციას. ბოშათა სოციალური და სამედიცინო ცენტრი ალივერიში პირველი ცენტრი იყო, რომელიც თანამშრომლობდა საბერძნეთის ომბუდსმენთან და აწვდიდა მას ინფორმაციას

ბოშათა უფლებების შეზღუდვებზე, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სერვისებში არსებულ უთანასწორობაზე. კონტაქტების გაფართოებამ განაპირობა სოციალური და სამედიცინო ცენტრების ქსელის შექმნა მთელი საბერძნეთის მასშტაბით (www.Romoffice.net), რომელიც მიზნად ისახავს ურთიერთობის გაღრმავებას, წარმატებული გამოცდილების პოპულარიზაციას და პროექტის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას ქვეყნის მასშტაბით. ბოშების დახმარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა აგრეთვე ინიციატივა ბოშათა შორის განათლების მონაცემების გაუმჯობესებისა და არაფორმალურ განათლებაში მშობლების ჩართვის მიზნით.

პროგრამის შედეგი იყო დაწყებით სკოლაში ბოშა ბავშვების ჩარიცხვის შთამბეჭდავი ზრდა (35%-დან 85%-მდე). ამჯერად სკოლის ასაკის ყველა ბავშვი აცრილია. აცრების უზრუნველყოფა ბოშა ბავშვების ოჯახებს საკუთარი სახსრებით არ შეეძლოთ. რაც შეეხება საცხოვრებელს, 500-ზე მეტი საკრედიტო განაცხადი დაკმაყოფილდა პირველი ბინის შესაძენად, ბოშათა საცხოვრებლით უზრუნველყოფის სპეციალური პროგრამის ფარგლებში. ვოლოსის მხარეში შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა 350-ზე მეტი სესხი. და ბოლოს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ვოლოსის მხარეში მცხოვრები ბოშების 100%-მა მიიღო მოქალაქეობა.

**Municipality of Volos**
Telephone: (+30) 24213-50173 /174 /122
Email: snikiforou@volos-city.gr

## *ინკლუზიური ჯანდაცვა, რომი, იტალია*[LV]

*მოსახლეობა : 2 868 000*

**ამ კამპანიით რომის მუნიციპალიტეტმა, რომის „კარიტასმა“ და კიდევ რვა ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, ლაციოს რეგიონის მთავრობასა და ადგილობრივი ჯანდაცვის სააგენტოს ხუთ ფილიალთან ერთად მიზნად დაისახა ადგილობრივი ბოშა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ვაქცინაციის, ჯანდაცვის ძირითადი სერვისებით უზრუნველყოფის, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული იფორმაციის გავრცელებისა და პერსონალის მომზადების გზით.**

ჩართულმა მხარეებმა პირველ რიგში განსაზღვრეს სამიზნე ჯგუფი დასახლებული პუნქტების აღწერის გზით. ჯანდაცვის სერვისების ტერიტორიული განაწილების შესახებ ინფორმაციის შეგროვების საფუძველზე დაიგეგმა სპეციალური ღონისძიებები (რომლებსაც უზრუნველყოფდა თითოეული ადგილობრივი სამედიცინო დაწესებულება). პროექტის ძირითადი საქმიანობა ეხებოდა შემდეგს:

- ჯანდაცვის სერვისების დანაწილება (სამიზნე ჯგუფების მიხედვით); განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო აუცრელ ორსულებსა და ბავშვებს.

- ჯანდაცვასთან დაკავშირებული განათლება: დარიგდა სპეციალური ბროშურები სახელწოდებით „აირჩიე ჯანმრთელობა" და ბენეფიციარებს განემარტა მასში მოცემული ინფორმაცია. ბროშურა ითარგმნა რუმინულ და სერბულ ენებზე. მასში შედიოდა ინფორმაცია ინფექციური და ქრონიკული დაავადებების პროფილაქტიკისა და ბავშვთა და მოზრდილთა ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ.
- ჯანდაცვის პერსონალის ტრენინგი. მოეწყო ორდღიანი სემინარი, რომლის დაწყებამდეც ჩატარდა წინასწარი ტესტირება თანამშრომელთა ცოდნის შეფასების მიზნით. პროექტი დაფინანსდა კერძო სოციალური, საჯარო და ევროკავშირის სახსრებით, კერძოდ: იტალიის ეპისკოპოსთა კონფერენციის, ევროინტეგრაციის ფონდისა და ჯანდაცვის სამინისტროს თანხებით. ტექნიკური დახმარება მიიღეს რეგიონებმა და მუნიციპალიტეტებმა.

საზოგადოებრივი და კერძო სექტორის ფართო ქსელის შექმნით, რომის „კარიტასის" ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებით (რომელმაც ჯერ კიდევ 1987 წელს დაიწყო ამ საკითხებზე მუშაობა) და პროფესიონალთა მრავალდარგობრივი გუნდის (ექიმები, ანთროპოლოგი, ფსიქოლოგი და ბოშათა მედიატორი) ძალისხმევით პროექტის მიზნები შესრულდა. პროექტმა ხელი შეუწყო ჯანდაცვის ადგილობრივი სააგენტოების აქტიურ თანამშრომლობას სამიზნე ჯგუფებთან. შედეგად, ბოშების ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი და მომსახურების მიწოდება გაუმჯობესდა ამ სააგენტოების კონკრეტული ახალი ინიციატივების გზით. პროექტმა ჯანდაცვის სამინისტროს მოწონება დაიმსახურა და ეს მოდელი კიდევ 5 ქალაქში განხორციელდა: მილანში, პალერმოში, მესინაში, ფლორენციასა და ტრენტოში. პროექტის მეთოდოლოგიის გამეორება შესაძლებელია ორი ძირითადი მიმართულებით: ჯანდაცვის სფეროს პერსონალის ტრენინგი და ჯანდაცვასთან დაკავშირებული

✉ **Area sanitaria Caritas di Roma**
via Marsala, 103 - 00185 Roma, Italy
Telephone: (+39) 6 4454791
Fax: (+39) 6 4457095
E-mail: area.sanitaria@caritasroma.it

✉ **Caritas Diocesana di Roma**
Piazza S. Giovanni in Laterano, 6 – 00184, Italy
Telephone: (+39) 6 69886424
Fax: (+39) 6 69886489
Website: www.caritasroma.it

✉ **GrIS-Lazio c/o Società Italiana di Medicina delle Migrazioni**
S.I.M.M.
Telephone: (+39) 6 4454791
Fax: (+39) 6.4457095
Website: www.simmweb.it
E-mail: info@simmweb.it

# შრომის ბაზარზე ინტეგრაცია

აუცილებელია ბოშათა ჩართულობის ეკონომიკური განზომილების აღიარება. შრომის ბაზარზე წვდომა მნიშვნელოვანია ბოშათა სოციალური ჩართულობისა და ეკონომიკური გაძლიერებისათვის. ოფიციალური განათლებისა არქონა, სიღარიბე, შრომითი და კულტურული დისკრიმინაცია მხოლოდ ნაწილია იმ მიზეზებისა, რომელთა გამოც უმუშევრობა ბოშათა ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება. ბოშებისთვის შრომის ბაზრის გახსნა, საგანგებო ტრენინგებით მათი ტრადიციული უნარებისა და შესაძლებლობების განვითარება და კონკურენტუნარიანობის წახალისება ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების პრიორიტეტებში უნდა შედიოდეს.

## *პროფესიული ტრენინგი სირთულეების მქონე ახალგაზრდებისთვის, ECCOFOR, დოლი, ფრანშ-კონტე, საფრანგეთი*[LVI]

*მოსახლეობა : 25 384*

**სხვადასხვა წარმომავლობისა და გამოცდილების მქონე ახალგაზრდების, მათ შორის ბოშებისა და მომთაბარეების ინტეგრაციაში დახმარებისა და მათთვის პროფესიული პერსპექტივების შეთავაზების მიზნით ECCOFOR-მა შექმნა „წარმოების სკოლა", რომელიც აერთიანებს პერსონალიზებულ ტექნიკურ პროფესიულ მომზადებას (ლითონის დამუშავებასა და საბურავების წარმოებაში) და კეთილგანწყობილ სამუშაო პირობებს, განათლების სფეროს მოხალისეთა აქტიური ჩართულობითა და ძალისხმევით.**

ECCOFOR-მა, ფრანგულმა ასოციაციამ, რომლის სოციალური მიზანია კავშირების დამყარება, ქსელების შექმნა, სასწავლო შესაძლებლობების გაცვლა და სოციალური ინტეგრაციის მხარდაჭერის ტრენინგების ორგანიზება, თინეიჯერებს მისცა საშუალება, აპრილიდან ივნისამდე ჩაირცხულიყვნენ პროფესიულ სასწავლებელში და ინდივიდუალურად შეერჩიათ სასურველი სასწავლო პროგრამა მომდევნო საკადემიური წლისთვის, რომელიც სექტემბერში დაიწყებოდა. ტრენინგის სრული ხანგრძლივობაა 10 თვე და ის ღიაა 14-დან 18 წლამდე ასაკის ყველა მსურველისთვის, ვისაც სახელობო პროფესიის დაუფლება აინტერესებს. პროექტის დაფინანსების 60% საქონლის ან მომსახურების წარმოებიდან იფარება, 20-30% - სტაჟირების გადასახადიდან (ამას ემატება სპონსორობა და მოხალისეობრივი შენატანები); ხოლო 10-20%-ს ფარავს რეგიონული საბჭოს პროფესიული გადამზადების დაფინანსების პროგრამა. ამ პროექტის მეთოდის მნიშვნელოვანი უპირატესობა იყო ადგილობრივი დამსაქმებლების დეტალური გამოკითხვა და სორტირება მათი მიმდინარე ან პოტენციური საკადრო საჭიროებების მკაფიო სურათის შესაქმნელად. ტრენინგის მონაწილეებს ეძლევათ სერთიფიკატი, ცოდნისა და უნარების მითითებით, რომელიც მათ შრომითი ცხოვრების დაწყების საწინდარია.

ბოშები და მომთაბარეები

**ECCOFOR**
**Juralternance**
8, rue Marie Joseph Jacquard 39100 Dole, France
Telephone: (+33) 9 80 90 37 05
E-mail: contact@eccofor.fr

## *სამუშაო ადგილების შექმნა, სპისკი ჰროვი, სლოვაკეთი*[LVII]

*მოსახლეობა : 1 333*

**სლოვაკეთში, სპისკი ჰროვის მერმა მაგალითი მისცა სხვებს მუნიციპალურ კომპანიაში ბოშებისთვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნით. ამ ინიციატივის წყალობით ადგილობრივ ბოშურ თემში უმუშევრობის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია მთელი ქვეყნის მასშტაბით და თემის სოციალურ-ეკონომიკური პირობებიც ეტაპობრივად უმჯობესდება.**

სამართლიანობასა და პრაგმატულ მიდგომას ემყარებოდა ადგილობრივი ბოშების დასაქმების გადაწყვეტილება, რითაც სპისკი ჰროვის მერი დაუპირისპირდა მოძველებულ სტერეოტიპებს, რომელთა თანახმადაც ბოშების უმრავლესობა ზარმაცია, არ მუშაობს და არ სურს ინტეგრაცია. „დასაქმებამ გააუმჯობესა ბოშებისა და თითოეული ჩვენგანის ცხოვრების ხარისხი" - ამბობს ვლადიმერ ლედეკი თავისი ძალისხმევის შედეგზე, „მუნიციპალურ ფირმაზე" ლაპარაკისას, რომელიც მცირე ბიზნესების ერთგვარი გაერთიანებაა, რომელთა მოგება კვლავ ახალი სამუშაო ადგილების შექმნას ხმარდება. დღეს სპისკი ჰროვის ბოშა მოსახლეობის დაახლოებით 50% ლეგალურად მუშაობს, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ბოშათა უმუშევრობის მაჩვენებელს ქვეყნის მასშტაბით. სლოვაკეთში ბოშებთან თანაცხოვრების მდგომარეობაზე ყველაზე მეტს ალბათ ის მონაცემი ამბობს, რომ დასახლებამ ზრდა განაგრძო: 90-იანი წლების ბოლოს აქ დაახლოებით 600 მოსახლე ცხოვრობდა, დღეს კი მათი რიცხვი 1600-მდეა გაზრდილი. ადგილობრივ დაწყებით სკოლაში გაიზარდა როგორც ბოშების, ისე არა-ბოშა მოსწავლეების რიცხვი. მოსწავლეთა დაახლოებით 54% ბოშაა.

მერმა თავდაპირველად ქალაქის ბიუჯეტის მეხუთედი გამოყო „მუნიციპალური ფირმის" დასაარსებლად და ბოშების დასასაქმებლად. ფირმაში დასაქმებულია 50-დან 100-მდე ბოშა. მათი სამუშაო სეზონის მიხედვით იცვლება, ისინი აშენებენ სახლებსა და შენობებს, ამუშავებენ ხეს, მუშაობენ მუნიციპალურ ფიტნეს-ცენტრში და საცურაო კომპლექსში. ამ კონცეფციამ უდიდესი გავლენა მოახდინა მთელ ქალაქზე და ეროვნულ მოდელად იქცა. ეს პროექტი ადგილზე მოინახულეს აშშ-ს საელჩოს წარმომადგენლებმა, ევროპელმა ჩინოვნიკებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და მრავალი ქალაქის მერმა. შარშან სპისკი ჰროვი სლოვაკეთის საუკეთესო დაბად დასახელდა. ბევრი გადასახლდა სპისკი

ჰროვში ახლომდებარე დიდი ქალაქიდან, ლევოჩადან, რადგან აქ მიწის ნაკვეთის ყიდვაც იაფია და სკოლაშიც მაღალი ხარისხის სწავლებაა. ეს ინიციატივა დღემდე ვითარდება, თუმცა გარკვეული პრობლემები მაინც რჩება: ბოშების უმეტესი ნაწილი სავალდებულო განათლების შემდეგ პროფესიულ განათლებას იღებს, არა-ბოშა ახალგაზრდები კი უმაღლეს განათლებას ესწრაფვიან. დაბიდან სულ რამდენიმე კილომეტრის დაშორებით მდებარე ბოშათა დასახლებაში ბევრ ოჯახს დღემდე არ აქვს წყალი და დაწყებითი კლასების ბავშვებისთვის ცალკე სკოლაა გახსნილი, სადაც მხოლოდ ბოშები სწავლობენ, ეს კი ბევრს სეგრეგაციის ფორმად მიაჩნია. ყველაფრის მიუხედავად, „აშკარაა პროგრესი ადამიანთა გონებაში“, - ამბობს სპისკი ჰროვის დაწყებითი სკოლის დირექტორი, პიტერ სტრაჟიკი. „ჩვენ გავიზარდეთ და ახლა ბევრად უფრო მომწიფებულები ურთიერთობებისა და ინკლუზიურობის თვალსაზრისით.“

**Obecný úrad Spišský Hrhov**
SNP 10, 053 02 Spišský Hrhov, Slovakia
E-mail: spissky.hrhov@vmnet.sk
Telephone/Fax: (+421) 53 4592 238

# ბოშათა მიმართ მტრული განწყობის აღმოფხვრა და ბოშური კულტურისა და იდენტობის შესახებ ცნობიერების ამაღლება

ბოშათა მიმართ მტრული განწყობა ერთ-ერთი ყველაზე დიდი დაბრკოლებაა ბოშების სოციალური ჩართულობის საქმეში, რადგან ის იწვევს თემის სტიგმატიზაციას საზოგადოებრივ წარმოსახვაში და მან, შეიძლება, მრავალნაირი დისკრიმინაცია გამოიწვიოს. აქ არ იგულისხმებიან ბოშათა თემის ცალკეული წარმომადგენლები, რომლებიც ძალადობის ან უარყოფითი დამოკიდებულების მსხვერპლები ხდებიან. იგულისხმება ის ზოგადი ვითარება, როდესაც მთელ საზოგადოებას უარყოფითი დამოკიდებულება აქვს ბოშების მიმართ და ეს მოიცავს არა მხოლოდ ყოველდღიური ცხოვრების ასპექტებს, არამედ კანონებისა და სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების საკითხებს. ამრიგად, ამ განყოფილებაში წარმოჩენილია ის ინსტიტუტები, კამპანიები და პოლიტიკა, რომლებიც ხელს უწყობს ღია დიალოგს, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და ბოშათა მიმართ არსებული სტერეოტიპების აღმოფხვრას.

ჩაერთეთ!



## *მერებისა და ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების არჩეული ადგილობრივი და რეგიონული წარმომადგენლების განცხადება ბოშათა მიმართ მტრული განწყობის აღმოსაფხვრელად*

ევროსაბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესმა 2017 წლის მარტში გამართულ 32-ე სესიაზე მიიღო ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების მერებისა და არჩეული ადგილობრივი და რეგიონული წარმომადგენლების დეკლარაცია ბოშათა მიმართ მტრული განწყობის წინააღმდეგ. დეკლარაცია წარმოადგინეს ჯონ უორმიშემმა, კონგრესის სპიკერმა ბოშათა საკითხებზე და ვალერიუ ნიკოლაემ, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენელმა ბოშათა საკითხებზე.

დეკლარაციაში მერები ვალდებულებას იღებენ, დაიცვან ადამიანის უფლებები და დემოკრატიული პრინციპები და უარი თქვან დისკრიმინაციის, ძალადობის, შევიწროების, სიძულვილის ენის წახალისებაზე და დაგმონ ბოშათა და მომთაბარეთა მიმართ მტრული განწყობის ნებისმიერი გამოხატულება. ისინი ასევე იღებენ ვალდებულებას, თავი შეიკავონ ნებისმიერ ისეთ პოლიტიკურ პარტიასთან, ადგილობრივი თუ რეგიონული ხელისუფლების ორგანოსთან პოლიტიკურ ალიანსზე ან სხვა სახით თანამშრომლობაზე, რომელიც აღვივებს რასობრივ ან ეთნიკურ სტერეოტიპებს და რასობრივ სიძულვილს.

**დამატებითი ინფორმაცია** :
www.coe.int/congress-roma-declaration



## *სინტებისა და ბოშების საბჭო და კულტურული ცენტრი, ჰაიდელბერგი,[LVIII] გერმანია*

*მოსახლეობა : 154 715*

**გერმანიის სინტი და ბოშა მოსახლეობის საჭიროებების მოგვარების, ბოშური კულტურის პოპულარიზაციისა და დაცვის მიზნით, ცენტრალურმა საბჭომ და ჰაიდელბერგის გერმანელი სინტებისა და ბოშების ისტორიისა და კულტურის**

**ცენტრმაLIX წამოიწყო ბოშათა წინააღმდეგ არსებული მტრული განწყობის დაძლევის კამპანია, ბოშა მოსახლეობის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვით და მათი ისტორიისა და კულტურის შესახებ ცნობიერების ამაღლების გზით.**

1982 წელს სინტებმა და ბოშებმა თავად დააარსეს გერმანელი სინტებისა და ბოშების ცენტრალური საბჭო, რომლის ქვეშაც არსებობდა 17 რეგიონული ორგანიზაცია. ჰაიდელბერგში დაფუძნებული საბჭო წარმოადგენს გერმანელ სინტებსა და ბოშებს და მუშაობს მათი თანასწორობისა და პოლიტიკური ჩართულობის მხარდასაჭერად და მათი, როგორც უმცირესობის, დასახმარებლად.

ძველი ქალაქი ჰაიდელბერგი ასევე მასპინძლობს გერმანელი სინტებისა და ბოშების ისტორიისა და კულტურის ცენტრს. ეს შეხვედრებისა და დიალოგის ადგილი და მდიდარი ბოშური კულტურის კერაა, რომელიც ქალაქ ჰიდელბერგის მხარდაჭერით შეიქმნა. ცენტრი აწყობს ექსკურსიებს, ჩვენებებს, გამოფენებს, ლექციებსა და კონცერტებს. გარდა ამისა, ცენტრი ნაციონალ-სოციალისტების მსხვერპლთა ხსოვნის ადგილიც არის. ევროპაში სინტებისა და ბოშების ჰოლოკოსტისადმი მიძღვნილი მუდმივი ექსპოზიციით ეს ცენტრი თანამედროვე ისტორიის მნიშვნელოვანი მუზეუმი და ისტორიული მეხსიერების ადგილიც არის. ცენტრის მთავარი ამოცანაა სინტებისა და ბოშების ისტორიის წარმოჩენა გერმანიასა და ევროპაში, რომელიც 600 წელზე მეტს ითვლის.

თუმცა თავიდან ცენტრალური საბჭო გერმანიის მთავრობის ნების საწინააღმდეგოდ შეიქმნა, წლების განმავლობაში მან საფუძველი ჩაუყარა დიალოგს გერმანიის ფედერალურ მთავრობასა და რეგიონულ ხელისუფლებასთან. კერძოდ, ბადენ-ვიურტემბერგის მხარემ ჩამოაყალიბა სინტებისა და ბოშების საქმეთა ადგილობრივი საბჭო, რომელიც შეიძლება გახდეს ბადენ-ვიურტემბერგში არსებული პლატფორმა, რომელიც ეხმიანება ადგილობრივ ბოშურ თემთან დაკავშირებულ საკითხებს. საბოლოოდ ხელი მოეწერა სახელმწიფო კონტრაქტს ბადენ-ვიურტემბერგის მხარის ადმინისტრაციასა და სინტებისა და ბოშების ფედერალურ ასოციაციას შორის მათი უფლებების დასაცავად.

**Zentralrat Deutscher Sinti und Roma**
Bremeneckgasse 2, 69117 Heidelberg, Germany
Telephone: (+49) 6221 981102
Telefax: (+49) 6221-981190
E-Mail: zentralrat@sintiundroma.de

## *ბოშათა მუნიციპალური საბჭო; ბარსელონა, ესპანეთი*

*მოსახლეობა : 1.6 მილიონი*

1998 წელს ბარსელონაში დაარსდა ბოშების მუნიციპალური საბჭო იმ მიზნით, რომ შექმნილიყო ბოშათა საკითხებზე, მათ ისტორიასა და კულტურასთან

დაკავშირებულ თემებზე დიალოგის სტაბილური პლატფორმა. ამ ძალისხმევის შედეგი იყო ის, რომ 2015 წელს შეიქმნა ბარსელონაში ბოშებთან დაკავშირებული ადგილობრივი სტრატეგია.[LXI]

1998 წელს შექმნილი, ბარსელონას ბოშათა მუნიციპალური საბჭო დიალოგისა და დებატების სტაბილური პლატფორმაა ქალაქში ბოშების კეთილდღეობისა და ცხოვრების გაუმჯობესების საკითხებთან დაკავშირებით. საბჭოს ძირითადი მიზნებია:

- ხელი შეუწყოს ბოშათა კულტურის პოპულარიზაციას;
- ხელი შეუწყოს ინიციატივებს რასიზმისა და ბოშათა მიმართ მტრული განწყობის აღმოსაფხვრელად;
- წაახალისოს ბოშათა სოციალური ჩართულობა;
- უზრუნველყოს, რომ მუნიციპალური სამოქმედო პროგრამა მოიცავდეს კონკრეტულ ზომებს ბოშა მოსახლეობისთვის.

საბჭო გეგმავს რეალისტურ და სიცოცხლისუნარიან ინიციატივებს და ამავდროულად მოქმედებს, როგორც სტაბილური პარტნიორი ბოშათა საჭიროებებისა და გამოწვევების წარმოსაჩენად.

ოპერატიული თვალსაზრისით საბჭო ორ ჯგუფად იყოფა: ღონისძიებათა სამუშაო ჯგუფი და სტრატეგიის სამუშაო ჯგუფი. პირველის მიზანია ისეთი ღონისძიებების პოპულარიზაცია და მომზადება, როგორიცაა ბოშათა საერთაშორისო დღე ან ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის დღე; ხოლო მეორის მიზანია ადგილობრივი სტრატეგიის შესრულება. ბარსელონის მუნიციპალიტეტი აქტიურად მუშაობს ასევე ბოშური კულტურისა და თვითმყოფადობის განვითარებაზე, რათა წვლილი შეიტანოს ამ თემისადმი არსებული სტერეოტიპებისა და არასწორი შეხედულებების დაძლევაში. მაგალითად, 2016 წელს, ბოშების საერთაშორისო დღის ფარგლებში, ბარსელონაში გაიმართა ბოშური კულტურის პოპულარიზაციის ღონისძიებათა კვირეული, რომელთა დიდი ნაწილი ჩატარდა საზოგადოებრივ და ტურისტულ ადგილებში.

**Consell Municipal del Poble Gitano de Barcelona**
Passeig de Sant Joan, 75 08009 Barcelona, Spain
Telephone: (+34) 932 562 017
Website: http://bit.ly/2p0bohP

## *კამპანია „Dosta!“(კმარა!) - რომის, მილანის, ნეაპოლის და სხვა ქალაქების მაგალითი, იტალია*

*რომის მოსახლეობა : 2.8 მილიონი ; მილანი : 1.3 მილიონი ; ნეაპოლი : 983 755*

**„დოსტა“ ბოშური სიტყვაა ნიშნავს „კმარა“. ეს არის ევროპის საბჭოს ცნობიერების ამაღლების კამპანია, რომელიც მიზნად ისახავს ბოშებისა და**

**არა-ბოშა მოსახლეობის დაახლოებას. კამპანია თანამშრომლობდა იტალიის „რასისტული დისკრიმინაციის საწინააღმდეგო ეროვნულ ბიუროსთან“ ისეთი პროექტების განხორციელებისთვის, რომლებიც მოიცავდა სადისკუსიო პანელებს, გამოფენებს, კონცერტებსა და საჯარო დებატებს 40 ქალაქში, მედიისა და ფართო სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირების მიზნით. კამპანია უკვე 18 ქვეყანაში განხორციელდა.**

ბიურომ დააფუძნა ტექნიკური პანელი ბოშებისა და სინტების ასოციაციებთან და ფედერაციებთან მუდმივი თანამშრომლობისთვის. ეს პანელი რამდენჯერმე შეიკრიბა და შეიმუშავა კამპანიის არსებითი პროფილები, დასახა იდეები, პროექტები და ინიციატივები, რომლებიც უნდა მოეწყოს ქვეყნის მასშტაბით. მათ შორისაა ჟურნალისტების ტრენინგი, ცნობიერების ამაღლების ინიციატივები 40 ქალაქში, ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები სკოლებში, ვიდეორეკლამები და სხვა. 2011 წელს ROMNEWS-ის ღონისძიების პარალელურად ჩატარდა ტრენინგების სესიები პროფესიონალი ჟურნალისტებისთვის რომში, მილანსა და ნეაპოლში, რომლებსაც ესწრებოდნენ იტალიის ეროვნული ტელევიზიისა და წამყვანი გაზეთების წარმომადგენლები. იტალიის 40 ქალაქი იყო ჩართული საზოგადოებრივ გამოფენებში, კონცერტებში, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში, თეატრალურ წარმოდგენებსა და ბოშათა ასოციაციებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის საჯარო დებატებში. სკოლებში გავრცელდა საინფორმაციო ბროშურები, აჩვენეს ვიდეოფილმები ბოშათა შესახებ ცოდნის გაღრმავების მიზნით. შეიქმნა სატელევიზიო სარეკლამო რგოლები, რომლებიც ეთერში გავიდა ეროვნული ტელევიზიით, მათ აჩვენებდნენ ასევე ზოგიერთი ქალაქის მეტროს სადგურებში, მატარებლებსა და ავტობუსებში დამონტაჟებულ ეკრანებზე. ევროსაბჭოსა და რასისტული დისკრიმინაციის საწინააღმდეგო ეროვნული ბიუროს გარდა პროექტში ჩართულები იყვნენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, მათ შორის ბოშათა ორგანიზაციები და სამინისტროთაშორისი პანელი, რომელშიც შედიოდნენ საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტეგრაციის საკითხთა მინისტრი, შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი, ჯანდაცვის მინისტრი, განათლების, საუნივერსიტეტო და კვლევით საქმიანობათა მინისტრი და იუსტიციის მინისტრი.

**Ufficio Nazionale Antidiscriminazioni Razziali**
Via della Ferratella in Laterano, 51
00184 Roma, Italy
Telephone: (+ 39) 6 6779 2267
Fax: (+39) 6 6779 2272
E-mail: unar@unar.it segreteriaunar@governo.it

ჩაერთე!



## *Dosta! კმარა! დაძლიე სტერეოტიპები, გაიცანი ბოშები!*

ცნობიერების ამაღლების კამპანია Dosta! განხორციელდა ალბანეთში, ბოსნია-ჰერცეგოვინაში, მონტენეგროში, სერბეთის რესპუბლიკაში და „მაკედონიაში - ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკაში" 2006 და 2007 წლებში. პროექტით სხვა სახელმწიფოებიც დაინტერესდნენ და 2008-დან 2010 წლამდე ის განხორციელდა უკრაინაში, მოლდოვაში, იტალიაში, რუმინეთში, ხორვატიაში, სლოვენიაში, ლატვიაში, ბულგარეთსა და საფრანგეთში.

მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ პროექტის კონკურსშიც. კონკურსის ორგანიზატორია კამპანია Dosta! და ევროსაბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი. ეს კონგრესის სტრატეგიის ნაწილია, რომელიც გულისხმობს ადგილობრივი ხელისუფლების როლის გაძლიერებას ბოშებისა და უმცირესობების უფლებების დაცვაში. კონკურსი ღიაა მუნიციპალიტეტებისა და ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისთვის, რომლებმაც განახორციელეს ბოშათა თემის გაძლიერების პროექტები. კამპანია Dosta!-სა და კონგრესის ერთობლივი პრიზი ენიჭება სამ მუნიციპალიტეტს, რომელთა შემოქმედებითი და ინოვაციური პროექტები ყველაზე ეფექტურად წარმოაჩენს საზოგადოების მრავალფეროვნებას და მხარს უჭერს და ბოშების აქტიურ დემოკრატიულ ჩართულობას.

2017 წელს სამმა ქალაქმა დაიმსახურა Dosta!-სა და კონგრესის ერთობლივი ჯილდო. ცერემონია დაემთხვა პრიზის 10 წლის იუბილეს და გაიმართა კონგრესის 33-ე სესიაზე. პირველ ადგილზე გავიდა შიშლი (თურქეთი), მეორე ადგილი მიენიჭა ვოლოსს (საბერძნეთი), ხოლო მესამე ადგილი დაიკავა გლივიცემ (პოლონეთი).

**დამატებითი ინფორმაცია:**
www.dosta.org
http://www.roma-alliance.org/en/

ნაწილი V **რეკომენდაციები**



## ადგილობრივი თემის ცხოვრებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა

- **ჩართეთ** ბოშა მოქალაქეები, ინდივიდუალურად და კოლექტიურად, მათ ცხოვრებასთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილების მიღების პროცესში; ჩართეთ ადგილობრივი მოსახლეობა წინსვლის გზების ძიებაში.
- **მოუსმინეთ ბოშათა ხმას!** შექმენით ეთნიკურ უმცირესობათა და ბოშების მუნიციპალური საბჭოები თქვენს თემში, პოლიტიკური გაძლიერების მიზნით მხარი დაუჭირეთ ბოშათა მონაწილეობას ამ სტრუქტურებში.
- **იზრუნეთ** უნებართვო, სახიფათო და სანიტარული ნორმების დარღვევით არსებული დასახლებების მოშლაზე და სანიტარული ნორმების დაცვით დაგეგმილი, ინკლუზიური ტექნიკური და სოციალური ინფრასტრუქტურით აღჭურვილი დასახლებების მოწყობაზე.

## ბოშა ბავშვების დაცვა და ინტეგრაცია

- **შესთავაზეთ** ბოშა ბავშვებს უსაფრთხო სივრცე, რათა თავიდან აიცილოთ ბავშვებზე ძალადობა და მათი ექსპლოატაცია დღის ცენტრების, არაფორმალური კურსების ორგანიზებით, სკოლამდელ განათლებაზე გაადვილებული წვდომით, ოჯახებთან მჭიდრო თანამშრომლობით.
- სოციალურ გარიყვის **თავიდან ასაცილებლად** ზრუნეთ, რომ ყველა ბავშვს ჰქონდეს დაბადების მოწმობა, პირადობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის დამადასტურებელი საბუთები, თვალყური ადევნეთ მათ ცოდნას შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით.

## განათლებაზე წვდომა

- **იფიქრეთ მასშტაბურად**, როდესაც საქმე განათლებას ეხება! ჩართეთ სხვადასხვა სექტორი საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავებისას, ტრენერების, მედიატორებისა და პედაგოგების შერჩევისას, უზრუნველყავით საბაზო სერვისები, როგორიცაა კვება და ტრანსპორტირება, განიხილეთ

უფრო მოქნილი სასწავლო გრაფიკები და სასწავლო გეგმა, რომელიც პასუხობს ბოშა ბავშვების საჭიროებებს.

- **ჩართეთ** ბავშვები და მათი მშობლები წინსვლის გზების ძიებაში.
- **მონიტორინგი გაუწიეთ** მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას განათლების დონის გაუმჯობესების, წარუმატებლობის თავიდან აცილების მიზნით; დაეხმარეთ კურსდამთავრებულებს უმაღლესი ან პროფესიული განათლების კურსების შერჩევაში, რაც მათ საშუალებას მისცემს, როლურ მოდელებად იქცნენ უფრო ახალგაზრდა მოსწავლეებისთვის.
- **მხარი დაუჭირეთ** სკოლამდელ განათლებაზე წვდომას, რადგან ეს გაუადვილებს მოსწავლეებს განათლების ყოველ შემდგომ ეტაპზე გადასვლას.

## საბაზისო სამედიცინო მომსახურებაზე წვდომის გაუმჯობესება

- **დარწმუნდით**, რომ თქვენი ადგილობრივი ჯანდაცვის სისტემები უზრუნველყოფენ თანასწორუფლებიანობას, ითვალისწინებენ ბოშა მოსახლეობის განსაკუთრებულ საჭიროებებს და ამისათვის საგანგებოდ დაატრენინგეთ თქვენი სპეციალისტები.
- **დაიცავით** თქვენი ჯანდაცვის ზოგადი სტანდარტები ბოშებთან მიმართებაში, ხელი შეუწყვეთ მათ რეგულარული სამედიცინო კონტროლის გავლაში, მიაწოდეთ ინფორმაცია ვაქცინაციის შესახებ, რადგან ჯანმრთელობა პირველი ნაბიჯია სიღარიბის დასაძლევად და სოციალური გარიყულობის თავიდან ასაცილებლად.

## შრომის ბაზარზე და ეკონომიკაში ინტეგრაციის ხელშეწყობა

- **დაეხმარეთ** ბოშებს შრომითი ცხოვრებისთვის აუცილებელი პროფილის შექმნაში, პროფესიულ გადამზადებაში, რათა მხარი დაუჭიროთ მათ დასაქმებას და გაუადვილოთ პოტენციურ დამსაქმებლებს მათი უნარების შეფასება.
- **დასაქმება** არა მხოლოდ ბოშების ფინანსური სტაბილურობის გასაღებია, არამედ ის არსებითია მთელი საზოგადოების ცხოვრების დონის ამაღლებისთვის! იზრუნეთ ბოშებისთვის სამუშაო შესაძლებლობების შექმნაზე მათი უნარების, ინტერესებისა და ტრადიციების გათვალისწინებით.

# ბოშებისადმი მტრული განწყობის აღმოფხვრა და ბოშური კულტურისა და იდენტობის შესახებ ცნობიერების ამაღლება

- **შეიმუშავეთ** და განახორციელეთ ბოშათა მიმართ მტრული განწყობის გამოვლინებებისადმი ნულოვანი ტოლერანტობის სტრატეგია.
- **მოშალეთ** სტერეოტიპებითა და ცრურწმენებით შექმნილი ბარიერები, განახორციელეთ პროექტები, კამპანიები, მოაწყვეთ სადისკუსიო პანელები და გამოფენები, რათა აამაღლოთ საზოგადოების ცნობიერება თქვენი ბოშათა თემის პრობლემებზე.
- **გაითვალისწინეთ** ბოშათა ისტორიისა და კულტურის საკითხები თქვენი ადგილობრივი კულტურული ღონისძიებების პროგრამაში. მაგალითად, მოაწყვეთ მუდმივი გამოფენა ადგილობრივ მუზეუმში ან გახსენით ბოშური კულტურის ცენტრი, რომელიც მოემსახურება ბოშათა სეგრეგაციის, სტიგმატიზაციისა და მარგინალიზაციის აღმოფხვრას.

## ნაწილი VI რელევანტური ტექსტები და დამატებითი საკითხავი მასალა



### *მობილობა, მიგრაცია და სიღარიბე ევროკავშირში*

ფინალური ანგარიში (მარტი 2014):

https://bit.ly/2Tiao9T

### *ევროპული პოლიტიკის კვლევების ცენტრი (CEPS)*

ბოშათა მიმართ ინსტიტუციური არაკეთილგანწყობის წინააღმდეგ ბრძოლა: რეაგირება და პერსპექტიული პრაქტიკა ევროკავშირსა და შერჩეულ წევრ სახელმწიფოებში (2017 წლის მაისი):

www.ceps.eu/system/files/RR2017-08_AntiGypsyism.pdf

### *ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების სააგენტოს (FRA) პუბლიკაციები ბოშების შესახებ:*

https://fra.europa.eu/en/themes/roma



# ლებტი

# ნაწილი I **განსაზღვრებები**

იმის ცოდნა, თუ რას ნიშნავს ზუსტად „ლგბტი”[2] პირველი ნაბიჯია არა მხოლოდ ამ ტერმინის თქვენს საჯარო დისკურსში გამოყენებისთვის, არამედ ეფექტიანი, ინკლუზიური ლგბტი პოლიტიკის შემუშავებაში. ლგბტი არის ქოლგა ტერმინი, აბრევიატურა ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსი პირებისთვის. ქვემოთ მოცემულია თითოეული კატეგორიის სპეციფიკური განმარტება:[LXII]

**ლესბოსელი** = ქალები, რომლებსაც აქვთ სექსუალური და სასიყვარულო ურთიერთობები ქალებთან

**გეი** = კაცები, რომლებსაც აქვთ სექსუალური და სასიყვარულო ურთიერთობები კაცებთან

**ბისექსუალები** = ქალები და კაცები, რომლებსაც იზიდავს სექსუალური ურთიერთობა ორივე სქესთან.

**ტრანსგენდერი** = ასევე ცნობილი მესამე გენდერის სახით, არიან ადამიანები, რომლებიც აიგივებენ საკუთარ თავს იმისაგან განსხვავებულ გენდერულ იდენტობასთან, რაც მათ თან დაჰყვათ დაბადებისას; ან ის ადამიანები, რომლებიც საკუთარ გენდერს უფრო არამყარად აღიქვამენ, ვიდრე მკაცრად „მამრის“ ან „მდედრის“ კატეგორიები გულისხმობს ამას.

**ინტერსექსი** = ადამიანები, რომლებიც დაიბადნენ ჩვეულებრივი ქრომოსომული და ჰორმონალური შემადგენლობით ან გენიტალიური მახასიათებლებით, მაგრამ არ შეესაბამებიან „მამრისა“ და „მდედრის“ კატეგორიების მოცემულ სტანდარტს სექსუალური ან რეპროდუქციული ანატომიით. ეს შეიძლება დაბადებისთანავე ჩანდეს ან შემდეგ გამოვლინდეს ცხოვრების რაღაც ეტაპზე. ინტერსექსი პირი შეიძლება იდენტიფიცირებული იყოს, როგორც მდედრი, როგორც მამრი ან არცერთი. ინტერსექსის სტატუსი არ არის კავშირში სექსუალურ ორიენტაციასთან ან გენდერულ იდენტობასთან: ინტერსექს ადამიანებს აქვთ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის იგივე შესაძლებლობები, რაც არა-ინტერსექს პირებს.[LXIII] ინტერსექსუალობა შეიძლება სხვადასხვა სახის იყოს და სხვადასხვა პირობებს გულისხმობდეს.

ადამიანთა ყველა ამ ჯგუფს საერთო აქვს ერთი რამ: მათ ხშირად არ ეპყრობიან ისე, როგორც სხვა

2. საერთაშორისო კონტექსტში ლგბტი საკითხებზე ლაპარაკისას ხშირად გამოიყენება ტერმინი SOGIESC: “სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა/გამოხატულება და სექსუალური მახასიათებლები

მოქალაქეებს. ლგბტი ადამიანები ხშირად არიან **დისკრიმინაციის, სოციალური გარიყვის და ძალადობის მსხვერპლები სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის** გამო. ეს არის **ჰომოფობიის** და / ან **ტრანსფობიის** გამოვლინებები.

ამიტომ ძალიან **მნიშვნელოვანია, ზუსტად გვესმოდეს ტერმინების** - „სექსუალური ორიენტაცია", „გენდერული იდენტობა", „ჰომოფობია და / ან ტრანსფობია" - მნიშვნელობები, რათა შევძლოთ, მკაფიოდ დავადგინოთ მათთან დაკავშირებული დისკრიმინაცია და ეფექტიანად ვებრძოლოთ მას.

**სექსუალური ორიენტაცია** გულისხმობს თითოეული ინდივიდის უნარს, განიცადოს ღრმა ემოციური, სასიყვარულო და სექსუალური მიზიდულობა სხვა სქესის (ჰეტეროსექსუალი), იგივე სქესის (ჰომოსექსუალი, ლესბოსელი, გეი) ან ერთზე მეტი სქესის (ბისექსუალი) პირების მიმართ, მათთან ინტიმური და სექსუალური ურთიერთობისათვის.

**გენდერული იდენტობა** გულისხმობს საკუთარი გენდერის სიღრმისეულ, ინდივიდუალურ შეგრძნებას, რომელიც შეიძლება შეესაბამებოდეს ან არ შეესაბამებოდეს დაბადებით მოცემულ სქესს; ის მოიცავს სხეულისა და გენდერის სხვა გამოხატულებების („გენდერული გამოხატულება") - ჩაცმის, მეტყველების, მანერების[LXIV] - პირად შეგრძნებას. და ბოლოს, გაეროს განსაზღვრებათა თანახმად,[LXV] **ჰომოფობია** არის გეი ან ბისექსუალი ადამიანების მიმართ ირაციონალური შიში. **ტრანსფობიაც იგივეა - სიძულვილი, შიში ან ზიზღი** ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ. ტერმინი „ჰომოფობია" ხშირად გამოიყენება, როგორც ზოგადი ტერმინი ლგბტი ადამიანების მიმართ შიშის, სიძულვილის და ზიზღის აღსანიშნავად.

**გახსოვდეთ, რომ ადამიანის სექსუალური ორიენტაციის ან / და გენდერული იდენტობის შეცვლა შეუძლებელია!** სხვისი სექსუალური ორიენტაციის შეცვლის მცდელობები ტრავმულია ამ ადამიანისთვის და მისი უფლებების დარღვევას იწვევს. ის რისი შეცვლაც შეიძლება და სავალდებულოა, უარყოფითი სოციალური დამოკიდებულებაა, რომელიც ლგბტი თემის წევრების სტიგმატიზაციას, გარიყვას და მათი უფლებების დარღვევას იწვევს!



ჰომოფობიური ქცევის ზოგიერთი მაგალითი, რომელსაც ლგბტი პირები ხშირად აწყდებიან:

გეი ადამიანებზე თავდასხმა და ფსიქოლოგიური ძალადობა, მათ შორის სექსუალური ძალადობაც

ჰომოსექსუალობის დაკავშირება პედოფილიასთან

შეურაცხმყოფელი კომენტარები, დამცირება, დაცინვა ან მუქარა სექსუალური ორიენტაციის ან სექსუალური პრაქტიკის შესახებ

Იხილეთ ასევე :https://www2.viu.ca/ positivespace/manual/homophobia_def.asp

## ყალბი ცნობები

არაბუნებრივია, იყო ლგბტი

## ფაქტი

ლგბტ ადამიანისთვის ბუნებრივია სექსუალური მიზიდულობა საკუთარი სქესის წარმომადგენლებისადმი და მათთან სექსუალური ურთიერთობა. ბისექსუალებს საპირისპირო სქესიც იზიდავს.

ზოგიერთი ტრანსგენდერი ადამიანი თავს ჰომოსექსუალად ან ბისექსუალად თვლის, ზოგი კი - ჰეტეროსექსუალად. ამ გრძნობების მიხედვით მოქმედება სრულიად ბუნებრივია. ამ გრძნობებთან შეუსაბამო მოქმედება იქნებოდა არაბუნებრივი, რადგან აიძულებდა ადამიანებს, დაემალათ საკუთარი იდენტობა, რაც დიდ ტკივილს მიაყენებდა მათ. მნიშვნელოვანია ურთიერთობის ხარისხი და არა პარტნიორის სქესი. ეს ყალბი შეხედულება იმ მოსაზრებასაც ეფუძნება, რომ სექსუალური ურთიერთობა მხოლოდ ბავშვების გასაჩენად არის საჭირო. შვილების გაჩენის გადაწყვეტილება ყველანაირ ურთიერთობაში კომპლექსურია და მას კარგად აწონ-დაწონვა სჭირდება. მართალია, მრავალი ჰეტეროსექსუალი აჩენს შვილს, მაგრამ ბევრ მათგანს არ სურს ან არ შეუძლია შვილების გაჩენა. ასევე, ბევრი ლგბტი ადამიანი აჩენს შვილს და ზრდის მას თავის პარტნიორთან ერთად. ამ ოჯახებში გაზრდილი ბავშვები ნათლად ადასტურებენ იმას, რომ ბავშვისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ზრუნვა და სიყვარული.[LXVI]

## ყალბი ცნობები

სექსუალური ორიენტაცია პირადი არჩევანია.

## ფაქტი

ლგბტი ადამიანების უმეტესობას მიაჩნია, რომ მათ არ აურჩევიათ ლგბტი იდენტობა. უფრო მეტიც, ისინი ადრეული ასაკიდანვე გრძნობდნენ მიზიდულობას საკუთარი სქესის ადამიანებისადმი და ეს შეგრძნებებიგანვითარდა და გამყარდა მოზარდობის ან ზრდასრულ ასაკში. თანამედროვე მეცნიერებამ ვერ დაასაბუთა, თუ რაზეა დამოკიდებული სექსუალური ორიენტაცია, მაგრამ მრავალი კვლევის თანახმად, ეს არის როგორც ბიოლოგიური ფენომენი, ისე გარემო

ფაქტორების ზემოქმედების შედეგი, და არა პირადი „არჩევანი“. 2008 წელს ტყუპების შვედურმა კვლევამ (ტყუპების ყველაზე მასშტაბური კვლევა მსოფლიოში), რომელიც „სექსუალური ქცევის არქივებში“ გამოქვეყნდა, აჩვენა, რომ ”ჰომოსექსუალურ ქცევას უმეტესწილად გენეტიკა და ნაწილობრივ შემთხვევითი გარემო ფაქტორები განაპირობებს”.

ადამიანები ირჩევენ, იცხოვრონ სრულფასოვანი, გაწონასწორებული ცხოვრებით თავისივე სქესის პარტნიორთან თუ ჩაახშონ საკუთარი გრძნობები. მიზეზებს არ აქვს მნიშვნელობა, მთავარია ადამიანების ღირსების პატივისცემა, განურჩევლად მათი სექსუალური ორიენტაციისა.

## ყალბი ცნობები

ლგბტი ადამიანები არ არიან კარგი მშობლები

## ფაქტი

კვლევებმა აჩვენა, რომ გარდა იმისა, რომ ჰომოსექსუალური წყვილის შვილები ხშირად აღელვებულნი არიან თანატოლების სტიგმატიზაციით, ისინი არ აჩვენებენ უფრო მაღალ შემთხვევებს ემოციური აშლილობა, ვიდრე ჰეტეროსექსუალური წყვილების შვილები. გარდა ამისა, მათ არ აქვთ დაბნეული საკუთარი სექსუალური თვითმყოფადობა. ლგბტ ადამიანების წარმომადგენლები ყველა სახის ოჯახიდან მოდის, ისევე როგორც ჰეტეროსექსუალები, და არანაირი კავშირი არ არსებობს მშობლების სექსუალურ ორიენტაციასა და მათ შვილებთან. ლგბტI ბავშვის შანსების ალბათობა იგივეა, თუ არა ისინი გაზრდილი ლგბტ-მშობლების ან ჰეტეროსექსუალური მშობლების მიერ, კერძოდ 7-დან 10% -მდე.

# ნაწილი II **რა უფლებები აქვთ მათ?**

**ლგბტი** თემის წარმომადგენლებს ხშირად აქვთ სირთულეები ადამიანის ძირითადი უფლებების გამოყენების თვალსაზრისით. ილახება მათი უფლებები, როგორიცაა თანასწორობის უფლება, ღირსება, ხშირია მათი დისკრიმინაცია. თქვენ, როგორც ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა, უნდა მიიღოთ ზომები ლგბტი პირების უფლებების დარღვევისა და მათი დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად და დარწმუნდეთ, რომ თქვენს თემში ლგბტი პირებს ისე ექცევიან, როგორც ყველა დანარჩენ მოქალაქეს!

თანასწორობისა და არადისკრიმინაციის პრინციპები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ძირითადი ელემენტებია. ისინი გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტში, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტშიLXVII და გაეროს სხვა, სპეციფიკურ კონვენციებში, როგორიცაა, მაგალითად, „კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ ან „ბავშვის უფლებების კონვენცია.“[LXVIII] ევროპულ მასშტაბში სექსუალური ორიენტაციის / გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციას ეხება „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია“ და „კონვენცია ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ“, „კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, მინისტრთა კომიტეტის, ადამიანის უფლებათა კომისარიატისა და ევროპის საბჭოს სხვა ორგანოების რეკომენდაციები[LXIX].

> “
>
> *“ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით.”*
>
> მუხლი 1, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

ლგბტი

**ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ვრცელდება ლგბტი პირებზე, როგორც ნებისმიერ სხვა ადამიანზე, ყოველგვარი განსხვავების გარეშე. ლგბტი პირებს აქვთ იგივე უფლებები და თავისუფლებები, რაც თქვენი თემის ნებისმიერ სხვა მკვიდრს,** მათ შორის უსაფრთხოების, საცხოვრებლის, სოციალური უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლებას, პირადი ინფორმაციის დაცვისა და საჯარო განსახლების უფლებები.

საყოველთაოდ გავრცელებული მცდარი მოსაზრებაა, რომ ლგბტი პირთა უფლებები მხოლოდ ერთი სქესის ადამიანებს შორის ქორწინების საკითხით შემოიფარგლება. როგორც თქვენი ქალაქის ან მუნიციპალიტეტის მცხოვრებლები, **ლგბტი** ადამიანები თქვენზე არიან დამოკიდებულები და თქვენ მათი უფლებების დაცვის გარანტია ხართ. ნუ დაუშვებთ, რომ ტრადიციებით, კულტურული მოსაზრებებით, რელიგიური რწმენით, სოციალური დამოკიდებულებით ან სტერეოტიპებით გამართლდეს ნებისმიერი ჯგუფის, მათ შორის ლგბტი თემის, უფლებების შელახვა. გახსოვდეთ, რომ ადამიანის უფლებები უნივერსალური და ერთმანეთისაგან განუყოფელია.

**ლგბტი** ადამიანები საზოგადოების განუყოფელი და მნიშვნელოვანი ნაწილია; ისინი თქვენს ქალაქებში ცხოვრობენ და თქვენი პოლიტიკა და სტრატეგია მათაც ეხება. სექსუალურ ორიენტაციასა და სექსუალურ იდენტობაში არსებული განსხვავებები განიხილეთ, როგორც მრავალფეროვნების პოზიტიური ფორმები და გაბედეთ, დაიკავოთ მტკიცე პოლიტიკური პოზიცია **ლგბტი** თემის ინკლუზიური პოლიტიკის გატარებით. **ამით თქვენს საზოგადოებას გახდით უფრო უსაფრთხოს, ღიას, ინკლუზიურსა და მრავალფეროვანს, გადააქცევთ მას ადგილად, სადაც ყველასათვის სასურველია ცხოვრება**.

ლგბტი

# ნაწილი III პრაქტიკული გამოწვევები

ერთი სქესის ადამიანების სიყვარულის პირველი აღრიცხული შემთხვევები ჯერ კიდევ უძველესი დროით თარიღდება. კაცობრიობის ისტორიაში თითქმის ყველა კულტურისთვის კარგად არის ნაცნობი ტრანსგენდერი და მესამე სქესის ადამიანები. ლგბტი ადამიანები მრავალი საუკუნის განმავლობაში იყვნენ შეუწყნარებლობის, დისკრიმინაციისა და ძალადობის მსხვერპლები მათი გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის გამო. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ჰომოსექსუალობა 21-ე საუკუნის დასაწყისამდე ჯერ კიდევ სისხლის სამართლის დანაშაული იყო.

ბევრი **ლგბტი** ადამიანისთვის ჩაგვრისა და გარიყვის თავიდან აცილების, თავის დაცვის ერთადერთი გზა შენიღბული ცხოვრება იყო. ისინი ცდილობდნენ, რაც შეიძლება, უხილავები ყოფილიყვნენ. **ლგბტი** ადამიანთა უფლებების დამცველი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და კავშირების სწრაფად განვითარების მიუხედავად, დღესაც ბევრი ლგბტი ადამიანი ამჯობინებს დუმილს და არ ცდილობს, ეძებოს სამართალი. მიუხედავად მრავალი დადებითი მოვლენისა ამ მიმართულებით (მაგალითად, ევროსაბჭოს 14 წევრ ქვეყანაში ერთი სქესის ადამიანების ქორწინების აღიარება), **ლგბტი** ადამიანები კვლავაც ხშირად განიცდიან დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე.

ისინი ხშირად ეჩეხებიან ნეგატიურ დამოკიდებულებას და მიუღებლობას. ქცევა, რომელიც საზოგადოებრივ ადგილებში ჰეტეროსექსუალური წყვილებისთვის მისაღებად ითვლება, **ლგბტი** ადამიანებისთვის დაუშვებელია. ისინი განიცდიან დისკრიმინაციას ჯანდაცვის, დასაქმებისა და განსახლების საკითხებში, არიან ოჯახში ძალადობის, ბავშვთა მიმართ ძალადობის მსხვერპლები (მაგალითად, სკოლაში ბულინგის), მათ უარს ეუბნებიან ოჯახის უფლებებზე და ურთიერთობების სამართლებრივ აღიარებაზე.

**როგორც ადგილობრივი არჩეული წარმომადგენელი, თქვენ ფართო საზოგადოებამდე მიგიწვდებათ ხმა და უნდა გაატაროთ პოლიტიკა, რომელიც დაიცავს ადამიანის ღირსებას, სექსუალური ორიენტაციის მრავალფეროვნებას და გენდერულ იდენტობას.** უპირველეს ყოვლისა,

თქვენი ვალია, სიმტკიცის მაგალითი აჩვენოთ და უარი თქვათ ჰომოფობიურ და ტრანსფობიურ გამონათქვამებზე, შევიწროვებასა და ძალადობაზე, რომელიც სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობას ემყარება. თუმცა, თქვენი ქვეყნის ისტორიული, პოლიტიკური თუ საკანონმდებლო კონტექსტიდან, რელიგიური თუ მორალური რწმენიდან გამომდინარე, შეიძლება, არ იყოს ადვილი გენდერული როლებისა და ქცევების ტრადიციული წარმოდგენების შეცვლა, **ლგბტი** ადამიანებთან დაკავშირებული სტერეოტიპების დაძლევა და საზოგადოებაში მტრული დამოკიდებულების აღმოფხვრა.

ქვემოთ მოცემულია ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების საქმიანობის წარმატებული მაგალითების კრებული, რომელშიც შედის **ლგბტი** თემის ჩართულობის მიმართულებით განხორციელებული ინიციატივები. ეს ინიციატივები და პროექტები ეხება ისეთ თემებს, როგორიცაა ხელისუფლების ორგანოების თანამშრომლებისთვის ქცევის კოდექსის შექმნა, რომელიც კრძალავს **ლგბტი** პირთა მიმართ დისკრიმინაციულ ან აგრესიულ დამოკიდებულებას; ანტიდისკრიმინაციული საკანონმდებლო ცვლილებების დანერგვა და ხელშეწყობა; პოლიციური ძალების მომზადება გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე ჩადენილ დანაშაულსა და სიძულვილისა და დისკრიმინაციის დანაშაულზე რეაგირებისთვის; ადგილობრივი **ლგბტი** პოლიტიკის შემუშავებისას თემთან კონსულტაციები და სხვა.

## არ დაგავიწყდეთ!



**თქვენ არამარტო ხალხის კონკრეტულ ჯგუფს ეხმარებით, როდესაც მხარს უჭერთ ლგბტი პირების ჩართვას თქვენი ქალაქის / მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში. ამით თქვენ აუმჯობესებთ მთელი საზოგადოების მდგომარეობას, ხელს უწყობთ ძალადობის პრევენციას, ცვლით სიძულვილისა და რეპრესიების ძველ მენტალიტეტს და საზოგადოებას სამართლიანობის, თანასწორობის, ინკლუზიისა და მრავალფეროვნების ფასეულობებზე აფუძნებთ.**

ნაწილი IV **გამოსავალი**

## სოციალურ უფლებებსა და მომსახურებაზე წვდომა (დასაქმება, ჯანდაცვა და განსახლება)

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ბევრ სფეროში მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ევროპაში კვლავ ხშირია სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე დისკრიმინაცია დასაქმების, განსახლების, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სფეროებში. სახელმძღვანელოს ამ ნაწილში მოცემულია ადგილობრივი ხელისუფლების წარმატებული საქმიანობის მაგალითები, როგორებიცაა მიზნობრივი ტრენინგების ორგანიზება, სტრატეგიების, სახელმძღვანელო და საკონსულტაციო სქემების შემუშავება იმ მიზნით, რომ სოციალური უფლებები და სერვისები ლგბტი ადამიანებისათვის უფრო ხელმისაწვდომი გახდეს და თემის წევრებმა სათანადო დახმარება მიიღონ დასაქმებასა და განსახლებაში.

### *ლგბტი-მეგობრული ხანდაზმულთა სახლები - ინიციატივა "Pink Passkey" (ვარდისფერი გასაღები), ნეიმეგენი, ნიდერლანდები*

*მოსახლეობა : 154 715*

**მიმღებლობას, თანასწორობასა და ადამიანის უფლებებს არ აქვს ასაკობრივი ზღვარი! 2008 წელს ნიდერლანდებში, ნეიმეგენის საქალაქო საბჭომ შეიმუშავა პროექტი, რომლის მიზანიც იყო ხანდაზმულთა სახლებისა და დაწესებულებების ქცევა ხანდაზმული ლგბტი პირებისადმი მეგობრულ, ინკლუზიურ სივრცეებად. ეს მოდელი გადაიღეს სხვა მუნიციპალიტეტებმაც დიდ ბრიტანეთში, ესპანეთში, სკანდინავიისა და სხვა ქვეყნებში[LXX] და დააარსეს ლგბტი-მეგობრული ინსტიტუტები ხანდაზმულთათვის.**

ნეიმეგენის საკრებულომ ეს მეთოდოლოგია გამოიყენა: ოფიციალური ვარდისფერი სავაჭრო ნიშანი (ვარდისფერი გასაღები) მიანიშნებს სამედიცინო

დაწესებულების ინკლუზიურობას სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის თვალსაზრისით, რაზეც კედელზე მოთავსებული აბრა მიანიშნებს. ასეთი აბრის მინიჭების მიზნით ტარდება საგანგებო აუდიტი, რომელიც ამოწმებს დაწესებულების ინკლუზიურობას **ლგბტი** პირების, მათი ოჯახებისა და ახლობლების მიმართ. პროექტმა დაარსებიდან (2008) მალევე დაამტკიცა, რომ ძალიან წარმატებულია, წლების განმავლობაში გააფართოვა მასშტაბები და ხანდაზმულთა სახლიდან შეზღუდული შესაძლებლობების, ქრონიკული დაავადებებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე **ლგბტი** პირთა ზრუნვის დაწესებულებად გადაიქცა. 2016 წლის იანვარში ნიდერლანდების მასშტაბით, ვარდისფერი გასაღების ბრენდით მომუშავე სამკურნალო დაწესებულებების რაოდენობამ 110 შეადგინა. ყოველ მათგანს აფინანსებს ადგილობრივი ხელისუფლება, ზოგიერთი მათგანი კი ადგილობრივი სამთავრობო ოგანოების ინიციატივით გაიხსნა.

**Contact**
Aldenhof 31-96 6537 AJ, Nijmegen, Netherlands
Telephone: +31 24-3275275
E-mail: ab.doekenborg@zzgzorggroep.nl
secr.doek@zzgzorggroep.nl
Website: www.rozezorg.nl/organisaties

## *ვარდისფერი კომპეტენციების პროექტი, ოსლო და სხვები, ნორვეგია*[LXXI]

*მოსახლეობა : 634 293*

**ნორვეგიული პროექტი, Pink Competency, რომელიც ნორვეგიის ჯანდაცვის დირექტორატისა და ნორვეგიის ლგბტი ორგანიზაციის, LLH-ს (რომელიც ამჟამად FRI-ს სახელით არის ცნობილი) თანამშრომლობის შედეგია, სთავაზობს ჯანდაცვის სპეციალისტებს კომპეტენციებსა და საშუალებებს, რომლებიც აუცილებელია ლგბტი თემისადმი უფრო ინკლუზიური მიდგომის დანერგვისთვის. პროექტმა შეძლო, გაეღრმავებინა სამედიცინო პერსონალის ცოდნა და უნარები ლგბტი თემისამი ემპათიის მხარდაჭერით.**

ტრენინგების კურსებს უტარებდნენ ადგილობრივ ექიმებს, ექთნებს, ფსიქოლოგებსა და ბებიაქალებს ადგილობრივი მმართველობებისა და ნორვეგიის ჯანდაცვის დირექტორატის მხარდაჭერით. ქალაქ ოსლოში, ახალგაზრდობის ჯანდაცვის ცენტრში საგანგებოდ მომზადდა პერსონალი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხებზე. LXXII პროექტის წარმატება მრავალმა ფაქტორმა განაპირობა. ამ ინიციატივამ სიღრმისეულად შეისწავლა **ლგბტი** თემთან დაკავშირებული ცრუ მოსაზრებები და სტერეოტიპები და ფაქტებითა და ცოდნით ჩაანაცვლა ისინი. პროექტი შეეცადა ძალიან პრაქტიკული მიდგომის დანერგვას, რომელიც მოიცავდა ენის,

სექსუალობის აღიარების, ცნობიერების, ჰეტერონორმატიულობის გავლენას ჯანდაცვის სერვისების მიწოდებაზე.

**Norwegian Directorate for Health**
Postal address: Pb. 7000, St. Olavs plass, 0130 Oslo
Visiting address: Universitetsgata 2, 0164 Oslo, Norway
Telephone from within Norway: 810 200 50
Telephone from abroad: (+47) 24 16 30 00
E-mail: postmottak@helsedir.no

**FRI - foreningen for kjønns- og seksualitetsmangfold**
Adress: Tollbugata 24, 0157 Oslo
Telephone: (+47) 23 10 39 39
E-mail: post@foreningenfri.no

## *განსახლების სტრატეგია, ბრაიტონი და ჰოვე, დიდი ბრიტანეთი*[LXXIII]

*მოსახლეობა : 273 400*

**2015 წელს ბრაიტონსა და ჰოვეში (დიდი ბრიტანეთი) შეიმუშავეს საქალაქო განსახლების ახალი სტრატეგია კომისრებთან, მომსახურების მიმწოდებლებთან, სათემო ჯგუფებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან ფართო კონსულტაციების გზით. სტრატეგიის ყურადღების ცენტრში არიან ლგბტი პირები და მისი მიზანია ადგილობრივი ლგბტი თემის წევრთათვის საცხოვრებელზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.**

ამ სტრატეგიის მიზნები მოიცავს ისეთ საბინაო გადაწყვეტილებებს, რომლებიც ხელს უწყობს ლგბტი თემის ჯანმრთელობის დაცვას, უსაფრთხოებას და კეთილდღეობას, მათი შევიწროებისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრას. ყველანაირი მომსახურება იგეგმება და განიხილება **ლგბტი** თემის წევრებთან კონსულტაციების საფუძველზე. საბინაო სტრატეგია მოუწოდებს ადგილობრივ ხელისუფლებას, მიიღოს შემდეგი კონკრეტული პოლიტიკური გადაწყვეტილებები:

- შეისწავლოს მოშორებით განსახლების შესაძლო შედეგები **ლგბტი** ადამიანებისთვის, ადგილობრივ სერვისებთან და დამხმარე სტრუქტურებთან წვდომის თვალსაზრისით;
- თავშესაფრის პროვაიდერებთან თანამშრომლობა **ლგბტი** თემის წევრებისთვის ხელმისაწვდომი მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- ადგილობრივი **ლგბტი** სააგენტოების მხარდაჭერა სხვა რეგიონების **ლგბტი** სააგენტოებთნ ურთიერთობაში, რათა ბრაიტონში საცხოვრებლად გადასვლის მსურველ **ლგბტი** პირთა განსახლების პროცესი დაგეგმილი გზით განხორციელდეს;

- **ლგბტი** თემის წევრების უნარების განვითარება გადაუდებელი საბინაო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით;
- **ლგბტი** თემის საჭიროებებზე მორგებული საბინაო გადაწყვეტილებები;
- Trans Scrutiny Panel-ის რეკომენდაციების შესრულება საბინაო საკითხების მოგვარებისას და ტრანსსექსუალი პირების საჭიროებების შეფასება წინა რეკომენდაციების გათვალისწინებით.

**Brighton and Hove City Council/Housing strategy**
Bartholomew Square, Brighton, Postcode: BN1 1JE, United Kingdom
Telephone: (+44) 1273 293055
E-mail: housing.strategy@brighton-hove.gov.uk

## *შეთანხმება შრომის ბაზარზე ინტეგრაციის ხელშესაწყობად, მადრიდი, ესპანეთი*[LXXIV]

*მოსახლეობა : 3.1 მილიონი*

**2009 წლის ოქტომბრიდან 2012 წლის ჩათვლით, მადრიდის მუნიციპალიტეტის ოჯახისა და სოციალური დაცვის დეპარტამენტმა, ევროპული სოციალური ფონდის დახმარებით განახორციელა პროგრამა AET-Transexualia - შრომის ბაზარზე ტრანსგენდერი ადამიანების ჩართვის მხარდასაჭერად. ეს პროგრამა დღესაც გრძელდება და მისი ბენეფიციარები იმიგრანტი ტრანსსექსუალური პირებიც არიან. პროგრამის მხარდამჭერია სოციალური საკითხების სამინისტროს იმიგრაციის გენერალური დირექტორატი.**

ეს პროგრამა გულისხმობს ბენეფიციარებისთვის ინფორმაციის მიწოდებას მშრომელთა უფლებებისა და შრომის ბაზრის სხვა სამართლებრივი ასპექტების შესახებ. პროექტში განსაკუთრებით ტრანსგენდერი ადამიანების შრომით უფლებებს ექცევა ყურადღება, მათ ფსიქოლოგიურ დახმარებას, კონსულტაციებსა და ტრენინგებს. პროგრამა მიზნად ისახავს ასევე ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას მადრიდში ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობის შესახებ. მადრიდის საქალაქო ადმინისტრაციის მოხელეებს ევალება პროგრამის ყველა განაცხადის მეთვალყურეობა. ტრანსგენდერთა ეროვნულმა ორგანიზაციამ მადრიდის დასაქმების დეპარტამენტთან ერთად გამოაქვეყნა წიგნი ტრანსგენდერი ადამიანების შრომითი უფლებებისა და დასაქმების გამოცდილების შესახებ.

**AET – Transexualia**
c/ Bravo Murillo, 4. Bajos, 28015. Madrid, Spain
E-mail: asociacionaet@hotmail.com

## *სამოქმედო გეგმები შრომითი ინტეგრაციისთვის, ტურინი, იტალია*

*მოსახლეობა : 899 455*

**2013 წელს იტალიაში, პიემონტის რეგიონის ხელისუფლების, ტურინის პროვინციის ადმინისტრაციისა და ტურინის მუნიციპალიტეტის თანამშრომლობით 44 ტრანსგენდერი პირი ჩაერთო დაუცველი სოციალური ჯგუფების ტრენინგში პროფესიული გადამზადებისა და შრომის ბაზარზე რეინტეგრაციის მიზნით.**

პიემონტის რეგიონულმა ორგანომ დაამტკიცა პროვინციის სამოქმედო გეგმა დასაქმების საკითხებთან დაკავშირებით და ტურინის მუნიციპალიტეტის ლგბტი საკითხთა განყოფილებას სთხოვა თანამშრომლობა ორ სამოქმედო გეგმაში ტრანსგენდერი ბენეფიციარების ჩართვისათვის. ორივე სამოქმედო გეგმა ეხება ტრანსგენდერი პირების დაფინანსებას ადგილობრივ კომპანიებში მათი პროფესიული გადამზადებისა და რეინტეგრაციისთვის. პირველი სამოქმედო გეგმა შეიქმნა იმ ტრანსგენდერი პირების დაუყოვნებლივი დასაქმებისთვის, რომელთა უნარ-ჩვევები შეესაბამებოდა დამსაქმებელთა მოთხოვნებს. მეორე სამოქმედო გეგმა კი მიზნად ისახავს ტრანსგენდერი პირის დაფინანსებას და ადგილობრივ კომპანიაში საწარმოო სტაჟირების გზით მის შრომით ინტეგრაციას. ტურინის მუნიციპალიტეტის ლგბტი საკითხთა განყოფილება დაეხმარა პროვინციის ადმინისტრაციას ამ ორი სამოქმედო გეგმის პოტენციური ტრანსგენდერი ბენეფიციარების რეკრუტირებაში.

**Province of Turin**
Ufficio relazioni con il pubblico
Telephone: (free within Italy) 800 300 360
E-mail: urp@provincia.torino.it

# ადგილობრივი და რეგიონული კანონმდებლობის განვითარება

თქვენი რაიონის **ლგბტი** თემის წევრთა თანასწორი უფლებებით უზრუნველყოფა იწყება შესაბამისი კანონებით, რომლებიც ამ უფლებებს ადგენს და ამკვიდრებს. სახელმძღვანელოს ამ ნაწილში მოცემულია ადგილობრივ კანონმდებლობაში ცვლილებების მაგალითები, რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვანია საერთო ეროვნულ დონეზე თემის სამართლებრივი აღიარებისთვის.

## *ყურადღების ცენტრში*

## *მალტა: პირველი ევროპული ქვეყანა, რომელიც კრძალავს „კონვერსიის თერაპიას“*



2016 წელს მალტა გახდა პირველი ქვეყანა ევროპაში, რომელმაც აკრძალა ე.წ. ”კონვერსიის თერაპია” (თერაპიული მეთოდები ადამიანის სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის შეცვლის მიზნით) და განსაზღვრა სანქციები და პატიმრობის ვადები მათთვის, ვინც ადამიანს ამ მავნე პრაქტიკას შესთავაზებს. ამიტომ მალტამ პირველი ადგილი დაიკავა „Rainbow Map, Index და Annual Review“-ში, ILGA-ევროპის („ევროპის ლესბოსელ, გეი, ბისექსუალ, ტრანსსექსუალ და ინტერსექს პირთა ასოციაცია“) ყოველწლიური პროექტების ჩამონათვალში, სადაც ასახულია 49 ქვეყანაში მიღწეული წარმატების მაგალითები განონმდებლობისა და პოლიტიკის შეცვლის თვალსაზრისით.

**დამატებითი ინფორმაცია**

https://www.nytimes.com/2016/12/07/world/europe/malta-outlaws-conversion-therapy-transgender-rights.html

www.ilga-europe.org/resources/rainbow-europe/rainbow-europe-2017 ;

www.ilga-europe.org/sites/default/files/Attachments/annual_review_2017_online.pdf

## *სამოქალაქო კავშირის ოფიციალური აღიარება, ტურინი, იტალია*

*მოსახლეობა : 899 455*

**იტალიის ქალაქ ტურინის ადმინისტრაცია ოფიციალურად აღიარებს ერთი სქესის მოქალაქეებს შორის სამოქალაქო კავშირს, ამ თემაზე ეროვნული კანონის არარსებობის მიუხედავად.**[LXXV]

მუნიციპალურ რეგულაციებში შესწორებების შეტანისას ტურინის საქალაქო საბჭო დაეყრდნო რესპუბლიკის პრეზიდენტის 223/1989 ბრძანებულების მე-4 მუხლს, რომელიც განსაზღვრავს ოჯახს, როგორც „მოქალაქეთა ჯგუფს, რომელიც ცხოვრობს ერთ ქალაქში, ერთ სახლში, ქორწინების, ნათესაური კავშირის, შვილად აყვანის, იურიდიული მეურვეობის ან ემოციური ვალდებულებების გამო.“ ამ მუხლზე დაყრდნობით ქალაქმა შეიმუშავა ახალი მუნიციპალური რეგულაცია, რომელიც აღიარებს სამოქალაქო პარტნიორობას. ეს რეგულაცია ტურინის საქალაქო საბჭომ 2010 წელს დაამტკიცა. შედეგად, ერთად მცხოვრებ ჰეტეროსექსუალ ან ჰომოსექსუალ წყვილებს შეუძლიათ, მოითხოვონ და მიიღონ სამოქალაქო პარტნიორობის სერთიფიკატი ქალაქის გენერალური რეესტრიდან. ეს საბუთი საშუალებას აძლევს სამოქალაქო პარტნიორობაში მყოფ წყვილებს,

ისარგებლონ იგივე უფლებებით, რითაც დაქორწინებული წყვილები სარგებლობენ ქალაქ ტურინის მუნიციპალური სერვისებისა და ჯანდაცვის თვალსაზრისით. რადგან პარტნიორობის სერთიფიკატი მხოლოდ ადგილობრივი ოფიციალური დოკუმენტია, მისი გამოყენება შეუძლებელია ეროვნული სერვისების მისაღებად და ის არც ჰეტეროსექსუალ და არც ჰომოსექსუალ წყვილებს არ ანიჭებს იმ უფლებებსა და შეღავათებს, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით მხოლოდ დაქორწინებული წყვილებისთვისაა გათვალისწინებული (მაგალითად, მშობლების პასუხისმგებლობა ან საგადასახადო შეღავათები).

**City of Turin**
Telephone: (+39) 11 01125380
E-mail: info.anagrafe@comune.torino.it
Servizi.Civici@cert.comune.torino.it

## *ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკის სკოლა, სტამბოლი, თურქეთი*[LXXVI]

*მოსახლეობა : 14.8 მილიონი*

**2013 წელს სტამბოლში ადგილობრივმა ლგბტი ორგანიზაციამ, SPOD, შეიმუშავა მუნიციპალიტეტის ლგბტი-მეგობრული ოქმი, რომელსაც ხელი მოაწერა მერმა და ამით მხარი დაუჭირა თურქეთში ლგბტი-ინკლუზიური პოლიტიკის გაღრმავებას. ამ ინიციატივის შედეგად, სტამბოლის რაიონებში შეიქმნა ლგბტი თემისადმი კეთილგანწყობილი ინსტიტუტები, საბჭოები და ჯანდაცვის სამსახურები.**

ადგილობრივი არჩევნები ქალაქში და მიმდებარე რაიონებში ცვლილების მხარდაჭერის საშუალებაა. SPOD-მა (სტამბოლში მოქმედი **ლგბტი** ორგანიზაცია) 2013 წელს მოაწყო ადგილობრივი მთავრობის პოლიტიკის სკოლა, რომელშიც მონაწილეობდნენ **ლგბტი** აქტივისტები თურქეთის 10 სხვადასხვა ქალაქიდან. პროექტის ერთ-ერთი შედეგი იყო დოკუმენტი „**ლგბტი** მოთხოვნები ადგილობრივ თვითმმართველოაში", რომელიც გამოქვეყნდა 14 თურქული **ლგბტი** ორგანიზაციის მხარდაჭერით. დოკუმენტი გადაკეთდა „ლგბტი-მეგობრულ მუნიციპალურ ოქმად", რომელიც ხელმოსაწერად შესთავაზეს მერობის მრავალ კანდიდატს. დოკუმენტს მერობის ორმოცდაათმა კანდიდატთა მოაწერა ხელი, რითაც მათ ვალდებულება აიღეს, რომ მერად არჩევის შემთხვევაში, **ლგბტი** თემისადმი მეგობრულ პოლიტიკას გაატარებენ. საბოლოო ჯამში, ამას მოჰყვა შიშლის რაიონში ლგბტი-ინკლუზიური ჯანდაცვის სერვისების ცენტრისა და თანასწორობის განყოფილების გახსნა და ლგბტი საბჭოს დაფუძნება კადიკეის რაიონის საკრებულოში.

Association of Social Policies,
Gender Identity and Sexual Orientation Studies (SPOD)
Telephone: (+90) 212 292 48 02
E-mail: info@spod.org.tr
Twitter.com/spodlgbt

*ყურადღების ცენტრში*

## *გერმანიაში ლეგალიზებულია ერთი სქესის ადამიანებს შორის ქორწინება*



2017 წლის 30 ივნისს გერმანელი კანონმდებლების უმრავლესობამ მისცა ხმა ერთი სქესის პირთა ქორწინების ლეგალიზაციას. მიღებული კანონპროექტი ჰომოსექსუალ წყვილებს აძლევს იგივე უფლებებს, რაც ჰეტეროსექსუალ წყვილებს აქვთ. ჰომოსექსუალს წყვილებს საშუალება ეძლევათ, დაქორწინდნენ და შვილებიც იყოლიონ. ეს კანონი გავიდა 393 ხმით 226-ის წინააღმდეგ, ოთხმა კი თავი შეიკავა. ამრიგად, გერმანია გახდა მსოფლიოში 23-ე და ევროსაბჭოს წევრებს შორის მე-14 ქვეყანა[LXXVII], რომელმაც აღიარა ერთი სქესის ადამიანების ქორწინება.

**დამატებითი ინფორმაცია**
https://www.nytimes.com/2017/06/30/world/europe/germany-gay-marriage.html

http://www.bundestag.de/dokumente/textarchiv/2016/kw07-de-gleichgeschlechtliche-ehe/405868

# ცნობადობის ამაღლება, განათლება, ხილვადობა და პოლიტიკის შემუშავების პროცესში გათვალისწინება

განათლება და ცოდნა უმნიშვნელოვანესია ლგბტი ადამიანებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ საზოგადოებრივი აღქმის შესაცვლელად. უფრო მეტიც, ეს ერთადერთი გზაა იმისთვის, რომ თავად ლგბტი პირებმა გააცნობიერონ საკუთარი უფლებები და წახალისდეს დებატები მრავალფეროვნების უპირატესობებსა და მასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე. ხელისუფლებას ევალება ლგბტი თემის უფლებების დაცვა და მათი გათვალისწინება პოლიტიკის შემუშავების პროცესში, რათა საზოგადოება აღარ აღიქვამდეს ლგბტი იდენტობას, როგორც

ნებაყოფლობით სექსუალურ არჩევანსა თუ პრეფერენციას და აღმოიფხვრას ამ თემის მიმართ დისკრიმინაცია.

## *ყურადღების ცენტრში*

## *თანასწორობისა და ადამიანის უფლებების კომისიის სახელმძღვანელო მითითებები, გაერთიანებული სამეფო*



გაერთიანებული სამეფოს თანასწორობისა და ადამიანის უფლებების კომისია (EHRC) აქვეყნებს სახელმძღვანელო პრინციპებს ხელისუფლების ორგანოებისთვის (და შოტლანდიისა და უელსის იმ ორგანოებისთვის, რომელთა კომპეტენციების გადაცემაც არ ხდება). ამ მითითებებში მკაფიოდაა განსაზღვრული სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხები. სახელმძღვანელოში მიმოხილულია თანასწორობის მოვალეობა და მოცემულია მის შესასრულებლად საჭირო სამართლებრივი ნაბიჯები და რეკომენდაციები. 2015 წელს კომისიამ გამოაქვეყნა ვრცელი მოხსენება ლესტერისა და ლესტერშირის მხარეებში სიძულვილის დანაშაულთან დაკავშირებით **ლგბტი** პირთა გამოცდილების შესახებ. ანგარიში ეფუძნება ინტერვიუებს 50 ადამიანთან, რომლებიც თავს **ლგბტი** თემის წევრებად აღიარებენ. ეს დოკუმენტი პრაქტიკული მაგალითებით მდიდარი, ეფექტიანი ინსტრუმენტია ადგილობრივ მოხელეთათვის.

**დამატებითი ინფორმაცია**
www.equalityhumanrights.com/en/advice-and-guidance

www.equalityhumanrights.com/publication/lgbt-hate-crime-reporting-identifying-barriers-and-solutions

## *ვარდისფერი დღის წესრიგი 2015-2018, ამსტერდამი, ნიდერლანდები*[LXXVIII]

*მოსახლეობა : 821 752*

**ამსტერდამში 1980 წლიდან ხორციელდება ლგბტ ადამიანების ემანსიპაციის მიზნობრივი პოლიტიკა. ამჟამად მიმდინარეობს პროექტი 2015 წლის „ვარდისფერი დღის წესრიგი“. ამსტერდამი აქტიურია ცხრა მიმართულებით: უსაფრთხოება, განათლება, ახალგაზრდობა, მრავალფეროვნება, ზრუნვა და კეთილდღეობა, ჯანმრთელობა და დახმარება, სპორტი, სამუშაო და ეკონომიკა; კულტურა და ინფორმაცია. ყველა ამ სფეროში ჩამოყალიბებულია ლგბტი ადამიანების უსაფრთხოების, ხილვადობისა და მათდამი ტოლერანტობის გაზრდის მიზნები.**

„ვარდისფერი დღის წესრიგით" ამსტერდამი ზრუნავს უსაფრთხო სოციალურ გარემოზე **ლგბტი** თემისთვის. ამ მიდგომაში ასახულია თემის ინტერესები და საჭიროებები, რაც გათვალისწინებულია შესაბამის პოლიტიკაში. სკოლების, ზრუნვის დაწესებულებებისა და სპორტული კლუბების პერსონალი გადის საგანგებო ტრენინგებს, **ლგბტი** პირთა მეტი დაცულობის მიზნით. მუნიციპალიტეტი მხარს უჭერს **ლგბტი** პირთა ცოდნის გაღრმავებას და სოციალურ მიღებას. ამ დღის წესრიგის მთავარი კომპონენტია დამატებითი დახმარება ნაკლებად ორგანიზებული ჯგუფებისთვის, მაგალითად, მრავალკულტურული, ლტოლვილი, ხანდაზმული **ლგბტი** და ინტერსექსი პირებისთვის. მუნიციპალიტეტი იკვლევს უსახლკარო **ლგბტი** მოზარდებისა და ინტერსექსი ადამიანების საჭიროებებს და მის საფუძველზე გეგმავს ახალ პოლიტიკას. ქალაქი კარგ მაგალითს წარმოადგენს, რადგან ის ინკლუზიური ადამიანური რესურსების პოლიტიკას ემხრობა მრავალფეროვნების გათვალისწინებით და მხარს უჭერს საკუთარ **ლგბტი** თანამშრომლებს.

**City of Amsterdam/Diversiteit**
PO Box 1840, 1000 BV Amsterdam, Netherlands
E-mail: diversiteit2@amsterdam.nl
Website: www.amsterdam.nl/diversiteit

## *ყურადღების ცენტრში*
## *ოჯახის თანასწორობის საერთაშორისო დღე*



ოჯახის თანასწორობის საერთაშორისო დღე, 2011 წლიდან მოყოლებული, ყოველწლიურად აღინიშნება მაისის პირველ კვირადღეს. 2015 წელს ამ დღის აღსანიშნავად გაიმართა პიკნიკები, სპორტული და შერეული ღონისძიებები 32 ქვეყნის 67 ქალაქში. 2014 წლის 1-4 მაისს კელნში ჩატარდა მესამე (ორწლიური) საერთაშორისო კონფერენცია „ცისარტყელა ოჯახებისთვის", ადგილობრივი და რეგიონული ფედერალური ხელისუფლების მხარდაჭერით.

**დამატებითი ინფორმაცია**
www.internationalfamilyequalityday.org

http://internationalfamilyequalityday.org/wordpress/annual-report-2015/

http://nelfa.org/wp-content/uploads/2015/12/140430_NELFA_PRESS_RELEASE_COLOGNE.pdf

# *ლგბტი მუნიციპალური გეგმა - ბარსელონის საქალაქო საბჭო, ესპანეთი*

*მოსახლეობა : 1.6 მილიონი*

**ბარსელონის საქალაქო საბჭო 1995 წლიდან ერთგულად არის ჩართული ლგბტი თემის ინკლუზიის მცდელობებში. უახლესი პროექტი 2016-2021 წლების მუნიციპალური გეგმაა, რომლის მიზანია ლგბტი საკითხების ინტეგრირება ყველა სახელმწიფო პოლიტიკაში, მასზე ცნობიერების ამაღლება და ლგბტი პირების სამომავლო პერსპექტივების გათვალისწინება მუნიციპალური პოლიტიკის შემუშავებისა და ადმინისტრირების ყველა ასპექტში.**

ბარსელონის საქალაქო საბჭო სამოქალაქო უფლებების დაცვის ნამდვილი პიონერია. სამოქალაქო უფლებების საკითხებზე მრჩევლის თანამდებობა მერიაში 1995 წელს შეიქმნა, ხოლო დისკრიმინაციასთან ბრძოლის სამსახური - 1998 წელს. 2004 წელს შეიქმნა **ლგბტი** თემის მუნიციპალური საბჭო, თემის დაცვის პოლიტიკისა და ქმედებების კოორდინაციის მიზნით. მოგვიანებით საკრებულომ წამოაყენა 2010-2015 წლების მუნიციპალური გეგმა **ლგბტი** თემისათვის, რომელიც ვრცელდება მთელ მუნიციპალურ სტრუქტურაზე. 2016-2021 წლებისთვის კი შედგენილია ახალი გეგმა შემდეგი მიზნებით:

- ადგილობრივი ხელისუფლების ქმედებების კოორდინაცია **ლგბტი** თემთან მიმართებაში;
- **ლგბტი** პერსპექტივის ინტეგრირება მთლიანი მუნიციპალური სტრუქტურის მუშაობაში;
- **ლგბტი** ორგანიზაციების ხელშეწყობა საჯარო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართვისათვის.

ეს გეგმა გადამწყვეტი ინიციატივაა და ითვალისწინებს **ლგბტი** ასპექტის ჩადებას ყველა სერვისსა თუ სოციალური დახმარების მექანიზმში, სპეციფიკური მომზადების გზით. მას ხელმძღვანელობს მრჩევლის ოფისი, რომელიც ორი პროფესიონალისაგან შედგება და მართავს როგორც **ლგბტი** მუნიციპალურ გეგმას, ასევე შესაბამის მუნიციპალურ საბჭოს.

**Ajuntament de Barcelona**
Departament de Feminismes i LGTBI-Àrea Drets de Ciutadania
Participació iTransparència
**Andreu Agustín Andres**
E-mail: aagustin@ext.bcn.cat
**Meritxell Sáez i Sellarès**
E-mail: msaezs@bcn.cat

## ლესბოსელი, გეი და ტრანსგენდერი მოქალაქეების მუნიციპალური განყოფილება, კელნი, გერმანია.

*მოსახლეობა : 1 მილიონი*

**გერმანიის ქალაქ კელნში ფუნქციონირებს ლესბოსელი, გეი და ტრანსგენდერი მოქალაქეების მუნიციპალური განყოფილება, რომელიც მუშაობს პოლიტიკის შემუშავებაზე, ინფორმაციას აწვდის ხელისუფლებას ლგბტი საკითხებზე და ლგბტი თემისადმი მეგობრულად განწყობილი ორგანიზაციების შესახებ და სთავაზობს ინდივიდუალურ დახმარებას.**

2010 წელს კელნმა, იმ მიზნით, რომ გამხდარიყო ნამდვილი მრავალფეროვანი და ტოლერანტული გერმანული მეგაპოლისი, მერიაში შექმნა დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილება. მისი ამოცანები მრავალფეროვანია და მასთან მჭიდროდ თანამშრომლობს საზოგადოების სხვადასხვა მხარე. ცენტრი ლესბოსელების სამუშაო ჯგუფის შენობაში მდებარეობს და ეხმარება მის საქმიანობას. მუნიციპალური საბჭოს გადაწყვეტილებები კი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციაში მიიღება. საბჭო ურთიერთობს გერმანიის სხვა საქალაქო სამსახურებთან, რომლებიც მუშაობენ ლესბოსელების, გეი და ტრანსგენდერი პირების საკითხებზე. რეგულარულად ტარდება მრგვალი მაგიდები ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის შტატის ჯანმრთელობის, ემანსიპაციის, ზრუნვისა და ხანდაზმულთა საქმეების სამინისტროში. საბჭოს ევალება ასევე **ლგბტი**-ინკლუზიური პოლიტიკის კოორდინირება მუნიციპალიტეტის ყველა სხვა განყოფილებაში. მსგავსი სამსახური აქვს ციურიხს, მადრიდსა და ბერლინს. კელნი ევროპის „ცისარტყელა ქალაქების“ ქსელის წევრია (ქვემოთ მოცემულია მეტი ინფორმაცია).

**Stadt Köln-Diversity/Lesben, Schwule und Transgender**
Kleine Sandkaul 5, 50667 Köln
Postfach 10 35 64, 50475 Köln, Germany
Telephone: (+49) 221 221-21087 or (+49) 221 / 221-29661
Fax: +49221 / 221-29166
E-mail: LST@stadt-koeln.de

### ყურადღების ცენტრში

## 17 მაისი - საერთაშორისო დღე ჰომოფობიის, ბიფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ (IDAHOT)

17 მაისს, როგორც წესი, რამდენიმე ღონისძიება ტარდება IDAHOT-ს - ჰომოფობიის, ბიფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის - ფარგლებში. ტარდება ღონისძიებები, იდგმება ფლეშ მობები, პიესები, ექსკურსიები ველოსიპედით, ქალაქების



ლგბტი

მერიებში აღმართულია ცისარტყლეას დროშა. 2014 და 2015 წლებში ასეთი ღონისძიებები ჩატარდა, მაგალითად, ბერლინში, ბელგრადში (სერბეთი), ბუდვაში (მონტენეგრო), დიდი ბრიტანეთის ბევრ ქალაქში, იტალიის სხვადასხვა ქალაქში, მადრიდსა და მალაგაში (ესპანეთი), ჟენევაში (შვეიცარია) და 50-ზე მეტ ქალაქში ნიდერლანდებში. მანჩესტერში სახელმწიფო მოხელეები თეატრალურ წარმოდგენას დაესწრნენ ცნობილ „დრაგ-ქუინებთან" და აქტივისტებთან ერთად, ისლანდიაში კი ადგილობრივი ხელისუფლების ბევრმა მოხელემ აღმართა ცისარტყელის დროშა, როგორც სოლიდარობის სიმბოლო.

**დამატებითი ინფორმაცია**
http://dayagainsthomophobia.org
See also: Annual Report International Day Against Homophobia and Transphobia (2014), IDAHO Committee

## *თანასწორობის საკითხების დაგეგმვა დაანგარიშგება, ლანარკშირი, შოტლანდია, დიდი ბრიტანეთი*[LXXIX]

*მოსახლეობა : 316 230*

**შოტლანდიაში, სამხრეთ ლანარკშირის საბჭომ შეიმუშავა მუნიციპალური გეგმა თანასწორობის საკითხებში, მრავალფეროვნებასთან დაკავშირებით მკაფიო პოზიციის დასაფიქსირებლად. გეგმა, რომელიც მოქმედებდა 2013 წლიდან 2017 წლამდე, დისკრიმინაციის ყველა საფუძველს მოიცავს.**

გეგმის თანახმად, საბჭომ, როგორც მსხვილმა დამსაქმებელმა, მიზნად დაისახა წარმატებული პრაქტიკის დანერგვა დისკრიმინაციის, შევიწროებისა და ვიქტიმიზაციის აღმოფხვრით, თანასწორი შესაძლებლობების შექმნისა და ჯანსაღი საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების მიზნით.

გეგმაში განსაზღვრულია საბჭოს იურიდიული მოვალეობები თანასწორობის შენარჩუნებასთან მიმართებაში და პარტნიორებთან მუშაობის მექანიზმები თითოეული მოქალაქის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა არა ერთხელ და მკაფიოდ არის ნახსენები ანგარიშში. საბჭოს მიზანია სექსუალურ ორიენტაციაზე დაყარებული უთანასწორობის აღმოფხვრა.

**South Lanarkshire Council-Headquarters**
Almada Street, Hamilton, ML3 0AA, United Kingdom
Telephone: (+44) 303 123 1015
E-mail: customer.services@southlanarkshire.gov.uk

## *საზოგადოებრივ ადგილებში ლგბტ თემის ხილვადობა ამსტერდამი და ციურიხი*

*ამსტერდამის მოსახლეობა : 821 752 ; ციურიხი : 391 359*

**ვინაიდან ქალაქების ძალაუფლება და შესაძლებლობები ლგბტი თემის ხილვადობის საკითხში განუზომლად დიდია, ამსტერდამმა და ციურიხმა გადაწყვიტეს, ძეგლებს, ქუჩებსა და საზოგადოებრივ ადგილებს დაარქვან ლგბტი თემის უფლებების დამცველთა სახელები. ეს მოსახლეობის ინფორმირებას და ლგბტი თემის შესახებ არსებული სტერეოტიპების დაძლევასაც მოემსახურება.**

ამსტერდამში „ჰომომემორიალთან" მდებარე ხიდს ნიკ ენგელშმანის, მეორე მსოფლიო ომის დროს წინააღმდეგობის მოძრაობის წევრისა და გეი უფლებებისთვის მებრძოლის, სახელი ეწოდა.[LXXX] 2015 წელს ციურიხის მერმა სამი საინფორმაციო დაფა განათავსა ქალაქის ცენტრში. ეს დაფები ციურიხის **ლგბტი** თემის ისტორიას ყვებიან და არა მხოლოდ **ლგბტი** თემის მიერ გადატანილ რეპრესიებს გვახსენებენ, არამედ იმ დროზეც გვიყვებიან, როცა ციურიხში **ლგბტი** მოძრაობას ჩაეყარა საფუძველი.[LXXXI]

ადგილობრივი **ლგბტი** თემის წარმომადგებლებს შეუძლიათ, ურჩიონ საქალაქო საბჭოს მათი უფლებების მნიშვნელოვან დამცველთა ვინაობა და სახელები. ასე რომ, თქვენს ქალაქებშიც შესაძლებელია ხილვადობის ასეთი ინიციატივების ხორცშესხმა.

**Stichting Homomonument**
Postbus 16458
1001 RN Amsterdam, Netherlands
E-mail: info@homomonument.nl
Website: http://www.homomonument.nl/

**Stadt Zürich Fachstelle für Gleichstellung**
**Shelley Berlowitz**
Stadthausquai 17
Stadthaus, 8001 Zürich
Postfach, 8022 Zürich
Telephone: (+41) 44 412 48 68

### Focus
## *20 novembre – Journée du souvenir trans*



სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ჩართულები არიან ტრანსგენდერთა ხსოვნის დღის ღონისძიებებშიც, რომლებიც 20 ნოემბერს ტარდება. ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით ბერლინში ტრანსგენდერმა აქტივისტებმა და ევროპის 13 ქვეყნის მხატვრებმა წამოიწყეს შემოქმედებითი კამპანია ბერლინში არსებული რამდენიმე სივრცის მარკირებისთვის, რომლებსაც სიმბოლური მნიშვნელობა აქვთ ტრანსსექსუალი ადამიანებისთვის. დაიგეგმა კამპანია და შეიქმნა ბერლინის „ტრანს-რუკა“, მომზადდა ცოცხალი ბიბლიოთეკა და საინფორმაციო სტენდები ფართო საზოგადოებისთვის, ბრანდენბურგის კარიბჭეში გაიმართა მემორიალური ღონისძიება ქალაქის საკრებულოს წევრების მონაწილეობით. კოპენჰაგენში, ჰელსინკისა და დიდი ბრიტანეთის, გერმანიისა და იტალიის ქალაქებში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ ამ დღის აღსანიშნავად გამართულ ღონისძიებებში.

**დამატებითი ინფორმაცია**
http://tgeu.org/tag/transgender-day-of-remembrance/
http://tdor.info/2015/10/06/tdor-events-and-locations-2015/

**ლგბტი თემის უფლებების დაცვა შეიძლება საერთაშორისო ღონისძიების მასპინძლობითაც. EuroPride, Eurogames და Outgames (რომელიც ორ წელიწადში ერთხელ ტარდება) საერთაშორისო საქმეში ადგილობრივი ჩართულობის შესანიშნავი მაგალითებია ლგბტი თანასწორობის მხარდასაჭერად ისეთ ქალაქებში, როგორებიცაა რიგა და ანტვერპენი. ადგილობრივ თვითმმართველობებს შეუძლიათ დადებითი მაგალითის ჩვენება საორგანიზაციო კომიტეტის მხარდაჭერით, დაფინანსებაში მონაწილეობით, გახსნის ღონისძიების მასპინძლობით ან ღონისძებაზე სიტყვით გამოსვლით.**

**დამატებითი ინფორმაცია**
http://europride2015.tumblr.com/
www.worldoutgames2013.be/

# თანამშრომლობა ხელისუფლების ორგანოებს შორის

თანამშრომლობა შეიძლება ნაყოფიერი იყოს **ლგბტი** თემის ინკლუზიური პოლიტიკის შემუშავებისა და განვითარებისათვის. **ლგბტი** თემის უფლებების მხარდაჭერა უფრო ეფექტურია პოლიტიკის, სტრატეგიების, გამოცდილებისა

და მიდგომების გაზიარებით. წარმატებული თანამშრომლობის მაგალითები, რომლებიც ქვემოთ არის აღწერილი, ბევრ ადამიანს დაეხმარა ვითარების გაუმჯობესებაში, ამიტომ ეს გამოცდილება, შესაძლოა, შთაგონების წყარო გახდეს თქვენი რეგიონისთვისაც.

## ქსელი RE.A.DY, იტალია[LXXXII]

**2006 წელს რომისა და ტურინის საქალაქო საბჭოებმა დააფუძნეს RE.A.DY, ანტიდისკრიმინაციული საჯარო ადმინისტრაციების პირველი ეროვნული ქსელი. ქსელი განიხილავს სექსუალურ ორიენტაციასთან და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებულ ანტიდისკრიმინაციულ საკითხებს, ადგილობრივი ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოსთან თანამშრომლობით.**

ქსელის მიზნები შემდეგნაირად შეიძლება შეჯამდეს:

- ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსსექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების სოციალური ინკლუზიის პოლიტიკის განსაზღვრა, შემუშავება და დაგეგმვა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე;
- წარმატებული პრაქტიკის მაგალითების გავრცელება ქვეყნის მასშტაბით; ამ ინფორმაციის მიწოდება იმ სტრუქტურებისთვის, რომელთა მოვალეობებშიც შედის **ლგბტი** ადამიანების უფლებების პოპულარიზაცია;
- სახელმწიფო სამსახურების მხარდაჭერა ისეთი ადმინისტრაციული აქტებისა და რეგულაციების შემუშავებაში, რომელთა მიზანია **ლგბტი** თემის უფლებების აღიარება და დაცვა.

ამ მიზნების მისაღწევად ტარდება საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიები, თემატური დღეები, ღონისძიებები; პარტნიორები ერთმანეთს უზიარებენ ეროვნულ და ევროპულ გამოცდილებასა და მიდგომებს. ბოლო წლებში ქსელი ძალიან გაფართოვდა, 2016 წელს მასში 102 პარტნიორი შედის იტალიის მასშტაბით: ცხრა რეგიონული ხელისუფლების სტრუქტურა, 11 პროვინცია, 72 საქალაქო საბჭო, ექვსი საქალაქო ოლქი, სამი პროვინციული თანასწორობის ორგანო და ერთიც ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაცია.[LXXXIII]

**Segreteria nazionale RE.A.DY**
Via Corte d'Appello, 16, Torino, Italy
Telephone: (+39) 11 01124040
Fax: (+39) 11 01124039
E-mail: ready@comune.torino.it

ლგბტი

## *ეროვნული სტრატეგია ლგბტი პირთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისთვის, მონტენეგრო*[LXXXIV]

**აღმოსავლეთ ევროპაში ლგბტი თემის პრობლემების გათვალისწინებით, მონტენეგროს ხელისუფლებამ ეროვნული სტრატეგია შეიმუშავა ლგბტი პირების ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად. სტრატეგია 2013-2018 წლებს ეხება და მასში კონკრეტულად არიან დასახელებული ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების პარტნიორი დაწესებულებები. მათ შორის არიან სოციალური მიმღებლობის ზრდის, არადისკრიმინაციული ზომების გაღრმავებისა და ლგბტი საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები.**

ეს სტრატეგია შეიქმნა, როგორც მონტენეგროს მთავრობის სისტემური რეაგირება დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმების აღმოსაფხვრელად. პრაქტიკაში ამ სტრატეგიის დანერგვა ნიშნავს ყველა მხარის მობილიზაციას მეტი ერთიანობის მისაღწევად. ეს არის მხარდაჭერის ძლიერი გზავნილი **ლგბტი** თემისადმი, მოწოდება, რომ მათაც, საკუთარი სტატუსისა და უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, დაიცვან თავიანთი უფლებები და იზრუნონ საკუთარი პრობლემების წარმოჩენაზე. სტრატეგია მიზნად ისახავს სასწავლო პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად. ამ სტრატეგიის ამოცანაა სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი დისკრიმინაციის აღმოფხვრა, საზოგადოებაში ჰომოფობიისა და ტრანსფობიის შემცირება, **ლგბტი** ადამიანებისადმი მიმღებლობის წახალისება და ამ თემის წევრთა პირობებისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება. მონტენეგროს სტრატეგიით გათვალისწინებული სამოქმედო გეგმა გულისხმობს ხელისუფლების თანამშრომლობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში: ჯანდაცვა, განათლება, კანონმდებლობა, სპორტი, მედია, ეკონომიკა და სამართალდამცავი ორგანოები. ეს ინიციატივა პირველი და ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია **ლგბტი** თემის ინკლუზიისთვის მონტენეგროში.[LXXXV]

**Government of Montenegro**
Ministry for Human and Minority Rights
Rimski trg br. 46, 81000 Podgorica, Montenegro
E-mail: arhiva@mmp.gov.me

*ქსელი*

## *ცისარტყელა ქალაქების ქსელი*



საერთაშორისო მასშტაბით 21 ქალაქი თანამშრომლობს **ლგბტი** ადამიანებისთვის პოლიტიკისა და სტრატეგიების შემუშავებასა და დანერგვაზე. ისინი გაერთიანებულები არიან „ცისარტყელა ქალაქების“ ქსელში.

ამ არაფორმალურ ქსელში ხდება ქალაქების გამოცდილების, წარმატებული მაგალითების გაზიარება, ერთობლივი პროექტების განხორციელება, სასწავლო მასალების გაზიარება. 2015 წელს, მეხიკოს შეერთებამდე „ცისარტყელა ქალაქები“ ევროპული ქსელი იყო. ბოლო წლებში სხვა არაევროპულმა ქალაქებმაც გამოხატეს ქსელში გაწევრიანების ინტერესი. პოლიტიკის შემქმნელები, რომლებიც „ცისარტყელა ქალაქების“ ფორმატში **ლგბტი** საკითხებზე მუშაობენ, ყოველწლიურად ხვდებიან ერთმანეთს და დისტანციურადაც აქვთ კავშირი ელ-ფოსტის საშუალებით. მონაწილეები ყოველწლიურად აჯამებენ და ონლაინ აქვეყნებენ თავიანთ პოლიტიკასა და მიდგომებს. ნებისმიერ ქალაქს ან რეგიონს, რომელსაც აქვს ქმედითი **ლგბტი** პოლიტიკა ან სურს მისი შემუშავება, შეუძლია, გახდეს ამ არაფორმალური ქსელის წევრი.

**დამატებითი ინფორმაცია**
www.rainbowcities.com

# უსაფრთხოება და დაცულობა

**ლგბტი** თემის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა სიძულვილის დანაშაულის გახშირებული შემთხვევები, როგორც ჰომოფობიისა და ტრანსფობიის გამოვლინება. ამ საკითხის გადაწყვეტა ადგილობრივ დონეზე ევალება საჯარო მოხელეებს, ფსიქოლოგებს, პოლიციელებს და ა.შ., რომლებიც სპეციალურად არიან მომზადებული **ლგბტი** თემის მიმართ სიძულვილის, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის აღმოფხვრის საკითხებზე. ქვემოთ მოცემული მაგალითები ცხადყოფს, რომ გამოსავლის პოვნა შესაძლებელია და რომ ამ მიმართულებით გაწეული ძალისხმევა ემსახურება მთელი საზოგადოების უსაფრთხოებას და **ლგბტი** თემში ხელისუფლებისადმი და სამართალდამცავი ორგანოებისადმი ნდობის აღდგენას.

## *პროგრამა ”შეაჩერე ჰომო-ტრანსფობია”, მადრიდი, ესპანეთი*

*მოსახლეობა : 3.1 მილიონი*

**მადრიდის მერია მხარს უჭერს პროგრამას სახელწოდებით „შეაჩერე ჰომო - ტრანსფობია“ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასთან, CONGAM,[LXXXVI] თანამშრომლობით. პროგრამა უზრუნველყოფს ტრანსგენდერი თემის ჩართულობის ხელშეწყობას და კონკრეტულად კი გამიზნულია სიძულვილის დანაშაულისა და დისკრიმინაციული ინციდენტების აღმოსაფხვრელად.**

დამხმარე პროგრამა „SOS ჰომოფობია“ გამიზნულია **ლგბტი** ადამიანების დასახმარებლად, რომლებიც განიცდიან შევიწროვებას, ჩაგვრას, ფიზიკურ და სიტყვიერ ძალადობას და სხვა სახის დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის გამო. მადრიდშიც და ბარსელონაშიც არსებობს

საოლქო პროკურორის სპეციალური ოფისი, რომელიც სპეციალიზებულია გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე ჩაგვრისა და სიძულვილის დანაშაულის საკითხებში.

ახლახან მადრიდის საქალაქო საბჭომ დააკავა ავტობუსი, რომელიც ანტი-ტრანსგენდერული გზავნილებით აჭრელებული დადიოდა მადრიდის ქუჩებში. კათოლიკური ჯგუფის Hazte Oir-ის (აიძულე, მოგისმინონ!) დაკვეთით, ავტობუსს უნდა მოევლო თითქმის მთელი ქვეყანა. არსებობს ვარაუდი, რომ ეს ტური დაიგეგმა ჩრდილოეთ ესპანეთში ტრანსსექსუალი ახალგაზრდების ინკლუზიის კამპანიის ფარგლებში დაბეჭდილი პლაკატების საპასუხოდ. აქტივისტები, პროფკავშირები და მადრიდის საქალაქო საბჭო შეუერთდნენ ავტობუსის წინააღმდეგ პროტესტს, უსაფრთხოების საკითხებში საკრებულოს მრჩეველმა კი მას ”სირცხვილის ავტობუსი“ უწოდა [LXXXVII]

**Cogam, Collectivo LGBT+ de Madrid**
Telephone: (+34) 91 523 00 70
WhatsApp: (+34) 602 25 22 43
E-mail: informacionlgtb@cogam.es
gayinform@cogam.es

## *ჰოლანდიელი ლგბტი პოლიციის, „ვარდისფერი ლურჯში“, ტრენინგ-კურსი ბულგარელი პოლიციელებისთვის, ბულგარეთი*

**სხვა პროექტებს შორის, ფონდმა GLAS სოფიაში ჩაატარა ტრენინგი ბულგარელი პოლიციელებისთვის. გამოცდილმა კოლეგებმა ნიდერლანდებიდან ბულგარელებს გააცნეს ჰოლანდიური პოლიციის სპეციალური ძალების მიდგომები და გამოცდილება და დაატრენინგეს ისინი ჰომოფობიისა და ტრანსფობიის ინციდენტებზე და სიძულვილის დანაშაულზე რეაგირების საკითხებთან დაკავშირებით.**

2015 წლის 17 სექტემბერს, ბულგარეთის ქალაქ სოფიაში, ფონდმა GLAS ბულგარეთში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოსთან ერთად გაიმართა პანელი-დისკუსია ჰომოფობიური სიძულვილის გამო ჩადენილი დანაშაულის თემაზე და იმაზე, თუ როგორ უმკლავდება ჰოლანდიური პოლიციის ქსელი Roze in Blauw ამ პრობლემას. ამ ქსელის ორი პოლიციელი ჩავიდა სოფიაში ბულგარელ კოლეგებთან შესახვედრად და მათ დასატრენინგებლად. ამსტერდამის ადგილობრივი საპოლიციო ძალები მრავალი წლის განმავლობაში მუშაობენ ქსელში Roze in Blauw ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი თემის უფლებათა დასაცავად.

ამ დანაყოფის შემადგენლობაში შედიან კარგად გაწვრთნილი პოლიციელები. მრგვალი მაგიდის ფორმატში ჰოლანდიელებმა თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს ბულგარელ კოლეგებს, გააცნეს ჰომოფობიური სიძულვილის

დანაშაულთან ბრძოლის ოპერატიული მეთოდები, მსხვერპლთა დახმარების ეფექტური მექანიზმები, მონაცემთა შეგროვების სქემები და პოლიციასა და **ლგბტი** თემს შორის ნდობის აღდგენის აქტივობები. დისკუსია ოფიციალურად გახსნა მისიის ხელმძღვანელის მოადგილემ, პიტერ ვან ვლიეტმა. ეს ღონისძიება GLAS-ის კამპანიის ნაწილი იყო ჰომოფობიური სიძულვილის დანაშაულის წინააღმდეგ. რეგიონული პოლიციის ძალებმა, რომლებიც სიძულვილის დანაშაულის აღმოფხვრაზე მუშაობენ, მნიშვნელოვანი ცოდნა შეიძინეს ჰომოფობიისა და ტრანსფობიის ინციდენტებთან გამკლავებისთვის.

**Pink in Blue police network**
Telephone: (+31) 20 559 5385
E-mail: rozeinblauw@amsterdam.politie.nl
Contact form on the website: www.glasfoundation.bg

## *სასწავლო მოდულები მუნიციპალური პოლიციის ძალებისთვის, ტურინი, იტალია*[LXXXVIII]

*მოსახლეობა : 899 455*

**ადგილობრივი პოლიციის თანამშრომლების დასატრენინგებლად ჰომოფობიისა და ტრანსფობიის, ლგბტი თემთან დაკავშირებული სტერეოტიპებისა და სიძულვილის დანაშაულის საკითხებზე, ტურინის მუნიციპალიტეტმა საგანგებო ტრენინგ-მოდულები შეიმუშავა ქალაქის მუნიციპალური პოლიციის ძალებისთვის.**

ტრენინგის მონაწილეები წარმოადგენდნენ რაიონული პოლიციისა და საგამოძიებო სექტორს. ტრენინგი ეხებოდა ჰომოფობიასა და ტრანსფობიას და მათ უარყოფით გავლენას მოსახლეობის ზოგად უსაფრთხოებაზე. მონაწილეები დატრენინგდნენ სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, სტერეოტიპების დაძლევის, სიძულვილის დანაშაულთან ბრძოლის, სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის საკითხებში. ტრენინგის მოდულები თავად პოლიციის რიგებში **ლგბტი** კოლეგებისადმი მიმღებლობის ხელშეწყობისთვისაც იყო შემუშავებული და თვალნათლივ უჩვენებდა მონაწილეებს მუნიციპალური პოლიციის ძალებში მრავალფეროვნების მართვის მნიშვნელობას. ტრენინგის მოდულები სასარგებლო იყო ადგილობრივი **ლგბტი** ასოციაციებისთვისაც პოლიციის მუშაობის პრინციპის გასაცნობად და მასთან თანამშრომლობისთვის ჰომოფობიური / ტრანსფობიური ძალადობისა და დანაშაულის კონკრეტულ შემთხვევებში. ქალაქ ტურინის მუნიციპალური პოლიცია და მერიის **ლგბტი** საკითხთა განყოფილება მონაწილეობენ ბულინგის საწინააღმდეგო რეგიონული ობსერვატორიის რეგულარულ შეხვედრებში, რომელშიც ჩართულები არიან ასევე ეროვნული საპოლიციო ძალები, სასწავლებლების დეკანები და იტალიის განათლების სამინისტროს რეგიონული სამსახური.

**Comune di Torino**
Piazza Palazzo di Città, 1, 10122, Torino, Italy
Telephone: (+39) 011 011 999
Fax: (+39) 011 011 22390
E-mail: Corpo.PoliziaMunicipale@cert.comune.torino.it

*ქსელები*

## *ადგილობრივი ლგბტი პოლიციის ქსელის მსგავსი მაგალითები*



არსებობს ბევრ ქალაქსა და ქვეყანაში. თვალსაჩინო მაგალითია ნიდერლანდების ე.წ. „ვარდისფერი ცისფერში". ის წარმოაჩენს პოლიციის ვალდებულებას და ძალისხმევას **ლგბტი** თემის უფლებების დაცვაში. ამსტერდამის წარმატებულ მაგალითს ჰოლანდიის ბევრი ქალაქის ადგილობრივმა პოლიციამ მიბაძა და „ვარდისფერი ლურჯში" ახლა უკვე ეროვნული მასშტაბის ქსელია.

**დამატებითი ინფორმაცია**
https://www.politie.nl/themas/roze-in-blauw.html

ნაწილი V **რეკომენდაციები**



## სოციალურ უფლებებსა და მომსახურებაზე წვდომა

- კომუნიკაცია დაამყარეთ **ლგბტი** თემთან, ხელი შეუწყვეთ მის სოციალურ ინკლუზიას! მოუსმინეთ თემის საჭიროებებს და შესაბამისად იმოქმედეთ **ლგბტი** პირებისთვის მეგობრული სოციალური სერვისების შექმნით და თანაბარი სოციალური უფლებების უზრუნველყოფით, როგორიცაა საცხოვრებელი, ჯანმრთელობის დაცვა და დასაქმება.

- გაითვალისწინეთ, რომ **ლგბტი** ჯგუფები ჯერ კიდევ არ არიან საკმარისად შეკრულები ან ორგანიზებულები, ისევე, როგორც მაგალითად, ხანდაზმულები, ლგბტ-ლტოლვილები, ინტერსექსი პირები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები; შეიმუშავეთ კონკრეტული პოლიტიკა მათ სპეციფიკურ საჭიროებებზე საპასუხოდ.

## ლგბტი უფლებების გათვალისწინება ადგილობრივ და რეგიონულ კანონმდებლობაში

- კანონმდებლობა ოფიციალური აღიარების მტკიცებულებაა! გადადგით პირველი ნაბიჯები **ლგბტი** მოსახლეობის თანაბარი უფლებების აღიარებისთვის, მაგალითად, სამოქალაქო პარტნიორობის ან ერთი სქესის ადამიანთა ქორწინების საკითხებში.

- გამოიყენეთ ყველა შანსი საკანონმდებლო ცვლილებების ლობირებისთვის! შეადგინეთ წინადადებები, ოქმები და სამოქმედო გეგმები, მხარი დაუჭირეთ **ლგბტი** თემისადმი კეთილგანწყობილ პოლიტიკას და შექმენით ლგბტი ჩართულობის სანიმუშო მაგალითი თქვენს ქალაქში.

# ცნობიერების ამაღლება, ლგბტ თემის შესაძლებლობების გაძლიერება და მათი უფლებების გათვალისწინება პოლიტიკის შემუშავების პროცესში

- განათლება და ცოდნა ყველაზე მნიშვნელოვანი იარაღია დისკრიმინაციის წინააღმდეგ. გადადგით ყველა საჭირო ნაბიჯი საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად, ჩაატარეთ კამპანიები და ღონისძიებები **ლგბტი** თემის ხილვადობის გაზრდისა და ჩვენს საზოგადოებებში მისი ისტორიის წარმოჩენის მიზნით.
- პატივი ეცით **ლგბტი** პირების შეკრების თავისუფლებას, უზრუნველჰყავით, რომ **ლგბტი** პირთა მიერ ორგანიზებული საზოგადოებრივი ღონისძიებები ჩატარდეს უსაფრთხოდ და თქვენი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.
- საჯაროდ დაგმეთ სიძულვილის ყოველი დანაშაული, შევიწროვებისა და დისკრიმინაციის თითოეული ქმედება და გაითვალისწინეთ ისინი **ლგბტი** ადამიანების უფლებების დაცვისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესში.
- შექმენით **ლგბტი** საბჭოები და განყოფილებები თქვენს რეგიონში, რომლებიც დაეხმარებიან ყველა დაინტერესებულ პირს, გააცნობენ მათ საჭიროებებს ფართო საზოგადოებას და შექმნიან მოქმედების ჩარჩოს, რაც ხელს შეუწყობს მრავალფეროვნებას და ადგილობრივ თემში კეთილგანწყობილი ურთიერთობების განვითარებას.

# ხელისუფლების ორგანოებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა

- მჭიდროდ ითანამშრომლეთ ხელისუფლების სხვა ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ ორგანოებთან, გაცვალეთ ინფორმაცია, დაეხმარეთ ერთმანეთს, გაუზიარეთ გამოცდილება და წარმატებული პრაქტიკა, დაეხმარეთ ერთმანეთს დაფინანსების საკითხებში და გაუზიარეთ კოლეგებს თქვენი პოლიტიკა და მიდგომები.
- გაეცანით არსებულ საერთაშორისო ქსელებს, სტრატეგიებს, ღონისძიებებს, სადღესასწაულო თარიღებს და დარწმუნდით, რომ თქვენი ქალაქი ჩართულია ამ ღონისძიებებში.

# ლგბტი თემების დაცვა და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა

- მიანიჭეთ **ლგბტი** მოქალაქეებს დაცულობისა და უსაფრთხოების განცდა, მოამზადეთ პერსონალი ჰომოფობიისა და ტრანსფობიის საკითხებზე, რათა

უკეთ შეძლონ რეაგირება შევიწროების შემთხვევებზე ან დისკრიმინაციის სხვა ინციდენტებზე.

- აღადგინეთ **ლგბტი** თემის ნდობა თქვენი რაიონის სამართალდამცავი ორგანოების მიმართ, იზრუნეთ პოლიციური ქსელის შექმნაზე, რომელიც სპეციალიზებული იქნება სიძულვილის დანაშაულში და საგანგებოდ იქნება გაწვრთნილი სექსუალური დისკრიმინაციის, ძალადობის, ჩხუბის, ფიზიკური და სიტყვიერი დაპირისპირების და სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულზე რეაგირებისთვის.

ნაწილი VI **რელევანტური ტექსტები და დამატებითი საკითხავი მასალა**



### *ადამიანის უფლებები და გენდერული იდენტობა: წარმატებული გამოცდილების მაგალითების კატალოგი*

მეორე შესწორებული ვერსია, 2016 წლის დეკემბერი, ულრიკა ვესტერლუნდი, რიჩარდ კოჰლერი და TGEU-ს წევრი ორგანიზაციები.

### *სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციასთან ბრძოლის ადგილობრივი და რეგიონული პოლიტიკის წარმატებული მაგალითების კრებული*

ევროპის საბჭო, ივნისი 2016 :

https://rm.coe.int/16806942c5

### *ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებების საკითხთა კომისარი, თემატური ნაშრომი ლგბტი საკითხებზე:*

http://www.coe.int/rm/web/commissioner/thematic-work/lgbti

და ევროსაბჭოს გენერალური მდივნის მოხსენება: „დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის მდგომარეობა (2017). პოპულიზმი - რამდენად ძლიერია ევროპის კონტროლის მექანიზმები და წონასწორობა?

### *ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა  კონგრესი,*

### *მიმდინარე საკითხთა კომიტეტი, ანგარიში CG/2015 (28)9, 2015 წლის 26 მარტი*

ლესბოსელი, გეი, ბისექსუალური და ტრანსგენდერი (ლგბტ) ადამიანების უფლებების დაცვა: ევროპის ქალაქებისა და რეგიონების პასუხისმგებლობა

### *FREE & EQUAL Factsheets, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ლგბტი თანასწორობისთვის*

ინფორმაცია: ლგბტი უფლებები, ხშირად დასმული კითხვები

### *ჯოკიაკარტას პრინციპები*

ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის გამოყენება სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებით

### *ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების სააგენტოს (FRA) პუბლიკაციები ლგბტი საკითხებზე:*

http://fra.europa.eu/en/theme/lgbti

# პუბლიკაციაში მოხსენიებული ინიციატივები

I. 1951 წლის კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ, ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაცია (მუხლი 14), ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (მუხლები 2, 3 და 5); საბჭოს 2003 წლის 18 თებერვლის EC343/2003 რეგლამენტი, რომელიც განსაზღვრავს კრიტერიუმებსა და მექანიზმებს წევრი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დასადგენად მესამე ქვეყნის მოქალაქის მიერ ერთ-ერთ წევრ სახელმწიფოში თავშესაფრის განაცხადის განხილვის პროცესში. საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის დირექტივა 2004/83 / EC, მესამე ქვეყნის მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირთათვის ლტოლვილის (ან საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონე პირის) სტატუსის მინიჭების მინიმალური სტანდარტების შესახებ.

II. http://belgium.iom.int/myths-facts-and-answers-about-refugees-and-migrants

III. ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი - პოზიციები მიგრანტთა უფლებების შესახებ: https://rm.coe.int/16806db7f5 (download); იხილეთ ასევე:
http://www.coe.int/en/web/commissioner/thematic-work/migration

IV. https://www.bloomberg.com/news/articles/2016-03-01/italian-villages-reach-out-to-refugees-as-obli- vion-fear-mounts; http://citiscope.org/story/2015/italy-struggling-town-looks-refugees-revival

V. http://www.sprar.it/english

VI. http://ipc.sabanciuniv.edu/wp-content/uploads/2017/01/Engaging-Syrian-Communi- ties-The-Role-of- Local-Government-in-Istanbul_Auveen-Woods-Nihal-Kayal%C4%B1.pdf

VII. “Turkey: Refugee crisis, ECHO Factsheet,” European Commission, Humanitarian Aid and Civil Protection, http://ec.europa.eu/echo/files/aid/countries/factsheets/turkey_syrian_crisis_en.pdf

VIII. http://www.sultanbeyli.istanbul/haberler/goc-idaresi-anadolu-yakasi-koordinasyon-burosu-hizmete-gir-di

IX. https://rm.coe.int/168058f6b8

X. https://www.gdansk.pl/download/2016-12/82848.pdf

XI. https://www.tag24.de/nachrichten/dresden-quartiert-die-meisten-fluechtlinge-wohnungen-ein- sachsen-57616

XII. https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?p=&id=2372185&Site=COE&direct=true

XIII. www.google.fr/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=1&ved=0ahUKEwi04PeunPnTA hWKPxoKHb3WAI4QFggpMAA&url=http%3A%2F%2Fmedia.strasbourg.eu%2Falfresco%2Fd% 2Fa%2Fworkspace%2FSpacesStore%2F3dede2c5-de91-4ef5-9951-41ff74025c31%2FVADEME CUM-%2520ACCUEILLIR%2520LES%2520REFUGIES%2520AVEC%2520DIGNITE.pdf&usg=AFQjCN HMQVg2cHU6ZoCHwiKlIhShMm_kIw

XIV. www.amsterdam.nl/immigratie/vluchtelingen/information-for/interviews-with/immigrant/

XV. http://www.en.strasbourg.eu/news/220/15/Welcoming-refugees-with-dignity/

XVI. http://www.bbc.com/news/in-pictures-37289713
http://impakter.com/what-to-do-with-refugees-the-italian-model/

XVII. http://www.parismatch.com/Actu/Societe/Peyrelevade-un-village-francais-migrants-825323;

http:// tempsreel.nouvelobs.com/l-obs-du-soir/20150907.OBS5415/les-refugies-ont-vraiment-dyna-mise-le- village.html

XVIII. http://www.courrierinternational.com/article/france-charmant-village-accueille-migrants

XIX. https://rm.coe.int/168058f6b8

XX. http://www.dw.com/en/siemens-to-tap-refugee-talent-via-integration-program/a-18749638
http://pjp-eu.coe.int/documents/6374912/6911360/Case+Study_Siemens_traineeships.pdf/baa62f8a- 211c-44ff-9c7e-c9d1d2c55965
https://rm.coe.int/168058f6b8

XXI. http://pjp-eu.coe.int/documents/6374912/6911360/Case+Study_Siemens_traineeships.pdf/baa62f8a- 211c-44ff-9c7e-c9d1d2c55965
https://rm.coe.int/168058f6b8 https://www.siemens.com/press/en/feature/2016/corporate/2016-09-refugees-at-siemens.php ;
https://www.siemens.com/global/en/home/company/jobs/life-at-siemens/refugee-internships.html

XXII. http://pjp-eu.coe.int/en/web/c4i

XXIII. https://rm.coe.int/168058f6b8
https://www.ne.ch/medias/Pages/151006_Projet-AGRIV-un-partenariat-entre-l%27Etat-et-le-monde- de-l%27agriculture-du-canton-de-Neuch%C3%A2tel-.aspx

XXIV. https://www.amsterdam.nl/burgerzaken/immigratie/

XXV. http://www.eurocities.eu/

XXVI. https://www.theguardian.com/global-development/2016/mar/02/germany-opens-doors-yazidi-women-children-northern-iraq-enslaved-isis

XXVII. კონგრესის ანგარიში CG32(2017)07 მიმდინარე საკითხთა კომიტეტი, https://rm.coe.int/16806fe485

XXVIII. https://www.aljazeera.com/indepth/features/2016/06/german-village-helping-yazidi-women-raped- isil-160621083203597.html?utm_source=Al+Jazeera+English+Newsletter+%7C+Weekly&utm_ campaign=a70d5efd2fw

XXIX. www.baden-wuerttemberg.de/de/service/presse/pressemitteilung/pid/baden-wuerttemberg-begruesst-kanadisches-sonderkontingent-fuer-schutzbeduerftige-frauen-aus-dem-irak/

XXX. https://becomingadult.net/about-becoming-adult/

XXXI. www.after18.org.uk/activities/

XXXII. www.after18.org.uk/category/events/

XXXIII. https://www.ortenaukreis.de/Th%C3%A8mes/L-arrondissement-administration/La- coop%C3%A9ration-transfrontali%C3%A8re/L-Eurodistrict

XXXIV. https://multeciler.org.tr/eng/refugees-education-centre/

XXXV. http://ipc.sabanciuniv.edu/wp-content/uploads/2017/01/Engaging-Syrian-Communities-The- Role-of-Local-Government-in-Istanbul_Auveen-Woods-Nihal-Kayal%C4%B1.pdfhttps://www. athensopenschools.gr/

XXXVI. www.athensopenschools.gr/

XXXVII. http://www.eu-startups.com/2015/10/funzi-launches-mobile-information-and-learning-service-for- asylum-seekers-in-europe/ https://sputniknews.com/europe/201601151033198979-finnish-mobile- app-refugee-help-education/ www.espooinnovationgarden.fi/en/espoo-innovation-garden/stories/right-learning-in-the-right-place-at-the-right-time

XXXVIII. www.congress-intercultural.eu/en/theme/24-communication-and-anti-rumour-campaigns.html

XXXIX. https://pjp-eu.coe.int/documents/6374912/0/ Prems+079615+GBRFinal+2587+CitiesFreeRumours+WEB+21x21.pdf/c01ea15a-0195-494f-820f- 00ada611f01fhttps://rm.coe.int/1680591c8d

XL. https://www.coe.int/en/web/interculturalcities/-/don-t-feed-the-rumour-1, https://www.coe.int/en/web/interculturalcities/-/don-t-feed-the-rumour-2

XLI. https://rm.coe.int/1680591c8d

XLII. www.coe.int/en/web/interculturalcities/-/don-t-feed-the-rumour-1

XLIII. www.siceurope.eu/sic-themes/migration/do-not-feed-rumor-how-amadora-city-council-challenging- stereotypes-against

XLIV. Report Evaluation of the Intercultural Cities Program, January 2015 https://rm.coe.int/1680307e66

XLV. https://www.awakeningphoto.com/about XLVI.

XLVI. https://rm.coe.int/1680720407

XLVII. www.mduls.gov.rs/doc/dokumenta/Zakon%20o%20lokalnoj%20samoupravi.pdf Zakon o lokalnoj samoupravi, Službeni glasnik Republike Srbije

XLVIII. [კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ] 129/2007, მუხლი 98,

XLIX. https://www.ecoi.net/en/file/local/1051168/1226_1370359982_102083.pdf

L. http://cloud2.snappages.com/ecc3fa83da15cf423fe3aaa342f545fa355b24f3/Seminar%20 report_241013.pdf

LI. http://goodpracticeroma.ppa.coe.int/en/node/156

LII. http://goodpracticeroma.ppa.coe.int/en/node/153

LIII. http://goodpracticeroma.ppa.coe.int/en/node/380

LIV. https://observatory.sustainablegreece2020.com/en/practice/iatrokoinwniko-kentro-roma-aliberioy-kentro-sthrikshs-roma-a.752.html

LV. www.integrazionemigranti.gov.it/Normativa/Documents/Servizi%20Essenziali/Salute%20senza%20 esclusione.pdf, Study on Mobility, Migration and Destitution in the European Union (page207)

LVI. http://goodpracticeroma.ppa.coe.int/en/node/305

LVII. https://www.csmonitor.com/World/Europe/2016/0509/In-Central-Europe-one-town-offers-new- lessons-in-fighting-age-old-racism

LVIII. http://www.sintiundroma.de/

LIX. http://www.sintiundroma.de/en/centre/about-us.html

LX. http://stm.baden-wuerttemberg.de/de/themen/sinti-und-roma/

LXI. http://ajuntament.barcelona.cat/dretssocials/sites/default/files/arxius-documents/EstrategiaGITANO_DINA4_web.pdf

LXII. სქესობრივი ორიენტაციისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია ევროპაში, ევროპის საბჭო, 2011 წლის სექტემბერი, გვ.129-132: https://www.coe.int/t/commissioner/source/lgbt/lgbtstudy2011_en.pdf Definition of 'intersex' from World Health Organisation, "Genetic components of Sex and Gender". იხილეთ აგრეთვე: ანტიდისკრიმინაციული ფედერალური სააგენტო, Benachteiligung von TransPersonen, insbesondere im Arbeitsle- ben, ბერლინი, 2010, გვ. 11.

LXIII. https://unfe.org/system/unfe-65-Intersex_Factsheet_ENGLISH.pdf Factsheet Intersex-FREE & EQUAL, United Nations for LGBTI Equality

LXIV. http://yogyakartaprinciples.org/introduction/ ჯოკიაკარტას პრინციპებზე დაფუძნებული განმარტება ადამიანის უფლებში საერთაშორისო სამართლის გამოყენებასთან დაკავშირებით https://www.europewatchdog.info/wp-content/uploads/2016/11/LGBTStudy2011_en.pdf სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია ევროპაში, მე -2 გამოცემა, ევროპის საბჭო, 2011 წლის სექტემბერი

LXV. www.unfe.org/wp-content/uploads/2017/05/LGBT-Rights-FAQs.pdf

LXVI. https://www.splcenter.org/fighting-hate/intelligence-report/2011/10-anti-gay-myths-debunked

LXVII. ICCPR - სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტი, მუხლები 2(1)და 26. ICESCR - საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, მუხლი 2(2)

LXVIII. CEDAW - საერთაშორისო კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, არა-დისკრიმინაციული პირობა; CRC - ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 2.

LXIX. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 1999 წელს დაადასტურა, რომ სექსუალური ორიენტაცია არის დისკრიმინაციის საფუძველი, რომელსაც ეხება კონვენციის მე -14 მუხლი; ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია სქესობრივი ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე

დისკრიმინაციასთან ბრძოლის ღონისძიებების შესახებ; ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის 21.1 მუხლი.

LXX. www.bbc.com/news/magazine-26554710

LXXI. http://cdn.f1000.com/posters/docs/1691

LXXII. https://rm.coe.int/16806942c5

LXXIII. https://www.brighton-hove.gov.uk/content/housing/general-housing/housing-strategy-2015

LXXIV. http://transexualia.org/socio-laboral/

LXXV. www.comune.torino.it/regolamenti/337/337.htm www.comune.torino.it/anagrafe/unionicivili.htm

LXXVI. იხილეთ: თურგაი ბაიანდირის გამოსვლა ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებებთან ურთიერთობაში ლგბტი აქტივიზმის წარმატებული პრაქტიკის შესახებ, ILGA-ს ყოველწლიურ ევროპულ კონფერენციაზე ათენში, 2015 წლის 28-31 ოქტომბერს.

LXXVII. გერმანიის გარდა, ერთი სქესის პირთა ქორწინება აღიარებულია ევროპის საბჭოს შემდეგ წევრ სახელმწიფოებში: ნიდერლანდები, ბელგია, ესპანეთი, ნორვეგია, შვედეთი, პორტუგალია, ისლანდია, დანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ლუქსემბურგი, ფინეთი და ირლანდია http://ceoworld. biz/2015/11/23/list-of-countries-where-same-sex-marriage-is-legal/

LXXVIII. https://www.amsterdam.nl/bestuur-organisatie/organisatie/sociaal/onderwijs-jeugd-zorg/diversiteit/ roze-agenda-2015/#h2ca0fc5c-e624-4451-af1e-fc98ae6fbcb4

LXXIX. www.southlanarkshire.gov.uk/info/200200/equality_in_employment/592/equal_opportunities_and_di-versity

LXXX. https://www.openstreetmap.org/way/38300088

LXXXI. https://www.stadt-zuerich.ch/prd/de/index/gleichstellung/themen/sexuelle_orientierung_geschlechtsidentitaet/ infotafel_brunngasse.html

LXXXII. http://www.comune.torino.it/politichedigenere/lgbt/lgbt_reti/lgbt_ready/ http://www.comune.torino. it/ იხილეთ ასევე: ელ.ფოსტის კორესპონდენცია ეუფემიო ჯანლუკა ტრუპასთან, ლგბტი სამსახური, ქალაქი ტურინი, 2016 წლის 1 თებერვალი.

LXXXIII. https://rm.coe.int/16806942c5

LXXXIV. https://rm.coe.int/16801e8db7

LXXXV. www.google.fr/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=2&ved=0ahUKEwj1nLTy4O_UAhX H0RoKHcE9BRAQFggsMAE&url=http%3A%2F%2Fwww.mrt.gov.me%2FResourceManager%2F FileDownload. aspx%3Frid%3D154247%26rType%3D2%26file%3D130509%2520-%2520 EN%2520-%2520LGBT%2520Action%2520 Plan%25202013.pdf&usg=AFQjCNHZDlx-fskRj4yoILu mukFWpd-UTA

LXXXVI. www.cogam.es/stop-lgtbfobia/

LXXXVII. http://www.bbc.com/news/world-europe-39125187; https://twitter.com/logotv/

LXXXVIII. http://www.comune.torino.it/politichedigenere/bm~doc/spazio_pubblico_2011-04.pdf Information provided by the City of Turin

## ლტოლვილები -თავშესაფრის მაძიებლები- იძულებით გადაადგილებული პირები - ბოშები და მომთაბარეები - ლგბტი დღეს აღარავის ეპარება ეჭვი, რომ ადამიანის უფლებების დაცვაში

დღეს აღარავის ეპარება ეჭვი, რომ ადამიანის უფლებების დაცვაში ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებას უდიდესი როლი აქვს. როგორ ვიმოქმედოთ, რომ ადამიანის უფლებების დაცვა რეალობად ვაქციოთ?

მრავალი წელია, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი რეგულარულ ვიზიტებს ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის მოთხოვნათა შესრულების მონიტორინგის მიზნით. „ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებისთვის" ამ მიდგომის ნაწილია და ის ქმედითი პრაქტიკული ინსტრუმენტია როგორც ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების არჩეული წარმომადგენლებისთვის, ასევე ტერიტორიული ადმინისტრაციების პერსონალისთვის.

სახელმძღვანელოში ყურადღება გამახვილებულია დისკრიმინაციაზე და განსაკუთრებულად არის გამოყოფილი ადამიანთა სამი კატეგორია: ლტოლვილები, თავშესაფრის მაძიებლები, მიგრანტები და იძულებით გადაადგილებული პირები; ბოშები და მომთაბარეები; ლგბტი პირები.

სახელმძღვანელო შემუშავებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის და ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების სააგენტოს მხარდაჭერით. მასში მოცემულია ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების სტრუქტურების მიერ განხორციელებული ინიციატივების მაგალითები და თითოეული პროექტის საკონტაქტო ინფორმაცია. სახელმძღვანელოს მიზანია ადამიანის უფლებების დაცვის კონკრეტული ქმედებების წარმოჩენა და ადგილობრივი და რეგიონული არჩეული ხელისუფლების ორგანოებს შორის გამოცდილების გაცვლა.

www.coe.int/congress-human-rights/fr
congress.monitoring@coe.int

GEO

**www.coe.int**

ევროპის საბჭო ადამიანის უფლებების წამყვანი ორგანიზაციაა კონტინენტზე. მასში შედის 47 წევრ ქვეყანა, მათ შორის ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფო. ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი არის ევროპის საბჭოს ინსტიტუტი, რომელიც პასუხისმგებელია ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის განმტკიცებაზე 47 წევრ სახელმწიფოში. მასში შედის ორი პალატა - ადგილობრივი თვითმმართველობის პალატა და რეგიონების პალატა - და სამი კომიტეტი, რომლებიც აერთიანებს ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების 150 000-ზე მეტი ორგანოს წარმომადგენელ 648 არჩეულ პირს.

The Congress
Le Congrès

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE